საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა

www.geworld.net

№40 (83)

3 - 9 ნოემბერი, 2010

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი

info@geworld.net

8 გულუხვი პრეზიდენტი და მილიონები მომავალი ტაშ-ფანდურისთვის

ივლიტა კასრაძე:

სანამ ცოცხალი ვარ, დამეხმარეთ, სააკაშვილმა სასიკვდილოდ გამწირა 9

კოოპერატიული ბინებისთვის გამოყოფილი თანხა თბილისის მერმა ბიბი უზულავამ საკუთარ პიარს 15 მოახმარა

დამადლებული მილიონიანი გზები და ჩანყობით მოგებული 17 ტენდერები

საერთაშორისო ისტორიზმის, ანუ ქართულ ყულაბაში „რუსული" დოლარების 18 შესახებ

ყველაზე საშიში ვირუსი — ხელის-22 უფლებად წოდებული უბედურება

# ოპოზიციონერებისთვის ოფისის მიქირავება პეტრე ცისკარიშვილთან თანხმდება 4



ფართის მეპატრონემ საპარლამენტო უმრავლესობის ხელმძღვანელს, ნაცმოძრაობის ერთ-ერთ ლიდერს სკანდალური მესიჯი მისწერა:

**«პეტ! კაკაბაძე-ჟანტურია რომ არის, ოპოზიციონერი, გასიებული, ის მომადგა ფართის ქირაობაზე, რა ვქნა?»**

# საქართველო ტოტალური «ზაჩისტკის» მოლოდინში 2

როლანდ ჯალაღანია:

## რუსეთის კეთილი ნების გარეშე აფხაზეთსა და სამაჩაბლოს ვერც ამერიკა დაგვიბრუნებს, ვერც — ნატო და ვერც — ევროკავშირი



12

მიუნჰაუზენიადა 6

ვარდისფერი სათვალის ნამსხვრევები 11

სოროსი ამერიკას ნარკოტიკების ლეგალიზებისკენ მოუწოდებს 30



# ათასმეერთე გარყვნილი ზუგდიდის საჯარო სკოლაში «ასწავლის» 10

3 — 9 ნოემბერი, 2010 წელი. №40 (83)
www.geworld.net

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net



## გაფრაზებულნი



**ედუარდ შევარდნაძე, ექს-პრეზიდენტი:**

სოციალურ აფეთქებას ვერ ავცდებით! ჯერჯერობით ისევ ხალხის სულგრძელობა და მოთმინების უნარი გვშველის და ვურჩევ ხელისუფლებას, ამ სულგრძელობით ნუ ისარგებლებს.

*„ასავალ-დასავალი“*



**გუბაზ სანიკიძე, „ეროვნული ფორუმის“ ერთ-ერთი ლიდერი:**

ჩვენ არ ვართ სააკაშვილის ოპოზიცია, ჩვენ ვართ სააკაშვილის მტრები! სააკაშვილს შეუძლია მოგვექცეს, როგორც მტრებს და ჩვენც მოვექცევით მათ ისე, როგორც მტრებს!.. ან ჩვენ და საქართველო, ან სააკაშვილი და მისი ბანდა!

*„ასავალ-დასავალი“*



**კახა შარტავა, „ეროვნული ფორუმის“ თავმჯდომარე:**

2011 წლამდე აუცილებლად უნდა მივაღწიოთ გამარჯვებას. თუ არ შედგება სამოქალაქო შეთანხმება, „ეროვნული ფორუმი“ ყველა ჯგუფთან იმუშავებს, რათა საერთო-ეროვნულდი დაუმორჩილებლობა გამოცხადდეს.

*„კვირის პალიტრა“*



**ზურაბ ნოღაიდელი, მოძრაობა „სამართლიანი საქართველოს“ ლიდერი:**

ედვარდ სურმანიძის დაპატიმრება, ნათელია, რომ მხოლოდ ედვარდ სურმანიძეს კი არ ეხება, არამედ ეს არის ბარამიძისა და მაჭავარიანის გაფრთხილება: ჭკვიანად იყავითო! სურმანიძის დაჭერით, ცხადია, კეზერაშვილს ვერ შეაშინებ. ის, რომ სურმანიძე ამ საქმეში დამნაშავე არ არის, ჩანს საქმის მასალების ზედაპირულად გაცნობითაც.

*„კვირის ქრონიკა“*



**თემურ ქორიძე, ჟურნალ „ისტორიული მემკვიდრეობის“ მთავარი რედაქტორი:**

თავის დროზე დიდი ხმაური მოჰყვა, მართლა თქვა თუ არა გიგი თევზაძემ, რომ ინგლისური სახელმწიფო ენად უნდა გამოცხადდეს. სხვა რა არის სააკაშვილის ნათქვამი, რომ მომავალი წლიდან ვერც ერთი ახალგაზრდა მიიღებს უმაღლესი სასწავლებლის დიპლომს, თუ ინგლისურში გამოცდას არ ჩააბარებს? ეს სხვა არაფერია, თუ არა ინგლისურის სახელმწიფო ენად გამოცხადება...

*„ყველა სიახლე“*



**დავით ონოფრიშვილი, პარტია „თავისუფალი დემოკრატების“ წევრი:**

საქართველოში უმწეო მდგომარეობაში მყოფი ადამიანების რიცხვმა მილიონ 800 ათასს გადააჭარბა, ანუ მოსახლეობის თითქმის ნახევარი სიდუხჭირეში ცხოვრობს. მათგან მხოლოდ მეოთხედი იღებს სახელმწიფოსგან დახმარებას, რომელიც დღეში 71 თეთრით განისაზღვრება. ხელისუფლება ინფლაციურ პროცესებს ვერ აკონტროლებს. კატასტროფულად გაიზარდა ფასები სასურსათო პროდუქტებსა და სასიცოცხლოდ აუცილებელ მედიკამენტებზე.

*„სარკე“*



**ირაკლი ბათიაშვილი, „სახალხო კრების“ საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელი:**

გაიმართება მასშტაბური, მშვიდობიანი აქციები, ოღონდ არა დროში გაწელილი, აღარ ვაპირებთ, გაუთავებლად უთავბოლოდ ვიდგეთ ქუჩაში, ხალხი დავღალოთ, დავამშიოთ და მერე პირში ჩალაგამოვლებული გავუშვათ. ეს უკვე გამოსცადა ჩვენმა მრავალტანჯულმა საზოგადოებამ, რასაც ოპოზიციის მიმართ გულგატეხილობაც მოჰყვა. ჩვენ სხვა გზით წავალთ! ჩვენი პოლიტიკური ბრძოლა ისეთი მასშტაბური და მძაფრი იქნება, სააკაშვილი იძულებული გახდება, წავიდეს.

*„ყველა სიახლე“*

# საქართველო ტოტალური «ზაჩისტკის» მოლოდინში

## მოსკოვსა და ვაშინგტონს შორის «გადატვირთვა» სააკაშვილისთვის იგივეა, რაც მზის სხივი — ვამპირისთვის

**„ნოემბერი დადგაო და ცამ იცვალა ფერი...“ მართალია, დედანში „დეკემბერია“, მაგრამ, იმედია, რომ პოლიტიკური კრიზისის მწვავე ფაზა ამდენ ხანს არ გასტანს და საზოგადოებისთვის სასურველი შედეგით დაგვირგვინდება. შეძლებს თუ არა სააკაშვილის ხელისუფლება მოსალოდნელი საფრთხის თავიდან აცილებას? ერთი შეხედვით, ყველაფერი მის წინააღმდეგ მუშაობს, „გადატვირთვა“ რუსეთსა და აშშ-ს შორის თვისობრივად ახალ სტადიაში შედის, რაც სააკაშვილისთვის კარგს მოასწავებს, ამასთანავე, საპროტესტო ელექტორატი ქვეყნის შიგნით გაღიზიანების უკიდურეს სტადიამდე მივიდა და ქუჩაში გამოსასვლელად ემზადება. თუმცა ხელისუფლება, როგორც ჩანს, თვლის, რომ ამ სიტუაციისგან თავის დაღწევას ამჯერადაც უვნებლად შეძლებს.**

### მატრიცა-2: გადატვირთვა

სააკაშვილის მომხრეებს **გულწრფელად სჯერათ, რომ მათი ბელადის ინტუიციასა და პოლიტიკურ ალღოს საზღვარი არ აქვს. ამ მხრივ, ძალზე საგულისხმოა გიორგი არველაძის ტექსტი „ჩემი რევოლუცია“, რომელიც Azrebi.ge-ზე გამოაქვეყნა.** (ვისთვის „ჩემი“, ვისთვის „სხვისი“, ვისთვის „რევოლუცია“, ვისთვის ხელისუფლების შეთანხმებული გადაცემა და ეგზალტირებული ბრბოს გამოყენება მანიპულატორების მიერ, თუმცა ზუსტი განსაზღვრებების ძიების დრო ამ შემთხვევაში არ გვაქვს). ამ ტექსტში უამრავი სახასიათო და სახალისო პასაჟია, მაგრამ მხოლოდ ერთის ციტირებით შემოვიფარგლებით; **საუბარი ეხება „რევოლუციური ტრიუმვირატის“ თათბირს თემაზე, შეიჭრან თუ არა პარლამენტში, რომელსაც რატომღაც გიორგი არველაძეც ესწრება** (ციტატა): **„ვისაც „მატრიცა“ გინახავთ, გემახსოვრებათ ის ეპიზოდი, სადაც ნეო (კიანუ რივსი) იგებს, რომ სწორედ იგია რჩეული. იმ ეპიზოდში ნეო ხვდება, რომ გარემო მთლიანად მის კონტროლს ექვემდებარება და კონცენტრაციის ძალით მის ირგვლივ ყველაფერი ტალღასავით იდრიკება. მოკლედ, არ ვიცი, მიგიქცევიათ თუ არა ყურადღება იმ მომენტისთვის, მაგრამ მიშა რომ აფეთქდა, ზუსტად ის ეპიზოდი წარმომიდგა თვალწინ. ვერ გეტყვით, ოთახი დაიდრიკა-თქო, მასთან მოდავეების პოზიციები კი გაცამტვერდა უმალ“.**

სინამდვილეში იმ ეპიზოდში, როგორც ჩანს, სხვა არაფერი მომხდარა, გარდა იმისა, რომ ორმა შედარებით გამოცდილმა პოლიტიკოსმა, **ზურაბ ჟვანიამ და ნინო ბურჯანაძემ, პასუხისმგებლობა პარლამენტში შეჭრის შესაძლო ნეგატიურ შედეგებზე ემოციურ და, პოლიტიკური თვალსაზრისით, პრინციპში, იოლად მართვად სააკაშვილს დააკისრეს.** მართალია, ის ნაბიჯი, შევარდნაძის ხელისუფლების წარმომადგენლებთან, ფართოდ გავრცელებული მოსაზრების თანახმად, შეთანხმებული იყო, მაგრამ სიფრთხილეს თავი არც 2003 წლის ნოემბერში სტკიოდა. თუმცა **არველაძის გულწრფელობაში ეჭვს ნამდვილად ვერ შევიტანთ, რადგან იმ პროცესებში მეორეხარისხოვან როლს ასრულებდა, შესაძლოა, მართლაც ეგონა, რომ ნამდვილ რევოლუციაში მონაწილეობდა და სააკაშვილი ნეოს მსგავსად არნახულ გმირობას სჩადიოდა.** ისე, გენიალურ ფილმ „მატრიცას“ არც თუ ურიგო პაროდია მოჰყვა, სადაც კაცობრიობის ბედნიერებისთვის მებრძოლი ნეო და მისი მეგობრები საგიჟეთიდან გამოქცეულ პაციენტებად არიან გამოყვანილი, ხოლო აგენტი სმიტი — გულისხმიერ ექიმად, რომელიც კუდში დასდევს და ცდილობს, გზასაცდენილები ისევ სტაციონარული მკურნალობის რეჟიმს დაუბრუნოს. როგორც ჩანს, სულ მალე გავიგებთ, ისევ მოახერხებს ნეო გაქცევას თუ მას, ბოლოს და ბოლოს, გაკოჭავენ.

მაგრამ **თავი დავანებოთ სააკაშვილის გარემოცვის წარმომადგენლების ხილვებსა და ცეცხლოვან ფანტაზიებს და ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მოახლოებულ სამიტს მივხედოთ. არც ერთი სერიოზული მიმომხილველი არ ელოდება იმას, რომ სააკაშვილის ხელისუფლება და მისი ამერიკელი პარტნიორები, ამ სამიტზე, ისევე, როგორც უახლოეს პერსპექტივაში, საქართველოს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრების თვალსაზრისით, რაიმე პროგრესის მიღწევას შეძლებენ.** გარღვევასა და გადატვირთვას სულ სხვა, ნატო-რუსეთის თანამშრომლობის, მიმართულებით ელოდებიან და პრეზიდენტი მედვედევი ლისაბონში ნამდვილად გამორჩეული სტუმარი იქნება.

### ჩასაფრებული ვეფხვი, განაბული დრაკონი

**„ნატო ავღანეთის ომში რუსი სამხედროების მონაწილეობის შესაძლებლობას განიხილავს“,** — წერს „Guardian“-ი. ბრიტანული გამოცემის ინფორმაციით, საუბარი თავიდან ავღანეთის სამთავრობო ჯარებისთვის სპეციალისტების მომზადებასა და ნატოს კონტინგენტის მომარაგებაში რუსეთის როლის გაზრდას შეეხება. **„ავღანეთში რუსული ჯარების დაბრუნების საკითხი არ განიხილება“,** — წერს „Guardian“-ი, თუმცა ამ პუბლიკაციის გამოქვეყნების დღეს „T“-ის კორესპონდენტმა რატომღაც მოაწყო გამოკითხვა ქაბულის ქუჩებში იმის დასადგენად, თუ რას ფიქრობენ ავღანელები რუსების შესაძლო დაბრუნებაზე. **საყო-** ►

## მოკლედ




### უმეტესობა სააკაშვილს არ ენდობა

**ინტერნეტ-გამოკითხულთა 51.92% საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს არ ენდობა.**

საინფორმაციო სააგენტო „პირველის“ მიერ ჩატარებული ინტერნეტ-გამოკითხვის ფარგლებში მოქალაქეებს უნდა ეპასუხათ კითხვისთვის, „ენდობით თუ არა პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს?“.

დაახლოებით 1 თვის მანძილზე პროექტში მონაწილეობა 2525-მა მოქალაქემ მიიღო. მათი 31.88% პრეზიდენტ სააკაშვილს არასოდეს ენდობოდა, 20.04%-ს ოდესღაც მას ენდობოდა, მაგრამ ამჟამად აღარ ენდობა. ამ ორი მაჩვენებლის დაჯამებით კი დადგინდა, რომ საქართველოს პრეზიდეტს მისივე მოსახლეობის 51.92% უნდობლობას უცხადებს. ამასთან, 37.11% პრეზიდენტ სააკაშვილს ენდობა, 8.28% კი — ნაწილობრივ, ხოლო კითხვაზე პასუხის გაცემა 2.69%-ს გაუჭირდა.




### „რუსთავი 2“ ოფშორშია დარეგისტრირებული

**მას შემდეგ, რაც 8 ოპოზიციურმა პარტიამ ხელისუფლებასთან თანამშრომლობის სურვილი გამოხატა, ამ თანამშრომლობის ფარგლებში ხელისუფლებისთვის რვა კანონპროექტიც მოიფიქრეს.**

ეს კანონპროექტები ოპოზიციონერ დეპუტატებს გაზეთ „რეზონანსის“ მთავარმა რედაქტორმა ლაშა ტუღუშმა გააცნო. მისი თქმით, მინისტრები სხვადასხვა ტელევიზიაში პროგრამებს არ უნდა აფინანსებდნენ და სახელმწიფო ფული მედიასაშუალებების პირდაპირ სპონსორობას არ უნდა ხმარდებოდეს.

„რუსთავი 2“-ში 70% წილს ვინც ფლობს, ვირჯინიის კუნძულებზე ოფშორულ ზონაშია დარეგისტრირებული და 30% წილის მფლობელი პარტნიორი ასევე რეგისტრირებულია ოფშორულ ზონაში, ოღონდ მარშალის კუნძულებზე“, — აღნიშნა ტუღუშმა.

საქართველო

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net



# მატრიცა-2: ზურაბ ქვანიამ და ნინო ბურჯანაძემ, პასუხისმგებლობა პარლამენტში შეჭრის შესაძლო ნეგატიურ შედეგებზე ემოციურ და, პოლიტიკური თვალსაზრისით, პრინციპში, იოლად მართვად სააკაშვილს დააკისრეს

**ველთაოდ ცნობილია, რომ ბრიტანული პრესა რუსეთისადმი სიმპატიებით, აგერ უკვე ორი საუკუნეა, არ გამოირჩევა და მით უფრო გასაკვირია, როდესაც მის ფურცლებზე „რიგითი ავღანელების“ ასეთი კომენტარები ჩნდება: „ისინი მოქალაქეების უფლებებს პატივს სცემდნენ. მახსოვს, როდესაც ქალაქის პატრულირებას ახდენდნენ, ადამიანებს ელაპარაკებოდნენ. ხალხი დღემდე სარგებლობს უნივერსიტეტით და სხვა შენობებით, რომლებიც რუსებმა ააშენეს“.**

ბრიტანული მედიის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ, როდესაც დასავლეთის პოლიტიკურ კულუარებში რაღაც ახალი იდეა ჩნდება, ის მას დაუყონებლივ ეხმაურება; მათი ამერიკელი კოლეგები ამ მხრივ ნაკლებად მობილურები არიან, როგორც 72-ტონიანი „M1ABV Breacher“-ები ყანდაგარის ვიწრო ქუჩებში. ცხადია, იმისთვის, რომ დასავლეთის საზოგადოებრივი აზრი შეეგუოს კრემლის ავღანეთში დაბრუნების ადრე წარმოუდგენელ იდეას, თემას ჯერ ტაბუ უნდა მოეხსნას და გარკვეული საინფორმაციო ფონი შეიქმნას. თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში, მსგავსი პუბლიკაციების სულ უფრო ხშირი გამოქვეყნება სიმპტომატურია.

**დასავლური პრესა, აგრეთვე, უაღრესად დადებით ტონალობაში წერდა აშშ-რუსეთის სპეცსამსახურების ერთობლივ ოპერაციაზე ავღანეთში, რომლის შედეგად ნარკომოვაჭრეებს 1 მილიარდამდე დოლარის ზარალი მიაყენეს.**

**ნატოს ჯარები ავღანეთში მძიმე მდგომარეობაში, სტრატეგიულ ჩიხში იმყოფებიან, თუმცა, ალბათ, შეცდომა იქნებოდა, დასავლეთის სურვილი — რუსეთი ავღანურ პროცესებში აქტიურად ჩართოს — აღვიქვათ მხოლოდ როგორც მოწოდება დახმარების შესახებ. სავარაუდოდ, არსებობს კიდევ ერთი, გლობალური მასშტაბის, მიზანი, რომელიც „დიდი თამაშის“ კონტექსტში უნდა განვიხილოთ.** ვინაიდან ბრიტანელები ამ თამაშში ამერიკელებზე გაცილებით გამოცდილები არიან (ბოლო-ბოლო ეს ბეისბოლი არაა), გასაკვირი არ არის, რომ ისინი პირველები მიხვდნენ, თუ საით უბერავს ქარი.

ავღანეთში გაჩნდა კიდევ ერთი მოთამაშე, ჩუმი, ზრდილობიანი, თუმცა ძალზე ძლიერი და ცბიერი. მომავალი სამი წლის განმავლობაში ჩინური პროექტები ავღანეთის ხელისუფლების (ვინ იქნება იმ დროისთვის, ძნელი სათქმელია) შემოსავლებს სამჯერ გაზრდის. **„ჩინეთის მეტალურგიულმა ჯგუფმა“ იოლად მოიგო ტენდერი ავღანური სპილენძის მოპოვებაზე, რადგან კონკურენტებზე მილიარდი დოლარით მეტი (3,4 მილიარდი) გადაიხადა; მის პროექტებში 20 ათასი ავღანელი დასაქმდება. ჩინელებმა მოიგეს ტენდერი ტრანსავღანური ოპტიკურ-ბოჭკოვანი ქსელის გაყვანაზე, მათ გეგმებში ტაჯიკეთ-ავღანეთ-პაკისტანის რკინიგზის გაყვანაც შედის.** აღვნიშნოთ კიდევ ერთი, შესაძლოა, მთავარი გარემოებაც: **ჩინელები, ძირითადად, ავღანეთის ჩრდილოეთით აქტიურობენ, ხოლო ეს რეგიონი ცენტრალური აზიის ენერგომატარებლების სტრატეგიულ მარაგებთან შეღწევის შესაძლებლობას იძლევა.**

ერთი შეხედვით, ეს აქტიურობა არც ისე საშიშია, რადგან იმ შემთხვევაში, თუ ჩინელები რაიმე ზედმეტ მოძრაობას გააკეთებენ, მათ ობიექტებს მყისვე თავს დაესხმება „დაუდგენელი მოჯაჰედების ჯგუფი“ (ეს არ არის მინიშნება ძია სემზე, თუმცა, ალბათ, გამგებმა გაიგო) და არანაირი კუნგ-ფუ არ უშველით. მაგრამ, **ჯერ ერთი, პეკინი აკონტროლებს ავღანეთის კომუნისტურ (მაოისტურ) პარტიას და მის შეიარაღებულ რაზმებს; ამ პარტიამ კი გასულ თვეში მოულოდნელი განცხადება გააკეთა, რომ „ემზადება ბრძოლისთვის როგორც უცხოელი დამპყრობლების, ისე ფუნდამენტალისტების წინააღმდეგ“** (საჭიროების შემთხვევაში იარაღი და ინსტრუქტორები მათ, სავარაუდოდ, არ მოაკლდებათ); **მეორე:** ჩინური კომპანიები (იმ რეგიონებში, სადაც მუშაობენ) **საკუთარ თავზე იღებენ ვალდებულებას, ააგონ ინფრასტრუქტურის ობიექტები, სკოლები, მეჩეთები და ა.შ. რაც მოსახლეობის კეთილგანწყობას იწევს. მესამე:** ჩინელებს აქვთ საკმარისი ფინანსური რესურსი იმისთვის, რომ ანგარებიანი ავღანელი საველე მეთაურების გული მოინადირონ. მოკლედ, ჩინურ წინსვლაში ავღანეთში ყველა ასპექტი საკმაოდ გააზრებული ჩანს, თითქოს ის არა რომელიმე კომპანიის სათაო ოფისში, არამედ ჩინეთის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის გენერალურ შტაბში დაიგეგმა.

იმისათვის, რომ ერთი ძლიერი ევრაზიული სახელმწიფო შეაჩერო, საჭიროა მეორე ძლიერი ევრაზიული სახელმწიფო. ეს აქსიომა ჯერ კიდევ პირველ მსოფლიო ომამდე იყო ცნობილი და ანგლოამერიკული გეოპოლიტიკური თამაშის ქვაკუთხედს წარმოადგენს. **რუსეთის დახმარება ავღანეთის ომის ჭაობში ყელამდე ჩაფლული ნატოს კონტინგენტისთვის მხოლოდ ერთი მიზანია, რომელიც ზედაპირზე ჩანს; ხოლო მოსკოვის გამოყენება პეკინის წინააღმდეგ, მათ შორის დაპირისპირების გაღვივება სულ სხვა მასშტაბის ამოცანაა.** იმ შემთხვევაში, როდესაც ეს ორი ძალა ერთმანეთის პირისპირ რჩება, ისინი გარიგებას იოლად ახერხებენ, თუმცა ავღანეთში ისინი მარტონი არ იქნებიან, იქ გლობალური მოთამაშეების ერთგვარი „სამკუთხედი“ შეიქმნება.

**კრემლი ამ ტენდენციებს, რასაკვირველია, იაზრებს და ავღანეთში აქტიურ ჩარევას სულაც არ აპირებს, თუმცა შექმნილი მდგომარეობიდან მაქსიმალური მოგების მიღებას შეეცდება. მოსკოვმა ისევ გააქტიურა საუბარი ნატოს ახალი წევრი სახელმწიფოების ტერიტორიაზე მსხვილი სამხედრო შენაერთების არგანლაგებაზე** (ეს სერგეი ლავროვმა ალიანსის ხელმძღვანელობას ჯერ კიდევ გასული წლის დეკემბერში შესთავაზა). საუბარია შემდეგი ტიპის შენაერთებზე: ა) ქვეითთა ბრიგადა, 2) საავიაციო (ან ვერტმფრენების) პოლკი, 3) ნებისმიერი საავიაცო შენაერთი, თუ მასში 24 თვითმფრინავზე ან ვერტმფრენზე მეტია, 3) ნებისმიერი შენაერთი, რომელშიც 41 ძირითად საბრძოლო ტანკზე ან მსუბუქი ჯავშანტექნიკის 155 ერთეულზე ან 90 (100მმ. და ზევით კალიბრის) საარტილერიო დანადგარზე მეტია; კონტინგენტის გაზრდა კი შესაძლებელი გახდება მხოლოდ რუსეთ-ნატოს საბჭოს ყველა წევრის თანხმობის შემდეგ. თუ ნატო ამ წინადადებას მიიღებს, ეს მისი მხრიდან უპრეცედენტო დათმობა იქნება. ცხადია, მსგავსი შინაარსის დოკუმენტის ხელმოწერა ალიანსისთვის, საინფორმაციო თვალსაზრისით, კაპიტულაციის ტოლფასია, თუმცა ნატოში რუსეთის წარმომადგენლის — დიმიტრი როგოზინის თქმით, **„ნატოს წარმომადგენლები მიანიშნებენ, რომ მოლაპარაკება ამ მიმართულებით უპერსპექტივო არ არის“.** შესაძლოა, ნატო კრემლის მოთხოვნას, ფაქტობრივად, დოკუმენტის ხელმოწერის გარეშე დააკმაყოფილებს.

## მატრიცა-3: რევოლუცია

**ჯამში რუსეთისა და ნატოს თანამშრომლობა ავღანეთის, გლობალური რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვისა და ევროპაში უსაფრთხოების ახალი არქიტექტურის შექმნის მიმართულებით, ზოგადად, მხარეთა პოზიციების სწრაფი დაახლოება, საქართველოს ნატოში გაწევრების იდეას, პრაქტიკულად, უპერსპექტივოს ხდის; ყოველ შემთხვევაში, ამ ეტაპზე ადამიანებს, რომლებიც ნატოში გაწევრების შესაძლებლობაზე ოპტიმიზმით საუბრობენ, საქართველოში უყურებენ როგორც მეზღაპრეებს ან სულაც, როგორც ასათიანის ქუჩიდან გამოქცეულ პაციენტებს. ამავე დროს ქვეყანას კვლავინდებურად უსაფრთხოების არანაირი გარანტიები არ გააჩნია და შექმნილი მდგომარეობა საქართველოს ხელისუფლებისგან** (ამისგან თუ არა, მომავლისგან) **აშკარად ალტერნატიული სცენარის ამოქმედებას მოითხოვს.**

დასავლეთში, რასაკვირველია, არსებობენ ძალები, რომელთაც „გადატვირთვის“ ტორპედირება სურთ. სააკაშვილის ხელისუფლება მათში, სავარაუდოდ, ბუნებრივ მოკავშირეებს ხედავს, რადგან „გადატვირთვა“ მისთვის იგივეა, რაც მზის სხივი — ვამპირისთვის ენ რაისის რომანებსა და მათ მრავალრიცხოვან ეკრანიზაციებში; ის თავად მის არსს, მის არსებობას ეწინააღმდეგება. ახლა მისთვის მთავარია, როგორმე გაძლოს იმ მომენტამდე, როდესაც ობამას მზე ჩაესვენება და ვაშინგტონში ისევ ნეოკონები იმძლავრებენ. სინამდვილეში **ობამას „გადატვირთვა“ სულაც არ არის „პრორუსული“ და, შესაძლოა, მოსკოვისთვის სტრატეგიულ პერსპექტივაში გაცილებით მეტ საფრთხეს შეიცავს, ვიდრე ბუშისდროინდელი მარტივი კონფრონტაცია;** ის გაცილებით ნატიფი და რაციონალურია და აშშ-ის ბოლო დროს შემცირებულ შესაძლებლობებს ითვალისწინებს. ისე, **სააკაშვილის ხელისუფლებისთვის ამას არსებითი მნიშვნელობა არ აქვს; ის გადარჩენისთვის იბრძვის და, რთული გათვლების ნაცვლად, მეტწილად ინსტინქტებით ხელმძღვანელობს.**

მომავალ თვეში, როდესაც ოპოზიციის ფართომასშტაბიანი აქციებია დაგეგმილი (თუ ამ გადაწყვეტილებას, გარემოებათა გამო არ შეცვლიან, ამასთან დაკავშირებით კი გასულ კვირას გარკვეული ეჭვები გაჩნდა), სააკაშვილი და მისი გარემოცვა, სავარაუდოდ, მიმართავს აბსოლუტურად ყველა ხერხს, რათა ხელისუფლება შეინარჩუნოს. **შეიძლება მოხდეს ყველაფერი, რაც ადრე წარმოუდგენელი ჩანდა, არანაირი „თამაშის წესების“ დაცვას ადგილი, როგორც ჩანს, არ ექნება; რადგან თვითგადარჩენის ინსტინქტი უფრო ძლიერია, ვიდრე ევროპელი პარტნიორების რიდი ან საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინების აუცილებლობა.**

მზად არიან თუ არა ის პარტიები, რომლებიც აპირებენ ნოემბერში ხელისუფლებას რეალურად დაუპირისპირდნენ ყოველგვარ ლოგიკას მოკლებულ, სასტიკ დარტყმებს (ყველაზე ოდიოზური აფრიკული დიქტატურების სტილში) გაუძლონ? თუ არა, სჯობს, ამ საქმეს თავი საერთოდ დაანებონ; ხოლო, თუ მზად არიან, ალბათ, უნდა გაითვალისწინონ, რომ მეორე შანსი მათ, სავარაუდოდ, არ მიეცემათ, რადგან წარუმატებელ გამოსვლებს, ძალიან დიდი ალბათობით, საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური სივრცის ტოტალური „ზაჩისტკა“ მოჰყვება.

**დიმიტრი მონიავა**

## გამოხმაურებანი



**ჭაბუა ამირეჯიბი,**
**მწერალი:**

საქართველოში მრავალპარტიულობის ეპოქაა, ყოველ მათგანს თითქოს საკუთარი პროგრამის განხორციელებით აქვს მიზნად დასახული ერის სათავეში მოსვლა, მაგრამ ერთ მათგანსაც კი არ აქვს ამ მიზნის მიღწევის რაიმე ნუსხა ხერხებისა, რომლის განხორციელებაც მიზნამდე მიიყვანდა რომელიმე მათგანს. ეგ არის, ადამიანი ურწმუნოდ მხოლოდღა ცხოველია და ნათლად გამოხატული ხერხების უქონლობა ხელისუფლების წყურვილს მხოლოდღა წყურვილად სტოვებს.

*„ყველა სიახლე“*



**შალვა ნათელაშვილი,**
**ლეიბორისტული პარტიის ლიდერი:**

სააკაშვილი ყველაფერს აკეთებს გამიზნულად, არ არის ეგ გიჟი, ჩვენ გვაგიჟებს და თავს იგიჟიანებს პიარისთვის. რაც მისი ხელისუფლების შენარჩუნებასა და მის მდგრადობას ეხება, იქ უჭკვიანესია. მშვენივრად იცოდა, რაც მოხდებოდა ცხინვალში და მაინც გააკეთა. ახლა ის სისტემა, რაც სააკაშვილმა შექმნა ქვეყანაში, ანუ ტოტალური თვალთვალი, მოსმენები, რეპრესიები და ასე შემდეგ, ახლა ამას ნერგავს სკოლებშიც. ამაზე უარესი ჩამკეტი იდეოლოგია ჰქონდათ ფაშისტებს, მაგრამ ბოლოს მაინც გაიხსნა და დაიღუპა. ეს რეჟიმიც ახლა თავის მწვერვალზეა. სააკაშვილს ზევით ასასვლელი აღარ დარჩა, ქვევით ჩამოგორებისა და ჩამოხეთქების პერსპექტივა 120-პროცენტიანი აქვს. ახლა ეს ჩამოხეთქება როგორი იქნება, არ ვიცი. ჩვენ უნდა ვიფიქროთ, რომ არ ჩაიყოლონ ქვეყანა.

*„ალია“*



**კახა შარტავა,**
**„ეროვნული ფორუმის“ თავმჯდომარე:**

ძალიან მიჭირს ურთიერთობა ამ ხელისუფლების წიაღიდან გამოსულ ადამიანებთან, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება ნამდვილად ჩამოყალიბდნენ სააკაშვილის ოპონენტებად. ყველაფერი, რამაც აქამდე მოგვიყვანა, თვალწინ მიდგას და ვერ ვივიწყებ. ეს ის ხალხია, ვინც წლების განმავლობაში აძლიერებდა სააკაშვილის რეჟიმს.

*„ყველა სიახლე“*



**ეროსი კიწმარიშვილი,**
**„ქართული პარტიის“ დამფუძნებელი:**

სააკაშვილის ვირტუალური ხედვა აღარაფერს ცვლის. ქვეყნის საგარეო პოლიტიკური კურსიც მიშას „პოხონდრიებზეა“ დამოკიდებული. გააჩნია, რა ფეხზე ადგება. ამჟამად ისევ რუსეთთან უპირობო დიალოგზე ალაპარაკდა. ხომ წარმოგიდგენიათ, რა მდგომარეობაში არიან ქვეყნის ელჩები სხვადასხვა ქვეყანაში? სკამის შესანარჩუნებლად სააკაშვილი ყველასა და ყველაფრის ჩაბარებაზე, სრულ კაპიტულაციაზე მოაწერს ხელს.

*„ყველა სიახლე“*



**სოზარ სუბარი,**
**„ქართული პარტიის“ დამფუძნებელი:**

რუსეთთან ურთიერთობის აწყობა ადვილი არაა, მაგრამ არა იმდენად ირაკლი ოქრუაშვილის განცხადებების გამო, არამედ იმიტომ, რომ ჩვენ შორის ომი იყო და საქართველოს ტერიტორიის ნაწილს ჩვენ ველარ ვაკონტროლებთ. ყველაფრის მიუხედავად, ჩვენ მაინც უნდა ვცადოთ. რუსეთთან ურთიერთობის დალაგების გარეშე საქართველო, როგორც სახელმწიფო, ვერ შედგება, უსაფრთხოება ვერასოდეს იქნება გარანტირებული, ეკონომიკას სჭირდება რუსეთის ბაზარი...

*„სარკე“*



**ნოდარ ჯავახიშვილი,**
**„ეროვნული ფორუმის“ ერთ-ერთი ლიდერი:**

რას ელით ამ ხელისუფლებისგან, გამოსწორდება მიხეილ სააკაშვილი თუ გაქართველდება? ვფიქრობ, რომ სააკაშვილს ყველაზე ჯიშიანი ქართველის 5 ლიტრი სისხლიც რომ გადაუსხა, ქართველი მაინც ვერ გახდება!

*„ყველა სიახლე“*

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

### ნანა კაკაბაძე:

# ოპოზიციურად განწყობილი ადამიანებისთვის ოფისის მიქირავებასაც კი მეპატრონეები პეტრე ცისკარიშვილთან ათანხმებენ

**ადამიანის უფლებების ბოლო დროს გახშირებულ დარღვევის ფაქტებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება არასამთავრობო ორგანიზაცია „ყოფილი პოლიტპატიმრები — ადამიანის უფლებებისათვის“ ხელმძღვანელი ნანა კაკაბაძე.**



**დღეს თითოეულ მოქალაქეს აქვს იმის შიში, რომ ნებისმიერ დროს მას შეიძლება თავს დაესხას ე.წ. სამართალდამცავი**

**— ქალბატონო ნანა, საქართველოში მოქმედი უფლებადამცველი ორგანიზაციების წარმომადგენელთა მხრიდან სულ უფრო ხშირად კეთდება განცხადებები იმის თაობაზე, რომ, ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით, ქვეყანაში მდგომარეობა დღითიდღე უარესდება. თქვენი აზრით, რა ვითარება გვაქვს სინამდვილეში და რა კეთდება მდგომარეობის თუნდაც ნაწილობრივ გამოსასწორებლად?**

— სანამ ადამიანის უფლებებზე ვისაუბრებ, მინდა შევეხო ერთ „საინტერესო“ თემას, რომელიც საზოგადოებისა და ნაწილობრივ ოპოზიციისთვისაც რატომღაც შეუმჩნეველი აღმოჩნდა. **ამ რამდენიმე დღის წინათ პირველი არხით მოვისმინე ინფორმაცია, რომ უკრაინის ცენტრალურმა ტელევიზიამ მოამზადა გადაცემა იმის თაობაზე, თუ რა არაჩვეულებრივი რეფორმები გაატარა მიხეილ სააკაშვილმა პოლიციაში.** გადაცემაში ხაზი გაესვა იმას, რომ ეს რეფორმები სამაგალითოა და რომ მათ, ფაქტობრივად, ანალოგი არ აქვს მსოფლიოში, რომ ხალხი სიხარულით ხვდება პოლიციას და ა.შ. **ამას დაემატა ვანო მერაბიშვილის კომენტარი, რომელიც მან ამ რეფორმების წარმატების მთავარ განმაპირობებელ ფაქტორზე გააკეთა;** თქვა, რომ, თუ ადრე პოლიცია იყო ძალისმიერი სტრუქტურა, ახლა ის მთლიანად ხალხის დახმარებასა და უსაფრთხოების დაცვაზეა ორიენტირებულიო... მოკლედ ჟურნალისტმა სიუჟეტი მოამზადა ისე, რომ მან არ მოისმინა არანაირი ალტერნატიული აზრი, არ დაუკავშირდა არც ომბუდსმენს, არც უფლებადამცველ ორგანიზაციებს და წარმოგვიდგინა სურათი, თითქოს საქართველოში მოსახლეობის ოთხმოცდაათი პროცენტი აბსოლუტურად ენდობა პოლიციას.

**მე მინდა ვკითხო იმ ჟურნალისტს, რომელმაც მოამზადა ეს სიუჟეტი, საიდან დაასკვნა მან, რომ საქართველოს მოსახლეობის ოთხმოცდაათი პროცენტი დადებითადაა პოლიციის მიმართ განწყობილი? რა ინფორმაციაზე დაყრდნობით ამბობს ამას და სად მოიძია ეს მასალები?**

როცა ასეთი გადაცემა კეთდება, უპირველესად, მოსახლეობა უნდა გამოიკითხოს, უნდა მიმართონ ომბუდსმენს, უფლებადამცველ ორგანიზაციებს, მაგრამ მათ ეს არც უცდიათ. ეს კი თავისთავად იმაზე მეტყველებს, რომ **ეს ე. წ. გადაცემა იყო შეკვეთილი და მის მომზადებაში მიხეილ სააკაშვილმა გადაიხადა მილიონები;**

ხოლო საიდან და ვისი ჯიბიდან მოდის ამხელა თანხა, ეს კიდევ ცალკე საკითხია...

**— იქნებ, სულაც არ იყო გადაცემა შეკვეთილი და მართლა დაინტერესდა უკრაინის ტელევიზია აქ მიმდინარე რეფორმებით?**

— თუ ამას დავიჯერებთ, იმ დასკვნამდე მივალთ, რომ უკრაინის ცენტრალურ არხზე არაპროფესიონალი ჟურნალისტები მუშაობენ, რაც ჩემთვის ნამდვილად არ არის სარწმუნო. ეს, უბრალოდ, როგორც გითხარით, იყო შეკვეთა, რომელშიც ხელისუფლებამ გადაიხადა კოლოსალური თანხა. საერთოდ, **მიხეილ სააკაშვილს გართულება აქვს ასეთ, ყოველგვარ ზღვარს გადასულ, პიარებზე და მზადაა, ბიუჯეტიდან უკანასკნელი თეთრიც კი გაიღოს, ოღონდ ვინმემ მასზე კარგი თქვას და კარგი დაწეროს...**

**— ესე იგი თქვენ არარეალურად მიგაჩნიათ, რომ დღევანდელ ჩვენს პოლიციაზე ვინმეს დადებითი წარმოდგენა ჰქონდეს?**

— როცა პოლიცია საზოგადოებაზე მუდმივად ახორციელებს ზეწოლასა და ტერორს, როცა იგი ხელისუფლების მიერ გამოყენებულია ხალხზე ზემოქმედების იარაღად და როცა ის არის ავტორიტარული რეჟიმის მთავარი საყრდენი, უბრალოდ, შეუძლებელია ამის არ დანახვა. **დღეს საქართველოში პოლიციის გამოჩენა ხალხს კი არ უხარია, როგორც უკრაინის ტელევიზიამ გვაუწყა, არამედ საზოგადოების თვალში იგი, ფაქტობრივად, გაიგივებულია სიკვდილის ბრიგადებთან, უბედურებასთან და თითოეულ მოქალაქეს აქვს იმის შიში, რომ ნებისმიერ დროს, სრულიად უმიზეზოდ, მას შეიძლება თავს დაესხას ე.წ. სამართალდამცავი.** ვიღაც ამას, ალბათ, გადაჭარბებულ შეფასებად ჩამითვლის, მაგრამ რეალურად ეს არის ის ვითარება, რომელშიც ვიმყოფებით.

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, დაპატიმრებული ადამიანების ოთხმოცდაათი პროცენტი აცხადებს, რომ მიღებული აქვს სხეულის დაზიანება და უწერიათ, რომ მათ ეს დაზიანება მიიღეს სწორედ დაკავების დროს, როცა, სავარაუდოდ, წინააღმდეგობას უწევდნენ სამართალდამცავებს. ბუნებრივია, ჩნდება ეჭვი — თუ მოსახლეობის უდიდესი ნაწილი თვალდახუჭული ენდობა ამ პოლიციას, მაშინ რატომ უწევენ ისინი მათ წინააღმდეგობას? გარდა ამისა, **სხეულის დაზიანებით შესული ამდენი პატიმარი არასოდეს ყოფილა ციხეებში და ჯერ არ დაფიქსირებულა შემთხვევა, რომ ამის გამო პოლიციელი დასჯილიყო, თუნდაც ადმინისტრაციული წესით.** ეს სტატისტიკა იმაზე მეტყველებს, რომ ხელისუფლებას მათთვის მინიჭებული აქვს შეუზღუდავი უფლებები და ამ ყველაფრის ფონზე რამდენად რეალურად შეიძლება მივიჩნიოთ ის, რომ მოსახლეობის ოთხმოცდაათი პროცენტი ენდობა სამართალდამცავ სტრუქტურებს?! ეს არის აბსურდი და ცინიზმი, მაგრამ ხელისუფლება უკვე იმდენად გაიწაფა ამ იაფფასიან პროპაგანდაში, როგორც ჩანს, მას მართლა ჰგონია, რომ საზოგადოების რაღაც ნაწილი მაინც დაიჯერებს ამ სისულელეს.

რაც შეეხება უკრაინის ტელევიზიაში გასულ სიუჟეტს, ჩვენ ჩვენი უბედურებაც გვეყოფა და აღარ გვჭირდება ქვეყნის გარეთ პროსახელისუფლო დაკვეთებით ასეთი ცინიზმი და შეურაცხყოფა...

**— ქალბატონო ნანა, მარტო უკრაინულ არხებზე არ გადის ასეთი სიუჟეტები.**

— გეთანხმებით, მსგავსი გადაცემები არაერთხელ გაკეთებულა სხვა უცხოურ ტელევიზიებშიც. პრესაში კი, განსაკუთრებით ამერიკულში, გაცილებით ხშირად ქვეყნდება სააკაშვილის სახოტბო მასალები, რაშიც „ნაცმოძრაობა“ ასევე სოლიდურ თანხებს იხდის. სხვათა შორის, რუსულ პრესაშიც საკმაოდ ხშირია ასეთი პუბლიკაციები და, სიმართლე გითხრათ, ვერ გამიგია, რატომ ამბობს ეს ხელისუფლება, რომ იქ მედია არ არის თავისუფალი. თქვენ წარმოგიდგენიათ, საქართველოში რომელიმე ნაციონალურმა არხმა პუტინის ან მედვედევის შესახებ რამე პოზიტიური სიუჟეტი რომ მოამზადოს, რა მოხდება? იმ წუთში დაატოვებინებენ სამსახურს იმ ჟურნალისტს, ▶

## მოკლედ



### მალაიზიაში ქართველებს ასამართლებენ

**მალაიზიაში განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკების გადატანის ბრალდებით დაკავებული საქართველოს ორი მოქალაქის სასამართლო პროცესი 3 ნოემბერს გაიმართება.** გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, ბრალდებულთა ვინაობა არ სახელდება. როგორც დაკავებულები აცხადებენ, მათ კამერონში უცხო პირებმა სთხოვეს, ჩანთები მალაიზიაში გადაეტანათ, თუმცა რა იდო ამ ჩანთებში, დაკავებულებმა არ იცოდნენ. იმ შემთხვევაში, თუ სასამართლოზე მათი ვერსია დადასტურდება, შესაძლოა, მათ სასჯელი გარკვეულწილად შეუმსუბუქდეთ. საქართველოს მალაიზიაში დიპლომატიური წარმომადგენლობა არ ჰყავს, ამიტომ დაკავებულებს ქართველი ადვოკატი ვერ დაიცავს. მალაიზიაში ნარკოტიკებით ვაჭრობა სიკვდილით ისჯება.




### ჩვენ 150%-ით ვემხრობით

**ბოლო დროს საქართველოს პირველი პირები განსაკუთრებული ემოციების გამოსახატავად, რატომღაც, მაინცადამაინც განზომილებებსა და მათემატკურ მცნებებს ირჩევენ ხოლმე.** მას შემდეგ, რაც პრეზიდენტმა ჰაერის ტენიანობის გრადუსებში გაზომვა დაიწყო, ეს მიმართულება განსაკუთრებით პოპულარული გახდა და მიმდევრებიც გამოუჩნდნენ. მაგალითად, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ გრიგოლ ვაშაძეს 100% ძალიან ეცოტავა თურქეთის ევროკავშირში გაწევრებასთან დაკავშირებით ჩვენი დამოკიდებულების გამოსახატავად და განაცხადა, რომ „ჩვენ 150%-ით ვემხრობით“. ცხადია, ვაშაძეს მარტო თურქეთის მომავალი არ ადარდებს, სამშობლოზეც ფიქრობს და იცის, რომ ევროკავშირში თურქეთის გაწევრება ევროპასთან ჩვენც დაგვაახლოვებს.




### ვიწყებთ ხელისუფლების დემონტაჟს

**მხოლოდ დღესვე — არა. „დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველოს“ წევრმა გიორგი კობახიძემ ბრძანა, რომ საამისოდ 25 ნოემბრამდე მოგვიწევს მოცდა.** კობახიძემ აწონ-დაწონა და დაადგინა, რომ „წარმომადგენლობითი სახალხო კრება“ უკვე დიდი ძალაა, შემდეგ კი მთელი კრების სახელით მიესალმა იმ სულისკვეთებას და ერთსულოვან დამოკიდებულებას, რომელიც ხალხს არსებული რეჟიმის უმოკლეს ვადებში დემონტაჟთან დაკავშირებით აქვს. კობახიძემ ისიც შეგვახსენა, რაც კრების მიერ გამართულ ყველა შეხვედრაზე ღიად დაფიქსირდა — ქვეყანას და ხალხს ლოდინის რესურსი აღარ აქვს. დაახლოებით ერთთვიანი მოთმენა ურესურსოდ მოგვიწევს, 25 ნოემბერს კი კრების შეკრებით ხელისუფლების დემონტაჟს დავიწყებთ.



### წინ — საზოგადოება, უკან — პოლიტიკოსები

**მსახიობ დიმა ჯაიანს ბრძოლის ახალი გეგმა აქვს: საზოგადოება ფეხზე უნდა დადგეს და სააკაშვილის რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლაში პოლიტიკურ ძალებს თავად წარუძღვეს.** „დღეს ქვეყანა გადასარჩენია. ასი ათასი მოწამის სისხლი საქართველოსთვის დაიღვარა. დღეს სწორედ ის დროა, როდესაც საქართველო შველას ითხოვს და იქნებ ის სისხლიც საჭიროა ჩვენი ქვეყნისთვის. თუ ეს საჭიროება დადგება, მე ჩემს თავს და ჩემს სიცოცხლეს ჩემს სამშობლოს ვუძღვნი. დღეს იწყება გადამწყვეტი ბრძოლა საქართველოსთვის. მე ვერ ვეტყვი გუბაზ სანკიძესა და კახა შარტავას, რომ ამ ბრძოლაში წინ გამიძღვეს. ამ ბრძოლაში წინ ჩვენ — სამოქალაქო საზოგადოება წავალთ. ისინი კი ბრძოლის გზას გვიჩვენებენ“, — აღნიშნა ჯაიანმა.

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

რომელიც ამას გაბედავს, თუ რამე უარესსაც არ უზამენ. მაშ, სად ყოფილა მედია უფრო თავისუფალი?! ყოველ შემთხვევაში **მე ნამდვილად შორს ვარ იმ აზრისგან, რომ პოსტსაბჭოთა სივრცეში საქართველოში ყველაზე მეტადაა სიტყვის თავისუფლება დაცული...**

**— ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტებს დავუბრუნდეთ, რა მდგომარეობა გვაქვს დღესდღეობით ამ კუთხით, წინ მივიწევთ თუ უარესდება ვითარება?**

— არანაირი წინ წაწევა! **დღეს ამ ქვეყანაში, სააკაშვილისა და მისი რეჟიმის წყალობით არავინ და არაფერი არ არის დაცული, მათ შორის ადამიანის სიცოცხლის უფლებაც. საკუთრების უფლებაზე არაფერს ვამბობ...**

ჰო, მართლა, რადგან ამ თემას შევეხეთ, აქვე ერთ საინტერესო ამბავსაც მოგიყვებით, რაზეც ჯერ საჯაროდ არ მისაუბრია. **ამას წინათ ჩვენი ორგანიზაციისთვის საოფისე ფართის დაქირავებას ვაპირებდი და დავრეკე ერთ-ერთ ნომერზე, რომელიც განცხადებაში იყო მითითებული. ველაპარაკე ფართის მეპატრონეს, ვინმე დავით ცისკარიშვილს და შევთანხმდით შეხვედრაზე (ფართი, როგორც განცხადებაში ეწერა, ჭავჭავაძის გამზირზე, ჩეხეთისა და თურქეთის საელჩოებს შორის მდებარეობს). გავთიშე თუ არა ტელეფონი, რამდენიმე წამში იმ ნომრიდან, რომელზეც იმ ვიღაც ცისკარიშვილს დავუკავშირდი, მივიღე ასეთი ტექსტური შეტყობინება: „პეტ! კაკაბაძე-ჭანტურია რომ არის ოპოზიციონერი, გასიებული, ის მომადგა ფართის ქირაობაზე, რა ვქნა?"**



თავიდან ვერ მივხვდი, ვინ მომწერა და ვინ იყო ეს ვიღაც „პეტ", რომელსაც „ესემესის" გამომგზავნი მიმართავდა, მაგრამ შემდეგ დავინტერესდი და გავარკვიე, რომ ეს „პეტ" ყოფილა პეტრე ცისკარიშვილი... **აი, ასეთ დღეში ვართ ჩვენ დღეს, — ადამიანებს ხელისუფლების წარმომადგენლებთან შეთანხმების გარეშე უჭირთ გადაწყვეტილების მიღება, როცა საქმე ეხება მათი პირადი ქონების გაქირავებას.**

**— კი მაგრამ, როგორ მოხვდა ეს ტექსტი თქვენს მობილურში?**

— როგორც ჩანს, „ესემესის" გაგზავნის დროს რაღაც შეეშალა და შემთხვევით ტექსტი ჩემს ნომერზე გამოუშვა. ამის შემდეგ, მე, რა თქმა უნდა, დავინტერესდი ამ ადამიანის ვინაობით და რამდენჯერმე ვცადე მასთან დაკავშირება, მაგრამ ტელეფონს არ პასუხობს. ის კი მაინც გავარკვიე, რომ პეტრე ცისკარიშვილის ნათესავი ყოფილა და, როცა ცისკარიშვილი გუბერნატორი იყო კახეთში, ერთი პერიოდი მოადგილედაც ჰყოლია.

**— საბოლოოდ თქვენ მაინც ვერ იქირავეთ ის ოფისი?**

— ჯერ ერთი, პეტრე ცისკარიშვილის ნებართვის გარეშე ვინ მოგვაქირავებდა და მერე კიდევ, მე არ მინდა, რაიმე კავშირში ვიყო იმ ადამიანებთან, რომელთა ყოველი ფეხის ნაბიჯი შეთანხმებულია ხელისუფლებასთან... **დარწმუნებული ვარ, ის ფართი საერთოდ არ ეკუთვნის ვინმე დავით ცისკარიშვილს, არამედ ეკუთვნის მის მფარველ პეტრეს და ჩემთვის ისიც კარგადაა ცნობილი, თუ რა ბნელი საქმეებიც ტრიალებს მაგ ე.წ. ოფისში,** თუმცა ეს უკვე საუბრის სხვა თემაა.

> ამას წინათ ჩვენი ორგანიზაციისთვის საოფისე ფართის დაქირავებას ვაპირებდი და დავრეკე ერთ-ერთ ნომერზე, რომელიც განცხადებაში იყო მითითებული. ველაპარაკე ფართის მეპატრონეს, ვინმე დავით ცისკარიშვილს და შევთანხმდით შეხვედრაზე (ფართი, როგორც განცხადებაში ეწერა, ჭავჭავაძის გამზირზე, ჩეხეთისა და თურქეთის საელჩოებს შორის მდებარეობს). გავთიშე თუ არა ტელეფონი, რამდენიმე წამში იმ ნომრიდან, რომელზეც იმ ვიღაც ცისკარიშვილს დავუკავშირდი, მივიღე ასეთი ტექსტური შეტყობინება:
>
> **«პეტ! კაკაბაძე-ჭანტურია რომ არის, ოპოზიციონერი, გასიებული, ის მომადგა ფართის ქირაობაზე, რა ვქნა?»**

**— სიმართლე გითხრათ, მაოცებს საქართველოში მოქმედი დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენელთა დამოკიდებულება ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტებისადმი. მათ საერთოდ არ მოუხდენიათ რეაგირება და თქვენ როგორ ხსნით ამას?**

— სამწუხაროდ, ჩემთვისაც ბოლომდე ამოუხსნელ ამოცანად რჩება ეს ყველაფერი, მაგრამ ერთი რამ ნამდვილად ცხადია, ჩვენი დასავლელი მოკავშირეები, რომელთაც აქ, წესით, დემოკრატიის განვითარებაზე მეტად არაფერი არ უნდა აინტერესებდეთ, ძალ-ღონეს არ იშურებენ, მიხეილ სააკაშვილს ხელისუფლებაში ყოფნის ვადები რომ გაუხანგრძლივდეს. სწორედ ამიტომ უჭერენ ისინი მხარს „ნაცმოძრაობის" ე.წ. რეფორმებს და ზოგადად იმ შიდაპოლიტიკურ ქმედებებს, რომლებიც არა თუ დემოკრატიული არ არის, არამედ აბსოლუტურად ეწინააღმდეგება დემოკრატიის პრინციპებს. სამწუხაროა, მაგრამ, როგორც ჩანს, **დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენელთათვის მნიშვნელობა არ აქვს, აშენდება თუ არა საქართველოში ნამდვილი დემოკრატია. მთავარია, აქ ჰყავდეთ ისეთი ხელისუფლება, რომელიც ზედმიწევნით შეასრულებს მათ მითითებებს, ბრძანებებს, თუნდაც ჩვენსავე დამღუპველსა და საზიანოს.** აი, ასეთია დასავლეთის დამოკიდებულება ჩვენდამი, რაც ამ რეჟიმისთვის თავისთავად ბიძგის მიმცემია...

**— გამოდის, რომ უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლაში დასავლეთის იმედი არ უნდა გვქონდეს. სხვა კიდევ რა გზა რჩება საზოგადოებას?**

— ძალიან მარტივი გზა, — ბრძოლა და ისევ ბრძოლა! სააკაშვილს ახლა დაუსჯელობის სინდრომი აქვს. იგივე სჭირს მერაბიშვილსაც და, როგორც კი ისინი დაინახავენ, რომ საზოგადოება კიდევ უფრო უარეს მდგომარეობასაც შეეგუება, უფლებების დარღვევას მერე ნახავთ; **დღეს რა ვითარებაც გვაქვს ქვეყანაში, სანატრელი გაგვიხდება. ამიტომ მე ყოველთვის ხაზგასმით ვამბობ, რომ ჩვენი ერთადერთი გამოსავალი არის სოლიდარობა.** ამის გარეშე არაფერი გამოვა, რადგან დაშლილ და დაქუცმაცებულ საზოგადოებას ამათი პირსისხლიანი ჯალათები ადვილად მოერევიან. **იმის იმედი კიდევ წურავის ნუ ექნება, რომ ეს რეჟიმი ერთ მშვენიერ დღეს თავისით დაემხობა... ეს არ მოხდება, ბუნებაში ასეთი რამ არ ხდება ხოლმე.**

ესაუბრა
**ჯაბა ჟვანია**

## გამოხმაურებანი



**ნიკა ლალიაშვილი,**
**პარლამენტის წევრი:**

სასამართლოზე ჩვენების შეცვლა აღარ შეიძლება. შეგიძლია გაასაჩივრო, თუ დაადასტურე, რომ ფიზიკური ზეწოლა იყო და ექსპერტიზის დასკვნა გექნება, მაგრამ ჩვენებას მაინც ვერ შეცვლი, ანუ ეს არის ინკვიზიცია სამართალში... დახვრეტა აღარ არის, თორემ დაგხვრეტდნენ კიდეც, სხვა ხომ არაფერი იყო 37 წელში... ცივილიზებულობაზე რომ ლაპარაკობენ, აღიარებითი ჩვენება არც ერთ ქვეყანაში არ ითვლება მტკიცებულებად.

*„ალია"*



**გიორგი გუგავა,**
**ლეიბორისტული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი:**

თუ გინდა, რომ ასეთი კანონმდებლობა და ძალადობრივი კანონები არ იქნას მიღებული, მაშინ კონსტიტუციას კი არ უნდა უჭერდე მხარს, რომელიც სააკაშვილის მონარქიზაციას თუ ფადიშაჰიზაციას ემსახურება, არამედ უნდა მოაწერო ხელი მისი იმპიჩმენტის დოკუმენტს, რომელიც პარლამენტში დევს და, სამწუხაროდ, ჩვენი მეგობრებისგან მის ხელმოწერას ვერ ვეღირსეთ.

*„ალია"*



**ზურაბ ნოღაიდელი,**
**მოძრაობა „სამართლიანი საქართველოსთვის" ლიდერი:**

2011 წლის პოლიტიკურ პროცესებს ორი ფაქტორი განაპირობებს: პირველი, სოციალური — გაჭირვება, მომატებული ფასები, ის, რომ ბიზნესს, რომელიც დაკეტა ომმა და პოლიტიკურმა დაპირისპირებამ, ხელისუფლებამ არ იკმარა და თვითონ ებრძვის, მათ შორის საკუთარსაც; და მეორე, ხელისუფლების მოახლოებული ცვლილების კონტურები უკვე ნაციონალური მოძრაობის შიგნით.

*„სარკე"*



**ნათელა პატარკაციშვილი,**
**ბადრი პატარკაციშვილის დედა:**

ეს ის „იმედი" აღარ არის. ისე, გულდასაწყვეტია, რომ არც ერთ 31 ოქტომბერს ბადრის დაბადების დღე არ გახსენებიათ. ბოლოს და ბოლოს, ეს არხი ხომ ამ კაცმა შექმნა...

*„ყველა სიახლე"*



**ზურა მანჯავიძე,**
**მომღერალი:**

ხელისუფლებაც და ოპოზიციაც ნაგვითაა გამოტენილი, ამიტომ გასაკეთებელი ხალხმა უნდა გააკეთოთ... ნაგავი უნდა მოვხვეტოთ და გადავყაროთ. იმისთვის ხომ არ ვიბრძოლებთ, რომ ერთი ნაგავი მეორით ჩავანაცვლოთ?!

*„ყველა სიახლე"*

## მოკლედ



### საკრებულო უფლებებს ასხვისებს

**თბილისის საკრებულოს ფრაქცია „დედაქალაქის" თავმჯდომარე კობა დავითაშვილი საკრებულოს მიერ საკუთარი უფლებამოსილების მერიაზე დელეგირების ფაქტს სასამართლოში გაასაჩივრებს.** საუბარია საკრებულოს 29 ოქტომბრის სხდომაზე მიღებულ იმ გადაწყვეტილებაზე, რომლის თანახმად, თბილისში ტრანსპორტით მგზავრთა გადაყვანისთვის ნებართვის გაცემის წესს არა საკრებულო, არამედ დედაქალაქის მთავრობა დაადგენს. აღნიშნული ინიციატივა სხდომაზე მერიის სატრანსპორტო სამსახურის უფროსმა აკაკი ჯოხაძემ წარმოადგინა და მას საკრებულოს დეპუტატთა უმრავლესობამ დაუჭირა მხარი. შეგახსენებთ, დაგეგმილია სამარშუტო ხაზების რაოდენობის 118-დან 220-მდე გაზრდა, ავტობუსებისა კი — 125 ხაზიდან 95-მდე შემცირება.



### ჰააგაში სააკაშვილზე საქმე აღიძრა

**ადვოკატ შალვა ხაჭაპურიძის მიერ ჰააგაში გაგზავნილი 150-გვერდიანი განცხადება-სარჩელის საფუძველზე პრეზიდენტ სააკაშვილის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა.** სარჩელში საქართველოს ხელისუფლების მიერ ქვეყანაში ჩადენილი კანონსაწინააღმდეგო ქმედებები დეტალურადაა ასახული. „ევროპაში ყოფნისას მე ევრო-პარლამენტის წარმომადგენლებსაც შევხდი. მათ აღნიშნული ფაქტების შესახებ ვაცნობე და განმიცხადეს, რომ იციან, ვინ არის სააკაშვილი. ახლა დადგა დრო, მათ ვანახოთ, ჩვენ ვინ ვართ და რა შეგვიძლია", — განაცხადა ხაჭაპურიძემ ჭადრაკის სასახლეში, სადაც 29 ოქტომბერს მოძრაობა „გადაარჩინე სიცოცხლეს" ინიციატივით ოპოზიციური პოლიტიკური სპექტრი და სამოქალაქო სექტორი სრული შემადგენლობით შეიკრიბა.



### ძიძიგურის მიხვდა

**პოლიტიკაში მოღვაწეობის მრავალწლიანი გამოცდილების შემდეგ ოპოზიციის ლიდერებს აშკარა წინსვლა აქვთ და ამის უდავო დემონსტრირებაა „კონსერვატიული პარტიის" ლიდერის — ზვიად ძიძიგურის განცხადება, უნდა გავერთიანდეთო.** „ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლა გამარჯვებით მხოლოდ იმ შემთხვევაში დასრულდება, თუ პოლიტიკური ძალები გაერთიანდებიან... ხელისუფლება ისევ ძლიერია, მას შეუძლია, არჩევნებზე მილიონობით ლარი დახარჯოს და ნებისმიერი ადამიანის მიმართ რეპრესიული სქემა განახორციელოს. ამ ჩიხიდან ერთადერთი გამოსავალი ერთობაა. არსებულ პირობებში კი საქართველოს არსებობა არ უწერია", — თქვა ძიძიგურმა და ახლა მოთმინებით ელის, როდის მივლენ ამ დასკვნამდე დანარჩენები.



### იონათამიშვილი ხიდაშელის წინააღმდეგ

**საკრებულოს ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის" წევრები „რესპუბლიკური პარტიის" ლიდერს — თინა ხიდაშელს არაკვალიფიციურობასა და დევნილების მოტყუებაში ადანაშაულებენ.** საქმე ეხება თინა ხიდაშელის განცხადებას დევნილებისთვის 28-ლარიანი დახმარების გაცემის წესის გაუქმებასთან დაკავშირებით. „ეს იყო ყოვლად უპასუხისმგებლო, არაკვალიფიციური იურისტის განცხადება, რომელიც გარკვეულ რისკებს შეიცავდა. ხიდაშელს უნდა სცოდნოდა, რომ 28-ლარიან დახმარებას დევნილებისთვის, უკვე 1 წელია, ჯანდაცვის სამინისტრო გასცემს. ლტოლვილთა სამინისტრო კი მხოლოდ დევნილთა სიას ადგენს", — აღშფოთდა კოკი იონათამიშვილი. ხიდაშელი დამშვიდებას შეეცადა, მაგრამ მთლად ეფექტურად არ გამოუვიდა.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

# მიუნჰაუზენიადა

**მიხეილ სააკაშვილმა ტელეკომპანია „ბლუმბერგისთვის“ და „CNBC“-სთვის მიცემულ ინტერვიუებში საქართველოს ეკონომიკურ მდგომარეობაზე, გეგმებსა და საინვესტიციო გარემოზე ისაუბრა. ალბათ, მსმენელს ისეთი შთაბეჭდილება დარჩა, მილიონერი ბიზნესმენები უკვე გზაში არიან, საქართველოში ინვესტიციის ჩადება რომ მოასწრონო. თუმცა ინვესტიციები, სააკაშვილის განცხადებით, არც ახლა გვაკლია. განსაკუთრებული „წინსვლა“ თურმე ტურიზმის, სოფლის მეურნეობის, ინფრასტრუქტურის, ენერგეტიკულ და ჰიდროსადგურების მშენებლობის სექტორში გვაქვს. გავიგეთ ისიც, რომ ქვეყანაში დიდი რაოდენობით ინვესტიციები ყატარიდან შემოედინება. გარდა ამისა, მოლაპარაკებები კუვეიტელ და არაბეთის გაერთიანებული საემიროების ბიზნესმენებთანაც მიმდინარეობს და რომ საქართველოში**



**საემიროებმა მილიარდზე მეტი ინვესტიცია უკვე განახორციელეს. საინტერესო აღმოჩნდა ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლების და ექსპერტების აზრი მიხეილ სააკაშვილის ამ განცხადებებთან დაკავშირებით.**

**ტელეკომპანია „ბლუმბერგის“ ინტერვიუდან:**

**მიხეილ სააკაშვილი:**

— წელს ჩვენ მთლიანობაში, დაახლოებით, 6-პროცენტიან ეკონომიკურ ზრდას ველით. ეს საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგნოზია. გაისად ეს მაჩვენებელი უკვე 7-8 პროცენტი იქნება. თუმცა, ვფიქრობ, 2 წელიწადში კვლავ ორციფრიან ნიშნულს მივაღწევთ. რა თქმა უნდა, ეს უცხოური ინვესტიციების ხარჯზე მოხდება, რაც, განსაკუთრებით, ორი კვარტლის განმავლობაში გაიზარდა. ამიტომ ძალზე ოპტიმისტურად ვარ განწყობილი.




— ინვესტორებს საქართველოში მრავალი სფერო აინტერესებთ. რთულია იმის თქმა, რომელი სექტორი არის მათთვის ყველაზე მიმზიდველი. ინვესტიციები შემოდის ტურიზმის, სოფლის მეურნეობის, ინფრასტრუქტურის, ენერგეტიკულ და ჰიდროსადგურების მშენებლობის სექტორში.

— საქართველო ლიდერია პოსტსაბჭოთა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ბიზნესის კეთების სიმარტივის მხრივ. მსოფლიო ბანკის მონაცემებით, ჩვენ ერთ-ერთი ლიდერი ვართ მსოფლიოშიც. წელს ამ მაჩვენებლით მსოფლიო მასშტაბით მე-11 ადგილზე ვართ. გაისად კი, გვსურს, ათეულში მოვხვდეთ.

— მივიღეთ კონსტიტუცია, რომელიც ევროპულ პრინციპებს ეფუძნება და დემოკრატიის განვითარებაში დაგვეხმარება. ჩვენ გვყავს მთავრობა, რომელიც საკმაოდ პოპულარულია საზოგადოებაში. კიდევ უფრო პოპულარულია ის ინსტიტუტები, რომელზეც სახელმწიფოა დაფუძნებული.

**თინა ხიდაშელი, რესპუბლიკური პარტია:**

— ის, რასაც ამ ბოლო დროს სააკაშვილი საზღვარგარეთ სტუმრობის დროს აცხადებს, ცოტა არასერიოზული საქციელია პრეზიდენტის მხრიდან და სასაცილოა იმაზე საუბარი, რასაც რეალობასთან საერთო არაფერი აქვს. **ის ფაქტი, რომ თითქოს ინვესტიციები შემოდის, დიდი სიცრუეა. საზოგადოებამაც იცის ამის შესახებ, ხოლო სააკაშვილსა და მის გარშემო მყოფთ, ალბათ, რეალობის შეგრძნება დაკარგული აქვთ.** ეს ისეთი რამაა, ვერ დამალავ, რაც არ უნდა მოინდომო.

ქვეყანა უკიდურესად მძიმე მდგომარეობაშია და რაც უნდა აუხვიო თვალი საზოგადოებას, საკუთარი ყოფიდან გამომდინარე ის მაინც ხედავს ყველაფერ ამას. ჩვენს ქვეყანაში უმუშევრობა იზრდება და ამას ხელისუფლებაც არ უარყოფს. ყველას შეუძლია სტატისტიკის დეპარტამენტის საიტზე შევიდეს და მონაცემებს გაეცნოს. მაშინ, როცა ბიუჯეტი მცირდება, ვერ ვხდები, რას ეფუძნება სააკაშვილის განცხადებები იმასთან დაკავშირებით, რომ კრიზისი დავძლიეთ და ქვეყანა ეკონომიკური წარმატებების მოლოდინშია. სააკაშვილს ძალიან აწუხებს, ალბათ, კორუფციის თემა, რადგან, მის გარდა, მსოფლიოში უკვე აღარავინ საუბრობს იმაზე, რომ კორუფცია დამარცხებულია. რეალობა კი სულ სხვაგვარია — კორუფციამ მაღალ ეშელონებში გადაინაცვლა. საერთაშორისო გამოკვლევებიც იმას ადასტურებს, რომ ქვეყანაში კორუფციის დონე საკმაოდ მაღალია, სააკაშვილის განცხადებები კი, კორუფციის დამარცხებასთან დაკავშირებით, რას ემსახურება, არ ვიცი.

**პაატა ზაქარეიშვილი, ექსპერტი:**

— დღეს სულაც არ არის პოპულარული სააკაშვილის ხელისუფლება ქართულ საზოგადოებაში. სააკაშვილი ამას მხოლოდ იმიტომ ამბობს, რომ თავი მოიწონოს უცხოურ წრეებში. ეს არ არის ახალი ამბავი. ავტორიტარული რეჟიმის დროს სახელმწიფოს მმართველი ყოველთვის ცდილობს, თავი მოაჩვენოს, რომ ვითომ ის არის ქვეყნის ერთგული და მოამაგე დამცველი.

**სინამდვილეში, სააკაშვილი ავტორიტარულ მმართველად იქცა, მითუმეტეს, რომ ის არ არის არჩეული სამართლიანი, გამჭვირვალე არჩევნების შედეგად.** ამას ემატება ბოლო დროს ჩატარებული IRI-ს კვლევები, რომლის მიხედვითაც „ნაციონალური მოძრაობა“ პირველია. ეს კვლევებიც პიარისთვისაა განკუთვნილი, რომ ოპოზიციურად განწყობილ საზოგადოებაში დანერგონ სრული ნიჰილიზმი, უიმედობა და შექმნან ილუზია, რომ სულ ,,ნაციონალები“ იქნებიან ხელისუფლებაში. დღეს საზოგადოებაში არ არის ჩამოყალიბებული სამოქალაქო პასუხისმგებლობის საკითხი, ამიტომ არაა გამორიცხული, რომ ამგვარი სოციალური გამოკითხვებისას, რესპონდენტები პასუხობდნენ არა საკუთარ მოსაზრებებს, არამედ სრულიად საპირისპიროს, ანუ საზოგადოებაში ერთგვარი შიშის ფაქტორი მოქმედებს. ასე და ამგვარად, გამოკვლევების შედეგები არ ასახავს ქვეყანაში არსებულ რეალურ სიტუაციას.

ჩვენთან მოისპო, მოიშალა ტოტალური კორუფცია, მაგრამ ერთი-ორად გაძლიერდა ეგრეთ წოდებული „ელიტური კორუფცია“. თუ ადრე ყველას ჰქონდა უფლება, კორუფციულ გარიგებებში შესულიყო ვინმესთან, დღეს ეს სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა. ჯერ გარეწარი უნდა გახდე და მერე შეხვიდე სახელისუფლო, ,,ელიტურ კორუფციაში“, ანუ ეს ნიშნავს, სხვისი ბიზნესის კონტროლს, სხვის საქმეებში დაუკითხავად ჩარევას (თუნდაც პატარკაციშვილის, გელაშვილის ბიზნესი ავიღოთ) ამის უამრავი მაგალითი არსებობს. ანუ, კორუფცია ქვედა დონეზე მოისპო, თუმცა მტკიცედ შენარჩუნდა და გაძლიერდა ზედა, სახელისუფლო დონეზე.

**საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გაკეთებულ გამჭვირვალე მოხსენებებში აღნიშნულია, რომ ბოლო სამი წლის განმავლობაში საქართველოს მდგომარეობა კორუფციული გარიგებების მხრივ მკვეთრად გაუარესდა და უკან-უკან წავიდა.** მართალია, 2004 წლის შემდეგ იყო მდგომარეობის გაუმჯობესების ტენდენცია, თუმცა დღეს **სააკაშვილის ფანტაზია, რომ ევროპაში ყველაზე ნაკლებად კორუმპირებული ქვეყანა ვართ, რეალობას მოკლებულია და სრული აბსურდია.** ერთი სიტყვით, დღეს ქვეყანაში წარმოებული ყველა სერიოზული ბიზნესი ეგრეთ წოდებული ელიტური კორუფციის ბადეშია გახვეული.

**დავით საგანელიძე, „ახალი მემარჯვენეები“:**

— პრეზიდენტის ასეთი განცხადებები უკვე აღარ მიკვირს. ძნელია იმის თქმა, რომ პრეზიდენტის ტყუილებს შევეჩვიე, მაგრამ ოპოზიციაში ვარ და იმიტომაც მუდმივად ვაკრიტიკებ ხელისუფლებას. მირჩევნია, თქვან სიმართლე და იმ პრობლემებზე ისაუბრონ, რაც რეალურად ▶

## მოკლედ



### რას გადაიხდის თოვლის ბაბუა?

**„თუ არ უნდათ ათი წლის წინანდელ პერიოდში დაბრუნება და სურთ, ჰქონდეთ შუქი, გაზი, წყალი და გატანილი ნაგავი, მომსახურების ფულიც უნდა გადაიხადონ“.** მართალია, მესამე პირში, მაგრამ ასე საღად და ლოგიკურად პარლამენტის პირველი ვიცე-სპიკერი მიხეილ მაჭავარიანი აზროვნებს. მაგრამ მერე რატომღაც თოვლის ბაბუას გადასწვდა: „ამ სფეროს თოვლის ბაბუა ვერ დააფინანსებს. თოვლის ბაბუას ვერ ჩავუწერთ, რომ ჩემი სურვილია, ნაგავი გადიოდეს“. მთელი ეს ფილოსოფია მაჭავარიანს იმ საკანონმდებლო ცვლილების სისწორის დასამტკიცებლად დასჭირდა, რომლის მიხედვითაც, ვთქვათ, დასუფთავების დავალიანების გადაუხდელობისთვის გაზს, წყალს, სინათლესა და ყველაფერს ერთად გაგვითიშავენ.



### ალასანია ხელისუფლებას არ მოასვენებს

**„თავისუფალი დემოკრატები“ ამჯერად იმერეთში შექმნილი საგანგაშო სოციალური მდგომარეობით აღშფოთდნენ.** ვიდრე იმერეთში პარტიის ოფისის გასახსნელად არ წავიდა, ალასანიას წარმოდგენაც არ ჰქონდა, რომ წყალტუბოს რაიონის სოფლებში „მთავარი პრობლემა ელექტროენერგიის ინდივიდუალური გამრიცხველიანების არარსებობა იყო, რის გამოც მათ კილოვატზე 21 თეთრის გადახდა უწევთ. გარდა ამისა, ამ სოფლებში წლების მანძილზე არ აქვთ სარწყავი წყალი“. მაგრამ ახლა უკვე იცის და ისეა გაბრაზებული, ამბობს, ხელისუფლებას მოსვენებას არ მივცემთ. „მოსახლეობას ისეთი ხელისუფლება სჭირდება, რომელიც მათ პრობლემებს გულთან ახლოს მიიტანს და საქმეს გააკეთებს“, — მიხვდა ალასანია.



### სინათლე ჩვენს ფანჯრებში

**შს სამინისტრო ავტომანქანების საქარე მინების დაბურვასთან და უსაფრთხოების ღვედების გამოყენებასთან დაკავშირებით გარკვეულ შეზღუდვებს აწესებს და თან გვამადლის, ევროპის ქვეყნებთან შედარებით ბევრად უფრო ლიბერალური სტანდარტები დადგინდებაო.**

ლიბერალური სტანდარტის თანახმად, ავტომანქანის წინა საქარე მინის დამუქება დაუშვებელია, გვერდითი მინების დაბურვა დასაშვებია მხოლოდ 40%-ით, უკანა საქარე მინის დამუქებაზე შეზღუდვები არ ვცელდება. აღნიშნული წესების დარღვევის შემთხვევაში ავტოსატრანსპორტო საშუალებების მძღოლები 50 ლარით დაჯარიმდებიან. ამასთან, პირველი დეკემბრიდან სავალდებულოა უსაფრთხოების ღვედის გამოყენებაც.



### ახალი ჯარიმები მეხორცეებისთვის

**ახალი წესის მიხედვით, იმ სუპერმარკეტების ან ბაზრების მფლობელები, რომლებშიც ხორცი სასაკლაოების მიერ გაცემული „ფორმა 2“-ის გარეშე გაიყიდება, 1000-დან 1500-მდე ლარით დაჯარიმდებიან.** ვინაიდან ამ ეტაპზე სასაკლაოები ქვეყნის ყველა რაიონში არ არის, იმ რეგიონებში, სადაც სასაკლაოები არ არის, ხორცის რეალიზაცია ვეტექიმის მიერ გაცემული იმავე „ფორმა 2“-ით არის ნებადართული, ოღონდ ამ საბუთით ხორცის რაიონის გარეთ გატანა აკრძალულია. შეგახსენებთ, რომ ამ დროისთვის საქართველოს მასშტაბით სასაკლაოები თელავში, ყარაჯალაში, ნატახტარში, მცხეთასა და ასპინძაში ფუნქციონირებს. უახლოეს მომავალში კი სასაკლაოები მცხეთაში, გარდაბანში, მარნეულსა და დასავლეთ საქართველოს სხვა რაიონებშიც გაიხსნება.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

◀ არსებობს ქვეყანაში, ვიდრე ეცადონ, თვალები აუხვიონ საზოგადოებას და ჩათვალონ, რომ ყველა სულელია და წარმოდგენა არ აქვს რეალობაზე. **როდესაც ქვეყანაში ეკონომიკურად ძალიან მძიმე სიტუაციაა, ყველა ამას ხედავს, როცა ასეთი მასშტაბურია უმუშევრობა და ინვესტიციებს, სამწუხაროდ, აღარავინ დებს ქვეყანაში** (რადგან ყველა ხედავს, რომ ფუჭად გაკეთებული ინვესტიცია იქნება), **ამის ფონზე კი პრეზიდენტი აკეთებს ასეთ განცხადებებს, ცოტა სასაცილოა.** ერთადერთი შეიძლება რაიმე პროექტი დააფინანსონ უცხოურმა ორგანიზაციებმა. ასეთ შემთხვევაში საუბარია იმაზე, რომ გადამხდელია არა სახელმწიფო, არამედ ეს ფინანსური ინსტიტუტები.

კორუფციის დონით თურმე პირველ ადგილზე ვართ და გამოდის, რომ სხვა ქვეყნები ყველა კორუმპირებულია. ამით სხვა ქვეყნებს შეურაცხყოფა მიაყენა. არადა, **ყოველდღე ვხედავთ, სახელმწიფო მოხელეები რა კორუმპირებულები არიან. ამის ფონზე იმ ყველაფრის მოსმენა, რასაც პრეზიდენტი უცხოურ ჟურნალისტებთან საუბარში აცხადებს, უბრალოდ, სამარცხვინოა.**

ჩვენი კონსტიტუციით თურმე ვენეციის კომისიაა აღფრთოვანებული. ძალიან წინგადადგმული ნაბიჯია თურმე დემოკრატიის განვითარების თვალსაზრისით. ეს განცხადებები უცხოეთში რომ პიარს აკეთებდეს, რათა ვინმე ჩამოვიდეს ინვესტიციის ჩასადებად, და ქვეყნის კეთილდღეობისათვის კეთდებოდეს, ვიტყოდი, რომ ხანდახან ასეთი ტყული გამართლებულია, მაგრამ **რეალურად ეს განცხადებები იმაზეა გათვლილი, რომ ჩვენი მოსახლეობა მოატყუონ, რომლის ზოგიერთ წარმომადგენელს ჯერ კიდევ სჯერა, რომ სააკაშვილის პრეზიდენტობის პერიოდში რაიმე სასიკეთო კეთდება.** დანარჩენი ნაწილი კი აღარც აქცევს ყურადღებას პრეზიდენტის ამგვარ განცხადებებს და ეს საღადაო თემაც კი გახდა.

**დემურ გიორხელიძე, ექსპერტი:**

— როგორც წესი, უცხოური ინვესტიცია ავსებს საკუთარ ეკონომიკურ აქტივობას, შესაბამისად, ინვესტორი დაინტერესებულია, ჰქონდეს მტკიცე, სტაბილური გარემო იქ, სადაც არის. ისინი თავის პარტნიორებთან ერთად სამეწარმეო გარემოში ანხორციელებენ იმ მიზნებს, რომლებიც სასარგებლოა ორივე მხარისთვის და საბოლოო ჯამში ეს ყოველივე აისახება კიდეც მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე. თუმცა ჩემთვის ნაკლებად ცნობილია ისეთი ფაქტები, რომ მარტო უცხოური ინვესტიციებით ქვეყანა წელში გამართულიყოს და მისი ეკონომიკა აღმავლობის გზაზე დამდგარიყოს. ამისთვის საჭიროა, რომ თვითონ ქვეყნის შიგნით გარკვეული ძვრები შეიმჩნეოდეს პროგრესის თვალსაზრისით. შესაბამისად, **მხოლოდ უცხოურ ინვესტიციებზე ყოფნის იმედად დარჩენა, საქართველოში ასეთი მაღალი უმუშევრობის დონის მაჩვენებლის ფონზე, ცხადია, ეფექტური გამოსავალი არ იქნება.** თუმცა მაშინ, როდესაც ინვესტორი და სახელმწიფო კეთილსინდისიერად ანხორციელებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობებს, ამგვარი თანამშრომლობა რეალურად დოვლათის მიმცემი იქნება ქვეყნისთვის და თითოეული მოქალაქისთვის.

პრეზიდენტი კი ამბობს, რომ გვაქვს ზრდა და თან ოპტიმისტურადაც არის განწყობილი, მაგრამ ვაი თუ ინვესტორი არ შემოვიდა, სახელმწიფო რას შვება ამ შემთხვევაში? ზოგადად, **იმისათვის რომ ჩვენი ქვეყანა ამ ჭაობიდან ამოვიდეს, სულ მცირე, ეკონომიკური განვითარების მინიმალური ზრდის მაჩვენებელი 10-დან 12%-მდე უნდა მერყეობდეს. მაგრამ დღევანდელი მშპ ერთ სულ მოსახლეზე ძალზე დაბალია.** შესაბამისად, პრეზიდენტის მიერ მოყვანილი პროცენტული მაჩვენებელი არ იქნება საკმარისი, რამდენად საგანგაშოც არ უნდა იყოს.

ჩემთვის ზუსტი მონაცემები უცნობია, თუ რომელ ადგილზე ვართ. ასევე, ცალკე მსჯელობის საგანია, ჩვენთან დაწყებული ბიზნესი რამდენად ვითარდება სამომავლოდ და ქმნის თუ არა ის სამუშაო ადგილებს. ვფიქრობ, მხოლოდ ბიზნესის დაწყების სიმარტივე არ აჩენს დოვლათს მოსახლეობისთვის, ქვეყნის რეალურ ეკონომიკურ ზრდას უზრუნველყოფს მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი მოქალაქეების მაღალი ეკონომიკური აქტივობა, რაც დღეს, სამწუხაროდ, ძალზე დაბალია.




CNBC-ის ინტერვიუდან:

**მიხეილ სააკაშვილი:**

— ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მონაცემებით, ასევე სხვა მაჩვენებლებით, ევროპაში ყველაზე ნაკლებად კორუმპირებული ქვეყანა ვართ.

— ჩვენი ძირითადი სავაჭრო პარტნიორებისგან გამოვიარეთ სრულმასშტაბიანი ემბარგო ვაჭრობის თვალსაზრისით, სრულმასშტაბიანი ენერგო-ემბარგო ელექტროენერგიის ექსპორტზე. ახლა კი ჩვენ მის არათუ იმპორტს, არამედ ექსპორტს ვახორციელებთ — ამ სრულმასშტაბიანმა ემბარგომ ჩვენი ეკონომიკა დივერსიფიცირებული გახადა.

**გიორგი გუგავა, ლეიბორისტული პარტია**:

— რომელ ეკონომიკურ ბუმზეა საუბარი, როცა ქვეყანა გაღატაკებული და გაუბედურებულია?! ჩვენ ხომ გვაქვს სტატისტიკა იმასთან დაკავშირებით, რომ მილიონ რვაასი ათასი ადამიანი — მოსახლეობის დაახლოებით 40%უკიდურესაც გაჭირვებულ მდგომარეობაში ცხოვრობს. არაფერს ვამბობ უმუშევრობაზე, სხვა საკითხებზე. რომელ ეკონომიკაზე გვაქვს საუბარი, როცა საქართველოს ეკონომიკა, როგორც ფენომენი, არ გაგვაჩნია. არსებობს რამდენიმე მონოპოლისტი კომპანია, სახელისუფლო ბიზნესი, რომლებიც ჩვენს ტყავზე აკეთებენ ფულს. **თუ ვინმეს ჰგონია, ეგეთი სააკაშვილი, ბათუმში რომ გაშიშვლდა ოქტომბრის ბოლოს, ჭყუმპალაობდა და ქუჩაში დარბოდა, ჩვენს ქვეყანაში ტურისტს მოიზიდავს, ძალიან ცდება.** შეიძლება ეგზოტიკის მოყვარული რამდენიმე ტურისტი ჩამოვიდეს ქვეყანაში იმ მიზნით, რომ შიშველი პრეზიდენტი ნახოს, მაგრამ არც ეს მგონია.

ასეთ გაუბედურებულ ქვეყანაზე რომ ასე ილაპარაკებ და პრეზიდენტი რომ ათას სისულელეს იბჟუტურებს, რა კომენტარი უნდა გავაკეთო?! **სააკაშვილი ჩვენ გვატყუებს, შევეჩვიეთ ამას ჩვენც და საერთაშორისო საზოგადოებაც, მაგრამ ვინ უჯერებს?!** სამაგიეროდ, თვითონ ხომ ცდილობს, რომ გააბრიყვოს ყველა, მაგრამ ამით წაგებული ჩვენ გარდა არავინ დარჩება. **ასეთი ელიტარული კორუფცია, რაც დღესაა საქართველოში, არასდროს ყოფილა.** მთავრობის პოპულარულობა კი შეიძლება უარყოფითი კრიტერიუმებითაც განისაზღვროს. მაშინ, როდესაც ის ამდენ უბედურებას დაატეხს ქვეყანას, ბუნებრივია, პოპულარულია ამ გაგებით, როგორც დიდი უბედურების მომტანი.

მოამზადეს
**ლილი მიროტაძემ და ოთარ დალაქიშვილმა**

## მოკლედ



### ჩინელები მოდიან

**ქართულ საბანკო სექტორში, შესაძლოა, ჩინეთის უმსხვილესი ბანკი შემოვიდეს. ჩინეთის განვითარების ბანკის დელეგაცია საქართველოში უახლოს ხანებში ჩამოვა და ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას ადგილზე გაეცნობა.** გამორიცხული არ არის, ბანკმა თბილისში თავისი წარმომადგენლობაც გახსნას. ჩინეთის განვითარების ბანკი ერთადერთია ჩინეთში, რომლის მმართველიც ამავე დროს მინისტრთა კაბინეტის წევრიცაა. ბანკი მოგების მიხედვით ქვეყანაში პირველია, ხოლო აზიაში — მეორე და ორიენტირებულია ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსებაზე. არ არის გამორიცხული, ჩინეთის განვითარების ბანკმა თავის არეალში რამდენიმე ქართული ბანკიც მოაქციოს.




### ოპოზიციას თანახმაა და პოზიციას

**საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების მიზნით, რვა ოპოზიციური პარტია პარლამენტის თავმჯდომარეს, დავით ბაქრაძეს ხელისუფლებასთან მოლაპარაკების დაწყების თაობაზე მოლაპარაკების ფორმატის უმოკლეს ვადებში შემუშავებას სთავაზობს.** ოპოზიცია ხაზს უსვამს ამ პროცესში საერთაშორისო ორგანიზაციების მონაწილეობის აუცილებლობას. აღნიშნულთან დაკავშირებით, მათ სპეციალური განცხადება გაავრცელეს. თავის მხრივ, პარლამენტის თავმჯდომარემ დავით ბაქრაძემ საარჩევნო საკითხებზე პოლიტიკურ პარტიებთან კონსულტაციების გამართვისთვის მზაობა გამოხატა. ამ პროცესში მონაწილეობისთვის მზადყოფნა დაადასტურეს საპარლამენტო პარტიებმაც.



### ბიუჯეტს მიღმა დარჩენილი მოხუცები

**ლეიბორისტული პარტიის აღმასრულებელი მდივანი პაატა ჯიბლაძე 2011 წლის ბიუჯეტს აპროტესტებს. მისი თქმით, ბიუჯეტში ხანდაზმული ადამიანების მკურნალობისთვის თანხები არ არის გათვალისწინებული.** „სააკაშვილი და მისი ხელისუფლება სასიკვდილოდ სწირავს ქვეყნის 60 წელს გადაცილებულ 800 ათას ადამიანს. ჩვენ მოვითხოვთ, 2011 წლის ბიუჯეტში ჩაიდოს ამ კატეგორიის მოქალაქეებისთვის მკურნალობის თანხები“, – განაცხადა პაატა ჯიბლაძემ და ხელისუფლებას მოუწოდა, შეიმუშაოს კონცეფცია, რომელიც სახელმწიფო კონტროლქვეშ მყოფ სადაზღვევო კომპანიებს 60 წელს გადაცილებულ ადამიანთა სამედიცინო დახმარებას დაავალდებულებს.

## გაფრიზებულნი



**ელიზბარ ჯაველიძე, „წარმომადგენლობითი სახალხო კრების“ საინიციატივო ჯგუფის წევრი, აკადემიკოსი:**

წიწიბურა 7 ლარი რომ გახდება, ხორცი კი — 15, იმაზე მეტყველებს, რომ ამათ ხალხის შიმშილით ამოწყვეტა აქვთ დაგეგმილი; ნორმალურ ექიმთან ერთი ვიზიტი რომ 50 ლარი ეღირება, ეს ხომ იმას ნიშნავს, რომ ამ კაციჭამიებს ქართველი ხალხის გენოციდი აქვთ დაგეგმილი?! არ იცის ეს ამერიკამ? ძალიან კარგად იცის და ამიტომაც ინახავს მუმიასავით თავის მარიონეტ სააკაშვილს!

*„ასავალ-დასავალი“*



**თემურ შაშიაშვილი, პოლიტიკური მოძრაობა „თეთრების“ ლიდერი:**

ფოთში ხალხმა პირდაპირ მითხრა: ჩვენ ხელისუფლებისათვის მკვდრები ვართ, ჩვენთვის კი თქვენ — ოპოზიციონერები ხართ მკვდრები, იმიტომ, რომ ჩვენზე არ ფიქრობთო!

პოლიტიკოსებო, დავანებოთ თავის სკამებზე ფიქრს! ყველა სკამი დამწვარა და ჭირს წაუღია! ჩვენს წარმოდგენაში დავწვათ ყველა სკამი და თანამდებობა, გადავდოთ გვერდზე ამბიციები, დავდგეთ ერთად და დავამთავროთ ეს სულთამხუთავი, ხალხის მტერი ხელისუფლება!

*„ასავალ-დასავალი“*



**კახა კაციტაძე, პოლიტოლოგი:**

ნატოს ელიტარულ კლუბში რომ მიგიღონ, ნორმალურად უნდა იქცეოდე, ცხვირს ხელით არ უნდა იწმენდდე და ცივილიზებულ სამყაროში შენი გამოჩენა შოკს არ უნდა იწვევდეს!

ეს ხელისუფლება არის უწიგნური, უინტელექტო არსებების ჯგრო, რომელსაც მთელ მსოფლიოში სერიოზულად, სამწუხაროდ, მხოლოდ ქართველები აღვიქვამთ!

*„ასავალ-დასავალი“*



**გიორგი გუგავა, ლეიბორისტული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი:**

გამოვაცხადოთ საგადასახადო ბოიკოტი. ეს არის მიღებული ფორმის პროტესტი, ასეთი რამ გამოიყენა ganდიმ ინდოეთში, აჰყვა ხალხი, არ გადაიხადეს მარილის გადასახადი, რამაც გამოიწვია უდიდესი და უძლიერესი მიტროპოლიის, ინგლისის გასვლა ინდოეთიდან. მე და ჩემი თანამებრძოლები მზად ვართ, საკუთარი ოჯახის წევრები დავტოვოთ შუქის გარეშე, თუ პროტესტის ეს ფორმა მართლაც შედგება.

*„კვირის ქრონიკა“*



**შალვა ხაჭაპურიძე, ადვოკატი:**

გარწმუნებთ, სააკაშვილი აუცილებლად ამოყოფს თავს ჰააგის ციხეში! იგი ჰააგის სასამართლოს წინაშე წარსდგება როგორც სამხედრო დამნაშავე და შესაბამის სასჯელს მიიღებს! სააკაშვილს ეს არაფრის დიდებით არ ასცდება!

*„ასავალ-დასავალი“*



**ზვიად ძიძიგური, კონსერვატიული პარტიის ლიდერი:**

პრეზიდენტის სტანდარტი ასეთია: თანამდებობაზე დანიშნულმა პირმა არ უნდა იცოდეს სიტყვის და ხელის შებრუნება. უნდა იტანდეს პანღურის ამორტყმასა და მობილურის სროლას. არ უნდა იყოს სპეციალისტი იმ საქმის, რომლის შესრულებაც ევალება. სასურველია იყოს ქალი, რომელიც ღამის ბარებში ცეკვავს...

*„კვირის პალიტრა“*



**გიორგი გაჩეჩილაძე, მწვანეთა პარტიის თავმჯდომარე:**

მიხეილ სააკაშვილი არის თანამედროვე ენვერ ხოჯა, რომელიც ქვეყანას სრული იზოლაციისკენ მიაქანებს და ხალხს ფსიქოლოგიურად ატერორებს!

*„ასავალ-დასავალი“*

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# გულუხვი პრეზიდენტის კარის მომღერალთა მუცელღორობა და მილიონები მომავალი ტაშფანდურისთვის

**სარეზერვო ფონდები, რომლებშიც აკუმულირებული თანხები ხელისუფლების სურვილისამებრ იხარჯება და ამის გამო მას ჯიბის ფულადაც მოიხსენიებენ, წელს პარლამენტში ოპოზიციის ინტერესის საგანი კიდევ ერთხელ გახდა. მათი ოდენობა თუ შარშან 25 მილიონით განისაზღვრა და შემდეგ 55 მილიონამდე გაიზარდა, წელს 50 მილიონს შეადგენს.**

## შოუებს მერია სარეზერვო ფონდიდან აფინანსებს. სამაგიეროდ, სოციალურად დაუცველებს თამამად ეუბნება უარს დახმარებაზე

**ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლების პროტესტს საქართველოს ფინანსთა მინისტრის გაოცება მოჰყვა, ფონდების მოცულობა 10 მილიონით შემცირდაო. იმ ქვეყნის ფინანსთა მინისტრისთვის, რომლის საგარეო ვალიც 10 მილიარდს აღწევს და რომელშიც უკიდურესად მძიმე სოციალური ფონია, გაუგებარია, რატომ არ არის საგანგაშო 50-მილიონიანი სარეზერვო ფონდები, რომლებიდანაც თანხები გასართობ ღონისძიებებზე, უცხოელი სტუმრების ვიზიტებზე, კარის მუსიკოსების ღონიძიებებსა და ხელისუფლების წარმომადგენლების საზღვარგარეთულ ვოიაჟებზე იხარჯება.**

**უპირველესად, ვნახოთ, რაში იხარჯება თბილისის მერის სარეზერვო ფული.**

მხოლოდ „კომედი გრუპს“, რომლის წევრებიც თვითმმართველობის არჩევნების შედეგების გამოცხადებისას გიგი უგულავას ფასადად ედგნენ, 2010 წელს სხვადასხვა ღონისძიებებისთვის 124 ათასი ლარი გამოუყეს. **33139 ლარი გამოიყო თბილისის მერის სარეზერვო ფონდიდან იაპონელი ჯაზ პიანისტის — ჰირომი მიჰარას კონცერტისთვის, ჰონორარის ასანაზღაურებლად. 23600 კი შპს „თბილისი ივენთ ჰოლს“ გადაეცა საერთაშორისო ჯაზ-ფესტივალისთვის.** ეს მხოლოდ მცირე ჩამონათვალია და მეტისმეტად თვალსაჩინოა, რომ ქალაქში, სადაც ათასობით ადამიანს კვებისა და მკურნალობის საშუალება არ აქვს, ასეთი ტიპის ღონისძიებებზე ათი ათასობით ლარი იხაჯება. **შოუებს მერია სარეზერვო ფონდიდან აფინანსებს. სამაგიეროდ, სოციალურად დაუცველებს თამამად ეუბნება უარს დახმარებაზე.**

**თვითმმართველობის არჩევნები, ცხადია, საინტერესო იყო მთავრობისთვისაც.** ამიტომ მთავრობის სარეზერვო ფონდიდან **საზოგადოებრივ მაუწყებელს 169099 ლარი გადაერიცხა,** რომელიც ეგზიტპოლის ჩატარებას მოხმარდა. ამავე პერიოდში, **„ევროვიზიის“ კონკურსზე სოფო ნიჟარაძის პრომოუშენისთვის 2 მილიონ 69 ათას 473 ლარი გადასცეს საქართველოს საზოგადოებრივ მაუწყებელს** მთავრობის სარეზერვო ფონდიდან. სხვათაშორის, ნიშანდობლივია, რომ ეს თანხები საზოგადოებრივმა მაუწყებელმა მთავრობისგან არა ამ ღონისძიებებისთვის, არამედ ფორმალურად შეუფერხებელი ფუნქციონირებისთვის მიიღო, რადგან თურმე სატელიტურ კომპანიასთან შეწყვეტილი კონტრაქტის გამო იძულებული გახდა, კონტრაქტები სხვა კომპანიებთან გაეფორმებინა, რაც საკმაოდ სოლიდურ თანხებს უკავშირდებოდა და ამისთვის 3 მილონი ლარი ითხოვა, **მთავრობამ ჭანტურიას უმალ გადაურიცხა 3 მილიონი,** ოღონდ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არა შეუფერხებელი ფუნქციონირებისთვის, არამედ ზემოთ აღნიშნული ღონისძიებები რომ დაფინანსებულიყო. **3 მილიონ 850 ათასი ლარია მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი 2009-2010 წლებში შპს „მონიოსთვის“, თბილისში, საცურაო კომპლექს „ოლიმპიკის“ სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩასატარებლად.**

**თანხების ხარჯვის თვალსაზრისით, უფრო გულუხვია საქართველოს პრეზიდენტი.** მან ხელახალი გაპრეზიდენტების შემდეგ, ინაუგურაციის ცერემონიისთვის 70 ათას ლარამდე თანხა გადაურიცხა საგარეო საქმეთა სამინისტროს, დიპლომატიური წარმომადგენლობის ინაუგურაციაზე დასწრების ხარჯების ასანაზღაურებლად. 97 ათასი ლარი გადაურიცხა საკუთარ ადმინისტაციას ავტომანქანების შესაძენად, თითქოსდა ადმინისტრაციის ბიუჯეტი მეტისმეტად შეზღუდული იყოს ასეთი ხარჯებისთვის. **რუსეთის ფედერაციიდან**



## აჩიკო გულედანის, ვახო ბაბუნაშვილის და ბექა ჯაფარიძის „სტეპ რეკორდმა“ პრეზიდენტის ფონდიდან 2 მილიონ 93 ათასი ლარი მიიღო იმისთვის, რომ კონცერტები გაემართა შარდენსა და იპოდრომზე

**ჟურნალისტების დელეგაციის ვიზიტის ხარჯების გამო პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან 29 ათასი ლარია გამოყოფილი; ამავე ვიზიტზე საგარეო საქმეთა სამინისტრომაც გამოყო დამატებით 17500 ლარი;** რა შედეგი მიიღო პრეზიდენტმა, უცნობია, თუმცა რუსი ჟურნალისტები რომ სააკაშვილს არ სწყალობენ, ახლახან საქართველოში სტუმრად მყოფი ჟურნალ GQ-ს ჟურნალისტების — ქსენია სოკოლოვასა და ქსენია სობჩაკის მიერ გამოქვეყნებულმა მასალამაც



## ადრე ბუბა კიკაბიძის კონცერტებისთვის ბიუჯეტიდან კაპიკიც არ ემეტებოდათ, ახლა კი პრეზიდენტის ფონდიდან მისი კონცერტისთვის 53279 ლარი გამოიყო



დაადასტურა. არადა, მათ სააკაშვილი ლამის თან გადაჰყვა, ბათუმშიც კი აფრინა თავისი გემოვნებით ახალმოწყობილი ქალაქის დასათვალიერებლად.

**კონდოლიზა რაისის სტუმრობაც ძვირი დაუჯდა საქართველოს ბიუჯეტს: მის ვახშამზე 51 ათასი ლარი დაიხარჯა,** როცა საქართველოს მოსახლეობის დიდ ნაწილს ეს თანხა წლების განმავლობაშიც კი არ აქვს, სავახშმოდ კი არადა, საკვებადაც. პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან, **გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრის ვიზიტისთვის 145820 ლარი დაიხარჯა.** სარეზერვო ფონდებიდან თანხებს მარტო უცხოელი სტუმრების ვიზიტებზე არ ხარჯავენ. მაგალითად, **საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ვიზიტში დიდ ბრიტანეთში 51 ათასი ლარია გადახდილი, გიგა ბოკერიას ტალინში მივლინებაზე კი — 5000 ლარი.**

სარეზერვო ფონდებიდან შეუძინეს ეროვნული უშიშროების საბჭოს სამსახურებრივი ავტომობილები 60 ათას ლარად; **უცხოელი ექსპერტების შეხვედრაზე სასტუმრო „მარიოტში“ 112860 ლარი დაიხარჯა,** საცურაო აუზის მშენებლობაზე საგარეჯოში — 250 ათასი ლარი. **სოფლის მეურნეობას 2009 წელს ვაშლის ექსპორტის ხელშეწყობის ღონისძიებების დასაფინანსებლად 2 მილიონი ლარი გადაეცა, თუმცა ეს ორი მილიონი იმ გლეხებისთვის რომ მიეცათ, რომლებიც ვაშლს აბარებდნენ, ალბათ, ქვეყანაც უფრო იხეირებდა და გლეხებიც.**

## პრეზიდენტმა ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრს ამერიკაში გასტროლებისთვის 370 ათასი ლარი გამოუყო

მას შემდეგ, რაც ბუბა კიკაბიძემ რუსეთში კონცერტებზე უარი თქვა, სააკაშვილს მასზე გული მოუბრუნდა. **თუ მანამდე კიკაბიძის კონცერტებისთვის ბიუჯეტიდან კაპიკიც არ ემეტებოდათ, ახლა პრეზიდენტის ფონდიდან მისი კონცერტისთვის 53279 ლარი გამოიყო.** კოსტა ხეთაგუროვისადმი მიძღვნილი საღამოს გამართვისთვის საჭირო ღონისძიებების დასაფინანსებლად კი ფონდიდან 35 ათასი ლარი დაიხარჯა.

ოპოზიცია ტყუილად არ უწოდებს „ტაშ-ფანდურის“ ფულს სარეზერვო ფონდებში აკუმულირებულ თანხებს. თანხების დიდი ნაწილი სწორედ სადღესასწაულო ღონისძიებებში იხარჯება. **2009 წელს, „სტეპ რეკორდმა“, რომელიც აჩიკო გულედანს, ვახო ბაბუნაშვილსა** და **ბექა ჯაფარიძეს** ეკუთვნით, პრეზიდენტის ფონდიდან 2 მილიონ 93 ათასი ლარი მიიღო იმისთვის, რომ კონცერტები გაემართა შარდენსა და იპოდრომზე.

ახალი წელი ახლოვდება და, თუ ბოლო წლების პრაქტიკას გავითვალისწინებთ, წლის ბოლოსაც, სარეზერვო ფონდებიდან მილიონები დაიხარჯება კონკრეტული მომღერლებისა და გასართობი ღონისძიებებისთვის. მაგალითად, **შარშანდელი საახალწლო კონცერტი ბათუმში 2 მილიონ 293 ათასი ლარი დაჯდა.** სახელმწიფომ, ყოველგვარი ტენდერის გარეშე, ერთ პირთან მოლაპარაკების გზით,

### თბილისში საახალწლო კონცერტის ორგანიზება დაუკვეთა შპს „ბიზნეს პროტოკოლს“ და მას ამ სამუშაოსთვის 1 მილიონ 900 ათასი ლარი გადაუხადა.

სოლიდური იყო კონცერტში მონაწილეთა ჰონორარებიც; მაგალითად, **ნინო ანანიაშვილის ჰონორარმა 20750 ლარი შეადგინა.** ნინო ანანიაშვილისთვის პრეზიდენტის ფონდიდან გამოყოფილი თანხები ამით არ ამოიწურება. **პრეზიდენტმა ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრს ამერიკაში გასტროლებისთვის 370 ათასი ლარი გამოუყო.**



## „ევროვიზიის“ კონკურსზე სოფო ნიჟარაძის პრომოუშენისთვის 2 მილიონ 69 ათას 473 ლარი გადასცეს საზოგადოებრივ მაუწყებელს

**სოფო გელაშვილი**

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ივლიტა კასრაძე: სანამ ცოცხალი ვარ, დამეხმარეთ, სააკაშვილმა სასიკვდილოდ გამწირა

**„ვარ სოციალურად დაუცველი, ვცხოვრობ უკიდურეს გაჭირვებაში. არავინ მეხმარება, ხელისუფლებამ კი სასიკვდილოდ გამწირა... გთხოვთ, მომაქციოთ ყურადღება და შეძლებისდაგვარად დამეხმაროთ“, —** ასეთი შემზარავი შინაარსის წერილი მიიღო გასულ კვირას არასამთავრობო ორგანიზაცია მოძრაობა „7 ნოემბრის“ ოფისმა ვაშლოვანის ქუჩის №3-ში მცხოვრები 63 წლის ივლიტა კასრაძისგან. ამის შესახებ „მოძრაობა 7 ნოემბრის“ ერთ-ერთმა წევრმა ირაკლი ბერაიამ მაცნობა და გაჭირვებაში მყოფ ქალბატონს შინ ვეწვიე.





**— ქალბატონო ივლიტა, წერილში, რომლითაც თქვენ მოძრაობა „7 ნოემბერს“ მიმართეთ, ამბობთ, რომ ხელისუფლებამ სასიკვდილოდ გაგწირათ. რა პირობებში ცხოვრობთ და კონკრეტულად რა ფორმით ირღვევა თქვენი უფლებები?**

— დავიწყოთ იმით, რომ ვარ პირველი ჯგუფის ინვალიდი ბავშვობიდან, მიჭირს გადაადგილება და, ფაქტობრივად, ლოგინს ვარ მიჯაჭვული. სახლში მარტო ვცხოვრობ, მომვლელი არავინ მყავს, მაგრამ ამას ვინ ჩივის, ჩემი მთავარი საფიქრალი და სადარდებელი ის არის, რომ შიმშილით არ მოვკვდე, ვინაიდან არ მაქვს არანაირი შემოსავალი და საარსებო პირობები. **ადრე გარკვეულ დახმარებას ვღებულობდი და, ასე თუ ისე, თავი გამქონდა, მაგრამ მოვიდა თუ არა სააკაშვილი, ყველაფერი გამიუქმეს, ხოლო როცა მიზეზი ვიკითხე, ასე მითხრეს, თქვენ სახლი გაქვთ, თავშესაფარი და დახმარება არ გეკუთვნითო.** ჯერ ერთი, ეს სახლი ავარიულია და კაცმა არ იცის, როდის აღმოვჩნდები ნანგრევებში; და მერე კიდევ, რა მაქვს ამ სახლში ისეთი ფასეული, რომ გავყიდო და ვიარსებო? როგორც ხედავთ, აქ მხოლოდ ერთი საწოლია და ეს არის მთელი ჩემი ქონება. ამ დროს მძიმე ავადმყოფი ვარ და ჩემი ჯანმრთელობა, ჩემი სიცოცხლე მთლიანად წამალზეა დამოკიდებული. რა ვქნა და რით ვიარსებო, არ ვიცი. ხელისუფლებამ, ბოდიში და, ფეხებზე დამიკიდა, ამიტომაც ვამბობ, განწირული ვარ-მეთქი და მივმართავ თხოვნით ყველა არასამთავრობო ორგანიზაციას, რომ მიშველონ...

**— კომუნალურ გადასახადებზეც არ გაქვთ რაიმე შეღავათი?**

— არანაირი. ამიტომ, ბუნებრივია, გადასახადების გადახდას ვერ ვახერხებ. იძულებული ვარ, შუქი არ ჩავრთო, გაზიც გამორთული მაქვს... ზამთარში გაყინულ ოთახში ვზივარ. ჩაი რომ ჩაია, როცა მაქვს, იმასაც ვერ ვადუღებ. მოკლედ, გაუსაძლის მდგომარეობაში ვარ, არ ვიცი, ვის მივმართო, ვის ჩავუვარდე მუხლებში და ვთხოვო, რომ ყურადღება მომაქციოს.

**— რომელიმე უწყებას თუ მიმართეთ დახმარებისთვის?**

— აბსოლუტურად ყველას, დაწყებული მერიიდან დამთავრებული პარლამენტით, მაგრამ არანაირი რეაგირება მათი მხრიდან არ ყოფილა, ყურიც არ შეიბერტყეს. **ამას წინათ უგულავას მივწერე წერილი, უკიდურეს სიღარიბეში ვცხოვრობ, საჭმელიც არ მაქვს, შიმშილით სული მძვრება-მეთქი. მეგონა, ჩემს გასაჭირს გულთან მიიტანდა და ყურადღებას მომაქცევდა, პასუხის ღირსადაც არ ჩამთვალა;** ამის შემდეგ მივმართე საკრებულოს, სამინისტროებს... ერთი სიტყვით, ყველა უწყებას, იმის მიუხედავად, ეხებოდა თუ არა მათ ეს პრობლემა, მაგრამ, როგორც გითხარით, არავინ ჩემით არ დაინტერესებულა... გამოუვალ მდგომარეობაში ვარ, რა ვქნა, რა გავაკეთო? ამ ქვეყანაში ადამიანების ბედი არავის ადარდებს.

**— იქნებ სოციალურად დაუცველთა სააგენტოსთვის მიგემართათ?**

— უპირველესად, სწორედ მათ მივმართე და იცით, რა პასუხი გამცეს? თქვენ არც ისეთი გაჭირვებული ხართ, რომ დახმარება დაგინიშნოთო. ზუსტად ასე მითხრა მაგ სააგენტოს წარმომადგენელმა ნინო მშვენიერაძემ. მე ვუთხარი, კი მაგრამ რას ხედავთ, ქალბატონო, აქ ისეთს, რომ ამას მეუბნებით, ერთი საწოლი და ოთხი გაბზარული კედელი განა მაგის თქმის საფუძველს გაძლევთ-მეთქი? ის კი ჯიუტად იმეორებდა, არა, თქვენ დახმარება არ გეკუთვნითო. ჰო, მართლა, ზუსტად იმ დროს, **როცა ეგ ქალბატონი ჩემს სახლს ათვალიერებდა, მეზობლის გოგომ საჭმელი შემომიტანა (სამადლოდ მეზობლებს ხშირად შემოაქვთ ხოლმე საკვები) და ეს რომ დაინახა, აი, მოსამსახურეც გყოლიათო. რა მოსამსახურე, რის მოსამსახურე, ერთი უპატრონო ქალი ვარ-მეთქი, მაგრამ ვინ გამიგონა, ადგა და ისე წავიდა, გეგონებოდათ, მისი მოსვლით ყველა პრობლემა მომიგვარდა.** აი, ეს იყო მთელი მათი ყურადღება, ამის მერე არავინ მოსულა და არავის უკითხავს, ცოცხალი ვარ თუ მკვდარი. **ეს ჩვენი პრეზიდენტი კიდევ ხელებს რომ პარჭყავს ტელევიზიით, ქვეყანაში არც ერთი გაჭირვებული არ არისო, მოვიდეს და ნახოს ერთი, რა პირობებში ვიმყოფები.** გაჭირვებული ვარ კი არა, უკიდურეს სიღარიბეში ვცხოვრობ და ვინ იცის, კიდევ რამდენია ასეთ მდგომარეობაში.

**— თქვენ პრეზიდენტი ახსენეთ და, მას რომ ჰკითხოთ, მოსახლეობის სულ ცოტა ოთხმოცი პროცენტი კმაყოფილია ხელისუფლების მიერ გატარებული დასაქმების პოლიტიკით.**

— ჰო, ასეთი სისულელეები ხშირად მესმის და ისე ვღიზიანდები, რომ ნერვები მეშლება.

## არც ისეთი გაჭირვებული ხართ, რომ დახმარება დაგინიშნოთო. ერთი საწოლი და ოთხი გაბზარული კედელი განა მაგის თქმის საფუძველს გაძლევთ-მეთქი?

რომელ დასაქმებაზეა ლაპარაკი, როცა მოსახლეობა სიღატაკის ზღვარზეა, როცა ხალხი შიმშილით იხოცება?.. მაჩვენეთ **ერთი კაცი, რომელიც იტყვის, რომ ამ ქვეყანაში თავს კარგად გრძნობს, ვერ ნახავთ ასეთ ადამიანს, იმიტომ, რომ აქ უკვე გაუსაძლისია ცხოვრება, ადამიანის სიცოცხლეს ფასი აქვს დაკარგული.** ამის ნათელი მაგალითი მე ვარ და ამიტომ ჭკუიდან ვიშლები, როცა ამბობენ, მოსახლეობის ოთხმოცი თუ ოთხმოცდაათი პროცენტი ხელისუფლების მოქმედებით კმაყოფილიაო. ამას იძახის სააკაშვილი და მიკვირს, როგორ არ რცხვენია ამ ადამიანს... **ხალხს უკვე დანახვაც არ უნდა მისი, ამიტომ, როგორც კი ის ლაპარაკს იწყებს, მაშინვე ვრთავ ტელევიზორს. რაც კი ამ ქვეყანაში უბედურება ტრიალებს, რაც ტრაგედია და საშინელება ხდება ჩვენს თავს, ყველაფერი მაგ ვაჟბატონის ბრალია...**

**— გასაგებია, მაგრამ, ქალბატონო, იქნებ 30 მაისის ადგილობრივი არჩევნების დროს გამოგეტყუებინათ უგულავასგან რამე დახმარება. ამბობენ, მაშინ „ნაცმოძრაობა“ კანფეტებივით არიგებდა სოციალურად დაუცველის სტატუსსო.**

— მე იმდენ უწყებას მივმართე და იმდენი ვეხვეწე ამათ, რომ უკვე არანაირი აზრი არ აქვს, კიდევ ვისთან მივალ დახმარების სათხოვნელად. გარდა ამისა, ესენი მაშინ დახმარებებს ხმების სანაცვლოდ იძლეოდნენ, მე კი **სულ რომ შიმშილით მოვკვდე და სულ რომ ჭერი ჩამომენგრეს თავზე, ამათ ხმას არ მივცემ, ისე გამამწარა და გამაუბედურა ამ ხელისუფლებამ; სააკაშვილი კუბოში რომ იწვეს და მითხრან, თითი დაადე, იქნებ გაცოცხლდესო, არ დავადებ, იმიტომ, რომ ამ კაცმა დაღუპა ეს ქვეყანა, გაწირა ხალხი...** პირადად მე დამაკარგვინა სამაჩაბლო (წარმოშობით იქიდან ვარ), მომწყვიტა ნათესავებს და დამტოვა ასე, ცარიელ-ტარიელი... ამის შემდეგ როგორ უნდა ვთქვა, რომ კმაყოფილი ვარ ხელისუფლების ნამოქმედარით? ან როგორ უნდა მივცე არჩევნებში ხმა იმ ადამიანს, რომელსაც ასეულ ათასობით მშიერ-მწყურვალი მოქალაქე ჰყავს და ამ დროს ძარღვის გაწყვეტამდე გაიძახის, არც ერთი გაჭირვებული ქვეყანაში არ არისო?.. ეს არის გიჟი, ამ კაცის ადგილი არ არის ხელისუფლებაში.

**— როგორც ვხედავ, ხელისუფლება კაი გვარიანად შეგიწუხებიათ; ოპოზიციას თუ აცნობეთ თქვენი მდგომარეობის შესახებ და თუ სთხოვეთ დახმარება რომელიმე ლიდერს ან თუნდაც პარტიას?**

— იცით რა, შვილო, დღეს საქართველოში მილიონ რვაასიათასი სოციალურად დაუცველია და ამ ადამიანების პატრონი არავინაა. ღმერთმა მაპატიოს, ამას რომ ვამბობ, მაგრამ **ოპოზიციასაც** (ერთიორი გამონაკლისის გარდა) **ისევე არ აინტერესებს მოქალაქეების ბედი, როგორც ხელისუფლებას და მე ამას ვხედავ.** მითხარით ერთი, რომელ პარტიას აქვს მთავარ მიზნად დასახული სოციალურად დაუცველთა უფლებებისთვის ბრძოლა? რომელი ამბობს, რომ ეს არის მისი პრიორიტეტი? არც ერთი! ამიტომ მიმაჩნია, რომ აზრი არ აქვს მათთვის რამე დახმარების თხოვნას და, შესაბამისად, არც ერთი ოპოზიციური პარტიისთვის არ მიმიმართავს.

**— მაშ, რით უნდა იარსებოთ, როგორ აპირებთ ცხოვრებას?**

— სიმართლე გითხრათ, გამოსავალს ვერ ვხედავ; სად წავიდე და ვის მივმართო, არ ვიცი... ერთადერთი ის შემიძლია, ვთხოვო არასამთავრობო ორგანიზაციებს, მათ შორის მოძრაობა „7 ნოემბერსაც“, რომ მომაქციონ ყურადღება და, თუ რამე შეუძლიათ, დამეხმარონ. წინააღმდეგ შემთხვევაში განწირული ვარ, რადგან ისეთ პირობებში, როგორშიც მე ვიმყოფები, შეუძლებელია, ადამიანმა, თუნდაც სრულიად ჯანმრთელმა, ხანგრძლივად იცხოვროს. ასე რომ, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, მჭირდება დახმარება და თუ ვინმეს რამე შეუძლია, სანამ ცოცხალი ვარ, დამეხმარეთ...

**ივლიტა კასრაძესთან საუბრის შემდეგ მოძრაობა „7 ნოემბრის“ ერთ-ერთ წევრს, ირაკლი ბერაიას დავუკავშირდი და ვთხოვე, სოციალურად დაუცველთა საკითხის, კონკრეტულად კი ივლიტა კასრაძის მდგომარეობის თაობაზე კომენტარი გაეკეთებინა.**



ირაკლი ბერაია

**ირაკლი ბერაია:**

— ეს ქალბატონი არის ნათელი მაგალითი იმისა, თუ რა მდგომარეობაა დღეს ქვეყანაში სოციალური თვალსაზრისით, „ნაცმოძრაობა“ კი თვალს ხუჭავს ამაზე და მეტიც, **მიხეილ სააკაშვილი, რომელიც ხელისუფლებაში მოსვლამდე ხალხს ჰპირდებოდა, ოღონდ ხმა მომეცით და პენსიაც გექნებათ და დახმარებებიცო, ირონიულად არის ამ ადამიანების მიმართ განწყობილი.** ეს ჩანს მის ყველა გამოსვლაში და ყველა ფრაზაში, როცა სოციალურად დაუცველებზე საუბრობს.

**კიდევ უფრო ცინიკურადაა ამ კატეგორიის ადამიანებისადმი განწყობილი გიგი უგულავა. მას საერთოდ ფეხებზე ჰკიდია ჩვენი მოქალაქეების ბედი.** ამის დასტურია თუნდაც დევნილთა და გარემოვაჭრეთა მიმართ ბოლო დროს განხორციელებული ზეწოლაც, რომლის სათავეშიც სწორედ უგულავა იდგა და რომლის შედეგადაც ქვეყანაში მკვეთრად გაიზარდა სოციალურად დაუცველთა რაოდენობა. საბოლოოდ ამ ყველაფერში მთავარი უბედურება მაინც ის არის, რომ ეს პროცესი გაგრძელდება მომავალშიც, მანამ, სანამ მიხეილ სააკაშვილი და მისი მწვალებელთა ხროვა გვეყოლება ხელისუფლებაში, სანამ ქვეყნის მმართველობის სადავეებს ნორმალური ხალხი არ ჩაიბარებს და სანამ „ნაცმოძრაობას“, როგორც კრიმინალურ დაჯგუფებას, საბოლოოდ არ გავისტუმრებთ პოლიტიკურ მოუსავლეთში... სწორედ ამისთვის გვჭირდება დღეს ჩვენ ერთიანობა და მე მინდა, მივმართო თითოეულ მოქალაქეს, განსაკუთრებით სოციალურად დაუცველებს, **დავდგეთ ერთმანეთის გვერდით და ვიბრძოლოთ ერთად, თორემ ამ ქვეყანას ისეთი პირი უჩანს, რომ მალე აქ აღარ დარჩება ადამიანი, რომელიც სოციალურად დაუცველი არ იქნება.** ხელისუფლების მიზანიც ეს არის და, თუ ჩვენ მათ ხელს არ შევუშლით თავიანთი ანტიეროვნული, ავი ზრახვების განხორციელებაში, საბოლოოდ ეს ქვეყანა გახდება მათხოვართა თავშესაფარი, საბუდარი, სადაც თავს კარგად და კომფორტულად იგრძნობს მხოლოდ მიხეილ სააკაშვილი, თავის ჯალათებთან ერთად...

## ეს ჩვენი პრეზიდენტი კიდევ ხელებს რომ პარჭყავს ტელევიზიით, ქვეყანაში არც ერთი გაჭირვებული არ არისო, მოვიდეს და ნახოს ერთი, რა პირობებში ვიმყოფები

ესაუბრა
**ჯაბა ჟვანია**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

## გაჟღერებული



**ინგა გრიგოლია,**
**თბილისის საკრებულოს წევრი:**

მოვითხოვთ, ოფიციალურად და დეტალურად წარმოადგინონ თბილისობის ღონისძიებების ხარჯთაღრიცხვა. შეგვეძლო, ეს დღესასწაული ორი-სამი დღე აღგვენიშნა, რა საჭირო იყო ათდღიანი დღესასწაული, როცა ქვეყანაში ამდენი პრობლემაა. ეს თანხები მნიშვნელოვანი პრობლემების მოსაგვარებლად შეიძლებოდა დახარჯულიყო. მაგალითად, 10-11-წევრიან ოჯახებს დავასახელებ, რომლებსაც ფაქტობრივად ქუჩაში უწევთ ცხოვრება.

*„კვირის პალიტრა“*



**გია ხუხაშვილი,**
**ექსპერტი:**

გაუგებარია, ერთ სტრუქტურაში დავალიანების გამო მეორესთან ვალდებულება როგორ უნდა წარმოეშვას კაცს? რა თქმა უნდა, ეს ადამიანის და მომხმარებლის უფლებების უხეში დარღვევაა. მე შემიძლია დამიგროვდეს ერთ სტრუქტურაში დავალიანება, მაგრამ თუ მეორესთან გასწორებული მაქვს ანგარიში, რა უფლება აქვთ, სანქცია დამიწესონ? თუ სამივე სტრუქტურას ერთი პატრონი ჰყავს, გვითხრან.

*„კვირის პალიტრა“*



**სოსო შატბერაშვილი,**
**ლეიბორისტული პარტიის გენერალური მდივანი:**

კაცს, რომელიც ბათუმში ნიფხვისამარა ირბენს და ჟურნალისტ გოგოებს ნიფხვისამარა მისცემს ინტერვიუს, რა უნდა მოჰკითხო? სააკაშვილის ერთადერთი მკურნალი არის ქართველი ხალხი! ამ უბედურ არსებას ისე ეშინია ხალხის პროტესტისა, როგორც ეშმაკს — ჯვრისა!

*„ასავალ-დასავალი“*



**ირაკლი მელაშვილი,**
**„ეროვნული ფორუმის“ ერთ-ერთი ლიდერი:**

ხელისუფლებაში არიან ადამიანები, რომლებიც, უბრალოდ, თანამდებობებს კი არ კარგავენ იმ პერსპექტივით, რომ მერე შეიძლება არჩევნების გზით უკან დაბრუნდნენ, ისინი სიცოცხლეს კარგავენ. ისინი იმდენად გაჯეჯილდნენ, რომ „შეიქმნა სისხლიანი მაფია“, — ერთ-ერთი უცხოელი დიპლომატის სიტყვებს გეუბნები ამ შემთხვევაში. ესენი ერთმანეთთან დაკავშირებულები არიან ჩადენილი დანაშაულებით, ამას უჭირავს ეს ვითარება.

*„კვირის ქრონიკა“*



**მამუკა კაციტაძე,**
**„ახალი მემარჯვენეების“ ერთ-ერთი ლიდერი:**

30 მაისს, „ალიანსმა საქართველოსთვის“ თბილისში 19 და საქართველოში 10%-მდე მიიღო. დღეს „ალიანსს საქართველოსთვის“ აქვს 1 პროცენტი. ჩვენ დავიმსახურეთ ეს ერთი პროცენტი, მაშინ, როდესაც დავშალეთ „ალიანსი“ და გავუწბილეთ იმედი ჩვენსავე ამომრჩეველს. სხვა ოპოზიციამ თავის შიგნით ეძებოს ეს მიზეზები“.

*„კვირის ქრონიკა“*



**ვალერი გელბახიანი,**
**დევნილობაში მყოფი პოლიტიკოსი:**

ვინაიდან სააკაშვილი არ არის არანაირი სტაბილიზაციის გამტარებელი, ის არის დენთის კასრი და როდის აფეთქდება, არავინ იცის. აქედან გამომდინარე, ამერიკა თვლის, რომ არასტაბილურ გარემოში, შესაძლოა, დაკარგონ რეგიონი, ისინი ფიქრობენ სერიოზულად, რომ შეცვალონ პოლიტიკური სიტუაცია ქვეყანაში.

*„კვირის ქრონიკა“*



**კახა კუკავა,**
**კონსერვატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი:**

სააკაშვილმა ისე ღრმად შეტოპა, საკუთარი ნებითაც რომ გადადგეს, მას ვერავინ მისცემს გარანტიას, რომ ჰააგაში არ მოხვდება! უფრო მეტიც, სააკაშვილს არ აქვს იმის გარანტია, რომ გიგი უგულავა და გიგა ბოკერია მას ჰააგის ტრიბუნალს არ გადასცემენ!

*„ასავალ-დასავალი“*

# ათასმეერთე გარყვნილი ზუგდიდის საჯარო სკოლაში «ასწავლის»

**„ეს თქვენი ჟამია და სიბნელის ძალაუფლება“, — ასე უთხრა ისკარიოტელის მიერ გაცემულმა იესომ „მის წინააღმდეგ მოსულ მღვდელმთავრებს, ტაძრის მეთაურებსა და უხუცესებს“. ჟამიანობის ჟამი ჩამოგვითესლა პრეზიდენტმა საქართველოში ათასი ახალი „ყივჩაღი-მასწავლებლის“ შემოსევით. ამორალობის ხაშხაშით გაბრუებული დრო.**



ამ დღეებში პრესითა და ტელევიზიით გავრცელებულმა ფოტოებმა დოკუმენტურად დაადასტურა ის, რის შესახებაც არაერთხელ გვითქვამს ჩვენც და სრულიად ქართულ პრესასაც.

**ვაფრთხილებდით:** ახალთაობის სულიერების წარსაყვნელად შემოაგორა სააკაშვილმა ამათი ტროას ცხენი „Made in USA“ დამღით.

**დიდბრიტანელი ტომას ფლეტჩერი, რომელიც ზუგდიდის მეოთხე საჯარო სკოლის მეთორმეტე კლასის მასწავლებლად გაამწესა „ლომაიარანკოვიჩის ხროვის“ პრინციპების განუხრელად გამტარებელმა განათლების სამინისტრომ, მხოლოდ პირველი შხამიანი სოკოა, რომელიც ამ შემოდგომის ცივი წვიმების შემდეგ ამოვიდა ჩვენი ხელისუფლების მიერ განოყიერებულ ნიადაგზე.**

კიდევ ბევრჯერ იწვიმებს...

მახსენდება: ადოლფ ჰიტლერის ერთ-ერთი თანამებრძოლი, თხემით ტერფამდე ფაშისტი და ებრაელთა გაჟლეტის მოთავე არიელი სამარცხვინო საქმეზე — მასტურბაციის დროს დააფიქსირეს საპირფარეშოში.

ფოტოები ფიურერს მაგიდაზე დაუდეს.

ფაქტი გახმაურდა: ხელმრუშთა ხელისუფლება?! კარიერა დამთავრებულია!

მაგრამ ან მისმა არგუმენტმა გაჭრა: ასე იმიტომ ვიქცეოდი, რომ ქალებში დრო არ დამეხარჯა, რომელიც სრულად ეკუთვნის ფიურერს; ან „გულმა გული იცნო“, ანუ გაუგო ფიურერმა მის ერთგულ თანამებრძოლს, რადგან გაუკუღმართებულ სექსუალურ მიდრეკილებაში თვითონაც იყო შემჩნეული. და ესეც დოკუმენტურად დასტურდებოდა.

პეცუდა-დაკას უწოდებენ ასეთ კაცებს ებრაელები — ცალყვერას.

შერჩა!

**თუ ამ პედერასტ ფლეტჩერსაც შერჩება...**

**თუ შერჩება მას და მისნაირებს, პარალელის გავლება არ გაგიჭირდებათ!**

**„საქართველო და მსოფლიო“ დაინტერესდა, რას ფიქრობენ საზოგადოების წარმომადგენლები ამ სამარცხვინო ფაქტთან დაკავშირებით:**

**მერაბ ჯიბლაძე, პროფესორი:**

— ჩემთვის არაფერია მოულოდნელი. **ისინი, ვინც ჩამოიყვანეს სინამდვილეში მასწავლებლები არ არიან. ისინი, უბრალოდ, ენის მატარებლები არიან. მათ პედაგოგიკაში არავითარი განათლება არ მიუღიათ. ისინი თავიანთ ქვეყანაში უმუშევრები იყვნენ და აქ ჩამოიყვანეს როგორც ინგლისური ენის მატარებლები და არა სპეციალისტები.** ჟურნალისტებს ვთხოვე კიდეც, გაესაუბრეთ და ჰკითხეთ, სად სწავლობდნენ, რა დაამთავრეს. რომ ეკითხათ, დარწმუნდებოდნენ, რომ არც ერთ მათგანს შესაბამისი განათლება არ აქვს.

ამერიკელებს თავიანთ ქვეყანაშივე აკლიათ მასწავლებლები. ინგლისშიც და კანადაშიც მსგავსი პრობლემაა. ასეთი „ინგლისური ენის მასწავლებელი“, რომლის გვერდით ქართველი ინგლისური ენის მასწავლებელი თუ არ იქნება, ბავშვებს ვერაფერს გააგებინებს. ყოველთვის წინააღმდეგი ვიყავი ქვეყანაში ისეთი ხალხის შემოყვანის, რომელსაც თავის ქვეყანაში ვერ უპოვია ადგილი და ჩვენ კი ვასაქმებთ. არ შეიძლება პროფესიონალი იყო და იქ სამსახური ვერ იპოვო. **როდესაც აღმოაჩენ, რომ ეს მასწავლებელი აღვირახსნილია, რა მაგალითი უნდა მისცეს მოსწავლეს? გვჭირდება ასეთი ინგლისურის სწავლა?**

**ლადო სადღობელაშვილი, არასამთავრობო ორგანიზაცია „ენა, მამული, სარწმუნოება“:**

— ესაა თანამედროვე რეფორმის შედეგი, რომელიც შემოგვთავაზა სააკაშვილშაშკინმა და ამერიკამ, 1000 უცხოელი პედაგოგი. ჩვენ არ ვიცით მათი განათლების დონე, ორიენტაცია და სხვა მრავალი ყურადსაღები და მნიშვნელოვანი ფაქტორი, რაც მომავალი თაობის აღზრდაში უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს.

სექტემბერში ვამბობდი, რომ ეს „ინგლისურის მასწავლებლები“ კარგს არაფერს მოგვიტანდნენ. **ორი თვეა გასული და უკვე თავი იჩინა ერთ-ერთის სიბინძურემ. ამ „მასწავლებელს“ უშუალო ურთიერთობა აქვს უამრავ ბავშვთან, რომელთა გონების გადატრიალებას ეცდება კიდეც.**

დარწმუნებული ვარ, მშობლებისა და საზოგადოების 90 პროცენტი არც კი გააპროტესტებს აღნიშნულ ფაქტს. მაინც მიიყვანენ თავიანთ შვილებს ამ ბინძურების გაკვეთილებზე, შეიძლება გვერდითაც მიუსხდნენ.

**ლაშა გიორგიძე**

## მოკლედ



### „რაკიას“ ფოთის პორტი აღარ უნდა

**არაბული კომპანია „რაკია“ ფოთის პორტის გაყიდვას გეგმავს. არაბული გამოცემა „ზევიას“ ამის შესახებ კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ ჰაატერ მასადიმ ექსკლუზიურად განუცხადა.** მისი თქმით, კომპანია საერთაშორისო ბირჟებზე პორტის აქციების გატანას აპირებს. „ეს არის ჩვენთვის სტრატეგიული აქტივები. როცა შეიძლება რაიმეს გაყიდვიდან ფულის შოვნა, რატომ არ უნდა გავაკეთოთ ეს?“ — აცხადებს იგი. მოგვიანებით გავრცელდა კომპანიის ოფიციალური განცხადებაც... შეგახსენებთ, კომპანია „რაკიინ ინვესტმენტს“ ფოთის პორტის 51%-იანი წილი 49-წლიანი მართვის უფლებით 2008 წლის აპრილში გადაეცა.



### ქრთამისთვის ექსპერტი დააკავეს

**იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის თანამშრომლებმა ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასავლეთ საქართველოს რეგიონული ექსპერტიზის დეპარტამენტის სამედიცინო და ჰისტოლოგიური ექსპერტიზის განყოფილების ექსპერტი მერაბ გახოკია ქრთამის აღების ბრალდებით დააკავეს.** წინასწარი გამოძიებით დადგინდა, რომ 2010 წლის 29 ოქტომბერს მან სასურველი დასკვნის გაცემის სანაცვლოდ, ქრთამის სახით 600 ლარი აიღო. თანხის გადაცემა მარტვილის რაიონის სოფელ მუხურჩაში, მერაბ გახოკიას საცხოვრებელ სახლში მოხდა. დანაშაულის დამტკიცების შემთხვევაში მას 9 წლამდე პატიმრობა ელის.



### ახალი საგადასახადო სანქცია

**ხელისუფლებამ ახალი საგადასახადო სანქცია მოიფიქრა და მის ასამოქმედებლად ცვლილებებს ჯერ არამოქმედებულ „საგადასახადო კოდექსში“ შეიტანს.**

ცვლილების თანახმად, საქართველოს ეკონომიკურ საზღვარზე საქონლის გადატანა ან გადმოტანა კონტროლის გვერდის ავლით ან მისგან მალულად გამოიწვევს ვალდებული პირის დაჯარიმებას სატარიფო ღირებულების 100 პროცენტის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ 1000 ლარისა, ან ამ საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების ჩამორთმევას, ან/და საქართველოს ეკონომიკური საზღვრის გადაკვეთის უფლების შეზღუდვას 1 წლის ვადით.

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# გავქრობდით!

**პრეზიდენტმა სააკაშვილმა საქართველო ერთ დიდ ლაბორატორიად აქცია. აბა, სხვა რა შეიძლება ვუწოდოთ იმ ცდებს, რაც ბოლო დროს კონკრეტულად, ჯანდაცვის სისტემაში ჩატარდა და დღესაც გრძელდება. ქვეყანაში შეიქმნა მსოფლიოში „არნახული სისტემა", როცა რამდენიმე მონოპოლისტი ფარმაცევტული კომპანია არა მარტო აწარმოებს სამკურნალო პრეპარატებს, არამედ ფლობს კერძო საავადმყოფოებს, სააფთიაქო ქსელს და სადაზღვევო კომპანიასაც, ანუ ერთგვარი ჯაჭვია შეკრული აფთიაქსა და საავადმყოფოს შორის. ამ ჯაჭვში კი უბრალო მოქალაქის ინტერესები ნაკლებადაა დაცული და ისიც იძულებულია, დამორჩილდეს არსებული დაურეგულირებელი ბაზრის მოთხოვნებს: ან იყიდოს წამალი იმ გასამმაგებული ფასით, რომელსაც მას აფთიაქი სთავაზობს, ანდა ვეტ-აფთიაქში შეიაროს; ან მივიდეს ექიმთან კონსულტაციაზე, ანდა ვეტ-აფთიაქში შეიაროს; ან აიღოს ჯანმრთელობის დაზღვევის პოლისი, ანდა ვეტ-აფთიაქში შეიაროს.**




**ბიოგენურ სტიმულატორ ACD-ს, რომელიც ცხოველებში შინაგანი ორგანოების ანთებითი პროცესებისას და კანის სიმსივნური დაავადებების დროს გამოიყენება, საქართველოში ძირითადად ონკოლოგიური დაავადებების მქონე ადამიანები მოიხმარენ**

საქონლისთვის განკუთვნილ პრეპარატს საქართველოს მოსახლეობა აქტიურად იღებს. საუბარია პრეპარატ ACD-ზე (დოროგოვის ანტისეპტიკური სტიმულატორი), რომელიც ვეტერინარული მედიცინის კანდიდატმა ა. ვ. დოროგოვმა გასული საუკუნის 40-იან წლებში გამოიგონა საექსპერიმენტო ვეტერინარულ ლაბორატორიაში. ინსტრუქციის მიხედვით, პრეპარატი მიიღება ცხოველთა ქსოვილების თერმული დამუშავების შედეგად, ბიოკომბინატებში ნარჩენი ხორცისგან, ძვლებისგან და სხვა ორგანოებისგან. **პრეპარატი ACD განეკუთვნება ბიოგენურ სტიმულატორს და, ძირითადად, გამოიყენება ცხოველებში შინაგანი ორგანოების ანთებითი პროცესებისას და კანის სიმსივნური დაავადებების დროს.**

ცხოველებზე ამ წამლის გამოყენებამ უკუშედეგი აჩვენა და, შესაბამისად, ამ პრეპარატის მიღებაც შეწყდა, თუმცა დროებით. ACD-ს გამოყენება ადამიანმა დაიწყო. ოღონდ ის არ იფიქროთ, რომ ამ პრეპარატს რომელიმე განვითარებულ ქვეყანაში მოიხმარენ. სამწუხაროდ, **საქართველოში ბოლო დროს გახშირდა ამ პრეპარატის აქტიურად გამოყენების შემთხვევები. ძირითადად, მას ონკოლოგიური დაავადებების მქონე ადამიანები მოიხმარენ.**

მოსახლეობა ექიმთან ყოველგვარი წინასწარი კონსულტაციის გარეშე, მათთვის სასურველ დოზას (საჭიროების მიუხედავად) იღებს, იმის იმედით, რომ მომდევნო დღეს ფეხზე დადგება და საბოლოოდ განიკურნება. **შეგახსენებთ, ეს პრეპარატი საქონლისთვისაა განკუთვნილი და არა — ადამიანისთვის, მაშასადამე, მისი შეძენა მხოლოდ ვეტ-აფთიაქშია შესაძლებელი.**

რამ შეიძლება უბიძგოს ადამიანს, რომ მძაფრი გემოსი და სუნის მქონე პრეპარატი ყოველგვარი რეცეპტისა თუ დანიშნულების გარეშე მიიღოს? ამ კითხვას ორი პირობითი პასუხი აქვს: პირველი, სახელმწიფოს მხრიდან მოქალაქეებისადმი სრულმა უყურადღებობამ და მეორე, ქვეყანაში არარსებულმა ჯანდაცვის სისტემამ. ამ პროცესებმა უკვე შეუქცევადი ხასიათი მიიღო და საბოლოო შედეგიც ამ ფორმით გამოვლინდა. **დღეს სახეზეა ჯანდაცვის რეფორმის კრახი. მაშინ, როდესაც, დაპირებული „100 ახალი საავადმყოფოდან" ერთიც არ აშენდა (პირიქით, სახელმწიფოს მფლობელობაში მყოფი საავადმყოფოების უმეტესობა გაიყიდა), მოქალაქეთა „5-ლარიანი დაზღვევის" პოლისმა არ გაამართლა და ადამიანისთვის (არა პირუტყვისთვის) განკუთვნილმა სამკურნალო წამლის ფასმა არათუ დაიკლო, არამედ მოიმატა კიდეც, ამ ფონზე სრულიად ნათლად წარმოჩინდა ის გაუსაძლისი, საგანგაშო მდგომარეობა, რაც დღეს საქართველოშია.**

ერთი სიტყვით, ქვეყანა ხელმისაწვდომი ჯანდაცვის სისტემის გარეშე დარჩა. ექიმთან უბრალო კონსულტაცია 30 ლარიდან იწყება. ცხადია, გაზრდილი გადასახადების ფონზე, საქართველოს მოქალაქეების უმრავლესობა ვერ ახერხებს ექიმთან მისვლას, გამოკვლევების ჩატარებას და შესაბამის მკურნალობას. შედეგიც სახეზეა. **აბა, ნორმალური ჯანდაცვის სისტემის მქონე ქვეყნებში ვინ გაიფიქრებს, „თავის გადასარჩენად", სამკურნალოდ საქონლისთვის განკუთვნილი წამალი მიიღოს?!**

**ცნობისთვის:** საფრანგეთის ჯანდაცვის სისტემა მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესოა. ექიმთან კონსულტაციის, მკურნალობის ხარჯების 70%-ს მთლიანად სახელმწიფო ფარავს.

ჩვენი ხელისუფლება ხალხს თვალში ნაცარს აყრის, ატყუებს, ილუზიას ქმნის მსოფლიოს თვალში, რომ თითქოს „ჩვენ გვყავს მთავრობა, რომელიც საკმაოდ პოპულარულია საზოგადოებაში" (ეს ფრაზა მაროკოს ეკონომიკურ სამიტზე მყოფმა სააკაშვილმა ტელეკომპანია „ბლუმბერგთან" ინტერვიუში ახსენა). **სინამდვილეში, ჩვენ გვყავს ანტისახალხო მთავრობა, რომელიც მინიმუმსაც არ აკეთებს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური ფონის გასაუმჯობესებლად.** რა საჭიროა ჯანდაცვის სამინისტრო, თუ ის ვერ უზრუნველყოფს მოქალაქეთათვის ღირსეული სადაზღვევო სისტემის მისაწვდომობას?!

**კითხვაზე, თუ რატომ იღებს მოსახლეობა საქონლისთვის განკუთვნილ პრეპარატ ACD ს, პასუხი ნათელია.**

**ოთარ დალაქიშვილი**

## მოკლედ



### მოშიმშილე სიკვდილმისჯილი

**ერაყის ყოფილი ვიცე-პრემიერი ტარიკ აზიზი, რომელსაც ერაყის უმაღლესმა სისხლის სამართლის სასამართლომ რამდენიმე დღის წინათ სიკვდილით დასჯა მიუსაჯა, შიმშილობს.** ერაყელ შიიტებთან ანგარიშსწორებაში სასამართლომ ის დამნაშავედ ცნო მას შემდეგ, რაც 1982 წელს ერაყელ დიქტატორს წარუმატებლად დაესხნენ თავს. ტარიკ აზიზმა ეს გადაწყვეტილება მაშინ მიიღო, როცა გაიგო, რომ ნათესავებთან შეხვედრის საშუალება არ ექნებოდა. ტარიკ აზიზის განაჩენი 30 დღის განმავლობაში ექვემდებარება გასაჩივრებას. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ, გაერომ, ევროკავშირმა და ვატიკანმა ერაყის საპრეზიდენტო საბჭოს, გულმოწყალებისკენ მოუწოდეს.



### ერაყი ამერიკელების დანაშაულს იძიებს

**ერაყი ამერიკელი სამხედროების მიერ მშვიდობიანი მოსახლეობის მკვლელობების საქმის გამოძიებას აპირებს.** WikiLeaks-ის მიერ გამოქვეყნებული დოკუმენტების შესწავლის შემდეგ, საგამოძიებო კომისიის შექმნის ინიციატივით ლიბერალურ-პატრიოტული ბლოკის „ალ-ირაკიას" წარმომადგენლები გამოვიდნენ. საუბარია ინტერნეტსაიტ ვიკილიკსზე ერთი კვირის წინათ გამოქვეყნებულ საიდუმლო ინფორმაციებზე, რომლებიც აშშ-ის მიერ ერაყში განხორციელებულ სამხედრო ოპერაციებსა და ამერიკელების მიერ მშვიდობიანი მოსახლეობის მკვლელობის ფაქტებს ეხება. ფრაქციის 50-მდე დეპუტატმა ხელი მოაწერა პარლამენტის სპიკერისადმი მიმართვას საკანონმდებლო ორგანოს საგანგებო სხდომის მოწვევის თაობაზე.



### ბელარუსში პრეზიდენტობის 11 კანდიდატია

**19 დეკემბრისთვის დაგეგმილ ბელარუსის საპრეზიდენტო არჩევნების კანდიდატებმა ცესკოს ხელმოწერები ჩააბარეს.** პრეზიდენტობის კანდიდატის სტატუსის მისაღებად პრეტენდენტებს 29 ოქტომბრამდე 100 ათასი ხელმოწერა უნდა შეეგროვებინა და საარჩევნო კომისიისთვის გადაეცა. თუმცა 100 ათასი მოხალისისათვის უმაღლესი ზღვარი არ იყო. როგორც ცენტრალური საარჩევნო კომისიის პრეს-მდივანმა ნიკოლაი ლოზოვიკმა განაცხადა, ცესკოში ხელმოწერები 11-მა პრეტენდენტმა წარადგინა. „პირველ ადგილზე ბელარუსის მოქმედი პრეზიდენტი ალექსანდრ ლუკაშენკოა, რომელმაც მილიონ ასი ათასზე მეტი ხელმოწერა წარმოადგინა", — განაცხადა ლოზოვიკმა.



საავტორო სვეტი

# ვარდისფერი სათვალის ნამსხვრევები

**2007 წლის 7 ნოემბრის შემდეგ სამი წელი გავიდა. ეს დღე საქართველოს უახლეს ისტორიაში წყალგამყოფის როლს ასრულებს. სწორედ 7 ნოემბრის შემდეგ ხელისუფლებისა და საზოგადოების დიდი ნაწილის გზები სამუდამოდ გაიყო. იმ დღიდან უამრავი ადამიანი საქართველოში აღარ აღიქვამს სააკაშვილის ხელისუფლებას საკუთარ ხელისუფლებად და არ სურს, მასთან რაიმე საერთო ჰქონდეს.**

თუ მომავლის რომელიმე მკვლევარი სააკაშვილის მმართველობის პერიოდით დაინტერესდება, ალბათ, ისტორიკოსთა ძველი ტრადიციის თანახმად, თავის ნაშრომს ორ დიდ ნაწილად დაჰყოფს, პირობითად „აღმასვლად" და „დაღმასვლად" და, ძალიან დიდი ალბათობით, ზღვარს ამ ორ პერიოდს შორის 2007 წლის ნოემბერზე გაავლებს. მაშინ ქვეყანაში უმწვავესი პოლიტიკური კრიზისი დაიწყო, რომელიც დაძლეული დღემდე არ არის, მეტიც — **7 ნოემბერმა საფუძველი ჩაუყარა მოვლენების ფატალურ სერიას, რომელიც ამ ავადსახსენებელი დღიდან ზუსტად 9 თვეში (გეგონება ნაყოფი ჩაისახა) 2008 წლის აგვისტოს კატასტროფით დაგვირგვინდა.**

ოპოზიციის ყველაზე დიდი წარმატება უახლეს ისტორიაში ასევე 2007 წლის ნოემბერს უკავშირდება; სააკაშვილი იძულებული გახდა, გადამდგარიყო და ვადამდელი არჩევნები დაენიშნა. წარმატება ძალიან ახლოს იყო, თუმცა ოპოზიციას არ ეყო ნებისყოფა და, შესაძლოა, პატიოსნება იმისთვის, რომ საბოლოო გამარჯვება მოეპოვებინა. იმ დღეებიდან მოყოლებული ქულების სწრაფი დაკარგვა საზოგადოების თვალში როგორც ხელისუფლებამ, ისე ოპოზიციამ დაიწყო და ეს პროცესი დღემდე გრძელდება, რამაც შეიძლება დაგვაფიქროს იმაზე, რომ **სრულიად პოლიტიკური ელიტა შექმნილი მდგომარეობის, ქვეყნის წინაშე მდგომი გამოწვევების ადეკვატური აღარ არის.**

**7 ნოემბერს პოლიციელების ხელკეტებმა დაამსხვრიეს ვარდისფერი სათვალე, რომლითაც ქართული საზოგადოება ამერიკის შეერთებულ შტატებს უყურებდა. ბევრი ადამიანი მივიდა დასკვნამდე, რომ დემოკრატია და სამართლიანობა საქართველოში ვაშინგტონისთვის პრიორიტეტს სულაც არ წარმოადგენს და ის მზად არის, გეოპოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე, სააკაშვილის ხელისუფლების მიერ დიქტატორული მეთოდების გამოყენებას დასთანხმდეს.** „აშშ-ში დამზადებული" დამსხვრეული ვარდისფერი სათვალე მიწაზე დავარდა, 2008 წლის აგვისტოში კი მას ტანკმაც გადაუარა; მაშინ თითქმის ყველა მიხვდა, რომ თავისი კავკასიელი მოკავშირის დასაცავად თეთრი სახლი მზად არ არის, თუნდაც ერთი ამერიკელი ჯარისკაცის სიცოცხლე საფრთხეში ჩააგდოს. ამასთანავე, **შტატები ჯიუტად განაგრძობდნენ კოლაფსამდე მისული სააკაშვილის ხელისუფლების მხარდაჭერას, რამაც ანტიამერიკული განწყობა საქართველოში კიდევ უფრო ძლიერი გახადა,** თუმცა არ დაგვავიწყდეს, რომ ყოველივე ისევ და ისევ 7 ნოემბერს დაიწყო, ის ამ თვალსაზრისითაც ათვლის წერტილს წარმოადგენს.

**2007-ში განადგურდა კიდევ ერთი ილუზია იმის თაობაზე, რომ საზოგადოებას ხელისუფლებაზე ზეგავლენის მოხდენა შეუძლია, რათა ის ევოლუციის გზით უკეთესობისკენ შეცვალოს.** უწინ არსებობდა საკმაოდ მყარი წარმოდგენა, რომ ყველაფერი ადრე თუ გვიან დალაგდება, ახალგაზრდა მმართველები დაღვინდებიან, შეცდომებს გამოასწორებენ და ქვეყანას დემოკრატიზაციისა და მოდერნიზაციის გზით წაიყვანენ. ამ მოლოდინებს ყველაზე დასამახსოვრებელი პასუხი, ალბათ, გივი თარგამაძემ გასცა ისტერიული და ამავე დროს, ისტორიული რეპლიკით: „სულს ამოგხდით!", ამის შემდეგ **ბევრი ადამიანი მივიდა დასკვნამდე, რომ ამ ხელისუფლებისგან რაიმე კონსტრუქციულის მოლოდინი მეტისმეტია** და საკუთარი პოლიტიკური კრედო მოკლე ფორმულის ფარგლებში „ან — ჩვენ, ან — ისინი" მოაქცია.

დღევანდელი გადასახედიდან კარგად ჩანს, რომ ხელისუფლებამ მაშინ ძალიან მნიშვნელოვანი და, შესაძლოა, საბედისწერო შეცდომა დაუშვა. იმ კრიზისის დარეგულირება პოლიტიკური მეთოდებით სავსებით შესაძლებელი იყო, თუმცა მან სხვა, ირაციონალური არჩევანი გააკეთა და პროტესტის ძალისმიერი ჩახშობა გადაწყვიტა. ამ არჩევანმა სააკაშვილი იძულებული გახადა, მომდევნო 3 წლის განმავლობაში გამუდმებით ებრძოლა ხელისუფლების შენარჩუნებისთვის და სულ უფრო არაპოპულარული ნაბიჯები გადაედგა. პროცესი ჯერაც არ დასრულებულა; გამორიცხული არაა, რომ იგი ბოლოს და ბოლოს მოიმკის იმას, რაც 2007 წლის 7 ნოემბერს დათესა.

**დიმიტრი მონიავა**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

## როლანდ ჯალაღანია:

# რუსეთის კეთილი ნების გარეშე აფხაზეთსა და სამაჩაბლოს ვერც ამერიკა დაგვიბრუნებს, ვერც — ნატო და ვერც — ევროკავშირი

**ცნობილი მწერლისა და პუბლიცისტის, გაზეთ „ილორის“ მთავარი რედაქტორისა და „ფაზისის“ აკადემიის წევრის როლანდ ჯალაღანიას გულისტკივილიან წერილებს მკითხველი კარგად იცნობს. იგი არასდროს ერიდება მწარე სიმართლის პირუთვნელად თქმას და, როცა „საქართველო და მსოფლიოსთვის“ ინტერვიუ ვთხოვეთ, უკვე ვიცოდით, რომ მრავალი საგაზეთო წერილისა და 32 წიგნის ავტორი არც ამჯერად დაიხევდა უკან.**



როლანდ ჯალაღანია 1941 წელს თბილისში დაიბადა. მოსკოვის პლეხანოვის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის კიბერნეტიკის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, 1965 წლიდან, მუშაობდა გაზეთებში — „ზარია ვოსტოკა“ და „თბილისი“, ჟურნალებში — „ნიანგი“ და „კროკოდილი“; იყო გამომცემლობა „მერანის“ დირექტორის მოადგილე და საქართველოს პოლიგრაფიისა და საგამოცემო საქმეთა კორპორაციის თავმჯდომარის მოადგილე. ჰყავს მეუღლე, შვილები და შვილიშვილები.

**— ბატონო როლანდ, ალბათ, უპრიანი იქნება, მწერალთან ინტერვიუ ქვეყნის ჭირ-ვარამზე საუბრით დავიწყოთ...**

— როგორც დიდი ილია ამბობდა, „რა გითხრათ, რით გაგახაროთ...“ ისეთი ქვეყანა ავაშენეთ, რომელიც გარეთ მტერს უბრმავებს თვალს, შიგნით კი — მოყვარეს!

წლები გავიდა „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, მაგრამ ჩვენთან არაფერი დალაგებულა. თავისთავად გარკვეულია ყველაფერი იმ ქვეყანაში, რომლის პრეზიდენტი სვეტიცხოვლობის ბრწყინვალე დღესასწაულზე მცხეთის სალობიეს სახალხო რესტორნის საპატიო წოდებას მიანიჭებს! ტურიზმის მანიით შეპყრობილი ჩვენი ხელისუფლებისთვის მცხეთა და სვეტიცხოველი მხოლოდ სალობიესთან ასოცირდება...

**სადღაც კუთხეშია მიგდებული განათლება, მეცნიერება, კულტურა... ხელისუფლება ამერიკელებს ბაძავს ჰომოსექსუალიზმისა და პროსტიტუციის პროპაგანდაში, გეიაღლუმების მოწყობაში, საქართველოს მდიდარ ტრადიციებთან დაუნდობელ ბრძოლაში, რელიგიური და ისტორიული ძეგლების დანგრევა-წაბილწვაში, ქალაქის ცენტრში უდანაშაულო ახალგაზრდების ხოცვა-ჟლეტაში, მშვიდობიანი დემონსტრაციების დარბევაში, ციხეების შენებაში, პოლიტიკურ პატიმართა მომრავლებაში, პატიმართა ცემასა და წამებაში, კორუფციასა და სხვა ბევრ უბედურებებში...**

**გამაოგნა იმის მოსმენამ, რომ ამას წინათ ქალაქის ცენტრიდან ვანდალურად აიღეს დიდი ქართველი მოღვაწისა და მეცენატის — დავით სარაჯიშვილის ძეგლი! ნუთუ ერთი ძეგლი მაინც არ ეკუთვნოდა კაცს, რომელმაც დიდი გასაჭირის ჟამს სათანადო ღვაწლი დასდო ქართულ კულტურასა და ხელოვნებას?**

ჩვენი დღევანდელი ყოფისა და მომავლის ბარომეტრს წარმოადგენს 2011 წლის თითქმის 7-მილიარდიანი ბიუჯეტის პროექტი, რომელიც მთავრობას სურს, წარადგინოს პარლამენტში დასამტკიცებლად. მასში არაა გათვალისწინებული პენსიებისა და შემწეობების ზრდა, სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების განხორციელების რეზერვი; სამაგიეროდ, სახელისუფლო ხარჯებში გაწერილია 900 მილიონ ლარზე მეტი. ეს ის თანხაა, რომლის გახარჯვის გაკონტროლებას ვერასოდეს შეძლებს ქართველი ხალხი და იგი, ალბათ, მოხმარდება სხვადასხვა ქვეყნებიდან სკანდალურად ცნობილი მომღერლებისა და სხვა ტუტრუცანა დედაკაცების საქართველოში ჩამოყვანას, რითაც ხელისუფალთა ხუშტურები დაკმაყოფილდება.

ახლახან ხელისუფლებამ გაგვიზიარა კიდევ ერთი ვერაგული ჩანაფიქრი, რომელიც საქართველოს გულში ჩაჭედებული უკანასკნელი ლახვარი იქნება. მათი მტრული პოლიტიკის შედეგად საქართველოდან გადახვეწილი მილიონზე მეტი ქართველი მშრომელი ადამიანის ნაცვლად, **ხელისუფლებას განზრახული აქვს, ჩვენთან ჩამოასახლონ ჰოლანდიელ ბურთა 42 ათასი ოჯახი. ჰოლანდიურად სიტყვა „ბური“ გლეხს ნიშნავს, მაგრამ ისიც ცნობილია, რომ ჰოლანდიელი გლეხები ყველაზე ზარმაცი და უვარგისი ხალხია.**

მათ მიერ საქართველოში შემოთესლილი ათასობით ინგლისურის მასწავლებელი ხომ დიდ ქართულ საქმეს აკეთებენ, ახლა მათ რომ უსაქმურ ჰოლანდიელებს ამატებენ!..

**— მაგრამ ამ პრობლემების მოძალებას მხოლოდ დღევანდელობას ვერ დავაბრალებთ. სულ რაღაც 20 წელიწადს ითვლის დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფო და უკვე „მოასწრო“ რამდენიმე ომის, მათ შორის სამოქალაქო ომის, გადატანა...**

— „ნაციონალთა“ მიერ ესოდენ მოძულებულმა საბჭოთა კავშირმა უმძიმესი ომი გადაიტანა, მაგრამ სტალინმა ომის დამთავრებიდან ორ წელიწადში გააუქმა საბარათო სისტემა და აალორძინა ეკონომიკა. თანაც მაშინ საბჭოთა კავშირს არავინ ეხმარებოდა და ყველაფრის შექმნა საკუთარი ხელებით გვიწევდა. ახლა კი საქართველოს დასახმარებლად საერთაშორისო ორგანიზაციებს მილიარდობით დოლარი აქვთ გადმორიცხული (საგარეო ვალებზე არაფერს ვამბობ, რომელიც მალე 10 მილიარდს მიუკაკუნებს), მაგრამ მოსახლეობის სოციალური პირობების გასაუმჯობესებლად, ხელმისაწვდომი ჯანმრთელობისა და განათლების სისტემის დასამკვიდრებლად არაფერი კეთდება. ადამიანებს სულს ხდის კომუნალური გადასახადები, რასაც მიზერული პენსია აღარ ჰყოფნის. ამის ფონზე, ვერ გამიგია, რა აქვთ სატრაბახო „ნაციონალებსა“ და მათ ბელადს, მსოფლიოს რომ იკლებენ — ბედნიერი ქვეყანა ავაშენეთო. თან ყალბ გამოკითხვებს ატარებენ და გაჰყვირიან, მოსახლეობა კვლავ გვიჭერს მხარსო.

ღმერთმა ნუ ინებოს, ქართველი ხალხი იმდენად დაჩლუნგდეს, რომ თავის მტანჯველსა და ამომგდებს დაუჭიროს მხარი. ჩვენ თვითონ გავიდეთ ქალაქში, გამოვკითხოთ ხალხი და თუ ათი პროცენტი მაინც დაუჭერს მხარს სააკაშვილსა და „ნაციონალებს“, მზად ვარ, საჯაროდ მოვიხადო ბოდიში და მეც მათ რიგებში ჩავდგე. **სააკაშვილმა და მისმა გარემოცვამ კარგად იციან, რომ უბრალო, გაღატაკებულ ხალხს ისინი ეზიზღება და, ამიტომ, არჩევნების გაყალბების გარდა, სხვა გზა არ დარჩენიათ. ამიტომ შეცვალეს ასე თავხედურად კონსტიტუცია და ახლა უნდათ ხალხის ყური შეაჩვიონ იმ ამბავს, რომ სააკაშვილი პრემიერ-მინისტრად მოგვევლინოს. ეს ხომ საქართველოს საბოლოოდ დაქცევის ტოლფასი იქნება.**

ამერიკელებმაც და ევროპელებმაც კარგად იციან ქართველი ხალხის ზიზღისმიერი დამოკიდებულება ეთნიკურად და სულიერად არაქართველი სააკაშვილისადმი და, ალბათ, ავადმყოფ ერად ჩაგვთვლიან, თუ დარწმუნდებიან, რომ ქართველ ერს „ნაციონალების“ ყურმოჭრილ მონებად დარჩენის სურვილი გვაქვს მოძალებული!

არადა, ხალხში აშკარად დიდი უარყოფითი მუხტია დაგროვებული, რომელმაც, არჩევნების გაყალბების შემთხვევაში, გამორიცხული არ არის, დაიწყოს უმართავი პროცესები, რაც დამღუპველი იქნება საქართველოსთვის.

**ვერ გამიგია, რა დამსახურებისთვის უნდა დაუჭიროს ხალხმა მხარი სააკაშვილს, რომელიც არაფერს აკეთებს პენსიებისა და შემწეობების გასაზრდელად, რომელსაც მონოპოლიზირებული აქვს საწვავის ბიზნესი, რომელიც ყურადღებას არ აქცევს უკიდურესად გაუარესებულ სოციალურ პირობებს და გატანჯული ხალხის გმინვას, რამაც ლამის დაცალა საქართველო ქართველებისგან და ახლა 42 ათასი ბური ოჯახის ჩამოსახლებას აპირებს საქართველოში.**

განა მხოლოდ იმის გამო შეიძლება დაგიჭირონ მხარი, რომ გააკეთე კარგი გზები და გადააკეთე პოლიცია? როგორც იტყვიან, ამისთვის გმადლობთ, მაგრამ ახლა სხვას მიეცი ქვეყნის გადარჩენის საშუალება, რადგან შენს ხელში ქართული ფენომენი აშკარად დასაღუპადაა განწირული!..

განა თვალშისაცემი არ არის მმართველი გუნდის შეუთავსებლობა საქართველოს რეალობასთან, მის წარსულთან? განა ესენი არ ებრძვიან და მთელი სისასტიკით არ ანადგურებენ განათლებას, კულტურას, მეცნიერებას, ისტორიულ გმირთა ძეგლებსაც კი? სამაგიეროდ, გმირებად „გვტენიან“ ჰომოსექსუალებს, მეძავებს, ნარკომანებს, სხვა ანომალიურ წარმონაქმნებს... და ამას რეფორმას უწოდებენ!

ამ უბედურებებს სათავე დაუდო ედუარდ შევარდნაძემ, როცა მოახდინა ხელისუფლების უზურპაცია და ქვეყანა სამოქალაქო ომის ქარცეცხლში გახვია...

**— თქვენი გაზეთი „ილორიც“ ხშირად ამახვილებს ყურადღებას იმდროინდელ მოვლენებზე — სამოქალაქო ომს ვგულისხმობ. ყველას გვახსოვს, რომ სახალხო მოძრაობა „სამეგრელოც“ აქტიურად მუშაობდა, რათა პოლიტიკოსთა სიავკაცით გამოწვეული ბრაზი და წყენა ქართველებს შორის დაპირისპირებაში არ გადაზრდილიყო, საქართველოს კუთხეები ერთმანეთს არ დაპირისპირებოდნენ...**

— ეს ის დროა, როცა სახელისუფლო ბანდფორმირებები ისეთივე სისასტიკით უსწორდებოდნენ სამეგრელოს მოსახლეობას, როგორც ამას აფხაზეთში აკეთებდნენ. ფაქტობრივად, ეს იყო ომი ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგ, რომელიც არასგზით არ დაუშვებდა ქვეყანაში შევარდნაძის მიერ ტოტალური მმართველობის დამკვიდრებას.

**სწორედ სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ დაფუძნებით იხსნა ალექსანდრე ჭაჭიამ მაშინ ეს ულამაზესი კუთხე საბოლოო გაჩანაგებისგან,**

**მაგრამ შევარდნაძის ბანდფორმირებების მიერ სამეგრელოსთვის მიყენებული ჭრილობა კიდევ დიდხანს არ მოშუშდება...**

**ქართველებს შორის დაპირისპირების ეს ტალღა თითქოს ჩაცხრა, მაგრამ ახლა კორუმპირებული ხელისუფლება დაუპირისპირდა მოძრაობას და პირადად ალექსანდრე ჭაჭიას. წაიკითხეთ ალექსანდრე ჭაჭიას მიერ იმ პერიოდში დაწერილი პუბლიცისტური წერილები და წამსვე დარწმუნდებით, თუ ვინ იყო მართალი ჭაჭიასა და „მოქალაქეთა კავშირის“ მესვეურებს შორის გაღვივებულ დაპირისპირებაში. ავი სიზმარივით აგვიხდა ბატონი ალექსანდრეს მიერ ნაწინასწარმეტყველები!..**

**— რაც მოხდა, ვერავინ იტყვის, რომ კარგია, მაგრამ თითქოს ჭკუისსასწავლი გაკვეთილი კი უნდა ყოფილიყო. დღევანდელობას დავუბრუნდეთ. სადღაც, ალბათ, გამოსავალიც არსებობს, მაგრამ საქართველო მაინც ვერ ახერხებს ამ დახშული სივრციდან თავის დაღწევას, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას... თქვენ სად ხედავთ ხსნას?**

— გამორიცხულია, რომ სააკაშვილის ხელში საქართველო ოდესმე გამთლიანდეს, რადგან რუსებს მასთან საუბარი, მრავალ მიზეზთა გამო, არ სურთ. **რუსეთის კეთილი ნების გარეშე აფხაზეთისა და სამაჩაბლოს შემოერთებაზე საუბარი რომ აუსრულებელი ილუზიაა, ამაში არც ჩვენს ბატონ-„პატრონ“ ამერიკელებს ეპარებათ... ამ ტერიტორიებს ვერც ამერიკა დაგვიბრუნებს, ვერც — ნატო და ვერც — ევროკავშირი.**

მაშინ, ვერ გამიგია, როგორ უნდა გაამთლიანოს საქართველო სააკაშვილმა? რუსებმა კეთილი ნება გამოავლინეს და სოფელი პერევი დატოვეს. ვერ ვიტყვი, რომ ამან დიდად აღაფრთოვანა საქართველოს ხელისუფლება, რადგან საქართველოსთვის დაკარგული ტერიტორიების დაბრუნება იმას ნიშნავს, რომ სააკაშვილი და მისი დანაშაულებრივი გარემოცვა ველარ მიითვისებენ საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ლტოლვილთათვის გამოყოფილ მილიონებს! ▶

**ხელისუფლებას ალექსანდრე ჭაჭიას რჩევები უნდა შეესმინა, უპირველესად კი, უნდა ეხელმძღვანელა მის მიერ შემუშავებული „საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სტრატეგიითა და ეროვნული იდეით“, სადაც პუნქტობრივადაა ჩამოწერილი ქვეყნის წინსვლის კონცეფცია**

◀ ასე რომ, **საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა დიდი ფინანსური დარტყმა იქნება საქართველოს სახელისუფლო მაფიისთვის!**

რუსეთის კეთილი ნების საპირწონედ საქართველოს ხელისუფლებამ იმის მეტი ვერაფერი მოიფიქრა, რომ ჩრდილოკავკასიელებისთვის უვიზო რეჟიმი შემოეღო! მართლა დიდი მოთმინების უნარი აქვთ რუსებს, ამათ არაპოლიტიკურ და არაეთიკურ საქციელს რომ ითმენენ, თორემ, **ხომ შეიძლება, რუსებმაც გამოაცხადონ მათ ტერიტორიაზე უვიზოდ შესვლის რეჟიმი მეგრელებისა და აჭარლებისთვის? ეს ხომ საქართველოს დაშლის წინაპირობა იქნება!**

მაგრამ, რა გარანტია გვაქვს, რომ სწორედ აქეთკენ არ მიისწრაფვის სააკაშვილი და მისი დანაშაულებრივი გარემოცვა? ჩვენ კი, ჩვენის მხრივ, ყველაფერი უნდა გავაკეთოთ საიმისოდ, რომ, რაც შეიძლება მალე აღვადგინოთ რუსებთან საქმიანი კავშირები და კეთილმეზობლური დამოკიდებულება...

**— მაგრამ, ბატონო როლანდ, იქნება კი ეს საშველი? აგვისტოს ომის შემდეგ ეს ტერიტორიები რუსეთმა დამოუკიდებელ სახელმწიფოებად ცნო და, ბუნებრივია, თავის გადაწყვეტილებას უკან არ წაიღებს.**

— ალბათ, ამ ომსაც ავიცილებდით თავიდან, ცოტა მეტი გონიერება რომ გამოეჩინა საქართველოს ხელისუფლებას და ჭკვიანი ადამიანების რჩევები გაეთვალისწინებინა... **გეხსომებათ, ალბათ, საგაზეთო წერილი: „ექვსი გაუთვალისწინებელი რჩევა, რაც აგვისტოს ომსა და ტერიტორიების დაკარგვას აგვაცილებდა“, სადაც უაღრესად სასარგებლო რეცეპტია გამოწერილი ხელისუფლებისთვის, მაგრამ, მათ რომ ალექსანდრე ჭაჭიას რჩევებისთვის ყური ეგდოთ, უპირველესად მის მიერ შემუშავებული „საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სტრატეგიითა და ეროვნული იდეით“ უნდა ეხელმძღვანელათ, სადაც პუნქტობრივადაა ჩამოწერილი ქვეყნის წინსვლის კონცეფცია.**

მე ხუთი წელი მოსკოვში ვისწავლე, 18 წელი საკავშირო ჟურნალ **„კროკოდილში“** ვიმუშავე, უამრავი მეგობარი მყავს რუსეთში (თავი დავანებოთ მილიონამდე ქართველს, რომლებიც რუსეთში საქმიანობენ და იქიდან არჩენენ ოჯახებს) და არავის უნდა გაუკვირდეს, რომ რუსეთი ასე იოლად არ მეთმობა. დღეს ჩვენ კავკასიონის გაღმა-გამოღმიდან ვუკიჟინებთ ერთმანეთს ჩვენს იმ სიგლახეებზე, რასაც ანგაჟირებული პოლიტიკოსები გვკარნახობენ...

**— ბატონო როლანდ, მკითხველს პესიმისტურ განწყობას ნუ შევუქმნით, ამაზე რთული წინააღმდეგობებიც დაუძლევია საქართველოს. სჯობს, ოპტიმისტურად დავამთავროთ ჩვენი საუბარი...**

— ისევ 90-იანი წლების რუსულ სარეკლამო კლიპს გავიხსენებ, სადაც მსახიობი ნონა მორდიუკოვა ამბობს: **„ყველაფერი კარგად იქნება!“,** მეც მწამს, რომ ყველაფერი კარგად იქნება, მაგრამ არა მხოლოდ იმიტომ, რომ საქართველო მარიამ ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა, არამედ იმიტომ, რომ ქართველ კაცს გონება გაუნათდება და საბოლოოდ გაარჩევს, **„ვინ მოყვარეა, ვინ — არა“!**

ესაუბრა
**მიხეილ წერეთელი**

---

# გამგებლის მოადგილემ ჟურნალისტს საქმის გასარჩევად კანონიერი ქურდები მიუგზავნა

**დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა, გარემოს დაცვისა და ქონების მართვის კომისიის თავჯდომარე, გამგებლის ყოფილი მოადგილე გელა თეთრაული ინტერნეტ-გაზეთ „ქიზიყის“ რედაქტორ ილია მარტყოფლიშვილისგან მორალური ზიანის ანაზღაურებისთვის 10000 ლარის გადახდას ითხოვს. „ჟურნალისტმა წამიშალა და გამინადგურა მომავალი, იძულებული გავხდი გამგებლის მოადგილეობიდან წამოვსულიყავი საკრებულოში. საგრძნობლად შემიმცირდა შემოსავალი. ჩემს კარიერულ ზრდას ხაზი გადაესვა. ჩემმა მეუღლემ მიატოვა სამსახური და არის უმუშევარი“, — აცხადებს გელა თეთრაული. ჟურნალისტი ილია მარტყოფლიშვილი კი ჩვენთან ინტერვიუში უარყოფს აღნიშნულ ფაქტებს და ამბობს, რომ შეურაცხმყოფელი და ცილისმწამებლური ინფორმაცია არასოდეს გამოუქვეყნებია და მზად არის, სასამართლოს წინაშე წარსდგეს.**



ილია მარტყოფლიშვილი

**კუდის ადგილობრივი თანამშრომელი სოსო ბენაშვილი სახლში მიუვარდა ჟურნალისტ თამილა გურაშვილს, რომელიც მარტო ზრდის 12 წლის ბავშვს და გაუპატიურებით დაემუქრა, თუ მისთვის არასასურველ ინფორმაციას საჯაროდ გაავრცელებდა**

**— კონკრეტულად რას გედავებათ „ნაციონალური მოძრაობის“ დეპუტატი, დედოფლისწყაროს საკრებულოს წევრი გელა თეთრაული?**

— სარჩელში არ არის საუბარი რომელიმე კონკრეტულ მასალაზე. ეს ადამიანი, სამი წელია, დედოფლისწყაროს საკრებულოს წევრია. თავდაპირველად, მე პირდაპირი ურთიერთობები ბატონ გელა თეთრაულთან არ მქონია, მიუხედავად იმისა, რომ პირველი ორი კრიტიკული მასალა მის შესახებ უკვე არსებობდა. **იმ ფონზე, როდესაც რაიონში ბევრი აქტიური სახეა, ამ პიროვნებას არ იცნობდნენ და შესაბამისად, გაჩნდა ჟურნალისტებისა და ხალხის ეჭვი, თუ რატომ ინიშნება ქუჩიდან მოსული ადამიანი გამგებლის მოადგილედ მაშინ, როცა ბევრად განათლებული, გავლენიანი და გამოცდილი პიროვნებები ამ თანამდებობას ვერ იკავებენ.**

კარგად მახსოვს, მის შესახებ მომზადებული პირველი კრიტიკული მასალა, რომელიც რეგიონში უფასო სასადილოების თემას შეეხო. თეთრაულის გამგებლის მოადგილედ დანიშვნის შემდეგ, მისი მეუღლე, ქალბატონი ფიქრია წიკლაური უფასო სასადილოს დირექტორად მოგვევლინა. ამ ოჯახს ასევე ეკუთვნის სუპერმარკეტების ქსელი, რომლიდანაც ხდება უფასო სასადილოს პროდუქტებით მომარაგება (ყოველდღიურად ამ სასადილოთი 80-დან 100 კაცამდე სარგებლობს), ანუ ერთგვარი საოჯახო ბიზნესი ჩამოყალიბდა. შესაბამისად, ეს პიროვნება უმოკლეს დროში მოექცა საზოგადოების ყურადღების ცენტრში.

ასევე საყურადღებოა ერთი ფაქტი: **დედოფლისწყაროში ორი უფასო სასადილო ფუნქციონირებს. იმ სასადილოში, რომლის დირექტორიც ფიქრია წიკლაური იყო** (ამჟამად ის აღარაა დირექტორი), **წლიური დაფინანსება შეადგენდა 60 ათას ლარს, მაშინ, როცა სათნოების სახლ „სავანის“ ბიუჯეტი განისაზღვრებოდა მხოლოდ 20 ათასი ლარით.** ასევე გავითვალისწინოთ, რომ „სავანის“ უფასო სასადილოთი გაცილებით მეტი ბენეფიციარი სარგებლობს. ეს მიანიშნებს იმაზე, რომ გამგებლის მოადგილემ საკუთარ მეუღლეს დიდი თანხა გადაუტყორცნა და მისცა საშუალება, თავისი ოჯახის სასარგებლოდ ემუშავა. ცალკე საუბრის თემაა სასადილოში მომზადებული საკვების კალორიულობა, უხეში დამოკიდებულება ბენეციარებისადმი, რაც სისტემატიურ ხასიათს ატარებდა.

ჟურნალისტის მოვალეობაც ხომ რეალობის ობიექტურად ჩვენებაა. შესაბამისად, ამდაგვარი მოვლენების აქტიურად გაშუქებაც მიზანმიმართული მხოლოდ თეთრაულისადმი არ ყოფილა, რასაც ის ბრალად მდებს. ჩემი ბრალი სულაც არ არის, რომ ეს ოჯახი ხშირად ეხვეოდა სკანდალებში. მე მისთვის სრულებით არ შემილახავს იმიჯი საზოგადოებაში. ჩემი სტატიები არ შეურაცხყოფს პიროვნების ღირსებას. შესაბამისად, თეთრაულის სარჩელიც სრულიად დაუსაბუთებელი და არარეალურია. ხოლო სასამართლო რას გადაწყვეტს, ამას დრო გვიჩვენებს.

**— იყო თუ არა პირადად თქვენს მიმართ ანგარიშსწორების, ზეწოლის მცდელობები პროფესიული საქმიანობის შესრულებისას?**

— ამ მასალების გამოქვეყნებას მწვავე რეაქციები მოჰყვა ბატონი თეთრაულის მხრიდან. ერთ მნიშვნელოვან ფაქტს გავიხსენებ. **მაშინ, როდესაც „ნაციონალები“ ღიად ებრძოდნენ „კანონიერ ქურდებს“, ეს იყო დაახლოებით სამი წლის წინათ, თეთრაულმა ჩემს ოჯახს მოუგზავნა ე. წ. კანონიერი ქურდები, ძმები გიგიჩეები და შემომითვალეს – თეთრაულს თავი დაანებოო.** მე ეს ფაქტი გაზეთში არ გამომიქვეყნებია, თუმცა შემეძლო რომ დამეწერა, მაგრამ სიტუაციის მეტად დაძაბვისგან თავი შევიკავე. ეს ამბავი აღარ დავიხვიე ხელზე, თუმცა პიარისთვის საუკეთესო საშუალება იყო, რომ თემა ამეტაცებინა. დღეს კი თეთრაული აქეთ მდებს ბრალს, „კანონიერი ქურდების“ მოგზავნის ამბავი შენი მოგონილიაო.

**— საერთაშორისო ორგანიზაციამ „რეპორტიორები საზღვრებს გარეშე“ გამოაქვეყნა პრესის თავისუფლების რეიტინგი, რომელშიც საქართველომ მე-100 ადგილი დაიკავა, რაც წინა წლის მონაცემთან შედარებით და ზოგადად, არასახარბიელო პოზიციაა. პრესის თავისუფლების თვალსაზრისით, საქართველოს რეგიონებში საგანგაშო მდგომარეობაა. ამ მხრივ როგორ შეაფასებთ კახეთის მედიასივრცეს და რამდენად თავისუფალია ის?**

— კახეთში სატელევიზიო სივრცე მთლიანად „ნაციონალური მოძრაობის“ პიარს ემსახურება. არის შემთხვევები, როდესაც საჯარო მოხელეები უარს აცხადებენ მათთვის არასასურველ ჟურნალისტებს მისცენ კომენტარი და მიაწოდონ საჯარო ინფორმაცია. თუმცა ამ ფონზე არის დამოუკიდებელი რადიომაუწყებელი „ჰერეთი“, რომელიც საათში ერთხელ, ობიექტურ ფაქტებზე დაყრდნობით, მაუწყებლობს. რადგან ტელევიზია გაცილებით პოპულარულია, ვიდრე რადიო, ადგილობრივი მოსახლეობა ობიექტური, რეალური ინფორმაციის მიღების თვალსაზრისით ვაკუუმშია.

**ხელისუფალნი ჩვენზე ყოველთვის ახდენდნენ ზეწოლას. მაგალითად, კუდის ადგილობრივი თანამშრომელი სოსო ბენაშვილი სახლში მიუვარდა ჟურნალისტ თამილა გურაშვილს, რომელიც მარტო ზრდის 12 წლის ბავშვს და გაუპატიურებით დაემუქრა, თუ მისთვის არასასურველ ინფორმაციას საჯაროდ გაავრცელებდა. ამ საკითხზე კახეთის სამხარეო პროკურატურამ სისხლის სამართლის საქმეც კი აღძრა, გამოძიებაც დაიწყო, თუმცა რამდენიმე დღეში ეს საქმე პროკურატურაში აღარავის ახსოვდა, ანუ დაიხურა.**

ჟურნალისტურ საქმიანობაში ხელისშემშლელი ფაქტებიდან კიდევ ერთს გავიხსენებ. სოფელ გოზაანის გამგებელი გოჩა კაჭაშვილი, რომელიც თავიდან პოლიციის თანამშრომელი იყო, ადგილობრივ არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე, სოფლის რწმუნებულად მოგვევლინა. ჩვენ, ჟურნალისტებმა, მისი ამ თანამდებობაზე გადაყვანა გარკვეულ ეჭვებს დავუკავშირეთ და რამდენიმე კრიტიკული სტატიაც კი მივუძღვენით ამ თემას. ეჭვი გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ ამ ნაბიჯით (პოლიციელის დროებით მმართველად დაყენებით) ხელისუფალნი უფრო ადვილად გააკონტროლებდნენ მომავალ ადგილობრივ არჩევნებს და საბოლოოდ სასურველ შედეგებსაც დადებდნენ. ერთ-ერთ შეკრებაზე გარკვეული ინციდენტიც კი მოხდა მასა და ჟურნალისტს შორის. მაშინ, როდესაც ჟურნალისტი ცდილობდა კაჭაშვილისთვის სურათის გადაღებას, მას ეს არ მოეწონა. მოგვიანებით კი ბატონმა კაჭაშვილმა შეიტანა უსაფუძვლო სარჩელი ჟურნალისტის წინააღმდეგ, სადაც ეწერა, რომ თითქოს ჟურნალისტმა მას ჩაქუჩი ჩაარტყა და მიაყენა ფიზიკური შეურცხყოფა. სასამართლო სხდომებზე ჟურნალისტი წარმოდგენილი იყო არა როგორც დაზარალებული, არამედ — ბრალდებული. ასეთი პარადოქსული საქმეებით სავსეა კახეთის რაიონული პროკურატურა.

**ამ ყველაფრის ფონზე კი ძალზე კომიკურია პარლამენტის თავჯდომარის, ბატონ დავით ბაქრაძის განცხადება „მედიამფლობელების გამჭვირვალობის“ შესახებ. ეს არ არის რეალური, შედეგის მომცემი ინიციატივა. მაშინ, როდესაც ხელისუფლების ინტერესებშია მედიასივრცის პირდაპირი თუ არაპირდაპირი კონტროლი, ეს სიტყვიერი დაპირება მხოლოდ ფსევდო დაპირებად დარჩება.**

ესაუბრა
**ოთარ დალაქიშვილი**

---

## მოკლედ



### ბაზრის ახალი მაკონტროლებელი

**ევროკავშირის წინაშე აღებული ერთ-ერთი ვალდებულების შესაბამისად, ამიერიდან საქართველოს ბაზრის ყველა სეგმენტს ანტიმონოპოლიური სამსახური გააკონტროლებს, თუმცა, საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანა სასამართლოს პრეროგატივა იქნება.**

ანტიმონოპოლიური სამსახური ჩაატარებს მოკვლევებს და შედეგებს სასამართლოს წარუდგენს, ეს უკანასკნელი კი სანქციებთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას მიიღებს იმ კანონის საფუძველზე, რომლის პროექტსაც პარლამენტს ერთი თვის ვადაში წარუდგენენ. ანტიმონოპოლიურ სამსახურს შეეძლება გამოიყენოს სტატისტიკის დეპარტამენტის ინფორმაცია.



### მითი პოზიციის ერთიანობაზე

**ვიდრე ოპოზიცია დაქსაქსული იქნება, მისი ყოველი ნაბიჯი სააკაშვილის რეჟიმს ხელისუფლებაში ყოფნის დროს გაუხანგრძლივებს. ამ უმნიშვნელოვანეს დასკვნამდე კონსერვატორების ერთ-ერთი ლიდერი კახა კუკავა მას შემდეგ მივიდა, რაც ოპოზიციური ერთიანობის იდეის ჩამოყალიბებისთვის ბევრი უშედეგო შეხვედრა მოიარა.** ჭადრაკის სასახლეში გამართულ საზოგადოებრივი მოძრაობების საინიციატივო ჯგუფის შეხვედრაზე ქვეყნის პოლიტიკური კრიზისიდან გამოყვანის გზებზე ხანგრძლივი და ამომწურავი საუბრების შემდეგ კუკავამ იმედი გამოთქვა, რომ დარბაზის იმდღევანდელი ემოცია იქვე არ დარჩებოდა და სტრუქტურულ ბრძოლაში გადაიზრდებოდა.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

# ელექტროენერგიის, წყლისა და დასუფთავების გაერთიანებულ გადასახადს მალე ბუნებრივი აირიც მიემატება

**1 ოქტომბერს „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ კანონში ცვლილებები შევიდა. იგი ელექტროენერგიის, წყალმომარაგებისა და დასუფთავების მომსახურების გადასახადის გაერთიანებას ითვალისწინებს. ცვლილებების მიხედვით, თუ მომხმარებელი რომელიმე დავალიანებას არ დაფარავს, მას გაეთიშება სხვა დანარჩენი, თუნდაც გადახდილი, მომსახურება. სანქციები, კანონში შესული ცვლილებების მიხედვით, შეეხება მხოლოდ თბილისის მცხოვრებლებს.**



საკანონმდებლო ცვლილების ავტორი პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტია. თავდაპირველად ამ ინიციატივას დეპუტატები კრიტიკულად შეხვდნენ. მაშინ, როგორც ოპოზიციამ, ასევე უმრავლესობამ ცვლილების მხარდაჭერაზე უარი განაცხადეს. მიუხედავად ამისა, ცვლილების ავტორმა პროექტის უმოკლეს ვადაში განხილვა და დაჩქარებული წესით მიღება მოითხოვა, რაც შესრულდა კიდეც. საკანონმდებლო ცვლილება 114 ხმით 4-ის წინააღმდეგ დამტკიცდა და პრეზიდენტმაც მოაწერა ხელი.

**საქართველოს წყალმომარაგებისა და ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარე გურამ ჩალაგაშვილი განმარტავს, რომ ცვლილება არ ეხება გაზის გადასახადს. გაერთიანდება მხოლოდ წყლის, ელექტროენერგიისა და დასუფთავების გადასახადი.**

აღნიშნული მომსახურების ქვითარი, გაერთიანებული სახით, თბილისის მცხოვრებლებს, დიდი ხანია, ურიგდებათ, თუმცა აქამდე მოქალაქეს არ ჰქონდა ვალდებულება, სამივე გადასახადი ერთად გადაეხადა. ცვლილების მიხედვით კი, **თუ ერთის დავალიანება მაინც ერიცხება მოქალაქეს, მას სხვა დანარჩენის მიწოდებაც შეეზღუდება.**

**გამომდინარე იქიდან, რომ წყლისა და დასუფთავების შეზღუდვა კონკრეტულად ერთი პირისთვის, შესაბამისი ინფრასტურქტურის გამო, ვერ მოხდება, სანქცია ეხება მხოლოდ ელექტროენერგიით მომარაგების შეზღუდვას.**

**ახალი კანონი მომავალი წლის პირველი იანვრიდან ამოქმედდება.**

განხორციელებული ცვლილებებით, ელექტროენერგიის, ბუნებრივი გაზის, წყალმომარაგებისა და დასუფთავების მომსახურება და შესაბამისი საფასურის გადახდა ეფუძნება ადმინისტრირების ერთიან ინტეგრირებულ და კოორდინირებულ სისტემას, ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისიის გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობებით.

**თუ ერთის დავალიანება მაინც ერიცხება მოქალაქეს, მას სხვა დანარჩენის მიწოდებაც შეეზღუდება**

კომისია განსაზღვრავს ადმინისტრირების ერთიანი სისტემის გავრცელების არეალს და ამ სისტემით მომსახურების გამწევ პირებს.

ადმინისტრირების ერთიანი სისტემის მეშვეობით მომსახურების ადმინისტრირება ხორციელდება ადმინისტრატორსა და მომსახურების გამწევ სხვა პირებს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. ხელშეკრულების გაფორმებისას მხარეები ვალდებულნი არიან იხელმძღვანელონ მინიმალური ღირებულების პრინციპით და ხელშეკრულება გააფორმონ არადისკრიმინაციულ და სამართლიან საფუძველზე.

მხარეთა შეუთანხმებლობის შემთხვევაში, გადაწყვეტილებას კომისია მიიღებს. ადმინისტრატორი ადმინისტრირების ერთიანი სისტემის მეშვეობით მომსახურების გაწევისას ვალდებულია, ქვითარში ასახული ერთ-ერთი საფასურის გადაუხდელობის ან არასრული გადახდის შემთხვევაში, შესაბამის მომხმარებელს შეუწყვიტოს თავისი მომსახურება, რაც არ არის ადმინისტრატორის მიერ მომხმარებლის წინაშე სახელშეკრულებო ვალდებულებების დარღვევა.

კანონშივე არის გაწერილი, რომ **„მომსახურების გამწევი პირები ვალდებული არიან, 2011 წლის პირველ იანვრამდე უზრუნველყონ მათ ხელთ არსებულ მონაცემთა ბაზების საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის, სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს მონაცემთა ბაზასთან შესაბამისობა“.**

სემეკის თავმჯდომარე გურამ ჩალაგაშვილი ამბობს, რომ **კომუნალური გადასახადების ერთიანი სისტემით ადმინისტრირების ახალ წესში ბუნებრივი გაზის გადასახადი არ იქნება ჩართული.** თუმცა „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონში ახლადშეტანილი 496-ე მუხლის პირველ პუნქტში წერია: **„ელექტროენერგიის, ბუნებრივი გაზის, წყალმომარაგების და დასუფთავების მომსახურება (შემდგომში — მომსახურება) და შესაბამისი საფასურის/მოსაკრებლის გადახდევინება ეფუძნება ადმინისტრირების ერთიან ინტეგრირებულ და კოორდინირებულ სისტემას (შემდგომში — ადმინისტრირების ერთიანი სისტემა) კომისიის გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობებით.“**

შესაბამისად, **კანონი მომავალში ამ სისტემაში ბუნებრივი გაზის გადასახადის ჩართვასაც ითვალისწინებს.** საქართველოს სხვა ქალაქებსა და რაიონებში ახალი კანონი ჯერ არ ამოქმედებულა და არც იმას აკონკრეტებს, როდიდან გავრცელდება შეცვლილი კანონი საქართველოს დანარჩენ მოსახლეობაზე.

**ძველი დავალიანებების ამოღების ყველაზე დიდი პრობლემა „თბილისის წყალს“ აქვს. იმის გამო, რომ მრიცხველები არ არის და კომპანია ურჩ გადამხდელს წყლის მიწოდებას ვერ უწყვეტს, მოსახლეობის ნაწილი გადასახადს თვეებისა და ზოგჯერ წლების განმავლობაში არ იხდიდა.**

**კომპანიამ დავალიანების მქონე პირებს რამდენიმე თვის წინათ გადასახადის განაწილება და შეღავათიანი გრაფიკით დაფარვა შესთავაზა, მაგრამ თანხის სრულად მობილიზება ვერ შეძლო.** ამიტომ კომპანიის დახმარება საკანონმდებლო ცვლილებით გადაწყვიტეს. ზარალის ანაზღაურების მიზნით, ცოტა ხნის წინათ „თბილისის წყალმა“ ტარიფის გაზრდის თხოვნით სემეკსაც მიმართა, მაგრამ კომისიამ მისი განაცხადი არ დააკმაყოფილა. კომისიაში **ხელახალი გაანგარიშების შემდეგ აღმოჩნდა, რომ წყლის რეალური ტარიფი ამჟამად არსებულ საფასურზე (1 სულზე 2,40 ლარი) ნაკლები უნდა იყოს.**

ურჩ გადამხდელებს რომ დავალიანების დაფარვა აიძულოს, წყლის კომპანიამ მოსახლეობის სატელეფონო გაფრთხილების გზას მიმართა. აბონენტებს შპს „საფინანსო-საკრედიტო ბიურო“ ურეკავს და ეუბნება, „თბილისის წყლის“ ოფისებს მიაკითხონ. თუმცა ეს გზაც ვერ აღმოჩნდა ეფექტური. ახალი კანონის მიღების შემდეგ კი მოქალაქე იძულებული იქნება, ნელ-ნელა მაინც გადაიხადოს დაგროვილი დავალიანება. წინააღმდეგ შემთხვევაში მას ელექტროენერგია არ მიეწოდება.

ათასწლეულის ყველაზე ცივი ზამთრის ელექტროენერგიის გარეშე გადატანა, დამეთანხმებით, ყველას გაუჭირდება.

**ლილი მიროტაძე**

## მოკლედ



### უსამართლო ექსპერტიზა

**„რესპუბლიკური პარტიის“ დასკვნით, ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო მხოლოდ მისთვის გასაგები მეთოდებითა და კრიტერიუმებით აფასებს ქონებას და მისი დასკვნები საერთაშორისო სტანდარტებს არ შეესაბამება.** როგორც პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა სოფო ხორგუანმა განაცხადა, სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნებით, ძირითადად, აღმასრულებელი ხელისუფლება სარგებლობს, თუმცა საჯარო სამართლის იურიდიული პირის ექსპერტიზის ეროვნული დასკვნები ქვეყანაში აღიარებულ საერთაშორისო სტანდარტებს არ შეესაბამება. არადა, ამ ბიუროს დასკვნის საფუძველზე გამოიცემა აქტი, განისაზღვრება საგადასახადო ვალდებულებები და ჯარიმა-სანქციები.



### უფლებებს ადვოკატებსაც ურღვევენ

**„ადვოკატთა ასოციაციის“ თავმჯდომარის — ზაზა ხატიაშვილის მტკიცებით, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ადვოკატებისა და მათი დაცვის ქვეშ მყოფი პირების უფლებები უხეშად ირღვევა.** ადვოკატებს თავიანთი დაცვის ქვეშ მყოფებთან შესახვედრად ჯერ რამდენიმე საათის ან დღის განმავლობაში უწევთ რიგში დგომა, შეღწევის შემთხვევაში კი ადვოკატთა უფლებების უხეში დარღვევით მათ საგულდაგულოდ ჩხრეკენ. ადვოკატთა მიმართ არაჰუმანური დამოკიდებულების თვალსაჩინო მაგალითი საერთაშორისო ორგანიზაციების დონორობით აშენებული გლდანის მე-8 საპყრობილეა. ხატიაშვილი საქართველოში მოღვაწე საერთაშორისო ორგანიზაციების უმრავლესობისა და ევროკავშირის წარმომადგენლობის ურეაქციობითაა აღშფოთებული.



### თურქეთისთვის საშიში აღარ ვართ

**თურქეთის ეროვნული უშიშროების საბჭომ სირია, ბულგარეთი, სომხეთი, ირანი და საქართველო იმ ქვეყნების სიიდან ამოიღო, რომელიც მისთვის საგარეო საფთხეს შეიცავს.** შესაბამისი გადაწყვეტილება ასახულია ქვეყნის უსაფრთხოების სტრატეგიაში, რომელიც უახლოესი ხუთი წლის განმავლობაში იმოქმედებს. ამავე დროს, ეროვნული უშიშროების საბჭომ ისრაელი ქვეყნისთვის საფრთხის შემცველი ქვეყნების სიაში შეიყვანა. დოკუმენტის მიხედვით, ახლო აღმოსავლეთში ისრაელის ქმედება ღიად ფასდება თურქეთისთვის საფრთხის შემცველ ფაქტორად, რამაც, შესაძლოა, ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებს შორის გამალებული შეიარაღება გამოიწვიოს. ოფიციალური ანკარა აცხადებს, რომ ახლო აღმოსავლეთში ბირთვული იარაღი არ უნდა გამოჩნდეს.



### საგანელიძე პროტესტს აცხადებს

**საკრებულოს ფრაქცია „ჩვენი თბილისის“ თავმჯდომარე დავით საგანელიძე სემეკს მომხმარებელთა ინტერესების დაუცველობაში ადანაშაულებს. საკრებულოს ოპოზიციონერმა დეპუტატებმა საკრებულოს სხდომაზე ნოემბრიდან დაგეგმილი კომუნალური გადასახადების გადახდის ახალი წესის შემოღება გააპროტესტეს.** მათი განმარტებით, გაუგებარია, კომუნალური გადასახადების გადახდის ახალი წესი თბილისის საკრებულოში მსჯელობის გარეშე რატომ დამტკიცდა. საგანელიძემ საკრებულოს წევრებს მოუწოდა, თბილისისთვის კომუნალური გადასახადების გადახდის ახალი წესის შემოღება ეკონომიკური კომისიის სხდომაზე განიხილონ და ეს საკითხი უყურადღებოდ არ დატოვონ, რათა არ მოხდეს ამ მეთოდის საქართველოს სხვა ქალაქებში გადაღება.

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# კოოპერატიული ბინებისთვის გამოყოფილი თანხა თბილისის მერმა გიგი უგულავამ საკუთარ პიარს მოახმარა

**ყველაფერი ჯერ კიდევ XX საუკუნის 80-იანი წლებიდან დაიწყო, მაშინ, როდესაც თბილისში კოოპერატიული ბინათმშენებლობის ბუმი იდგა. მათი ერთი ნაწილი წარმატებითაც განხორციელდა, თუმცა მეორე ნაწილი, რომელიც 90-იან წლებში უნდა აშენებულიყო, ყველასთვის კარგად ცნობილი მოვლენების გამო, შეჩერდა. ამ თანხების უკან დაბრუნებაზე მაშინ საუბარი ზედმეტი იყო, ამ ადამიანების ბედი კი — სავალალო. მათმა დიდმა ნაწილმა იმისთვის, რომ კოოპერატიულ ბინათმშენებლობაში ფული შეეტანა, თავის დროზე ყველაფერი გააკეთეს, უკანასკნელი საცხოვრებელი ფართებიც კი გაყიდეს, უკეთესის მოლოდინში. უკეთესის მოლოდინი კი 20 წელი გრძელდება.**



ერთადერთი „სასიკეთო“, რაც ამ ადამიანებისათვის მთავრობამ გააკეთა, იყო ის, რომ 2007 წლიდან სახელმწიფომ მათი ვალი აღიარა, რაც ნიშნავს იმას, რომ ადრე თუ გვიან სახელმწიფო ვალდებულია, ეს ადამიანები გაისტუმროს. ამას დაემატა საქართველოს პრემიერ-მინისტრის — ნიკა გილაურის 2009 წლის 23 ნოემბრის განკარგულება, რომლის თანახმადაც ამ საკითხის მოგვარება თბილისის მერიას დაევალა. თუმცა ამ დრომდე მერიას არც უძრავი ქონებითა და არც ფულადი კომპენსაციით კოოპერატიული ბინათმშენებლობის წევრები არ დაუკმაყოფილებია.

**თვითმმართველობის არჩევნებამდე ორიოდე თვით ადრე ამ თემამ აქტუალობა შეიძინა. თბილისის მერია გამოვიდა „კეთილი ნებით“ (როგორც ამას მათი წარმომადგენლები აფასებენ), რომ ეს ადამიანები დააკმაყოფილონ თბილისში, ძირითადად, გარეუბნებში არსებული მიწის ნაკვეთებით, რომელთა ნორმატიული ღირებულება 18 ლარს არ სცილდება, ისიც 200-300კვ.მ ფართობით. მათი საშუალო ღირებულება, საუკეთესო შემთხვევაში, 5000 დოლარს არ სცილდება. მაშინ, როცა ამ ადამიანებს დღეს მინიმუმ 25 ათასი დოლარის კომპენსაცია სჭირდებათ, რათა სახელმწიფომ რეალურად გაისტუმროს მათი ვალი. სწორედ ამის გამო, ამ წინასაარჩევნოდ გამოხატულ „კეთილ ნებას“ კოოპერატივის წევრების გაღიზიანება მოჰყვა: 4500 ოჯახიდან მიწის ნაკვეთით მხოლოდ 76 დაკმაყოფილდა.**

მიზეზი მარტივია — მათ თანხა შეტანილი აქვთ არა მიწის ნაგლეჯზე, რომელსაც არანაირი ფასეულობა არ გააჩნია (და რომელიც მერიამ წინასაარჩევნო ლუკმად გადმოუგდო), არამედ ბინაზე.

ამ პროცესში ქვეყნის მასშტაბით 3500-მდე ოჯახია დაზარალებული. თუკი სახელმწიფო დღესაც უარს იტყვის აღნიშნული ადამიანების მიმართ ვალის გასტუმრებაზე, ასეთი ქვეყანა სოციალურად სამართლიან სახელმწიფოდ ვერასდროს ჩამოყალიბდება.

**„თბილისის კოოპერატიული ბინათმშენებლობის მონაწილეების ფული სახელმწიფომ რომ მიითვისა (თუ გაფლანგა), ეს ისეთივე ფაქტია, როგორიც ის, რომ ყოფილი საბჭოთა კავშირის შემნახველი ბანკის მეანაბრეთა თანხები სადღაც გაიყინა“,** — აცხადებს არასამთავრობო ორგანიზაცია „კანონი ხალხისთვის“ თავმჯდომარე ზაქარია ქუცნაშვილი. აღნიშნული პრობლემა მწვავე რომ არის და აუცილებლად სჭირდება მოგვარება, ამაზე საკრებულოსა და საკრებულოს გარეთ მყოფი ოპოზიცია ერთმანეთში თანხმდებიან, სახელისუფლო უწყებები კი დუმან.

2004 წლის 15 ნოემბერს, საქართველოს მთავრობის დადგენილებით, შეიქმნა საქართველოს სახელმწიფო საშინაო ვალის პრობლემათა შემსწავლელი კომისია, რომელსაც სხვა საკითხებთან ერთად უნდა განეხილა კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულებების საკითხი, უნდა შეემუშავებინა მათი გადაჭრის რეკომენდაციები და წარედგინა საქართველოს მთავრობისა და პარლამენტისთვის.

სამწუხაროდ, ჩვენ გვაქვს 4 თვის ხელისუფლება, რომელიც არჩევნებამდე 4 თვით ადრე იწყებს დაპირებებს და ეს ყველაფერი მთავრდება არჩევნების შემდეგ. ამაზე პასუხი უნდა გასცეს, უპირველესად, მთავრობამ. რაღაც პერიოდი დაიწყეს თანხების გაცემა. **ზოდელავას პერიოდში მინიმალური თანხები იყო გამოყოფილი მათ გასასტუმრებლად, ჭიაბერაშვილის პერიოდში მერიის ბიუჯეტიდან სულ ამოვარდა ეს საკითხი.**

ალბათ, გახსოვთ აქციები ამ საკითხთან დაკავშირებით და ჭიაბერაშვილის არც ისე ზრდილობიანი პასუხი. შემდეგ კი **კოოპერატიული ბინებისთვის გამოყოფილი თანხა მერმა გიგი უგულავამ სრულიად სხვა მიმართულებით გაუშვა. ეს თავად უგულავამაც აღიარა. როგორც თავად თქვა, ქალაქის ინფრასტრუქტურას მოხმარდა.** ეს ადამიანები კი ისევ მოტყუებულნი დარჩნენ. ისინი კი სხვისას არაფერს ითხოვენ. მათი მოთხოვნაა, ეღირსოს საკუთარი ჭერი.

რადგან ზიანი მოქალაქეებს სახელმწიფოს მხრიდან მიადგა, ამას თავად სახელმწიფოც აღიარებს და შიდა სახელმწიფოებრივ ვალად აცხადებს. ვალს კი გასტუმრება უნდა.

## ხელისუფლება კოოპერატიული ბინათმშენებლობის წარმომადგენლებს ყურადღებას არ აქცევს და ეს ადამიანები წინასაარჩევნოდ გამოიყენა

მაგრამ როგორ უნდა გაისტუმრონ — ამაზე დისკუსია რამდენიმე წლის წინაც მიდიოდა. **ამ ვალების გასტუმრების ერთ-ერთი ასეთი ფორმა იყო საპრივატიზაციო ობიექტების რაღაც წილი, ვთქვათ, 10-20% ამ კატეგორიის მოქალაქეებზე განაწილებულიყო ვალის სანაცვლოდ. ვერ გიშენებ, მაგრამ სანაცვლოდ ამას გითმობ — აი, ასეთი მიდგომა იყო. სხვა გზებზეც იყო საუბარი, მაგრამ ფაქტია ის, რომ დღეს ეს მწვავე პრობლემად რჩება, რომელსაც აუცილებლად მიხედვა სჭირდება.**

თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის, მამუკა ახვლედიანის განცხადებით, თბილისის მერია კოოპერატიული ბინათმშენებლობის პროცესში დაზარალებული მოქალაქეებისთვის კომპენსაციის სახით მიწის ნაკვეთების გაცემას აგრძელებს. მისი თქმით, **2009 წელს სპეციალური გრაფიკი შედგა და თბილისის მერიამ ბინათმშენებლობის დაზარალებული წევრების მიწის ნაკვეთებით დაკმაყოფილება დაიწყო.** მამუკა ახვლედიანი პოლიტიკურ სპეკულაციას უწოდებს „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის“ წარმომადგენლების მიერ გამოთქმულ ბრალდებებს, თითქოს **ხელისუფლება კოოპერატიული ბინათმშენებლობის წარმომადგენლებს ყურადღებას არ აქცევს და ეს ადამიანები წინასაარჩევნოდ გამოიყენა.** ახვლედიანის თქმით, მერიას აღნიშნული სქემით უკვე 1000-ზე მეტი დაზარალებული პირი ჰყავს დაკმაყოფილებული. **„თბილისის მომავალ ბიუჯეტში აღნიშნული კატეგორიის ადამიანებისთვის თანხა გათვალისწინებული ვერ იქნება, რადგან ფინანსური კომპენსაციის საკითხს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ადგენს,“** — აღნიშნავს ახვლედიანი.

**ნანა წიქარიშვილი, სამშენებლო კოოპერატივების წევრთა უფლებების დაცვის ასოციაციის პრეზიდენტი:**

— ამ თემასთან დაკავშირებით ჯერჯერობით მნიშვნელოვანი სიახლე არ არის. არჩევნების წინ იყო დაპირება, რომ კოოპერატივები დაკმაყოფილდებოდა მიწის ნაკვეთებით. საუბრობდნენ იმაზეც, რომ მიწის ნაკვეთების ნუსხა დამტკიცდებოდა. ასევე კოოპერატივის წევრებს, რომლებიც სახელმწიფო ბინებში ცხოვრობენ, სახელმწიფო დაუკანონებდათ ბინებს. ამ დროისთვის ამ დაპირებებიდან არც ერთი არ შესრულებულა.

**მიწების გადაცემის მოთხოვნით მერიაში დაახლოებით 1500 განცხადებაა შესული, აქედან მხოლოდ 300-ია დაკმაყოფილებული.** მიწები, რომლებიც კოოპერატივის წევრებისთვისაა გამოყოფილი, მერიის საკუთრებაში რჩება მანამ, სანამ კანონით არ დაუმტკიცდებათ მათ. არის იმის საშიშროება, რომ ეს მიწები მანამდე გაიყიდოს, რადგან მერიას იურიდიულად შეუძლია ამ მიწების გაყიდვა. იყო რამდენიმე ასეთი ფაქტი, მაგრამ ჩვენი ძალისხმევის შედეგად ეს მიწები გაყიდვას „გადაურჩა“.

მათ, ვისაც უკვე გადაეცათ მიწები, 2 წლის განმავლობაში თუ გაყიდიან, მოუწევთ საგადასახადოში გადასახადის გადახდა, რადგან 2 წლის განმავლობაში ეს მიწები იბეგრება სახელმწიფოს მხრიდან. გადასახადი მხოლოდ ამ პერიოდის გასვლის შემდეგ უქმდება.

**თამარ მაისურაძე, ერთ-ერთი დაზარალებული:**

— კოოპერატიულ ბინათმშენებლობაში თანხა 1991 წელს შევიტანეთ. საკუთარი საცხოვრებელი გავყიდეთ უკეთესის მოლოდინში. უკვე 19 წელია, ქირით ვცხოვრობთ. საშველი არ ჩანს. წლიდან წლამდე ისმის დაპირებები. ხან რა კანონი მიიღეს და ხან რა, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში არც ერთი შესრულებულა. **დაგვპირდნენ, რომ რაღაც მიწის ნაკვეთს მოგვცემენ, მაგრამ ჯერ ერთი, ეს მიწები, ისეთ მიყრუებულ ადგილზეა, რაში უნდა გამოვიყენოთ? მეორეც, გაყიდვის უფლება არ გვაქვს თურმე და არც საერთო საკუთრებიდან გამოყოფის. მაშინ რად გვინდა, რომ გვაძლევენ? ბინის შენების შესაძლებლობა რომ გვქონოდა, ჩვენ თვითონ ავაშენებდით ამდენ ხანს.** ხომ აღიარა სახელმწიფომ ეს ვალი? ჰოდა, კეთილი ინებონ და ნორმალური მიწები მოგვცენ, რამეში რომ გამოვიყენოთ, ან ბინებით დაგვაკმაყოფილონ, ან ჩვენი ფული დაგვიბრუნონ.

**თეო ტაბატაძე**






### გაჩეჩილაძემ გადაიბირა

**საზოგადოებრივი დარბაზის ოთხი წევრი — თამარ იაშვილი, თამარ ფიოლია, მაია ლორთქიფანიძე და ლევან ჩიკვაიძე „ქართულ პარტიაში“ გადადიან.**

„ეს ადამიანები პოლიტიკაში მოღვაწეობას გარკვეულწილად თაკილობდნენ, მაგრამ დღეს მათ ეს გადაწყვეტილება მიიღეს და მზად არიან, ხელისუფლების წინააღმდეგ საბრძოლველად,“ — განაცხადა ლევან გაჩეჩილაძემ. შეგახსენებთ, რომ „დაიცავი საქართველოს“ ყოფილმა ლიდერმა ლევან გაჩეჩილაძემ და მისმა თანაგუნდელმა კოკა გუნცაძემ საზოგადოებრივი მოძრაობა „ქართული პარტიის“ შექმნისას დატოვეს.



### პოლიტიკური ანგარიშსწორება

**საზოგადოებრივი კამპანია „სოლიდარობა უკანონო პატიმრებს“ სოზარ სუბარის ძმის — ვახტანგ სუბელიანის დაკავების ფაქტს ხელისუფლების მხრიდან ოპონენტების მიმართ განხორციელებულ პოლიტიკურ ანგარიშსწორებად აფასებს.**

კამპანიის ლიდერის — ეკა ბესელიას თქმით, მასალების შესწავლა სრულ საფუძველს იძლევა საიმისოდ, რომ ადგილობრივმა უფლებადამცველებმა სუბარის ძმა პოლიტპატიმრად აღიარონ. ვახტანგ სუბელიანი რამდენიმე დღის წინათ დააკავეს. შსს-ს ინფორმაციით, მან ყალბი ანგარიშ-ფაქტურის დამზადების გზით სახელმწიფო ბიუჯეტს მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი მიაყენა.



### მთავრობამ ბიუჯეტი შეასწორა

**ამ დღეებში მთავრობა პარლამენტში 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის კორექტირებულ ვარიანტს შეიტანს.**

წინასწარი ინფორმაციით, საბიუჯეტო პროექტის გადამუშავებულ ვარიანტში ასახული იქნება ჯანდაცვის პროგრამების დაფინანსების საკითხი, რაც პარლამენტში დებატების ერთ-ერთ მთავარ საგანს წარმოადგენს. დანარჩენ ხარვეზებზე, მაგალითად მუხლ „სხვადასხვაზე“ გაწერილ უზარმაზარ თანხებზე, რაც მწვავე კრიტიკის საბაბი გახდა, ჯერჯერობით ცნობილი არაა. მომავალი წლის საბიუჯეტო პროექტი პარლამენტში 30 სექტემბერს შევიდა.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# «მიშას ჰელოუინი...»



**ამბობენ, რომ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრი გოგა ხაჩიძე, რომელსაც გიტარისტ-მინისტრს უწოდებენ და რომელიც ამბობს, რომ რუსეთი არსებობს ცუდი და უარესი, მთელი დღეები კაბინეტში ჩაკეტილი გიტარას აჟღარუნებს და მისსავე შექმნილ ქართული პოლიციის ჰიმნს გაჰყვირის, სადაც ასეთი სიტყვებია: „ჩვენი ძალა ახალ გამჭვირვალე შენობაშია!“**

თუმცა ჩვენს ხელისუფლებას მიღწეული **„გამჭვირვალობა“** აშკარად არ ეყო და მან 1948 წლის 10 დეკემბერს გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული ადამიანთა უფლებების საყოველთაო დეკლარაციის დებულებებისა და ასევე, ვენეციის კომისიის 2010 წლის 18 ოქტომბრის დასკვნის დემონსტრატიულად უგულებელყოფით, მიმდინარე წლის **ოქტომბერში** გაცნობიერებულად და სასწრაფოდ განახორციელა რიგი ქმედებები, რომლებიც პირდაპირ თუ ირიბად არ შეესატყვისება დემოკრატიული სახელმწიფოს იმიჯს, კერძოდ კი:

**2010 წლის 1 ოქტომბერს** საქართველოს პარლამენტმა მიიღო ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რომლის თანახმადაც, **ადვოკატს უფლება არ აქვს, შეიტანოს სააპელაციო და საკასაციო საჩივრები, დაზარალებული არ წარმოადგენს მხარეს და უფლება არ აქვს, გაასაჩივროს სასამართლო გადაწყვეტილებები, გაუქმდა ალტერნატიული ექსპერტიზა და გაფართოვდა პროკურორის უფლებამოსილებანი;**

**2010 წლის 1 ოქტომბერს** საქართველოში ამოქმედდა ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი. ამიერიდან სისხლის სამართლის საქმეებზე გადაწყვეტილებას მიიღებს 12 ნაფიცი მსაჯული, რომლებიც „ელექტრონული სისტემის ერთიანი საარჩევნო სიიდან“ შეირჩევიან (**ანუ ამიერიდან საქართველოში მართლმსაჯულებას აღასრულებენ შემთხვევითი ადამიანები, რომლებსაც ... კომპიუტერი შეარჩევს, ხოლო სიკვდილ-სიცოცხლის საკითხის გადაწყვეტაზე უარის თქმისა და პროფესიით მუშაობის გაგრძელებისთვის (მასწავლებლად, ექიმად, მშენებლად და ა.შ.) 1500-ლარიანი ჯარიმაა გათვალისწინებული!** თუმცა, რაკი ეს მექანიზმი საზოგადოებრივ კონტროლს არ ექვემდებარება, ნაფიც მსაჯულებს, სავარაუდოდ, ინკოგნიტოდ შეარჩევს „ნაცმოძრაობის“ „კომპიუტერი“);

**2010 წლის 15 ოქტომბერს, საღამოს,** საგანგაშო რეჟიმში პარლამენტმა მესამე მოსმენით მიიღო საქართველოს ახალი კონსტიტუცია, **ისე, რომ არ დაელოდა ვენეციის კომისიის საბოლოო დასკვნას,** რომელიც მან **15-დან 16 ოქტომბრის ღამეს მიიღო,** ხოლო კომისიის ვებგვერდზე მხოლოდ **2010 წლის 18 ოქტომბერს** გამოაქვეყნა. საქართველოს კონსტიტუციის ახალი მოდელისადმი ვენეციის კომისიის რეკომენდაცია-პრეტენზიები, რომლებიც მთავრობისთვის უნდობლობის გამოცხადების ვოტუმის პროცესის გამარტივებას, პარლამენტის უფლებამოსილებათა გაზრდას ეხებოდა (როგორც საბიუჯეტო, ისე მთლიანად ხელისუფლების სამ შტოს შორის ბალანსის საკითხებში) **მთავარმა საკანონმდებლო ორგანომ ჯერ კიდევ მეორე მოსმენისას შეგნებულად და დემონსტრატიულად ურყო;**

**2010 წლის 16 ოქტომბერს,** პარლამენტის მიერ ახალი კონსტიტუციის მიღების შემდეგ, ვენეციის კომისიის თავმჯდომარემ **ჯანი ბუკიკიომ** თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ *„მართლაც სურდა უფრო სრულყოფილი კონსტიტუციის ხილვა მანამდე, სანამ ის 2013 წელს ძალაში შევიდოდა... კონსტიტუცია სერიოზული საკითხია და ყოველდღე არ უნდა შეიცვალოს... შეჩერებისა და საპირწონეების სისტემა სრულყოფილი უნდა იყოს...“* რის შემდეგაც ჩვენმა პარლამენტმა კონსტიტუციის პრეზიდენტისთვის ხელმოსაწერად გაგზავნამდე მისთვის პროცედურით გამოყოფილი ერთი კვირა გამოიყენა და საქართველოს საკონსტიტუციო კომისიას, ავთანდილ დემეტრაშვილის თავმჯდომარეობით, დაავალა... **პარლამენტის მიერ უკვე მიღებული სახელმწიფოს ძირითადი კანონის საბოლოო დამუშავება! შედეგად, რაკი რეგლამენტით მეოთხე მოსმენა გათვალისწინებული არ არის, პრეზიდენტს 2010 წლის 22 ოქტომბერს ხელმოსაწერად გაუგზავნეს კონსტიტუციის სახეცვლილი რედაქცია, რომელიც საქართველოს პარლამენტს არ მიუღია და რომელიც, დემეტრაშვილისა და პირთა ვიწრო წრის გარდა, არავის უნახავს!** (პარლამენტში ჩემს სატელეფონო ზარზე მიპასუხეს, რომ ***„მხოლოდ უმნიშვნელო ცვლილებები შეიტანეს – შეასწორეს ორთოგრაფიული შეცდომები და წერტილ-მძიმეები“,*** რაც კიდევ უფრო საგანგაშოა: **ესე იგი ჩვენი პარლამენტარები უწიგნურები არიან, არ ფლობენ სახელმწიფო ენის ორთოგრაფიასა და პუნქტუაციას?! „КАЗНИТЬ НЕЛЬЗЯ ПОМИЛОВАТЬ“** — იციან კი ჩვენმა კანონმდებლებმა, რა როლის შესრულება შეუძლია ამ ფრაზაში ერთ მძიმეს?);

**2020 წლის 26 ოქტომბერს** საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ **დავით ბაქრაძემ** ჩაატარა ბრიფინგი, რომელზეც **„მედიის მფლობელთა საჯაროობა“** მოითხოვა. პარლამენტის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ინფორმაცია მედიის მფლობელთა შესახებ ტრანსფარენტული უნდა იყოს. ასევე **გამჭვირვალე** უნდა იყოს ინფორმაცია იმის შესახებ, პირთა რომელი ჯგუფები დგანან საქართველოში მოქმედი ტელეარხების, გაზეთების, საინფორმაციო სააგენტოებისა და მედიის სხვა საშუალებათა უკან... ***„ჩვენ მეტი გამჭვირვალობის მიღწევა*** *გვსურს, რათა ოფშორულ ზონებში დარეგისტრირებული კომპანიები, ადამიანები, რომელთა ვინაობა საზოგადობისათვის დაფარულია და წარმოდგენილი არ არის, როგორც მასმედიის მფლობელები, გამოაშკარავდნენ...“* ამ საკითხზე ახალ კანონპროექტს მიმდინარე წლის 9 ნოემბრისთვის საპარლამენტო — იურიდიულ საკითხთა და დარგობრივი ეკონომიკის — კომიტეტები მოამზადებენ **(ეტყობა, აქ საქმე გვაქვს ისედაც უკიდურესად მცირერიცხოვან ქართულ მედიასთან, რომელიც არსებული რეჟიმისადმი მწვავე კრიტიკული მიდგომით გამოირჩევა. სავარაუდოდ, მათ საქართველოში აკრძალულ ქართველებთან, ბიზნესმენებსა და ექს-ჩინოვნიკებთან, კავშირში დაადანაშაულებენ, რომლებიც დღეს იძულებულნი არიან, რუსეთის ფედერაციაში ან ევროპის ქვეყნებში იმყოფებოდნენ. გამორიცხული არაა, მათ, პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლების დასუსტების მიზნით, რუსეთის სპეცსამსახურებთან ირიბ თანამშრომლობაშიც დასდონ ბრალი, რასაც შედეგად რედაქციებისა და სტუდიების დარბევა მოჰყვება);**

**2010 წლის 29 ოქტომბერს** საქართველოს პარლამენტმა პირველი მოსმენით მიიღო **„თავისუფლების ქარტია“,** რომელიც ითვალისწინებს:

**1) საქართველოში (ვეტერანებო, მოიხსენით ორდენები!)** საბჭოთა (წითელი ვარსკვლავის, ნამგლისა და უროს) **და ფაშისტური სიმბოლიკის საჯაროდ გამოყენების აკრძალვას;**

**2) შსს-ს მიერ საზოგადოებრივი ორგანიზაციების, მოქალაქეებისა და პირებისათვის საზღვარგარეთის ქვეყნებიდან იმ ფულადი გადმორიცხვების კონტროლს, რომელთა მოცულობა 25 ათას ლარს აღემატება;**

**3) შსს-ს აღჭურვა დამატებითი ვიდეოსათვალთვალო კამერებით,** რომლებიც გზებზე, აეროპორტებში, მეტროპოლიტენებში, სტრატეგიულ ხიდებზე, ელექტროსადგურებზე, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში (კულტურისა და დასვენების პარკებში, საკონცერტო დარბაზებში, რესტორნებში და ა. შ.) და სხვა ობიექტებზე, მათი ერთიანი სისტემისთვის მიერთებით. გარდა ამისა, კანონპროექტი შსს-ს უფლებამოსილებას ანიჭებს, გახსნას და დაათვალიეროს სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო გზით შემოსული „საეჭვო“ ტვირთები **(კითხვაზე, დაგვიყენებენ თუ არა ვიდეოკამერებს საკუთარ საძინებლებში, პარლამენტში არ მიპასუხეს...);**

**4) ლუსტრაციას** — მაღალ თანამდებობებზე პრეტენდენტები ვერ იქნებიან საბჭოთა ხანის უშიშროების სამსახურის თანამშრომლები, კომუნისტური პარტიისა და კომკავშირის ლიდერები, ცენტრალური კომიტეტის წევრები, საქალაქო და რაიონული კომიტეტების თავმჯდომარეები, საქართველოს სსრ ტელერადიომაუწყებლობის თავმჯდომარე. თუ ამ ადამიანებს უკვე უკავიათ პოსტები, კანონის ძალაში შესვლიდან ერთი თვის განმავლობაში უნდა დატოვონ თანამდებობები, წინააღმდეგ შემთხვევაში სპეციალური კომისია მათ ვინაობასა და მონაცემებს, რომლებიც კონფიდენციალურია, **საჯაროს გახდის.**

**2010 წლის 29 ოქტომბერს** პარლამენტმა, ასევე, შემოიღო დამატებითი ზომები საგზაო მოძრაობის გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს შსს-ს რეკომენდაციების გათვალისწინებით: ა. წ. 1 დეკემბერს ძალაში შედის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი კოდექსით გათვალისწინებული ცვლილებები, რომელთა თანახმადაც სავალდებულოა უსაფრთხოების ღვედების გამოყენება ავტომანქანებში და აიკრძალა საქარე მინის დამუქება (გვერდითი მინების დამუქება ნებადათულია მხოლოდ 40%-ით). კანონის დარღვევის შემთხვევაში გათვალისწინებულია 50-ლარიანი ჯარიმა.

**(„საჯაროობა და გამჭვირვალობა“, ბატონებო! გარდა იმისა, რომ დღეს პოლიცია ვიდეოკამერების მეშვეობით ყოველ ჩვენს გადაადგილებას აკონტროლებს, ამიერიდან პატრულიც უბოდიშოდ შემოიხედავს ჩვენი ავტომანქანების სალონებში ვითომდა იმისათვის, რომ შეამოწმოს „ღვედებითდაბმულობა“, გვითვალთვალოს და გაგვაჩეროს, როგორც უწინ „გაი“ და „უგროზისკი“ აკეთებდნენ ამას და მცირეოდენი „ეჭვის“ შემთხვევაში პირდაპირ ჩხრეკა ჩაგვიტაროს („გაგვშმონოს“), რის სრულ უფლებასაც „პოლიციის კანონში“ ახალი ცვლილებები ანიჭებთ!);**

**2010 წლის 29 ოქტომბერს** სააგენტო „Reuters“- მა გაავრცელა ინფორმაცია **საქართველოში რუსეთის ჯაშუშობაში ეჭვმიტანილი 20 კაცის დაკავების შესახებ.** წინასწარი ინფორმაციით, ყველა დაკავებული პირი საქართველოს მოქალაქეა, რომლებიც რუსეთის საგარეო დაზვერვის სამსახურთან თანამშრომლობდნენ. საქართველოს შსს აღნიშნულ ინფორმაციაზე კომენტარს არ აკეთებს. საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელის — შოთა უტიაშვილის განცხადებით, ჯაშუშობაში ეჭვმიტანილთა დაკავების სპეცოპერაციის დეტალები მიმდინარე წლის 5 ნოემბერს გახდება ცნობილი. **ჰიპოთეზა: ერთი კვირის განმავლობაში 20 ეჭვმიტანილი „გამოძიებასთან ნებაყოფლობითი თანამშრომლობის სურვილს“ გამოთქვამს და დაასახელებს მთელ „ჯაშუშურ ქსელს“, რომელსაც მიათვლიან ყველას, ვინც ამ ხელისუფლებას თვალში არ მოსდის!**

ისმის კითხვა: **ასე ერთმნიშვნელოვნად მაინც რატომ ემზადება რეპრესიებისთვის სააკაშვილი, რომელმაც წინასწარ დაუდო მათ სარჩულად საკანონმდებლო ბაზა, ჩამოიგლიჯა დემოკრატის ნიღაბი და მიაფურთხა, თუ რას იფიქრებს მასზე დასავლეთი?**

მიზეზი, რომელთა გამოც მიშამ მთელი ეს **„ჰელოუინი“** მოაწყო, რამდენიმეა:

მიუხედავად იმისა, რომ **2010 წლის 26 ოქტომბერს** საფრანგეთის ტელეარხ „TV 5 Monde“-სთვის მიცემულ ინტერვიუში სააკაშვილმა განაცხადა, რომ **„საქართველო მზადაა რუსეთთან დიალოგისთვის ყოველგვარი წინაპირობის გარეშე“, რუსეთმა მას კვლავ უარი უთხრა დიალოგზე და ახლა მისთვის ერთადერთი გამოსავალი პრემიერის სავარძელში გადანაცვლებაა, თანაც — რაც შეიძლება უმტკივნეულოდ და 2013 წლამდე, რიგგარეშე არჩევნების შედეგად;**

**2) სააკაშვილი პრევენციულ ზომებს იღებს არასაპარლამენტო („ქუჩის“) ოპოზიციის წინააღმდეგ, რომელიც ნელ-ნელა ერთიანდება და მიმდინარე წლის 25 ნოემბრისთვის ფართომასშტაბიან საპროტესტო აქციებით იმუქრება, ასევე — უკმაყოფილო და მშიერი ხალხის წინააღმდეგ, რათა წინასწარ დათესოს მათში შიში და დააშინოს ციხით სამშობლოს ღალატისა და რუსეთის სასარგებლოდ ჯაშუშობის ბრალდებით. მიხეილ ნიკოლოზის ძე გამოცდილი რევოლუციური ტექნოლოგია, ამიტომაც ჩინებულად ესმის, რომ 10.000 ნამდვილ მომიტინგეს** (და არა 10 ლარად მოსყიდულს, ვერაგი და ლაჩარი ლიდერების მეთაურობით!) **უნარი შესწევს, ძალაუფლება ხელში ჩაიგდოს! ქართული პოლიცია და არმია ტყვიებს არ დაუშენენ ამ რაოდენობის თანემემამულეს, რომლებიც პრეზიდენტის სასახლეს ალყას შემოარტყამენ, ხოლო, თუ ვინმე გაბედავს კიდეც, პირველივე გასროლისთანავე 10.000 ქართველი 100, 200, 300 ათასად გადაიქცევა!**

ათასგზის მართალია ცნობილი ქართველი პოლიტიკოსი და პოლიტოლოგი **ალექსანდრე ჭაჭია,** რომელმაც ყოველკვირეულ გაზეთ „ასავალ-დასავალისთვის“ მიცემულ ამასწინანდელ ინტერვიუში (2010 წლის 4 ოქტომბრის №40) შემდეგი რამ განაცხადა: ***„მითი იმის შესახებ, რომ ეს ხელისუფლება სისხლის ღვრის გარეშე არ წავა, თავად ხელისუფლების მიერაა შეთხზული და გავრცელებული! თუ უკიდურესობამდე მისული ხალხი ქუჩებში გამოვა, ეს ხელისუფლება ისევე სწრაფად და უმტკივნეულოდ წავა, როგორც შევარდნაძის ხელისუფლება წავიდა!“*** (პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი და ამავე დროს ბრწყინვალე პრაქტიკოსი და ორგანიზატორი, რომელიც პოლიტიკური ბრძოლის რეალურ გამოცდილებას ფლობს და საქართველოში დიდი ავტორიტეტით სარგებლობს, ჭაჭია მუდამ მზად იყო ყველა პატრიოტულ ქართულ ძალასთან სათანამშრომლოდ, თუმცა საქართველოს ხელისუფლებასაც, რომელიც შეცდომას შეცდომაზე უშვებდა, ყოველთვის შეეძლო მისი გავლენისა და ბერკეტების გამოყენება რუსეთის ექსპერტებისა და ოფიციალურ წრეებში, რასაც რატომღაც არ აკეთებდა...);

**სააკაშვილი გარდაუვალი რიგგარეშე საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებისთვის ემზადება, რისი პროვოცირებაც უამრავ მიზეზს შეუძლია:**

**ა) ეკონომიკურ კრიზისს:** უმუშევრობა, ცხოვრების მკვერად გაძვირება და წვრილი და საშუალო ბიზნესის საყოველთაო რეკეტი, და როგორც შედეგი — სახალხო პროტესტის ტალღა;

**ბ) სახალხო საპროტესტო აქციების ძალისმიერ დარბევას:** შედეგად — განსჯას დაუქვემდებარებელი „თეთრი სახლის“ ინსტრუქცია პრეზიდენტ სააკაშვილს გადადგომისა და რიგგარეშე არჩვენების ჩატარების შესახებ **(როგორც 2007 წლის 7 ნოემბრის მოვლენების შემდეგომ მოხდა);**

**გ) საქართველოს მიღმა შექმნილ ფორს-მაჟორულ გარემოებებს:**

**— ახალი ძალით გაღვივებულ სომხურ-აზერბაიჯანულ კონფლიქტს** (როგორ მოიქცევა და ვის მხარეს დაიკავებს საქართველოს ხელისუფლება (აზერბაიჯანის პარტნიორი!) ამ შემთხვევაში? **2010 წლის 7 ნოემბერს** ხომ აზერბაიჯანში სა-

▶

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

◀ პარლამენტო არჩევნები ჩატარდება, რომლის შედეგადაც მილი მეჯლისის სათავეში, შესაძლოა, ყარაბაღის პრობლემის ძალისმიერი მეთოდებით გადაჭრის მომხრე ძალები მოვიდნენ, რისკენაც მათ „მსუბუქად“ უბიძგებს ზოგიერთი, ბოლო დროს გაძლიერებული „რესპუბლიკური ძალა“ ვაშინგტონიდან. ეყოფა კი საქართველოს ხელისუფლებას გონიერება, ქვეყანაში, სადაც 600.000-ზე მეტი აზერბაიჯანელი და სომეხი ცხოვრობს, მშვიდობისმყოფლის როლს თუ არ იტვირთებს, სულ მცირე, ნეიტრალიტეტი მაინც შეინარჩუნოს და კიდევ ერთხელ არ წამოეგოს ოკეანისგაღმელი „კეთილისმსურველების“ პროვოკაციას?!);

— **ფართომასშტაბიან ანტიტერორისტულ ოპერაციას ჩრდილოეთ კავკასიაში,** სადაც ყოველდღე ხდება ტერაქტები (რას მოიმოქმედებს საქართველოს ხელისუფლება იმ შემთხვევაში, თუ ჩრდილოეთ კავკასიის რეგულარული სპეცდანაყოფები საქართველოს ტერიტორიაზე გადმოვლენ იატაკქვეშა ჩეჩნური ბანდფორმირებების ბაზათა განადგურების მიზნით, რომელთა შესახებაც **2010 წლის 22 ოქტომბერს**, უკვე მერამდენედ, დარწმუნებით განაცხადა ჩეჩნეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა რამზან კადიროვმა?!);

— **ყაზბეგის რაიონში ლოკალურ სამხედრო კონფლიქტში გადაზრდილ სისხლისმღვრელ შეტაკებას** (ადგილობრივ მოსახლეობასა და რუსეთის ახალგამომცხვარ მოქალაქეებს, თრუსოს ხეობაში ოდითგან მოსახლე ოსებს, შორის, პირველ თოვლთან ერთად საქართველოს საზღვარი უვიზოდ და კანონიერად რომ გადმოკვეთეს „ყაზბეგისა“ და „ზემო ლარსის“ საბაჟო-გამშვები პუნქტების მეშვეობით საქართველოს პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის **2010 წლის 11 ოქტომბრის** ბრძანებულების საფუძველზე). **შეტაკების მიზეზი?! თუნდაც საკუთარ სახლებში დაბრუნების სურვილი, 2008 წლის აგვისტოში ომის გამო რომ დატოვეს და სხვები რომ დაეპატრონნენ;**

**ყველა ზემოჩამოთვლილ შემთხვევაში, საქართველოს ხელისუფლების არამართებულ მოქმედებათა შედეგად, ოფიციალური ვაშინგტონი პრეზიდენტ სააკაშვილს კვლავ „შესთავაზებს წინადადებას, რომელზეც იგი უარს ვერ იტყვის“.**

**P.S.** რიგგარშე არჩევნებისთვის ხელისუფლების მზადებაზე აშკარად მიუთითებს ამერიკელებისთვის შეკვეთილი ორი სოციოლოგიური გამოკითხვა: სოციოლოგიურ კვლევათა ამერიკული ინსტიტუტის — Greenberg Quilian Rosner-ისა (პრეზიდენტ სააკაშვილისა და საპრეზიდენტოდ მზადმყოფი თბილისის მერის — უგულავას შეკვეთით), რომლის შედეგებიც **2010 წლის 22 ოქტომბერს** გვაცნობეს; და აშშ-ის საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტისა (IRI) გელაპის ინსტიტუტთან ერთად, რომლის შედეგებიც **2010 წლის 28 ოქტომბერს** გამოქვეყნდა (აშშ-ის მთავრობისა და USAID-is დაკვეთით). დიახ, რასაკვირველია, ორივე „გამოკვლევის“ შედეგებით, უზარმაზარი უპირატესობითა და ბრწყინვალე რეიტინგით პრეზიდენტმა სააკაშვილმა და „ნაცმოძრაობამ“ გაიმარჯვეს!

**არნო ხიდირბეგიშვილი**

# დამადლებული მილიონიანი გზები და ჩანწყობით მოგებული ტენდერები

**საქართველოს კონტროლის პალატა გზის საფარის ხარისხის შემოწმებას იწყებს, რაშიც იგი ახალ ტექნოლოგიებს — სპეციალურ იმპულსურ რადარს გამოიყენებს. აღნიშნული ხელსაწყოს საშუალებით შესაძლებელია მაგისტრალების, ქუჩების, ხიდების, აეროპორტის ასაფრენი ბილიკების, ასფალტებისა და ბეტონის სისქის ხარისხისა და მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მოპოვება, ასევე მიწისქვეშა კომუნიკაციების მდებარეობის დადგენა.**





80-მილიონიანი გზის მშენებლობის ხარისხი

**გზების მშენებლობაზე მილიონობით ლარი იხარჯება. თუმცა რადარი სულაც არ არის საჭირო იმის გასაგებად, თუ რა უხარისხოდ ტარდება აღნიშნული სამუშაოები, რომლებშიც ხელისუფლება ასობით მილიონს ხარჯავს, მათ შორის, იმ კრედიტებს, რომლებიც მომავალში ჩვენი ჯიბიდან უნდა დაიფაროს.**

თუ კონტროლის პალატა ობიექტურად შეისწავლის გზების საკითხს, მასში უამრავ დარღვევას აღმოაჩენს და იმის გამო, რომ გზების დაგების სამუშაოების დასრულების შემდეგ, მიღება-ჩაბარების აქტებს ზოგ შემთხვევაში ქალაქის მერია, ზოგ შემთხვევაში კი საგზაო დეპარტამენტი იბარებს, შესაძლოა, ბევრი თანამდებობის პირის პასუხისმგებლობის საკითხიც დადგეს.

**გარდა იმისა, რომ გზები საქართველოში უხარისხოდ იგება, უამრავი დარღვევაა ტენდერებისა და ხარჯვის თვალსაზრისითაც.** გმირთა მოედანზე ზურაბ ჭიაბერაშვილის ბერმუდის სამკუთხედის შემდეგ, მორიგმა მერმა ახალი „გამოსავალი“ მოიფიქრა, რომელსაც ამ მონაკვეთზე თითქოსდა მოძრაობა უნდა განეტვირთა, მაგრამ დღეს, დამეთანხმებით, რომ თითქმის დასრულებულ ხიდებზე, საკმაოდ სერიოზული საცობებია, რადგან ვიწრო გზაა და ხიდზე ერთ მანქანაზე მეტი არ ეტევა. **ვარაზისხევი-თამარაშვილის ქუჩების ჩქაროსნული მაგისტრალი ბიუჯეტს 80 მილიონი დაუჯდა. შესაბამისად, უგულავამ, ჭიაბერაშვილის მსგავსად, არამარტო მძლოლები, არამედ ბიუჯეტიც საკმაოდ დააზარალა. ცალკე საკითხია, როგორ და რა ხარისხით მიმდინარეობს ამ გზის მშენებლობა, სურათებზე, რომელსაც გთავაზობთ, საკმაოდ ნათლად ჩანს 80-მილიონიანი გზის მშენებლობის ხარისხი.**

„ათასწლეულის გამოწვევის ფონდიდან“ გზების მშენებლობის არაერთი პროექტია დაფინანსებული. ფინანსური მონიტორინგის შედეგად უამრავი კითხვის ნიშანი გაჩნდა ამ გზების მშენებლობაში დახარჯულ თანხებსა და ტენდერებთან დაკავშირებით. თუმცა ეს კითხვები არა მაკონტროლებელ ორგანოებს, არამედ მხოლოდ არასამთავრობო ორგანიზაციებსა და ოპოზიციურ პარტიებს უჩნდებათ და ეს ლოგიკურიცაა, რადგან საგზაო დეპარტამენტის **მილიონიან ტენდერებში ის ფირმები იმარჯვებს, რომელთა უკანაც, როგორც წესი, ხელისუფლების გავლენიანი პირები დგანან.** მაგალითად, **შპს „ზიმო“, რომლის დამფუძნებელი, ზურაბ კიკნაძეა და მის უკან მაია ნადირაძის ქმარი, ზურაბ ჩიკვილაძე მოიაზრება. შპს „მტკვარის“ ხელმძღვანელის — თამაზ გვასალიას და შპს „კოლხის“ ხელმძღვანელის — ბესო კასრაძის უკან მოიაზრებენ ვანო მერაბიშვილს.** შესაძლოა ეს იმითაც იყოს განპირობებული, რომ ეს კომპანიები აგებენ ასფალტს მერაბიშვილის რაიონში, იქ კი მერაბიშვილებს ისეთივე მონოპოლია აქვთ ყველაფერზე, როგორც ყვარელში — ადეიშვილებს, რომელთა თანხმობის გარეშე რაიონში აგური არ იდება. **შპს „ბლექ სი გრუპის“ ხელმძღვანელი ამირან მამუჩაძე გივი თარგამაძის ნათესავია. ასევე, წარმატებით იგებენ ტენდერებს შპს „ა.ა. გრუპი“, შპს „გზა“, შპს „კოლხი“, შპს „ვერელი პლუსი“.**

## ტენდერებში ის ფირმები იმარჯვებს, რომელთა უკანაც, როგორც წესი, ხელისუფლების გავლენიანი პირები დგანან

„საქართველო და მსოფლიო“ გასულ ნომრებშიც წერდა, **რომ ქალაქის მასშტაბით ძირითადი მსხვილი პროექტები საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის, გიგა ბოკერიას ცოლისდის ფირმასა და ექს თავდაცვის მინისტრის — დავით კეზერაშვილის მეუღლის ფირმა „არტ X“-ს აქვს გადაბარებული.**



კონტროლის პალატამ ახალი რადარის ტესტირება გომბორი-თელავის დამაკავშირებელი მაგისტრალის მონაკვეთზე ჩაატარა. ეს გზა, როგორც ჩანს, სახელდახელოდ შეირჩა, რადგან ტესტირებას გერმანიიდან მოწვეული ექსპერტებიც ესწრებოდნენ, თორემ კონტროლის პალატას რადარიც არ დასჭირდებოდა; მაგალითად, ჩვენს ახალ ხიდებზე რომ გაესეირნა ან იმ ქვაფენილებზე გაევლო, რომელთა სურათებსაც გთავაზობთ. ზოგჯერ თურმე ასეთი შემთხვევებიც ხდება: **ევროპის მოედანზე ყვავილების საათის მოსაწყობად ტენდერში გამარჯვებულ ფირმას მოედანი შემოულობავს და ახლადდაგებულ ასფალტში რკინის მილები ჩაუცემენტებია. შემდგომ კი, როდესაც მოსამზადებელი სამუშაოები დასრულდა, ეს მილები გადაუჭრია. ცხადია, ეს ასფალტის დონეზე ვერ მოახერხეს და მილები ზემოთ დარჩა, რაც ამ ტერიტორიაზე მოძრავ ავტომობილების საბურავებს დიდ საფრთხეს უქმნიდა, ამიტომ მას ზემოდან ცემენტის გროვები დაასხეს და შეცდომა გამოასწორეს.**



საქართველოს საკანონმდებლო ორგანო ისე ზრუნავს ქვეყანაში სისუფთავისა და წესრიგის დამყარებაზე, რომ ახალ კანონპროექტზე მუშაობს, რომლის ძალაში შესვლის შემდეგ მოქალაქეს ერთი სიგარეტის ნამწვავის გადაგდება ქუჩაში შესაძლოა 200 ლარი დაუჯდეს, ხოლო კომპანიას (რომელმაც გზა დაამახინჯა, რომლის დაგებაც მილიონობით ლარი უჯდება ბიუჯეტს), ცხადია, ხმასაც არავინ გასცემს; იმიტომ, რომ ტენდერში გამარჯვებული ფირმები საქართველოში უპატრონოები არ არიან და მათ ყველაფერი ეპატიებათ — არათუ ასეთი „უმნიშვნელო“ დეტალები, არამედ ისეთი რამეც, რასაც ადამიანების სიცოცხლე ეწირება. ამის ნათელი მაგალითია **გიგა ბოკერიას ცოლის დის ზემოხსენებული ფირმა „არტ X“, რომლის მიერ შესრულებულმა სამუშაოებმა პროექტ „ვარსკვლავების აკადემიის“ ორი თანამშრომლის სიცოცხლე შეიწირა, ხოლო ათობით ადამიანი შემთხვევით გადაურჩა სიკვდილს; ამის გამო კი არავინ დასჯილა.**

**სოფო გელაშვილი**

## გიგა ბოკერიას ცოლის დის ფირმა «არტ X»-ის მიერ შესრულებულმა სამუშაოებმა პროექტ «ვარსკვლავების აკადემიის» ორი თანამშრომლის სიცოცხლე შეიწირა, ხოლო ათობით ადამიანი შემთხვევით გადაურჩა სიკვდილს; ამის გამო კი არავინ დასჯილა

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

## გაფრაზებულნი



**გურამ ფირცხალავა,**
**მსახიობი:**

არავითარი რევოლუცია, ახლა უნდა გაიმარჯვოს სიბრძნემ, ჭკუამ და მოთხოვნამ!.. სააკაშვილი მშვიდობით უნდა წაბრძანდეს! ხომ ხედავ, ბაბა, უკვე რეებს აკეთებ? ხომ ხედავ უკვე, რომ გაშიშვლდი. ახლა კეთილი უნდა ინებო და უნდა წახვიდე. თან უნდა წახვიდე მშვი-დო-ბით!..

*„ალია“*



**მამუკა ნოზაძე,**
**ადვოკატი:**

დღეს მამუკა ნოზაძის მიმართ დაიწყეს დევნა, ხვალ ლალი აფციაურს მიადგებიან, ზეგ კიდევ — სხვას. მოკლედ, ყველას, ვინც გულზე არ ეხატება პროკურატურას. რაკი ხელისუფლებამ ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარედ თავისი კაცი ვერ გაიყვანა, ახლა ეთიკის კომისიას იყენებს. ჩემზე პროკურატურასა და პოლიციას ვერ გამოიყენებენ, იმიტომ, რომ მე სტრასბურგის სარჩელებზე ვმუშაობ და ამ გზით უნდათ, განახორციელონ ზეწოლა.

*„ალია“*



**ემზარ კვიციანი,**
**კოდორის ხეობის ყოფილი გუბერნატორი:**

ვინც სააკაშვილის ჯიბის ტელევიზიებით იკვებება, ყველას ჰგონია, რომ საქართველო ყვავის. მაგრამ მე, რომელმაც მაგის ყოველი სიტყვა ვიცი, რასაც ნიშნავს, ვფიქრობ, თუ დროზე არ ეშველა ჩვენს სამშობლოს, საქართველო, როგორც ქვეყანა, აღარ იარსებებს.

*„ყველა სიახლე“*



**დავით სირაძე,**
**საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრი, ნალჩიკის „სპარტაკის“ ფეხბურთელი:**

საქართველოსა და რუსეთს შორის დაძაბულობაა, მაგრამ რაც იქ ვარ, რაიმე აგრესია არ მიგრძვნია. ჯერ არ შევხვედრივარ რუსს, რომელიც ქართველის მიმართ აგრესიულად იქნებოდა განწყობილი. რუს და ქართველ ხალხს შორის არანაირი დაძაბულობა არ არის. პოლიტიკას იქ არავინ უყურებს. ყველაზე კარგი ურთიერთობა მაინც ქართველსა და რუსს შორის არის.

*„სარკე“*



**პეტრე ცისკარიშვილი,**
**საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი:**

საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების მიზნით სამუშაოს დაწყება ტექნიკურ და საორგანიზაციო საკითხებს უკავშირდება, რაც ადვილად გადასაწყვეტია. მუშაობა სუფთა ფურცლიდან უნდა დაიწყოს.

*„პირველი“*

# საერთაშორისო ისტორიზმის, ანუ ქართულ ყულაბაში «რუსული» დოლარების შესახებ

**გიხაროდენ! 2010 წლის სექტემბერში, შარშანდელ შემოდგომასთან შედარებით რუსეთიდან საქართველოში გადმომისამართებულმა ფულადმა გზავნილებმა 5,8 მილიონით იმატა და საერთო ჯამში თითქმის 50 მილიონს მიაღწია. 9 თვის განმავლობაში კი საქართველოში „გადმოიქაჩა“ 420 მილიონი „რუსული“ დოლარი.**



**ეტყობა, რომ 2008 წლის რეკორდი, 635 მილიონამდე დოლარი, თუ ვერ გაუმჯობესდება, წლევანდელი „შემოსავალი“ მიუახლოვდება უეჭველად. მით უფრო, რომ ეს „მწვანის“ მხოლოდ ფიქსირებული „გადმოსხმაა“, რადგან შემოვლითი არხებით, რუსეთიდან საქართველოში შემოსული დოლარების ოდენობა მილიარდს გადააჭარბებს, რაც პარლამენტისთვის წარდგენილი 2011 წლის ბიუჯეტის (საშემოსავლო ნაწილი — 5,905 მილიარდი ლარი, ხარჯვითი ნაწილი — 5,707 მილიარდი ლარი) ერთ მესამედზე მეტია.** ამასთან, **ეს თანხა არც ცენტრალიზებულად ნაწილდება, არც აღირიცხება. მისი მიზნობრივი დანიშნულებაა გაუმჯობესოს მოქალაქეებს ცხოვრების არადამაკმაყოფილებელი პირობები, ანუ გააკეთოს ის, რისი ქმნაც ჩვენს სახელმწიფოს არ ხელეწიფება.** ეს „ფულის ხიდი“ რომ არა, რომელიც 200-წლიან ისტორიზმს, შემდეგ კი სახელმწიფოთაშორის სამოკავშირეო ურთიერთობებს ეფუძნება, ძნელი წარმოსადგენია, როგორი შევიდოდა საქართველო დღევანდელ მსოფლიოში. და, საერთოდ, იარსებებდა კი „ეროვნული მოძრაობა“ დღევანდელი სახით, რომელმაც „დიდ საქმეთა“ ესტაფეტა წინა ხელისუფალთაგან მიიღო?

**საშემოდგომო ნათესების სივრცეებში მოძრავი ტრაქტორების ფონზე იდგა იგი, შილიფად, საზაფხულოდ ჩაცმული და სასოფლო-სამეურნეო კონკრეტიკის ჟანრში ახმოვანებდა მაგისტრალურ გზებს, რომლებიც ხვალინდელ აგრარულ კეთილდღეობამდე მიგვიყვანს**

**პარტიულმა და სამეურნეო ფუნქციონერებმა დემოკრატიის დროშის საფარქვეშ ზემოთ ნახსენები ფულის ხალხის ჯიბიდან ოსტატურად ამოცლა ისწავლეს:** არნახულად ძვირი სამედიცინო მომსახურებითა და ასეთივე ძვირი წამლებიდან დაწყებული, გაზზე, ელექტროენერგიაზე, წყალზე, ნაგვის გატანაზე „ევროპული“ ტარიფებით, საწვავზე გაუმართლებლად მაღალი ფასებით დამთავრებული. ასე რომ, **ახლობლების, ნათესავების, ნაცნობების რუსეთიდან სოლიდური შემოწირულობების მიუხედავად, საქართველოს მოსახლეობის უმეტესი ნაწილი დიდ სიღატაკეში ცხოვრობს, რადგან ვირტუოზულად ითვისებენ არა მარტო შემოდინებულ ფულს, არამედ ადგილზე გამომუშავებულსა და სანათესავო-საოჯახო „ჰორიზონტალზე“ გასანაწილებელსაც.** განვლილი თითქმის 20 წლის განმავლობაში ჩამოყალიბდა ფორმით დემოკრატიული, შინაარსით ანტიდემოკრატიული „მრუდე სარკეების სამეფო“, რომელშიც აცხადებენ ერთს, აკეთებენ მეორეს და განსახორციელებლად გვთავაზობენ აბსოლუტურად განსხვავებულს — წარმოუდგენელს...

დავიწყოთ თუნდაც მეგაპროექტით, კოლხეთის ჭაობების დაშრობის შესახებ. ბატონმა პრეზიდენტმა ახლახან განაცხადა, რომ საქართველოში არ უნდა იყოს გაცდენილი მიწა. ამიტომ აპირებენ, შეუტიონ კოლხეთს, უზარმაზარი „გასაიდუმლოებული“ სამეურნეო მოზაიკის ფრაგმენტად წარმოუდგენიათ იგი.

სავარაუდოა, რომ შეტევა 2012 წელს დაიწყება. ისღა დაგვრჩენია, რომ შევძახოთ „ვაშა!“ და გავიხსენოთ, რომ **სახნავ-სათესი ფართობები ჩვენს ქვეყანაში წლითი წლობით მცირდება და იმპორტული საქონლის მრავალფეროვნებას ემატება ხახვი, ნიორი, ხილი და ლობიოც კი ჩაისთან ერთად. ანუ ის ყველაფერი, რაც უკეთეს დროში ჩვენ თვითონ მოგვყავდა და რაც ჩვენს ბაზრებში ქრონიკულ დეფიციტად იქცა.**

## მარსზეც აყვავდება ვაშლის ხეები

**სოფლის თემატიკას პრიორიტეტულად და მომაბეზრებლად ხშირად ატრიალებდნენ ჩვენს მასმედიაში.**

ფუნისა და შემოდგომის კვამლის სურნელება იფრქვეოდა კახეთის ველზე, სადაც **საშემოდგომო ნათესების სივრცეებში მოძრავი ტრაქტორების ფონზე იდგა იგი, შილიფად, საზაფხულოდ ჩაცმული და სასოფლო-სამეურნეო კონკრეტიკის ჟანრში ახმოვანებდა მაგისტრალურ გზებს, რომლებიც ხვალინდელ აგრარულ კეთილდღეობამდე მიგვიყვანს.** ამჯერად საჩ- ▶

## მოკლედ



### შეიარაღებული „ქართული პარტია“

**ახლადშექმნილი ოპოზიციური გაერთიანება „ქართული პარტიის“ ოფისის ორი თანამშრომელი თურმე თბილისის ქუჩებში საბრძოლო შეიარაღებით დადიოდა და აფეთქებებს გეგმავდა.** კიდევ კარგი, დროზე მიუსწრეს სამართალდამცავებმა და ორივე — ვასილ ჯავახიშვილიცა და იმედა სისაურიც პირდაპირ ხელყუმბარებით შეიარაღებული დააკავეს. შსს-ს ცნობით, ექვმიტანილები ამ ხელყუმბარებით მიემართებოდნენ თბილისში, არგოს ქუჩა №18-ში, სადაც დანაშაულის ჩადენას გეგმავდნენ. დანაშაულის მიზანი მოვალის შეშინება იყო, ყოველ შემთხვევაში ვასილ ჯავახიშვილმა ცემის შემდეგ მიცემულ აღიარებით ჩვენებაში ასე განმარტა. სისაურის ბინიდან სამართალდამცავებმა ავტომატისა და პისტოლეტის მჭიდები და სხვა საბრძოლო მასალაც ამოიღეს.



### მიღებულია მასწავლებლების ახალი პარტია

**საქართველოში არაფერი ვითარდება უფრო წარმატებულად და სწრაფი ტემპით, ვიდრე პრეზიდენტის საყვარელი პროგრამა „ისწავლე და ასწავლე საქართველოსთან ერთად“.** ორიოდე დღის წინათ ქვეყანაში უცხოელ პედაგოგთა ახალი, მეშვიდე, ნაკადი ჩამოვიდა. ისინი სამცხე-ჯავახეთის რეგიონში გადანაწილდებიან და ადგილობრივ მოსწავლეებს, რომელთა უმრავლესობასაც საქართველოს ხელისუფლებამ ქართული ვერ ასწავლა და საამისოდ დიდად არც შეუწუხებია თავი, ინგლისური ენის უკეთ შესწავლაში დაეხმარებიან. შეგახსენებთ, რომ პროგრამის ფარგლებში ჩამოყვანილი ინგლისურენოვანი, მასწავლებლებად წოდებული ადამიანები უკვე ასწავლიან აჭარის, გურიის, სამეგრელოს, იმერეთის, რუსთავისა და თბილისის საჯარო სკოლებში.




### საკრებულომ ხელმოწერები დაიწუნა

**„თბილისის საკრებულო გარემოვაჭრეობის წესების განსაზღვრასა და დევნილებისთვის მერიის საკუთრებაში არსებული ფართების დროულად დაკანონების საკითხის განხილვას არ აპირებს“.** ეს „სასიხარულო“ ცნობა „კონსერვატიული პარტიის“ დედაქალაქის საქმეთა მდივანმა ლაშა ჩხარტიშვილმა გაახმაურა. მისი თქმით, დედაქალაქის საკრებულოს ეს საკითხები სხდომაზე უნდა განეხილა, თუმცა ბოლო მომენტში აღნიშნული მოთხოვნებით შეტანილ ხელმოწერებთან დაკავშირებით ხარვეზები აღმოაჩინეს და განხილვაც ჩაიშალა. მაგრამ ჩხარტიშვილი იმუქრება, რომ დევნილების, გარემოვაჭრეებისა და წვრილმეწარმეთა საპროტესტო აქციები საკრებულოსთან არა მხოლოდ გაგრძელდება, არამედ უფრო მასშტაბურიც გახდება.



### პირველი რუსულ-ამერიკული ოპერაცია

**ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და რუსეთმა პირველად ისტორიაში, ავღანეთში ნარკოდილერების წინააღმდეგ ერთობლივი ოპერაცია ჩაატარეს.**

ორი ქვეყნის სპეცსამსახურებმა ავღანეთში ნარკოლაბორატორიის გასანადგურებლად განხორციელებული ერთობლივი ოპერაციის შედეგად ნარკოდილერებს 1 მილიარდი დოლარის ზარალი მიაყენეს. სპეცოპერაცია პაკისტანის საზღვრიდან რამდენიმე მეტრში მიმდინარეობდა. სპეცსამსახურებმა ამ ოპერაციის დროს ჰეროინისა და მორფის მწარმოებელი სამი ლაბორატორია გაანადგურეს. ოპერაციაში ჩართული იყო, ასევე, ავღანეთის შინაგან საქმეთა ძალები და ამერიკული სპეცრაზმი. გამოყენებული იქნა კოალიციური ძალების 9 ვერტმფრენი.

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

ვენებელ მაგალითად გამოიყენებდა მაღალმოსავლიან ამერიკული ჯიშის ხორბალს, რომელიც „მისი უდიდებულესობის" თანდასწრებით ითესებოდა. ხოლო დირექტივა, რომლისგანაც ყურადღებადქცეულ აუდიტორიას ყბა ჩამოუვარდა, ასეთ „დესერტად" გაჟღერდა: **ჩემი საპრეზიდენტო ვადის დამთავრების დროისთვის, დაგვაიმედა მან, ვაწარმოებთ ქვეყანაში მოხმარებული ხორბლის 35-40 პროცენტსო.**

დარგის სპეციალისტების გამოანგარიშებით, საქართველო მოიხმარს 800 ათას ტონა ხორბალს, ჩვენ თვითონ კი მხოლოლდ 15 პროცენტს ვაწარმოებთ. ასე რომ, გვპირდებიან 200-250 ათას ტონა მარცვლეულს, რაც, ამათ რომ უსმინო, ჩვენი კოლხიდური გაქანებისთვის წვეთია ზღვაში. ოდესღაც არწივის მართვენი, ახლა კი ადგილობრივი მნიშვნელობის არწივებად ქცეული ყოფილი „არტეკელები", „მუდამ მზად არიან" გმირობის ჩასადენად და იმისთვისაც კი, რომ უზრუნველყონ მარსზე, რომლისკენაც ხელი არ მიგვიწვდება, ვაშლის პროგრესი... ახლა კი ხორბლით ვართ დაკავებული...

**თუმცა უფრო ადრე სერიოზული კურიოზი გადაგვხდა თავს ამერიკულივე ჯიშის სიმინდთან დაკავშირებით. უხვად დაგვათესინეს ეს ჯიში დასავლეთ საქართველოში მარცვლეულის პრობლემის გადაწყვეტის მიზნით. ცენტრალიზებული წესით ვიძენდით მაშინ ელიტურ თესლს იმ დროის აგრარული აქტივისტებისგან. მაგრამ გაზაფხულისთვის ის თესლი მიწიდან არც ამოწვერილა.**

მართალია, სადღაც რაღაც კი მოიწიეს, მაგრამ არა რეკორდული ცენტნერები, რასაც სამხრეთელებს შორეულ საბჭოთა ხანაში მესიმინდე გენერალური მდივანი ხრუშჩოვი გვპირდებოდა.

ამბობენ, რომ ამ ყველაფრის შემდეგ ჩვენს ყანებში მანამდე არარსებული მავნებლები გაჩნდა, დაუმარცხებელი მარცვლეულის ჩრჩილი.

**ზღვისგაღმიდან შემოტანილი თესლი კი არის გზა პროგრესისკენ, მაგრამ მის წარმოებას თავისი სპეციფიკა აქვს. ჯერ ერთი, ეს თესლი უმეტესად ერთჯერადი მოხმარებისაა — მომდევნო პოპულაციაში მაღალ მოსავალს აღარ იძლევა. მეორე, „იმ მხარეშიც" არიან ისეთები, ვინც არაკონდიციურ, ჩაწოლილ საქონელს ასაღებენ.** ასე რომ, დღეს სერტიფიკაცია ყველა შემთხვევაში აუცილებელია. მის გარეშე კი საწარმოო ექსპორტის არსი გაირკვევა მხოლოდ მას შემდეგ, რაც პრეზიდენტი — ძველი ყაიდის ხელმძღვანელი გარდაიქმნება პრემიერ-მინისტრად — ახალი ყაიდის ხელმძღვანელად.

ერთი სიტყვით, სადავოს ნუ გავხდით კარგ იდეებს, რომლებიც მოსავლის გაზრდას გვპირდება. ისევე, როგორც აგრარულ იმედს, რომელსაც ჩვენი "პირველი" და მისი თანამებრძოლები მეცნიერ-აგრონომებზე ამყარებენ. ისინი **მასობრივად გადამზადდებიან მცხუნვარე ეგვიპტეში, როგორც ოდესღაც ჩვენი თანამემამულენი — მამლუქობის კანდიდატები. ჩამოყალიბდებიან მაღალგანათლებულ სპეციალისტების ელიტად ეგვიპტური დიპლომებით და აალორძინებენ ქართულ სოფლის მეურნეობას.**



მესიმინდე ნიკიტა

## უფრო ადრე კი დასავლეთ საქართველოში მარცვლეულის პრობლემის გადაწყვეტის მიზნით, ნიკიტა ხრუშჩოვმა უხვად დაგვათესინა ამერიკულივე ჯიშის სიმინდი, მაგრამ გაზაფხულისთვის ის თესლი მიწიდან არც ამოწვერილა

თუ გავითვალისწინებთ, რომ ნილოსის დაბლობი ჯერ კიდევ ფარაონებამდელი დროიდან გამოირჩეოდა მარცვლეულის საჩვენებელი მეურნეობრიობით, კერძოდ, ხორბლის მოყვანით, ყველაფერი თავის ადგილზე დადგება. თუმცა არის სხვა ხასიათის უმრავი მაგალითი, როცა ერთ საბჭოთა მეურნეობაში სამი აგრონომის მოღვაწეობა (საბჭოთა პერიოდის არცთუ ცუდი სპეციალისტებისა) სულაც არ იყო საკმარისი პირობა მაღალი მოსავლის მისაღებად. და, უწინარეს ყოვლისა, იმიტომ, რომ არცთუ იშვიათად (ისევე, როგორც ამჟამად) სამეურნეო ხელმძღვანელებად მოკალათებულები იყვნენ პარტიული ფუნქციონერები.

**მითხარით, თუ ღმერთი გწამთ, რომელ ჯანმრთელ ხელმძღვანელს დაებადება აზრი დღევანდელ, ყოველმხრივ სავალალო აგრარულ ეტაპზე საქართველოში ზეთისხილის პლანტაციების სამრეწველო გაშენების ან მშობლიური მენუშეობის ინდუსტრიალიზაციის შესახებ?** ჩვენი ინდივიდუალური მწარმოებლების მასა ბედის ანაბარაა მიგდებული და საკუთარი შეხედულების მიხედვით ფართხალებს საბაზრო ფერმერული მეურნეობრიობის მღვრიე წყალში.

**ბატონ „ნაციონალებს" არ აწყენდათ იმის ცოდნა, რომ აგრარული სექტორი ყველაზე უფრო განვითარებულ ქვეყნებშიც კი დოტირებულია სახელმწიფოს მიერ, რომელიც მას სტრუქტურულად აყალიბებს და წარმართავს.** ძნელი წარმოსადგენია, რომ ფერმერული მეურნეობის დონეზე შეიძლება გადაწყდეს დარგის მიმართულების საკითხები და, რაც მთავარია, წარმოებულის სარეალიზაციო გარანტირების ან წარმოების დაზღვევის პრობლემები.

**არასერიოზულია ლაპარაკი 40 მილიონ ლარზე, რომელსაც ახალი ბიუჯეტი მომავალ წელს წარმართავს აგრარულ მეურნეობაში. თანხის ეს რაოდენობა სასტარტო დოპინგის როლსაც ვერ შეასრულებს საწარმოო სისტემის აქტივიზაციის საქმეში,** რადგან არ არსებობს ერთიანი სტრუქტურა, არ არის სისტემა და, რაც მთავარია, ცენტრალიზებული ერთიანი დამოკიდებულება თემისადმი.

### ჩვენ არ ვართ მონები, მონები არ ვართ ჩვენ

**ამბობენ, რომ რუსეთის უკანასკნელმა მეფემ ნიკოლოზ II-მ არ გაწირა საქართველო კოლონიური კულტურისთვის — მეჩაიეობისთვის „თავისუფალ დემოკრატიულ იმპერიაში", იქ, სადაც მონები, აბორიგენები კი არა, არამედ თავისუფალი ხალხები, მისი უდიდებულესობის ქვეშევრდომები ცხოვრობენ, მეჩაიეობის ადგილი არ არის.**

მეჩაიეობა და მეციტრუსეობა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების წლებში განვითარდა, თუმცა ჩაის პირველი პლანტაციები გაშენდა ჩაქვში ჯერ კიდევ მეფის რუსეთის დროს.

**ახლა ბევრს ლაპარაკობენ იმის თაობაზე, რომ სტალინი თითქოს არ იყო ქართული ეთნოსის წარმომადგენელი, თითქოს მისი ფესვები „სხვა ბოსტანშია" გადგმული. მაგრამ აზროვნების თავისებურებით, გენეტიკური სტრუქტურით იგი ჭეშმარიტად ქართველი იყო. მეფური სიუხვით გამორჩეულ საჩუქრად უძღვნა საკუთარ სამშობლოს იოსებ ბესარიონის ძემ მეჩაიეობა და მეციტრუსეობა, როგორც „მრავალჯერადი გამოყენების" დარგები, რისთვისაც ფულის მილიარდიანი ნაკადები წარიმართა საქართველოსკენ საკავშირო ბიუჯეტიდან. საერთო საკავშირო მზის ქვეშ აყვავდა ჩვენი სამშობლო; ცხოვრობდა საბჭოთა სტანდარტების მიხედვით, არცთუ ცუდად და აწარმოებდა, თუ მეხსიერება არ მღალატობს, საერთო მოცულობის ორ მესამედზე მეტს სწორედ აგრარული დანიშნულების პროდუქციას.**

რისთვის დაგვჭირდა ეს დახავსებული ისტორიზმი? მხოლოდ იმის გასახსენებლად, თუ რა მოუტანა საქართველოს „ორასწლიანმა მონობამ". თუნდაც იმის გასახსენებლად, რომ ჩვენმა ქრისტიანმა ერმა, რამდენიმე ასეული ათასიდან ხუთ მილიონამდე მიაღწია საბჭოთა წყობილების დასალიერს. ეს ერთი. მეორე — იმისთვისაც, რომ შეიქმნა, საკოლმეურნეო და საბჭოთა მეურნეობების, მაგრამ მაღალტექნიკურად აღჭურვილი სასოფლო მეურნეობები.

**იმპერიის „ფარდის დაშვების" წინ წარმოიქმნა დამამუხრუჭებელი ფაქტორები, რომლებიც დასავლეთის შემოტევაში, ერთის მხრივ, და, მეორე მხრივ, უნიჭო პარტიული ხელმძღვანელების მიზეზით შეიქმნა. მაგრამ მთავარი მაინც ის იყო, რომ უკვე სამი გენერაციის შთამომავლებმა ვერ შეძლეს საზოგადოების საკეთილდღეოდ წარემართათ დაგროვებული სოციალური სიმდიდრე. თუ კაპიკის ღირებულების ვაუჩერებს არ ჩავთვლით, ყველაფერი გაიძარცვა, გაიქურდა, დაინგრა და ქარს იქნა გატანებული.**

მხოლოდ სოციალისტური ჯართის ნარჩენები არჩენს ზოგზოგებს. და კიდევ — „რუსული" დოლარები, რომლის ნაკადები, ადასტურებს არა მხოლოდ ეროვნული ხასიათების, კულტურათა ურთიერთშეღწევადობასა და ურთიერთგამდიდრებას, არამედ ჩვენი მხარის ისტორიული არჩევანის სისწორეს. პოლიტიკურ ორიენტაციათა უაქტიურესი კორექტირების მიუხედავად, იგი (ეს ორიენტაცია) უმეტესად მიუღებელი რჩება წარსულისა და უწინდელი ისტორიული მოკავშირეებისადმი მოდელირებული სიძულვილის დანერგვის თვალსაზრისით. ასე იმიტომ ხდება, რომ **არაკონსტრუქციულ სახელმწიფო მმართველობას ამ შემთხვევაში უპირისპირდება რუსეთში მომუშავე ქართული ყოფითი ელემენტი, ანუ — თვით რეალური ცხოვრება. კავშირები ფართოვდება და ღრმავდება, ამჟამინდელი პოლიტიკური ურთიერთობის სირთულეთა მიუხედავად.**

**ცნობისთვის: ექსპერტთა შეფასებით, რუსეთიდან დსთ ქვეყნებში წარიმართება 20 მილიარდზე მეტი „რუსული" დოლარი, საბანკო სისტემით აღურიცხავი ოდენობის ჩათვლით — 40 მილიარდზე მეტი.**

რუსულ პრესაში გამოქვეყნებულია ინფორმაცია იმის შესახებ, რომ „იზრდება გადარიცხვების მოცულობა არა მარტო დსთ ქვეყნებში (პლიუს 851 მილიონი დოლარი II კვარტალში), არამედ შორეულ უცხოეთშიც (პლიუს 725 მილიონი დოლარი).

**ამიტომ, როცა „ნაციონალების" დროშებს ცვლილებათა ქარი ააფრიალებს, აღდგება უწინდელი ურთიერთობაც. ჩვენთვის ეს არის დაკარგულ ბაზარზე უპრობლემოდ დაბრუნება, ექსპორტის რამდენჯერმე გაზრდა და მრავალი ეკონომიკური პრობლემის გადაწყვეტა.**

საქინფორმი

## ბატონ «ნაციონალებს» არ აწყენდათ იმის ცოდნა, რომ აგრარული სექტორი ყველაზე უფრო განვითარებულ ქვეყნებშიც კი დოტირებულია სახელმწიფოს მიერ, რომელიც მას სტრუქტურულად აყალიბებს და წარმართავს

## გაფრაზებული



**ბარაკ ობამა, აშშ-ის პრეზიდენტი:**

ეს არჩევნები არის არჩევანი ჩვენს ამ უფსკრულში გადამჩეხავ პოლიტიკასა და იმ პოლიტიკას შორის, რომელსაც ამავე უფსკრულიდან ამოვყავართ. თქვენი (რესპუბლიკელების) პროგრამა, რომლის შედეგიც დიდი დეპრესიის შემდეგ უდიდესი რეცესია გახდა და რომელიც გადასახადების შემცირებას ეფუძნება, ძირითადად მილიონერებსა და მილიარდელებზეა გათვლილი. თქვენ ცვლით წესებს განსაკუთრებული ინტერესებისა და დიდი კორპორაციებისთვის. თქვენ საშუალო კლასის ოჯახებს საკუთარი თავის ამარა ტოვებთ.

*izvestia.ru*



**ვიქტორ იანუკოვიჩი, უკრაინის პრეზიდენტი:**

აუცილებელია, ყოველ საარჩევნო უბანზე სადღესასწაულო განწყობა შეიქმნას. ორგანიზება მოახდინეთ, რათა იყოს საკვები და ხალხმა ნახოს, როგორც ზრუნავს ხელისუფლება მათზე. ეს ჩვენი ვალდებულებაა და არა ხალხზე ზეწოლა. ჩვენ ვალდებულები ვართ, შევქმნათ ასეთი პირობები იმ ადამიანებისთვის, რომელთაც სახლში ჩაის დალევა ვერ მოასწრეს.

*rosbalt.ru*



**სერგეი ლავროვი, რფ-ის საგარეო საქმეთა მინისტრი:**

წელს პოზიტიური ტენდენცია იყო — უფრო აქტიურად დავკავდით მოლაპარაკებებისა და რეგიონული კონფლიქტების დარეგულირების პრევენციული მექანიზმებით. ეს ძალიან კარგი და სწორი ტენდენციაა, რომელიც ამყარებს აზრს, რომ თანამედროვე მსოფლიოში კონფლიქტების დარეგულირება ძალისმიერი მეთოდებით შეუძლებელია, როგორც ამის გაკეთება საქართველოს ამჟამინდელმა ხელისუფლებამ სცადა, როცა სამხრეთ ოსეთის მშვიდობიან მოსახლეობას და სამშვიდობოებს თავს დაესხა.

*rg.ru*



**გენადი გუდკოვი, რუსეთის სახელმწიფო დუმის დეპუტატი:**

რუსეთის ჩინოვნიკებს თავისუფლად შეუძლია საქართველოს შესახებ ყველა ინფორმაციის მიღება ისე, რომ ისინი საკუთარ სამუშაო ადგილს არც დატოვებენ. საქართველოში ჯაშუშური ქსელის შექმნა რუსეთისთვის რესურსების უშედეგო ხარჯვა იქნებოდა.

*rosbalt.ru*



**სერგეი სობიანინი, მოსკოვის მერი:**

მე მუდმივად ჩავატარებ შემოვლებსა და ინსპექციებს, ყოველ კვარტალსა და ყოველ 6 თვეში შედეგებს დავაჯამებ. ის ჩინოვნიკები, რომლებიც კვარტლის მონაცემებით ყველაზე ცუდ შედეგებს აჩვენებენ, დაისჯებიან; ისინი კი, ვისაც 6 თვის მონაცემებით ყველაზე უარესი შედეგი ექნება — გათავისუფლდება.

*rian.ru*



**ანატოლი სერდიუკოვი, რფ-ის თავდაცვის მინისტრი:**

რუსეთი შეიარაღებული ძალების რაოდენობას მილიონამდე შეამცირებს. ერთი მილიონი სამხედროდან 150 ათასი ოფიცერი იქნება, 100-დან 120 ათასამდე კი — პროფესიონალ სერჟანტთა შემადგენლობა, ხოლო დანარჩენები წვევამდელები იქნებიან.

*interfax.ru*



**ასკარ ბეშიმოვი, ყირგიზეთის რესპუბლიკის საერთაშორისო საქმეთა საბჭოს ექსპერტი, ეკონომისტი:**

ვალისა და გრანტების ასაღებად ყირგიზეთის მთავრობამ დონორებს შესაბამისი პროექტები და ტექნიკური დავალებები უნდა შესთავაზოს. მოქმედ ხელისუფლებას მისი დროებითი სტატუსის გათვალისწინებით, კონკრეტული პროექტები არ გააჩნია. აქედან გამომდინარე, ქვეყანა 2010 წელს საგარეო დახმარების აუცილებელ მოცულობას ვერ მიიღებს.

*interfax.ru*

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

## ბრიტანელი სამხედროები გერმანიას დატოვებენ



**გერმანიაში მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ განლაგებული 20200 ბრიტანელი სამხედროთაგან ნახევარი სამშობლოში 2015 წლამდე დაბრუნდება, დანარჩენები კი — 2020 წლისთვის,** — ამის შესახებ ქვეყნის პრემიერ მინისტრმა დევიდ ქემერონმა განაცხადა. ეს გადაწყვეტილება მიღებულია სამხედრო ბიუჯეტის მასშტაბური შემცირების ფარგლებში, რომელსაც ბრიტანეთი ახორციელებს. სულ გერმანიის ტერიტორიაზე 12 ბრიტანული გარნიზონია; ადრე მათი გაყვანა 2035 წლისთვის იგეგმებოდა.

## რუსული „ვეფხვი“ ბრაზილიაში მიემგზავრება



**რუსეთი და ბრაზილია ერთობლივი საწარმოს შექმნას აპირებენ, სადაც რუსულ ჯავშანმანქანებს „ГАЗ-2330 Тигр“-ს ააწყობენ. ბრაზილიის პოლიციამ, რომელმაც 2014 წლის საფეხბურთო ჩემპიონატისა და 2016 წლის ოლიმპიადის უსაფრთხოება უნდა უზრუნველყოს, შეიძლება არჩევანი სწორედ ამ მანქანაზე შეაჩეროს,** — წერს „Infodefensa“. „Тигр“-ის სიგრძე 5,16 მეტრია, სიგანე — 2,2 მ., სიმაღლე — 2 მ., საბრძოლო მასა — 7200 კგ, ტვირთამწეობა — 1200 კგ, სიჩქარე — 125 კმ/სთ. მოდიფიკაციიდან გამომდინარე, მას შეუძლია 8 მებრძოლამდე გადაიყვანოს. მანქანაზე შეიძლება დამონტაჟდეს საბრძოლო მოდული 7,62 მმ. ტყვიამფრქვევით.

## «СТУГНА-П» — ახალი თავსატეხი ტანკისტებისთვის



**უკრაინის თავდაცვის სამინისტრომ კიევის საკონსტრუქტორო ბიურო „Луч“-ს 10 ახალი ტანკსაწინააღმდეგო სარაკეტო კომპლექსი„Стугна-П“ შეუკვეთა. თუ კომპლექსის გამოცდა წარმატებით ჩაივლის, მისი გადაცემა ქვედანაყოფებისთვის მომავალი წლიდან დაიწყება,** — წერს „Janes Missiles and Rockets“. „Стугна-П“-ს ნახევრადავტომატური ლაზერული დამიზნების სისტემა აქვს. მისი მოქმედების რადიუსი 100 მეტრიდან 5 კილომეტრამდეა; მის რაკეტებს 800 მილიმეტრამდე სისქის ჯავშნის გახვრეტა შეუძლია.

## მეზღვაურების ძალა ერთობაშია



**რუსეთის შავი ზღვის ფლოტის სუბმარინა „Алроса“-ზე რუსი და უკრაინელი მეზღვაურების ერთობლივი სწავლება დასრულდა.** უკრაინელებს სუბმარინის მართვისა და ტორპედოების გაშვების შესაძლებლობა მიეცათ. საერთოდ, უცხო ქვეყნის სამხედრო მოსამსახურეების ყოფნა წყალქვეშა ნავზე ძალზე იშვიათი შემთხვევაა, თუმცა, ვინაიდან უკრაინა აპირებს, მწყობრში დააბრუნოს მისი კუთვნილი ერთადერთი, პროექტ 641-ის, სუბმარინა „**Запорожье**“, რუსეთმა გადაწყვიტა, მის მეზღვაურებს მომზადებაში დაეხმაროს.

# ავღანეთის ომის სისხლიანი ბიუჯეტი

**ჩვენ განვაგრძობთ ავღანეთში მიმდინარე ომის სხვადასხვა ასპექტების ანალიზს. ამჯერად ყურადღებას ამ ომის ფინანსურ მხარეზე გავამახვილებთ. ცხრა წელია, საბრძოლო მოქმედებები მიმდინარეობს, ბოლო წელიწად-ნახევრის განმავლობაში ამერიკელთა ხარჯები მნიშვნელოვნად გაიზარდა. ასე რომ, ომის დაწყებიდან გასული წლის აპრილამდე პენტაგონმა ავღანეთის ომზე 171,7 მილიარდი დოლარი დახარჯა, ხოლო გასული წლის მაისიდან დღემდე — 166,3 მილიარდი დოლარი. შესაბამისად იზრდებოდა ყოველთვიური ხარჯებიც: თუ 2009 წლის ოქტომბერში 3,6 მილიარდი დაიხარჯა, ხოლო 2010 წლის თებერვალში — 6,7 მილიარდი დოლარი, გასულ თვეში, ექსპერტების წინასწარი შეფასებებით, ხარჯების მოცულობამ 8 მილიარდს მიაღწია.**



აღსანიშნავია, რომ ხარჯების ზრდის მიუხედავად, ვითარება ავღანეთში არ გაუმჯობესებულა, პირიქით, თალიბები განსაკუთრებით სწორედ ბოლო წელიწად-ნახევრის განმავლობაში გააქტიურდნენ. ამერიკელმა ჟურნალისტებმა გამოთვალეს, რომ **თითოეული თალიბის განადგურება გადამხდელებს 50 მილიონი დოლარი უჯდება, 20 თალიბისა კი — ერთი მილიარდი. მსოფლიო სამხედრო ისტორიას თანხების ასეთი არაეფექტური გაფლანგვა, უბრალოდ, არ ახსოვს, ის აბსოლუტურად უპრეცედენტოა.** თუ ავღანეთში განლაგებული კონტინგენტის ყოფილი სარდლის — გენერალ სტენლი მაკკრისტალის შეფასებას დავეყრდნობით, რომელიც მიიჩნევს, რომ **„თალიბანს“ 35 ათასი მებრძოლი ჰყავს, გამოდის, რომ მათ განადგურებას 1,7 ტრილიონი დოლარი დასჭირდება.**

თუ სხვადასხვა შეფასებებს შევაჯერებთ (ზუსტი სტატისტიკა არ არსებობს), წელიწადში კოალიციის ძალები საშუალოდ 2000 თალიბს ანადგურებენ, თუმცა მოწინააღმდეგის რიგებს შეთხელება ნამდვილად არ ეტყობა; **თალიბები ახალი მებრძოლების რეკრუტირებას პრაქტიკულად უპრობლემოდ ახერხებენ.** ცნობებში კონფლიქტის ზონიდან კი ისევ და ისევ ერთი და იგივე დასახლებული პუნქტები ფიგურირებს, სადაც ბრძოლები, თითქოსდა დიდი ხანია, დასრულდა და ტერიტორია მეამბოხეებისგან გაიწმინდა, თუმცა გადის მაქსიმუმ რამდენიმე თვე და ყველაფერი თავიდან იწყება.

კოალიციის თითოეული მოწინავე ბაზის (100-ზე მეტია) ყოველდღიურ მომსახურებას 1300 ლიტრზე მეტი დიზელის საწვავი სჭირდება, ქვეყანაში ყოველდღიურად 66 ათასი ლიტრი რეაქტიული (სხვას თავი რომ დავანებოთ) საწვავი შედის; სტატისტიკურად, კოალიციის ერთი ჯარისკაცის მოქმედების უზრუნველყოფაზე დღეში 90 ლიტრი საწვავი იხარჯება; კონტინგენტის მომარაგებაში 150 ათასი სამოქალაქო კონტრაქტორია ჩართული. **27,5 მილიარდი დოლარი** (ეს სახელმწიფო დეპარტამენტისა და „USAID“-ის ხარჯებია) **ავღანური სამთავრობო ძალების წვრთნასა და აღჭურვაზე დაიხარჯა, კიდევ 8,5 მილიარდი — სამოქალაქო პროექტებზე,** თუმცა სამთავრობო ჯარი გარბის მაშინვე, როგორც კი ამის შესაძლებლობა მიეცემა, ხოლო დღისით სამოქალაქო პროექტებში ჩართულმა პირებმა ღამით შეიძლება ▶

# 1983 წლის არშემდგარი ომი

**ითვლება, რომ „ცივი ომის“ პერიოდში დაპირისპირებულ მხარეთა შორის საბრძოლო მოქმედებების დაწყების ალბათობა არც ისე დიდი იყო, რადგან, როგორც სსრკ-ის, ისე აშშ-ის პოლიტიკური ხელმძღვანელობა აცნობიერებდა, რომ ყოველივე გლობალური ბირთვული კატასტროფით დასრულდებოდა. ყველაზე საშიშ ეპიზოდად ამ მხრივ 1962 წლის კარიბის კრიზისი ითვლება, როდესაც ორი ზესახელმწიფო შეტაკების ზღვარზე იდგა, თუმცა 1983 წელს განვითარებული მოვლენების ანალიზის დროს ნამდვილად ვერ გამოვრიცხავთ, რომ მსოფლიო იმ წელს, შესაძლოა, უფრო ახლოს იყო ომთან, ვიდრე სამოციან წლებში.**



აშშ პრეზიდენტი რონალდ რეიგანი და დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი მარგარეტ ტეტჩერი

1983 წლის ეკონომიკური სტატისტიკა უაღრესად საინტერესოა: **აგვისტო-სექტემბერში, ყოველგვარი ეკონომიკური წინაპირობების გარეშე, რეკორდულად აიწია ნავთობის ფასმა, რაც გაზრდილ შესყიდვებზე მიანიშნებდა.** 1983 წელს აშშ-ში მკვეთრად (გრაფიკზე სიმაღლეში ნახტომს ჰგავს) გაიზარდა აზოტის მჟავისა და ფოლადის დამუშავებისთვის აუცილებელი დანადგარების წარმოება; ორივე ფაქტორი ომისთვის მზადების ერთ-ერთ უტყუარ ნიშნად ითვლება.

ამავე წელს სსრკ-ში 1982-თან შედარებით 1,5-ჯერ მეტი წიწიბურა დათესეს, მომხმარებელმა კი 1983 წლის შემოდგომაზე ხორცის აშკარა დეფიციტი იგრძნო (იმ დროის ნორმების თანახმად, ომის პერიოდში წიწიბურა და „ტუშონკა“ საბჭოთა ჯარისკაცის რაციონში ძირითად ადგილს იკავებდა). მკვეთრად გაიზარდა ბამბის წარმოებაც, ხოლო 1983 წლის 19 აგვისტოს საბჭოთა მთავრობამ მიიღო დადგენილება შაქრის წარმოების სასწრაფოდ გაზრდის შესახებ (არადა, 1981-85 და 1980-90 წლების ეკონომიკის განვითარების გეგმები ამას არ ითვალისწინებდა).

იმ წლებში შაქრის ნაწილი სსრკ-ს კუბიდან შემოჰქონდა, მაგრამ, შესაძლოა, მოსკოვში ჩათვალეს, რომ ეს არხი შეიძლებოდა გადაკეტილიყო. საგულისხმოა, რომ 1984 და შემდგომ წლებში შაქრის წარმოება სსრკ-ში შემცირდა და ისევ ძველ მაჩვენებლებს დაუბრუნდა.

**1983 წლის გაზაფხულზე (მაშინ უახლეს) ამერიკულ ტანკებ „M1 ABRAMS“- ზე სასწრაფო წესით დამხმარე ენერგოაგრეგატების დაყენება დაიწყეს, რომელიც ბატარეების ტემპერატურის შენარჩუნებას უზრუნველყოფდა.**

საქმე ისაა, რომ ადრე დაბალი ტემპერატურის (-32 გრადუსიდან დაწყებული) პირობებში Abrams-ის ძრავის “AGT-1500-ის დაქოქვა პრობლემა იყო. დამხმარე აგრეგატებმა ტანკების დაქოქვა შესაძლებელი -43 გრადუსის პირობებში გახადეს. ევროპაში, როგორც ცნობილია, ასეთი ყინვები არ იცის.

კიდევ ერთი საინტერესო ნიშანი: თუ 1971-იდან 1981 წლამდე გერმანიაში განლაგებული საბჭოთა ნაწილებიდან უკვალოდ სულ 65 სამხედრო გაქრა, **1983 წლის მარტიდან მაისამდე 13 სამხედრო დაიკარგა,** თითქოს მოწინააღმდეგეს სასწრაფოდ დასჭირდა ოპერატიული ინფორმაციის დამატებითი წყაროები; **საბჭოთა სარდლობამ გერმანიაში მყოფ სამხედროებს გარნიზონების ახლოს მდებარე ქალაქებში გასვლა ერთი წლით აუკრძალა. ამავე დროს მოსკოვში ამერიკელი ჯაშუშების, მათ შორის მაღალჩინოსანი დიპლომატების, მასობრივი დაკავება დაიწყო, გაცილებით მეტის, ვიდრე „ცივი ომის“ ნებისმიერ სხვა წელს.** ▶

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

რომელიმე ამერიკულ ბაზას შეუტიონ.

**პენტაგონის ხარჯების მთავარი ნაწილი, რასაკვირველია, ლოგისტიკაზე და ბოლო თაობის „ჭკვიანი" იარაღის შეძენაზე მიდის.** რაც შეეხება თალიბებს, მათ ლოგისტიკასთან დაკავშირებული პრობლემები, პრაქტიკულად, არ აქვთ; საწვავი ძალიან მცირე რაოდენობით სჭირდებათ და ძველი, ხშირ შემთხვევაში, ჯერ კიდევ საბჭოთა წარმოების იარაღით არიან შეიარაღებულნი. მაგრამ, უზარმაზარი ხარჯების მიუხედავად, ამერიკელები ამ ომს მაინც ვერ იგებენ.





**„ჩვენ არ წავალთ ავღანეთიდან ნაადრევად, სინამდვილეში ჩვენ ამ ქვეყნიდან საერთოდ არ წავალთ", — მოჰყავს „Huffington Post"-ს აშშ-ის თავდაცვის მინისტრის — რობერტ გეითსის სიტყვები, რომელიც კიდევ ერთხელ მიანიშნებს იმაზე, რომ ავღანეთის საკითხზე თეთრი სახლი და პენტაგონი ვერ თანხმდებიან;** პრეზიდენტ ობამას განცხადების თანახმად, ამერიკულ ჯარებს ავღანეთი მისი პირველი საპრეზიდენტო ვადის დასრულებამდე უნდა დაეტოვებინათ (მხოლოდ სწრაფი რეაგირების მცირერიცხოვანი ძალების დატოვებას გეგმავდნენ). ამავე კონტექსტში უნდა განვიხილოთ **ავღანეთში მყოფი ძალების ახალი სარდლის, გენერალ დევიდ პეტრეუსის გამონათქვამი,** რომელიც, ერთი შეხედვით, ძალზე არალოგიკურია: **„უნდა ვაღიარო, რომ მე არ ვფიქრობ, რომ ამ ომის მოგება შეგვიძლია. მე ვფიქრობ, რომ ეს ომი უნდა გავაგრძელოთ და ავღანეთში ომის შემდეგაც დავრჩეთ. ეს ისეთი ბრძოლაა, რომელშიც ჩვენი და, შესაძლოა, ჩვენი შვილების სიცოცხლის ბოლომდე ვიქნებით ჩაბმულნი".**

სამხედროები მხარს უჭერენ ომის გაგრძელებას, თუმცა ჯერჯერობით ვერ წამოადგინეს სტრატეგია, რომელიც წარმატების მიღწევას უზრუნველყოფს. ალბათ, უნდა გავითვალისწინოთ, ისიც, რომ, სავარაუდოდ, ბევრი მაღალჩინოსანი და ბიზნესმენი ამ ომზე ხელს ითბობს და, რაც უფრო დიდხანს გაგრძელდება ომი, რაც უფრო მეტი თანხა გამოიყოფა მასზე, მით უფრო დიდ მოგებას ნახავენ. ამასთანავე, **ომის გაგრძელების პირობებში სამხედროებს შეუძლიათ, მეტი გავლენა მოახდინონ პრეზიდენტ ობამას პოლიტიკაზე და ამ შესაძლებლობაზე უარს თავისი ნებით ნამდვილად არ იტყვიან.**

ბოლო სიტყვა ამ ისტორიაში, ალბათ, ამერიკის საზოგადოებამ უნდა თქვას, მზად არის თუ არა ის, მომავალშიც შეეგუოს მზარდ დანაკარგებს ავღანეთში და თითოეული თალიბის გასანადგურებლად 50 მილონი დოლარი გადაიხადოს, მითუმეტეს, რომ მის ადგილს უმალვე სხვა მებრძოლი დაიკავებს.






სკკპ ცკ გენერალური მდივანი იური ანდროპოვი

1 სექტემბერს სსრკ-ის საჰაერო სივრცეში სამხრეთკორეული „ბოინგი" ჩამოაგდეს. დასავლეთში ამასთან დაკავშირებით უპრეცედენტო ანტისაბჭოთა კამპანია დაიწყო, კრემლი ამტკიცებდა, რომ ეს მიზანმიმართული პროვოკაცია იყო. დაძაბულობამ პიკს მიაღწია.

**ნოემბრის პირველ კვირასთან დაკავშირებით აზრთა სერიოზული სხვადასხვაობა არსებობს. ამერიკული წყაროების მიხედვით, საბჭოთა ჯარები ევროპაში შეტევისთვის მზადების უკანასკნელ სტადიაში იმყოფებოდნენ, ხოლო მათი ოპონენტები ამტკიცებენ, რომ ნატოს სწავლებები „ABLE ARCHER 83", რომელიც 2 ნოემბერს დაიწყო, ამერიკული ჯარების თავშეყრის რაიონებში გადასროლის შენიღბვას წარმოადგენდა, ხოლო აშშ-ში საბრძოლო მზადყოფნის უპრეცედენტოდ მაღალი დონე „DEFCON 1" შემოიღეს.**

შეცდომა იქნებოდა იმის ფიქრი, რომ ამერიკული სარდლობა მხოლოდ დასავლეთ ევროპის ყრუ დაცვისთვის ემზადებოდა, დაახლოებით ისეთ სტილში, როგორც ამას ტომ კლენსი „წითელ ქარიშხალში" აღწერს. **შეტევის გეგმა ამერიკელებსაც ჰქონდათ, ექსპერტების აზრით, ნავარაუდევი იყო, რომ, ვიდრე ბუნდესვერის დახმარებით საბჭოთა სატანკო არმადას დასავლეთ გერმანიის კარიბჭესთან შეაკავებდნენ, ამერიკელები, კანადელები და ბრიტანელები ავსტრიის ტერიტორიის გამოყენებით ჩეხოსლოვაკიაში შეიჭრებოდნენ (ძირითადი დარტყმა ბრატისლავა-ოსტრავას მიმართულებით) და წინსვლას პოლონეთისკენ, ბალტიის ზღვის საერთო მიმართულებით გააგრძელებდნენ, რაც თეორიულად, საბჭოთა ჯარების უზარმაზარ „ქვაბში" მოქცევის შესაძლებლობას აძლევდა, თუმცა რამდენად გამოვიდოდა ყოველივე ეს პრაქტიკულად, ძნელი სათქმელია.**

ნოემბრის პირველი დეკადის შემდეგ კი რაღაც შეიცვალა, თითქოს საქმეში საიდუმლო დიპლომატიის ძალზე ეფექტური მექანიზმები ჩაერთო და ვითარება ნორმალიზაციისკენ წავიდა. კონფრონტაციული რიტორიკა, რასაკვირველია, დარჩა, თუმცა გადამწყვეტი მზადების საგანგაშო ნიშნები არც ეკონომიკურ სტატისტიკაში და არც სხვა სფეროებში ამ პერიოდიდან მოყოლებული აღარ გვხვდება.

**ალბათ, დრო გაივლის, ვიდრე გავიგებთ, თუ რა ხდებოდა სინამდვილეში შორეულ 1983-ში, თუმცა საკმაოდ დიდი იყო იმის ალბათობა, რომ კაცობრიობა მაშინ გლობალურ კატასტროფას გადაურჩა.** მიუხედავად იმისა, რომ 80-იან წლებში საკმაოდ ფართოდ გავრცელდა მოსაზრება, რომ ზესახელმწიფოები ბირთვული იარაღის გამოყენებისგან თავს შეიკავებდნენ და ომის წარმოება ევროპაში მხოლოდ ჩვეულებრივი შეიარაღების გამოყენებით მოხდებოდა, სავარაუდოდ, **მასობრივი განადგურების იარაღს ამ ომში ადრე თუ გვიან მაინც გამოიყენებდნენ, ბირთვული ესკალაციის შემთხვევაში კი კაცობრიობას სასიკვდილო საფრთხე დაემუქრებოდა.**

მოამზადა
**გიორგი გიგიბერიამ**

# საკუთარი თავის დამარცხებლის გამარჯვება სხვათა ზედა

**მთლად ისე არ არის, კახელს ტოკიოში თვითმფრინავის რეისზე რომ დააგვიანდა, ტურისტულ ჯგუფს ჩამორჩა. შეწუხდა. როგორ გავაგებინოო ბილეთების გამყიდველს, ხოდაშენში რომ ვარ წასასვლელიო? მაგრამ სხვა რა გზა ჰქონდა, მივიდა თოჯინასავით დახატულ ლამაზმანთან და ეუბნება:**
**— ხოდაშნამდე ერთი ბილეთი!**
**აafახულა წამწამები „აირ ჯაპანის" მოლარემ და ეკითხება იაპონელებისთვის დამახასიათებელი აქცენტით:**
**— ზემო თუ ქვემო ხოდაშენი?**
**გაჰკვირდა ფრიად ვანო: კახეთი აუთვისებიათო იაპონელებს.**

არანაკლებ გაოცდებიან იაპონელები და ჩინელები, როცა შეიტყობენ, რომ აღმოსავლურ საბრძოლო ხელოვნებათა მასწავლებელი ნუკრი დიერაშვილი წარმოშობით კახეთიდანაა, შუაგულ ქიზიყიდან, სოფელ ნუკრიანიდან და ისე ფლობს უშუს, მის ფუძემდებლებს რომ გაუკვირდებათ. შეიძლება, არც გაუკვირდეთ, რადგან, ჯერ ერთი, აღმოსავლური საბრძოლო ხელოვნება მსოფლიოსაა მოდებული, მეორე, **კახეთის შესახებ იაპონელები კარგად არიან ინფორმირებულები, მას შემდეგ, რაც ჩვენმა ფალავანმა, სახელგანთქმულმა ლევან თედიაშვილმა იაპონურ ტატამზე ერთიმეორის მიყოლებით მიაწყო ძიუდოს მანამდე ბეჭდაუდებელი ოსტატები.**

ამიტომ ვთქვი, არც ისეამეთქი საქმე.

**ნუკრი დიერაშვილი უშუს — აღმოსავლური საბრძოლო სამხედრო ხელოვნების ამ სახეობას ასწავლის თბილისში — ჭავჭავაძის პროსპექტზე, მეცხრე საავადმყოფოს ერთ-ერთი კორპუსის სპორტდარბაზში. წვრთნის თბილისელებს განურჩევლად სქესისა და ასაკისა. იმის განურჩევლადაც, თუ ვინ რომელი მიმართულებით გაიტაცა აღმოსავლურმა ეგზოტიკამ — როგორც სპორტმა, თუ როგორც ორგანიზმის გაჯანსაღების უებარმა საშუალებამ.**

ნამდვილი ოსტატი და კარგი მასწავლებელი ჩინეთსა და იაპონიაშიც სანთლით არის საძებარი. რა გასაკვირია, თუ საქართველოში თვითმარქვია მწვრთნელები ფეხებში გვებლანდებიან?!

მაგრამ, თუ ასე ძნელია პროფესიონალების პოვნა, სად და ვისგან ისწავლა ნუკრი დიერაშვილმა აღმოსავლური ორთაბრძოლების მაღალი ხელოვნება?

არის შეკითხვა. ახლა მოისმინეთ პასუხი, რომელსაც აღმოსავლური იგავის სიბრძნის ელფერი დაჰკრავს:

**— მე დავრწმუნდი ჩემი მასწავლებლების ნათქვამის ჭეშმარიტებაში: თუ შენს თავზე იმუშავებ და მზადყოფნის კონდიციას მიაღწევ, არსად წასვლა არ დაგჭირდება — მასწავლებელი თვითონ მოდის შენთან.**

ასე შევხვდი დიდი დონის ოსტატებს, თავისებურ ზეადამიანებს.

ნიცშეს ზეადამიანს არ გულისხმობდა ნუკრი. აქ სულ სხვა ფენომენთან, რეალურად არსებულ განსაკუთრებულობასთან გვაქვს საქმე: დიდმა ოსტატებმა, ჭეშმარიტმა მასწავლებლებმა იციან ის, რის შესახებ ჩვენ, დანარჩენებს, წარმოდგენა არ გვაქვს. იციან და ფლობენ კიდეც ადამიანის შესაძლებლობებზე აღმატებულს, რასაც არაერთი საუკუნის განმავლობაში წვრთნით, გადმოცემულის დახვეწითა და სიღრმისეულ არსში ჩაწვდომით მიაღწიეს უშუს ოსტატების თაობებმა.

მაინც რა არის უშუ?

**— ამ საბრძოლო სამხედრო ხელოვნების რამდენიმე მიმდინარეობა არსებობს,** — განმარტავს ნუკრი დიერაშვილი, — **რასაც ჩვენ ვსწავლობთ და ვასწავლით თაიდი ჩუანად იწოდება. ეს არის საბრძოლო ხელოვნება თანმდევი გამაჯანსაღებელი, პროფილაქტიკური და სამკურნალო ეფექტით. ეს მიმდინარეობა, 800 წელიწადია, არსებობს და ჩინელი გენერლების ოჯახიდან მოდის. 300-400 წელიწადია, რაც თაიდი ჩუანის სახელითაა ცნობილი: ჩენ ვან თინი იყო ის გენერალი, რომელმაც იგი დახვეწა, ახალ მიმართულებად ჩამოაყალიბა და მას შემდეგ იწოდება ჩუანად, ჩენების საგვარეულო, ოჯახური სტილია, რომელსაც ხუთი მიმდინარეობა და მრავალი მცირე განშტოება გააჩნია. ჩვენ უშუალოდ ორიგინალს ვეუფლებით.**

**ორიგინალისთვის კი, უპირველეს ყოვლისა, დამახასიათებელია ადამიანის ორგანიზმზე კეთილსასურველი ზემოქმედება, გაკაჟება, სხეულის გაძლიერება. იგი, რა თქმა უნდა, საბრძოლო ხელოვნებაა, რომელიც თავდასაცავად გამოიყენება. მხოლოდ თავდაცვისთვის ან ვინმეს დასახმარებლად. ეს არის უპირველესი მოთხოვნაც: თავდასხმა კატეგორიულად არის აკრძალული,** — დაბეჯითებით ლაპარაკობს დიერაშვილი ნუკრი. და თუ ყურადღებით უსმენთ, აუცილებლად იგრძნობთ, როგორ დაჰბერა ეკზოტიკურობის სიომ, როგორ შეაბიჯეთ ბამბუკის ტყეში, რომელიც სავსეა ამოუცნობით, ამოუხსნელით.

გადავწიოთ ახლადამოყრილი „დიდი ბალახის" — ღეროები და კიდევ ერთი ნაბიჯი გადავდგათ ბამბუკის ტყის სიღრმისკენ:

**— საბრძოლო ხელოვნების საფუძველია ჩიგუნი: ჩი — ჰაერი, გუნ — მუშაობა. ჩიგუნის საძირკველზე დგას ნებისმიერი საბრძოლო ხელოვნების შენობა.**

**ნებისმიერი სახეობა სპორტისაც — სწორი სუნთქვა და მოძრაობა.**

ჩიგუნის ათვისებით იწყებენ ნუკრი დიერაშვილის მოწაფეები თაიდის ანბანის შესწავლას. თაიდის ჩიგუნი არის ჩან სი გო — „აბრეშუმის ძაფის დახვევა", რომელიც, როგორც სპეციალისტები ადასტურებენ, დიდი გამაჯანსაღებელი ეფექტის მქონეა. ხოლო თვით თაიდის თავისებურება სხვა ხისტი საბრძოლო ხელოვნებისგან არის სირბილე: სხეული ამ დროს არის ღრუ, რომელშიც ცირკულირებს შინაგანი ძალა, ენერგია — გარედან რბილია, შიგნიდან კი — მაგარი, როგორც რკინა.

ასეთი სიმბოლოებით სავსეა აღმოსავლური ორთაბრძოლების ფილოსოფია.

**— საბრძოლო ხელოვნების ეს სახეობა,** — დარწმუნებით ამბობს ნუკრი დიერაშვილი, — **პრაქტიკულად, დაუმარცხებელია, რადგან უდიდეს ძალას გამოიმუშავებს, რომელიც ელექტროდენის 360 ვოლტის ეკვივალენტურია...**

ურწმუნო თომებს შეუძლიათ არ დაიჯერონ. ჩვენ კი ვთქვათ, რომ საინტერესო კანონები აქვს აღმოსავლურ საბრძოლო ხელოვნებას, უშუს მათ შორის. მაგალითად, მთავარი პრინციპი, რომელსაც უშუს მიმდევარი უნდა დაემორჩილოს, მოწინააღმდეგის დამარცხება კი არ არის, არამედ საკუთარი თავის დამარცხებაა, მოდრეკა, მოთვინიერება.

**— თუ ადამიანი თავის თავს დაამარცხებს, იგი ათიათას მოწინააღმდეგეზეც გაიმარჯვებს,** — გვარწმუნებენ დიდი ოსტატები.

დაამარცხე თავი შენი!

როგორ მოგწონთ ეს დებულება, პატივცემულო პოლიტიკოსებო?

**არმაზ სანებლიძე**



ნუკრი დიერაშვილი ვარჯიშის დროს

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# ყველაზე საშიში ვირუსი — ხელისუფლებად წოდებული უბედურება

**საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ არც ერთი რესპუბლიკა არ ჩავარდნილა ჩვენსავით სავალალო მდგომარეობაში. რა ხდება, რომელი სალოცავი გაგვიწყრა, რატომ ვკარგავთ იმას, რასაც თაობები ასე სათუთად უფრთხილდებოდნენ? ერთგულება, სინდის-ნამუსი, პატიოსნება, ზნეობა ქართველ კაცს შარავანდედივით ამშვენებდა. დღევანდელი ვაგლახი ხელისუფლება სწორედ ამის მოსპობას ცდილობს.**




ქართველმა ერმა ილია ჭავჭავაძე წმინდანად აღიარა და მის ხატზე ლოცულობს, რადგან ქვეყნისთვის თავდადებულმა მამულიშვილმა ბრწყინვალედ დაიცვა ქართული ენა და ქართველი ერი. ანდერძად დაგვიტოვა, რას უნდა გავფრთხილებოდით თვალის ჩინივით, თუ გვინდა, რომ ვიყოთ წინაპართა ღირსეული შთამომავლები. **ენა, მამული, სარწმუნოება სიცოცხლის ფასად უნდა დაიცვას ყველამ, ვისაც საქართველოსთვის უძგერს გული.**

დღეს კი ქართულ ენას ნაბიჯ-ნაბიჯ უტევენ და აცლიან საძირკველს, რათა ჩაიძიროს პრივილეგირებული ხალხების სამსახურში მყოფ ენათა სტომაქში. ამ პატარა, მაგრამ მსოფლიო კულტურის საგანძურის მარგალიტ ხალხს საკუთარი დამწერლობა შეუქმნია; ენა კი იმაზე მდიდარი და მრავლისმომცველი აქვს, ვიდრე ბევრი სხვა ერის პრივილეგირებულ ენას, რომელსაც საკუთარი დამწერლობა არ აქვს და გამქრალი ლათინებისგან გადაღებული დამწერლობით ისე ამაყობენ, როგორც ვანდალები მოტაცებული სკივრიდან მითვისებული განძით. **კარგი, იმ სხვას უნდა, რომ გადაგყლაპოს, შენ შენი ნებით რატომ მიძვრები მის სტომაქში, როცა დიდი შესაძლებლობა გაქვს შენი ენის ბრწყინვალება მსოფლიოს დაანახო?**

ქართული ენის წინააღმდეგ წინასწარ დაგეგმილი ბინძური ბრძოლა რომ მიდის, კარგად იგრძნობა განათლების სისტემაში, მწერლობასა და ჟურნალისტიკაში. **ისეთი ნაწარმოებების განხილვას აწყობენ, რომ სირცხვილია, მას ნაწარმოები ეწოდოს. ტელევიზიიდან იმდენი უცხოეთიდან შემონაგვებული სიტყვა ისმის, ხშირად გაგიჭირდება ამ დომხალში ქართული სიტყვის მომაჯადოებელი მუსიკის გარჩევა.**

**დემოკრატიად წოდებულ გაუკუღმართებაში საქართველოს გარევას ვინც ცდილობს, მალე დაბადების დღეს გაუხდის საწყევლად ქართველთა გენში ჩაბუდებული ყველაწმინდის სიყვარული.**

დიდმა ილიამ გვიანდერძა, მამულს გაუფრთხილდითო. **ჩვენს პრეზიდენტად წოდებულ ცრუპენტელა უბედურებას ჰგონია, კედელზე ილიას სურათს თუ ჩამოკიდებს და ქართველ ერს მამულს გაუნიავებს, ხალხი მის მუხთლობას ვერ მიხვდება.** ვის მიწებს ჰყიდი უცხო ტომელებზე, შე არგასაზრდელო?! — დასწყევლიდა ქართლის დედა, ახლოს რომ უდგებოდეს. დავით აღმაშენებლის ბასრი მახვილის, ეტყობა, აღარ ეშინია, ქალაქის ცენტრიდან დიღმის შარაგზაზე გაასახლა. მაგრამ ძეგლებთან ბრძოლით ვერ დააბლაგვებს იმ მახვილს, გამწარებული ქართველი ხალხი რომ აღმართავს მის მუხთლობით გასივებულ თავზე. ქართველ კაცს წინაპრის მიერ სისხლ-ცრემლით შენარჩუნებულ სამშობლოს რომ უყიდიან, ჰგონიათ, ამ დანაშაულისგან მათი დამქირავებელი უცხოელები იხსნიან?!

სარწმუნოებაზე ილია ჭავჭავაძე ამბობდა: „ქრისტე ღმერთი ჯვარს ეცვა ქვეყნისათვის და ჩვენ ჯვარს ვეცვით ქრისტესათვისო“. მუსლიმანური სამყაროს გარემოცვაში, საშინელი განსაცდელის პირობებში დაიცვა ქართველმა ერმა მართლმადიდებელი ქრისტიანობა.

ხუთჯვრიანი დროშით ქრისტეს საფლავისთვის ბრძოლა ჯვაროსნებმა საშინელი დაუნდობლობით დაიწყეს და მათ წინააღმდეგ მებრძოლი ალადინი გააკვირვეს სისასტიკით. ჩადენილი ბოროტებანი ბოლოს ერთი ათად შემოუბრუნდათ. კაცობრიობის ისტორიას სამარცხვინო ლაქად შემორჩა ჯვაროსნების საქმიანობა, როგორც ინდულგენციებით ვაჭრობა და ინკვიზიცია.

ჯვაროსნების მეოთხე ლაშქრობა მართლმადიდებლების წინააღმდეგ ჩატარდა, ისე, რომ არც ერთი მუსლიმანი არ შეუშფოთებიათ. მართლმადიდებლობის ციტადელს — კონსტანტინოპოლს შეუტიეს, დაარბიეს, გაძარცვეს, სისხლი დაანთხევინეს და ასე დასუსტებული თურქებს მიუგდეს. ქრისტეს საფლავისთვის ბრძოლით დაიწყეს და მართლმადიდებლობის ქრისტიანთა ცენტრი მოაოხრეს. ალბათ, იმიტომ, რომ გაცილებით სპეტაკი სარწმუნოებაა, რომელიც გმობს სისხლის აღრევას; მართლმადიდებელი არ ჭამს ლოკოკინას, გველს, ხვლიკს, ბაყაყს და სხვა ამგვარ სისაძაგლეს; მართლმადიდებლობა სასტიკად გმობს სქესობრივ გაუკუღმართებას და აღვირახსნილობას.

**ახლა უცხოურ სერიალებში ბიძაშვილ-მამიდაშვილები ერთმანეთზე კერატებივით და ნეზვებივით რომ იწევენ და ამას ახალგაზრდობას აყურებინებენ, უზნეობა არ არის?! კი, ბატონო, რახან შენ ასე გსურს, იცხოვრე პირუტყვივით, ჩვენ რას გვერჩი! თუმცა ზოგი პირუტყვიც კი არ კადრულობს ამას.**

რამხელა სიბინძურეს ქაქანებენ ხელისუფლების მიერ კასტრირებული ტელევიზიები. ეკრანიდან მდედრი ახალგაზრდა კაცს ეკითხება ისეთ რამეს... სახაზავით გაგიზომია თუ არაო, რომ ზნემაღალ ადამიანს თმები ყალყზე დაუდგება.

**გარყვნილების, უზნეობისა და სქესობრივი აღვირახსნილობა-გაუკუღმართების პარაშით უნდათ სპეტაკი, მართლმორწმუნეობის ერთგული ერი იმ სიბინძურის ჭაობში შეათრიონ, სადაც გათქვეფა და გაქრობაა ჩასაფრებული.**

ჩვენთან კი ჯვაროსნების ხუთჯვრიანი დროშა ისე დანავარდობს, როგორც ერთ დროს სვასტიკიანი უბედურება პარპაშობდა გერმანიაში. ამიტომაც ასე გაშმაგებით უღრენენ იმათ ხსოვნას, ვინც მედგრად ებრძოდა ფაშიზმს და თავისსავე ბუნაგში ცოფიანი აფთარივით მოუღო ბოლო. ჰოდა, ფაშიზმის ყველანაირი შენიღბული გამოვლინება მისი წინაპრის სავალალო ბედს ელის.

ისტორიის საშიშ, სისხლცრემლით გამოვლილ გზაზე საქართველო ბევრჯერ იყო ყოფნა-არყოფნის ზღვარზე და სწორედ მაშინ ჩნდებოდნენ მხსნელად ერის საამაყო მამულიშვილები. **საქართველოს მოსასპობად შემოსეულ თურქებს დავით აღმაშენებელმა ბალღამად შეარგო ეს თავხედობა. ქვეყანა გააერთიანა, გააძლიერა, ააყვავა და მტერზე აზეიმა. ჰოდა, რა გასაკვირია, როცა ათათურქის მეხოტბე პრეზიდენტმა მისი ძეგლი თბილისიდან რომ გაასახლა?!**

**კიდევ მოადგა ქართველ ერს მოსპობის საფრთხე და ერეკლე მეორეს ბრძნულმა პოლიტიკამ იხსნა საქართველო. ამჯერად ქართველი ხალხის მეგობარი და მოამაგე რუსეთი მოევლინა მხსნელად. ვისაც ჰგონიათ, რომ ისტორიას ფსევდო ოკუპაციის მუზეუმებით გააყალბებენ, ნუ დაავიწყდებათ, რომ ყველა მათი მსგავსი ცრუპენტელებივით გარანტირებული აქვთ ადგილი მუხთალთა სანაგვეზე.**

თუ ადამიანის დაღუპვა გინდა, ახლობელი, მეგობარი, კეთილის მსურველი შეაძულე, მერე გვერდზე მიდექი და მის უბედურებაზე ბოროტად იხარხარე. რუსეთს ყველას მოძულე და გარყვნილების ბუდე ამერიკაზე რომ გაცვლი, სატირლად გაგიხდება ყოფა, აბა, რა!

კიდევ გაუჭირდა ქართულ თვითმყოფადობას და მისი მომავლის სწორი გზის შერჩევას, ახლა ილია ჭავჭავაძე თავისი ბასრი კალმითა და გენიალური აზროვნებით დადგა ქართველობის დასაცავად. დღეს კი მის სურათს ამოფარებული ქვეყნის მაოხარი უძღები პარაზიტები სწორედ იმის მოსპობას ცდილობენ, რის ესოდენ სათუთად მოფრთხილება გვიანდერძა.

**ისევ ყოფნა-არყოფნის გზაჯვარედინზე ვდგავართ, რადგან ჩვენი სამშობლო ყველაზე საშიში ვირუსით არის დაავადებული. ეს საშიში ვირუსი ხელისუფლებად წოდებული უბედურებაა, ქვეყნის გახრწნა და საბოლოო ამოგდება რომ დაუსახავს მიზნად.** მრავალი საკუთარი სტომაქის მონა პოლიტიკურ ოპოზიციონერობას იბრალებს და ქვეყნის ბედის უკუღმა დატრიალებაში ხელისუფლებად წოდებულ უცხოეთის ლაქიებს მხარში უდგანან, ხალხს გზას ურევენ, რათა უკეთ გამოსწოვონ სისხლი ისედაც სისხლგამშრალ ქვეყანას. ამ განსაცდელის ჟამს სამშობლოს ერთგულმა მამულიშვილებმა აიმაღლეს ხმა და, ყოველგვარი თანამდებობრივი ამბიციების გარეშე, მიზნად დაისახეს ქვეყნის მაოხარი ხელისუფლების სამშობლოსთვის თავდადებული, პატიოსანი კადრებით შეცვლა. ხელისუფლების ლაქია, გაპონის შთამომავალი ოპოზიციონერები ჭიანი ვაშლიდან თავამოყოფილი მატლებივით შეშფოთდნენ და აჭყვლიპინდნენ, ეს ადამიანები პოლიტიკოსები არ არიან და რა უფლებით ერევიან პოლიტიკაშიო. **თუ პოლიტიკოსობა ამერიკელთა დოლარებით მორწყული დემაგოგიური ყბედობა, საქართველოს ინტერესებით ვაჭრობა, ხალხის მოტყუება და უკანასკნელი მარკის ჯიპით სეირნობაა, მაშინ ეს ეროვნული ადამიანები პოლიტიკოსები არ არიან. როგორც რეზო ამაშუკელი იტყოდა, ჰალსტუხიანი ხვლიკი ან ბაკნიდან ამომძვრალი კუა პოლიტიკოსი, მათ ნავალზე მხოლოდ სიცრუე რომ ხარობს? რომელიღაც ამერიკული შპს-ს გამოკვლევით ეს სასაცილო არსებანი ხალხში ყველაზე მაღალრეიტინგულები რომ ყოფილან?**

ნონა გაფრინდაშვილი თურმე პოლიტიკოსი არ არის, რადგან პრეზიდენტის ფანჯრის მტრედობა მისთვის სასაცილოა, რამეთუ პრეზიდენტი მთელი მისი შპანით ნონა გაფრინდაშვილის მოჭრილ ფრჩხილად არ ღირს. დღეს, როცა ესოდენ სავალალო მდგომარეობაშია ჩვენი სამშობლო, ქართველი ერის ეს საამაყო მანდილოსანი ეროვნულ ძალებს რომ ამოუდგა მხარში, იმიტომ უღრენთ? სხვა დამსახურებებზე რომ არაფერი ვთქვათ, მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი ისეთი დიდებული ადამიანური თვისებებით არის შემკული, რითაც განგება მხოლოდ თავის რჩეულებს აჯილდოებს.

**ვინ მიანიჭათ ამ გაპონის შთამომავლებს პოლიტიკოსების ტიტული? ფული რომ შემოაკლდებათ და ამერიკაში გარბიან ცხიმიან ცურზე მოსაჭიდებლად და გამორეცხილი ტვინის ახალი ნაგვით გამოსატენად.**

ქართველ ხალხს კარგად ახსოვს ამათი ეზოს მოძღვარი ფერშალი დიდ პოლიტიკოსად როგორ გამოცხვა და სწორედ იმ ხალხს ღალატობდა, ვისი სამსახურიც ევალებოდა. **ახლა დარიგებას იძლევა, რუსეთთან ურთიერთობა უნდა მოაგვაროთო, თითქოს რუსეთთან დაძაბულობის თესლი მაგას არ ჩაედოს, რასაც სავიზო რეჟიმის შემოღება მოჰყვა.** ხელისუფლებად წოდებული უბედურებიდან დაწყებული, ლაქია ოპოზიციაც ხომ მელაკუდა დიდი პოლიტიკოსის მუხთლობით ნაკვები და გამოზრდილები არიან. თავი პოლიტიკოსებად მოაქვთ და ჰგონიათ, რომ ქართველი ერი მათ ვერაგობას ვერ ხვდება.

**როცა სამშობლო საშინელი განსაცდელის წინაშე დგას, ყველა ქართველი მამულიშვილი ქვეყნის გადარჩენისთვის მებრძოლი პოლიტიკოსია.**

საქართველოს ხსნისა და გაბრწყინების დროშას სწორედ ამგვარი ქართველებიააფრიალებენ.

**გივი სომხიშვილი**

## წადით, ეძებეთ

**იქნებ მაჩვენოთ და გამაცნოთ კაცი ისეთი,
მღვრიე დინებას არა ჰგავდეს მარტო ის ერთი.
დღეს პოსტის სურვილს მონადა ჰყავს მცირე და დიდი.
წახდა სიმშვიდე, დაეფინა გონებას ბინდი.**

**ბადალი არ ჰყავთ მაღლა ასვლის მუდმივ ნატვრაში,
მომხვეჭელობის თესლი შფოთავს იმათ ნატარში.
ერთზე ფიქრობენ: რაც რამ დარჩა შეირგონ თვითონ,
ამას საერთო საქმეზე ზრუნვა კარნახობთ ვითომ.**

**კარგად მოეწყონ, კარგად ჭამონ, კარგად ჩაიცვან,
საკუთარ ტყავზე ზრუნვის შმაგმა ტალღამ ჩაინთქათ.
მაღალ სამყოფელს ხალხისთვის რომ შვებად გადაშლის,
წადით, ეძებეთ! ვერ იპოვოთ ერთი ათასში!**

**სიმაღლე უნდათ, ათრობთ ქება თავზე საყარი,
ამას ოცნებობს ჭკვათხელი თუ ჯანით საპყარი.
ჩაუძვერ სულში კორუფციის უგულო მონას,
ნახავ ცარიელს, ვერ იპოვი სითბოს და წონას;**

**სახელი მხოლოდ მას თავისი მადისთვის უნდა,
საერთო საქმეს ანაცვალებს ამ მიზნებს მუდამ.
წადით, ეძებეთ! განდიდებულ კაცის სათავსი,
სკამს რომ შვენოდეს, ვერ იპოვოთ ერთი ათასში!**

**უმრავლესობას ჭკვა და სიბრძნე სკამმა შესძინა,
რადგან განგებას მათთვის ეს სიკეთე ეძვირა.
ღვარძლის გარეშე უდღეურნი მორცხვად არიან,
ნახავ, შეიცნობ, დადის, მაგრამ ცოცხალ მკვდარია.**

**ჩაგრულს მალამოს რომ უმზადებს საქმის მართვაში,
პოსტები ჩხრიკეთ, ერთს ვერ ნახავთ ათი ათასში!
ჩირაღდნით ვძებნოთ, ვინც სიმართლის სანთლად ანთია,
ვისაც სიკეთე, სიყვარული ჰყავდა ნათლიად.**

**ხალხის სამსახურს რომ მიუძღვნა გულთქმა ნათელი,
თავის საქებად გააძვირა სიტყვა სათქმელი.
სამშობლოს უძღვნა ანთებული გრძნობა და ნება,
ადამიანურ სინდისს შერჩა სიცოცხლის შვებად.**

**წადით, ეძებეთ ნაღდი კაცი ასი ათასში,
სიკეთის სხივით გამოზრდილი ხალხის კალთაში,
მიეცით ნდობა და მახვილი ორმხრივ ნალესი,
რომ შვებად ენთოს ეგოისტის ნაქსოვ ღამეში!**

**გივი სომხიშვილი** (14.02.78 წ.)

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ეჭვი «მურტალი სენია»!

**ეჭვი მაქვს, რომ მკითხველს ამ სიტყვის ჩემგან ხშირად ხმარება ამ „ეპისტოლეში“ არ მოეწონება, მაგრამ გთხოვთ, ნუ შემზღუდავთ, რადგან ეს თემა ავირჩიე თქვენთან სასაუბროდ, სულგრძელად მაპატიეთ. ეჭვგარეშეა, რომ ჩემს გულისნადებს უეჭველად ბოლომდე მივიყვან.**



ჯერ იყო და ვიღაც შავკანიანმა აყლაყუდა „ამბალმა“ ოტელომ თოვლივით თეთრი ქალი — დეზდემონა დაახრჩო რაღაც 25-თეთრიანი ცხვირსახოცისთვის.

ბოროტი ენები ამბობენ, ცხვირსახოცი არაფერ შუაშია, იეჭვიანა და იმიტომ დაახრჩოო.

ასეა თუ ისე — მაინც ეჭვი ფიგურირებს ამ საქმეში.

კაია მერე ეს?!

კაი, ბატონო, და „ძველ ვოდევილებში“ რომ ქმარმა კინაღამ ცოლი ახანჯლა, ისიც ხომ გახსოვთ? კაია მერე? „ძველ ვოდევილებზე“ გამახსენდა, როგორ ამბობდა ცხონებული ვასო გოძიაშვილი ლამპით ხელში: (ტექსტი მიახლოებითია)

**„იჭვიანობდნენ**
**უხსოვარ დროში,**
**იჭვიანობენ ახლაც;**
**მე ჩვენი დროის**
**იჭვზე გიამბობთ,**
**სანამ დასწერენ ახალს“.**

ჰოდა, ახალს მე ვწერ ახლა და, თუ ჯერ არ დაღლილხართ, პაწა დამაყურეთ.

ყველანაირი ეჭვი გამიგონია, ბატონო, იქეთური, აქეთური, მაგრამ... „გონივრული ეჭვი“, მომკალით და, პირველად გავიგე ჩვენი ზემდგომი ორგანოებიდან. აწიო, — პრეზიდენტმა ბრძანა, — პოლიციას უფლება ექნება „გონივრული ეჭვის“ საფუძველზე გააჩეროს ნებისმიერი მოქალაქე და გაჩხრიკოსო“. თანაც კონსტიტუციაში შეაქვთ, კაცო, ეს მუხლი (საქმეში ხარ?!). მე, მაგალითად (თუ მაინცდამაინც „გეხოშება“), ასე დავწერდი იმ „ახალშობილ“ კონსტიტუციაში: „საფუძვლიანი-ეჭვის ნიადაგზე“, ან „საბაბიანი ეჭვის ნიადაგზე“, ან სულაც „მიზეზიანი ეჭვის ნიადაგზე“. მე შენ გეტყვი და, არ დაგიშალოს ოპოზიციამ.

ხომ სულ ერთია? არა და მაინც — „გონივრული“, კაცოო!

**კარგად რომ ჩავფიქრდი და დავფიქრდი, ღიმილმორეულს ერთი ეპიზოდი გამახსენდა და გიამბობთ ახლა:**

1978 წელია. „ვოლგა“-„ჟიგულების“ ბუმი და ამ დროს ჩემმა მეგობარმა, ქუთაისელმა კალევიჩმა „მერსედესი“ ჩამოიყვანა გერმანიიდან.

მოგეხსენებათ, რა ამბავი ატყდებოდა. პირველი „მერსედესია“, კაცო, იმერეთში.

მოჰყვა „დასველება“ ამ ამბავს რესტორან „წყალწითელაზე“. გვარიანად „ჩაიბომბენ“ ბიჭები და სადღაც საღამოს 7-8 საათზე (ზაფხულია) რესტორნიდან გამოიყვანეს ეს მანქანა. ვინც არ იცის, აქვე გავათვითცნობიერებ, რომ „წყალწითელა“ (რესტორანი) მდინარე წყალწითელას პირასაა და, ქალაქში რომ მოხვდე ფეხით თუ მანქანით, კაი ნახევარკილომეტრიანი ქვაფენილიანი აღმართი უნდა აიარო.

აღმართის თავში, ანუ ქუთაისის აღმოსავლეთ კარიბჭესთან, დგას ძველი „ნაჩეკისტარი“ აპოლონ ბეშკენაძე (ამჯერად ინსპექტორი) და რას ხედავს! ამ ახალთახალ, გაპრიალებულ „მერსედესს“ ამ აღმართზე ხვნეშა-ქშენით მოაგორებენ ნაქეიფარი კალევიჩი და მისი „საბუტილნიკები“. ოფლი ღვარად გადასდით. კალევიჩს გაღებული წინა კარიდან რული უჭირავს, დანარჩენები აწვებიან ჭიპგადმოგდებულები, აწვებიან და აწვებიან.

ეჭვი მაშინაც ეჭვი იყო და ამის შემხედვარე „ნაჩეკისტარმა“ აპოლონამ იფიქრა, ნაღდად ტერორია გეგმაშიო. დისტანციური ბომბი უდევთ მანქანაში და უნდათ ჩუმად მიაგორონ დანიშნულ ობიექტამდეო (ეჭვი მურტალია!).

ერთი პირობა იფიქრა, აგერ რაცია ხო მაქვს და მაქვს, გამოვიძახებ სპეცნაზს და ამათ წუთში დაადუღებენო, მაგრამ მაშინ მილიცია არ იყო ისეთი ეჭვიანი (თან გონივრულად), ახლა როა. ცოტა მოშორებით დადგა და, რადგან კალევიჩს კარგად იცნობდა (ქუთაისში ყველა ყველას იცნობს), ფრთხილად დაუძახა:

— გილოცავ, ბუჯო, კალევიჩ, ახალ მაშინას აქანა!

— მადლობთ, აპოლონ ბიძია, მადლობთ! — საჯდომის ღარი უჩანს კალევიჩს და იხრჩობა ოფლში.

— რა ჭირს ბუჯო მა მაშინას, გაფუშტა?!

— რა გაფუშტა, — ოფლი მოიწმინდა მანქანის მფლობელმა — რა გააფუჭებს ამას ხუთასი წელი?!

— აპა, ბენზინი გაგითავდა თუ? — სულ დაიბნა ნაჩეკისტარი.

— რა გამითავდა... გატენილია ბაკი.

— აპა, რა ჭირს მა უპატრონოს, ავათ გახთა?

— კაი ახლა, აპოლონა ბიძია... პროსტო, მაგარი მთვრალები ვართ და „რულთან“ არ ვჯდებით, შენ დაგაჭერიებთ ახლა თავს?!

რატომ მოვყევი ახლა ეს?

იყო აპოლონა კაი კაცი (მერე რა, რო „ნაჩეკისტარი“ იყო), თორემ „გონივრული ეჭვის“ ნიადაგზე რომ სპეცნაზი გამოეძახებინა, რაც იქ მოხდებოდა, თქვენც მიხვდებით.

**...მიდიხარ ქუჩაში, ფიქრობ — ხვალ რა გზა მოვძებნო? და უცებ გესმის:**

**— გაჩერდი!**

**ჩერდები.**

**— შებრუნდი კედლისკენ!**

**— სადაა კედელი?!**

**— მაშინ სტოლბისკენ!**

**— რა გნებავთ, ბატონო?**

**— ჩვენ, გონივრული ეჭვის ნიადაგზე უნდა გაგჩხრიკოთ.**

**სხვა რა გზაა? ბრუნდები. ჯიბეში გიდევს მეტროს ტალონი, მეორე ჯიბეში — 20 თეთრი. მეტი ჯიბე არ გაქვს, გაცვია რეზინამოფამფალებული საცვალი („ადიდას“). გჩხრეკენ.**

**არა, ეს სიზმარი არაა. ეს მომავლის რეალური სურათია.**

**მახსენდება ჩემი ინტერვიუ (ადრინდელი) ილუზიონისტ ზურაბ ვადაჭკორიასთან:**

— მეო, — მიყვება ზურა, — ჯარში „გაობახტში“ ვიჯექიო. რა უნდა გამეკეთებინა, — კარტი მქონდა და თითებს ვავარჯიშებდიო. ვიღაც ტრ-ს დავუსმენივარ, ზურას კარტი აქვსო და შემოვიდა „ნადზორი“. აი, მაშინ კი გამომადგა ჩემი ილუზიონისტობა. შემოვიდა თუ არა „ნადზორი“, ჰოპ! და ჩავუცურე ჩემი კარტი ჯიბეშიო. გამჩხრიკა იმ კაცმა (ალბათ, „ზეგონივრული“ მიზეზით) ვერაფერი მიპოვა... რომ გადიოდა, ისევე ამოვაცალე ის კარტის დასტა, როგორც ჩავუდე და არაფერი გაუგიაო.

**გასაჩხრეკად გამზადებულ «გონივრული ეჭვით» დაკავებულს ვერ ჩაუდებს და ამოუღებს დღევანდელი გაწვრთნილი პოლიციელი პაწაწინა, ცელოფანში გამოკრულ თეთრ, კრისტალურ მასას, რომელსაც არც სოდა ჰქვია, არც მარილი და არც შაქარი? ამოუღებს კი არაა!**

ახლა, მე გეკითხებით თქვენ, ჩემო ერთგულო მკითხველო: ზურა ვადაჭკორია თუ ზედამხედველს ასე ჩაუდებდა და ამოუღებდა ბანქოს დასტას, ჩვეულებრივ მოკვდავს, ნებისმიერ შემთხვევაში გასაჩხრეკად გამზადებულ „გონივრული ეჭვით“ დაკავებულს ვერ ჩაუდებს და ამოუღებს დღევანდელი გაწვრთნილი პოლიციელი პაწაწინა, ცელოფანში გამოკრულ თეთრ, კრისტალურ მასას, რომელსაც არც სოდა ჰქვია, არც მარილი და არც შაქარი? ამოუღებს კი არაა!

იძახე, მერე ყვარყვარე თუთაბერივით: „არ ვარ, ბატონო, მე ის კაცი...! არ დაგიჯერონ ერთბაშად! ან სულაც: „ღმერთი არ გწამთ? გამიტყავებია, ჩამომიკიდნია!..“ დუუტ! „გოვორიტ... მერზავეც!!! სიდი დვა გოდა!“ (დვა გოდა პირობითია). კაია?!

**გასულ ოთხშაბათს მატარებლით ვმგზავრობდი თბილისიდან ქუთაისის მიმართულებით. მე როგორი მოუსვენარი ვარ, კი იცით...**

**— ბიძიკო, — ვეკითხები ხანდაზმულ კაცს, — რა აზრის ბრძანდებით „გონივრული ეჭვის“ ამბავში?**

**კაცი, როგორც ყველა იმერელი, ენაწყლიანი გამოდგა. ულვაშები შეისწორა და კითხვაზე ერთი საინტერესო ამბავი გაიხსენა:**

— ჩემო ძმიშვილო, ახლა მე მაგ კითხვაზე ერთ ამბავს მოგიყვები, ნაღდია ეს.

— რა ამბავს, ბატონო?

— ა, მამისმინე, ბიძიკო... ეჭვი რო ახსენე, ახლა გამახსენდა ამასწინანდელი ამბავი, ჩვენთან რო მოხთა ქუთეისში.

— გისმენთ, ბატონო.

— რაი დააა... ქუთაისის ციხე გადოურჩა ამასწინათ აფეთქებას.

— როგორ?

— როგორ და... სვანები გედეეკიდენ მტერს! ერთი ლენტეხელი სვანი დოუჭერიათ და ჩოუსვამთ ქუთაიში, ციხეში, ტერორისტი ხარო. არადა, ისეთი წესიერი სვანი თურმე არ არსებობდა მთელ არემარეზე სვანეთის მასშტაბით. მარა პოლიცია, როგორც ბრძანეთ, მაშინაც ეჭვიანი ყოფილა და დოუჭერიათ.

გადარეულა ამ კაცის სამკვიდრო. გატენეს თურმე ხუთი „კოლხოზნიკი“ ხალხით და ჩამოცვენილარიენ ქუთაისის ციხეში — გამოგვიყვანეთ, სადაა ჩვენი შმაგი ლარგურიანიო.

მორიგე პოლიციელი ყოფილა მარტო და ქე შეშინებია ამდენი სვანების დანახვაზე. გადმოუღია სია, ჩოუთვალიერებია ზევიდან ქვევით... არაა... ახლა ქვეიდან აყოლია და... უი... იპოვნა, მიადევნა თვალი თურმე და სვანებს ეუბნება:

— თქვენი შმაგი, ბატონო, ახალ ციხეში გადაიყვანესო.

— უუხ, მე თქვენი დ... დაატრიალეს „კოლხოზნიკები“ სვანებმა მწკრივად. მიადგნენ „ბენზოკალონკას“. გადაავსეს მანქანების ავზები, „ზაპასი“ კანისტრები და ჰაიდა, დაგაზეს ახალციხეში.

ჩავიდნენ და ბედი არ გინდა? ახალციხის პოლიციის განყოფილებაშიც ერთი კინკილა მორიგე პოლიციელია.

— ჩვენი შმაგი გამოგვიყვანეთ, თორემ ძაან გავშმაგდებიით! — დაუბრიალეს თვალები მორიგეს სვანებმა.

ამანაც აათვალ-ჩაათვალიერა სია, მაგრამ შმაგი კი არა, არც ერთი გვარი სიახლოესაც არ ეკარება.

— არაა, ბატონო, აქ ეგეთი კაცი!

— მაინც, მაინც კიდო დააკვირდიი! — ეჭვობენ სვანები.

— მოიცათ... აგერ... ტერორის მუხლი აქვს მაგას, ხომ? — იკითხა ბოლოს პოლიციელმა.

— ვითომ კი... ეჭვი აქვთ... ჩვენს შმაგის რო რამე მოუვიდეს ავაფეთქებთ ყველაფერს.

— ქუთაისში... ქუთაისშია თქვენი პატიმარი, — თქვა ახალციხელმა პოლიციელმა მკითხავი მაშიკოსავით.

დაავსეს კიდევ ბაკები სვანებმა და დაშხუილდნენ ქუთაისისკენ.

ქუთაისის ციხეში ისევ ის უბედური პოლიციელია, ჯერ მორიგეობა არ დაუმთავრებია.

— მე შენ გეუბნები! — დამარცვლა ახმახმა სვანმა, — ჩვენი შმაგი აქაა, ახალციხელმა პოლიციელმა გვითხრა და ახლავე გამოგვიჩინე, თვარა მეოთხე „კოლხოზნიკში“ ერთი 40-თეთრიანი ცელოფანის პარკი გვაქვს „ლიმონკებით“ სავსე და გადმოგიგდებთ „სამახსოვროდ“.

— რას გვერჩით, ბატონო?

— სულ გათეთრდა თმიანბეწვიანად საწყალი მორიგე.

— ეჭვი გვაქვს!!!

— რა ეჭვი, ბატონო?

— ეჭვი გვაქვს, რო მოკალით, გააქვრეთ ჩვენი შმაგი.

მორიგე ისევ სიას მიუბრუნდა:

— შმაგი ხომ?

— კიიი.

— ა, აგერ... შმაგი... ლარგულიანი, ხომ?

— ხოოო! — აღმოხდათ ხუთკოლხოზნიკ სვანებს.

— ხომ გითხარით, ბატონო, ა, აგერ გარკვევით წერია: შმაგი ლარგულიანი გადაყვანილია ახალ ციხეში, ორი კილომეტრია აქედან, გუშინწინ გახსნეს (ახალი ციხის შენობა გაუხსნია მიშას).

**სვანებს რომ ეჩქარათ ეჭვის ნიადაგზე, ხომ დაადუღებდნენ იმ ძველ ციხეს ქუთაისში? ე... ესაა, ბიძიკო, ჩემი პასუხი შენს კითხვაზე. ეჭვით კაცის დაჭერა შეიძლება, უმიზეზოდ? თანაც ეს მუხლი რომ შევა ძალაში, ჩვენს პოლიციას ხომ გაეხსნება ხელფეხი? თუმცა აქვე ვაფრთხილებ ყველას: თანამდებობა ნუ გაგათამამებთ და ნუ გაგაარაკაცებთ, პაგონებიანო შვილებო, თქვენ არც პაგონებით დაბადებულხართ და არც პაგონებს გაგაყოლებენ იმ ქვეყნად. გინდაც გაგაყოლონ, რაა მერე?! მით უარესი თქვენთვის.**

მოხუცის სიტყვებმა ჩამაფიქრა:

„შე დალოცვილო, ამ გალეტილ, გატყავებულ თანამოძმეებში გაჩხრეკით (თუნდაც „გონივრული“ იყოს) რას ეძებ? აქვე ვუპასუხებ ჩემს დასმულ კითხვას: „რას და...“ კაი, რა! არადა, ვის წამს ღმერთი? ყველა, ვინც „იქაა“, ჰგონია, სულ „იქ“ იქნება. არაფერი შეგეშალოთ!

დიახ, ადგებიან ხვალ ან ზეგ, ისედაც ვინ უშლიდათ, და, ეს „გონეჭვი“ რომ კანონიერ ძალას მიიღებს, რომელიმე ეტალონირებული პოლიციელი ახსნა-განმარტებით ბარათს მიართმევს პოლიციის შეფს:

**„ვაწარმოებდით შემოვლას ქალაქ თბილისის მეოთხე კვადრატში. გონივრული ეჭვის ნიადაგზე მოვახდინეთ მოქალაქე ხაჭაპურიძის შემჩნევა, რომელიც ჭამდა კორჟიკს. „გონეჭვის“ გამო, რომ კორჟიკში გარეული იქნებოდა ნარკოტიკი, მოვახდინეთ მისი დაჭერა და შემდეგ მოვახდინეთ მისი აქ მოყვანა.**

**მორიგე პატრულები: იოლაძე და ძნელაძე“.**

და წავიდააა... ისედაც არ ეტევა ხალხი ციხეებში და მერე სულ გადაიტენება, ფეხის დასადგმელი ადგილი აღარ დარჩება. თუმცა სულ დამავიწყდა მისი უმილიარდელისობა ბატონი ტრამპი, რომელიც ამ დროს ჩვენთან და ჩვენთვისააშენებს უზარმაზარ, მრავალსართულიან ციხეებს. გავიშლებით წელში, ციხეში ჯდომას ინატრებს ხალხი. მოდაში შემოვა სიმღერა — „დამიჭირეთ რა იქნება, თუ არა და, — ვიტირებ!“, შეიცვლება სახელი (თურმე ახლა რომ გვეძახიან) „დემოკრატიის შუქურა“ და გავხდებით „დემოკრატიის გენერატორი“.

**ხუმრობა იქით იყოს და ეჭვი მაინც ცუდია.**

**ვისაც არ სჯერა, იმას დაუჯეროს, ვისაც სჯერა.**

**და ბოლოს, ერთ ამბავსაც მოგახსენებთ, რა უხერხულობაში ჩააგდო ზედმეტმა ეჭვიანობამ ერთი წყალტუბოელი მილიციელი ჩემი ბავშვობის პერიოდში.**

ნოდარა მილიციელი უბნის ინსპექტორად მუშაობდა წყალტუბოში. ვიღაცა ენაგასახმობმა უთხრა, კუსაია ჟორჟოლაძე წამალს იბრახუნებსო, თანაც ვაჭრობს ნარკოტიკითო. ის დღე იყო და „ადინოჩკა“ ნადირობა გამოუცხადა ნოდარამ კუსას, მაგრამ ვერა და ვერ იქნა, ფაქტზე ვერ დაიჭირა. კომუნისტების დრო იყო და მტკიცებულებების გარეშე კი ვერ იჭერდა. გადაირია კაცი, მაგარ აზარტშია.

გულხელდაკრეფილი არც კუსა იყო, გულმოდგინედ ინიღბებოდა. მოკლედ „ნუ პაგადის“ პონტია, რა.

ერთ დღესაც, ნოდარა რომ აბდუშაჰილივით დაბორიალობდა მოტოციკლით ქალაქში, კუსა არ დაინახა?!“ ხელში შავ ცელოფანში შეხვეული რაღაც უჭირავს.

— კუსა სტოპ! — დაიკივლა მილიციელმა.

კუსამ კამარა კრა და სტეპის ქურციკივით გაეთო, მაგრამ ნოდარას რას გაასწრებდა და ბედს შეურიგდა, გაჩერდა.

— რა გაქვს ხელში? — ეკითხება წესრიგის დამცველი.

— ისე... არაფერი.

— არაფერი კი არა, ნარკოტიკია, მომე აქ!!

— არა, უფროსო, არაა ნარკოტიკი.

— მომეცი! — წაგლიჯა ხელიდან პარკი. ფრთხილად გახსნა და ფრთხილადვე დაყნოსა.

— ფუ... რაა, ბიჭო, ეს?

— ხო გითხარით უფროსო, არაა ნარკოტიკი მეთქი, ჩემი განავლის ანალიზია, ლაბორატორიაში მიმაქვს გასასინჯად.

— თფუუ! შენ კაცი არ იყო, მეტი არაა ჩემი მტერი! — დაქოქა მოტოციკლეტი და წადრიხინდა.

მოგვიანებით გაირკვა და თვითონ ნოდარ მილიციელის ყურამდეც მივიდა ის ამბავი, რომ კუსაია თურმე თავისი „ბრიაშკის“ ბიჭებს დანაძლევებია, ნოდარას დავაყნოსინებო, და მოუგია კიდეც 10 კაცის პურმარილი.

**აი, ასეთი ცუდი სენია ეჭვი, გინდაც გონივრული იყოს.**

**მურმან მერკვილიშვილი**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# ათათურქი მუსტაფა ქემალი — განწმენდა ცეცხლითა და მახვილით

**მუსტაფა 1296 წელს (1881 წელი, ზუსტი თარიღი ცნობილი არ არის) ხიჯრიში, საბაჟოს რიგითი მოხელის — ალი რიზა ეფენდისა და მისი მეუღლის — ზიუბეიდე-ხანიმის პატრიარქალურ ოჯახში დაიბადა. 6 წლის ასაკში რელიგიურ სკოლაში გაამწესეს, მაგრამ მამის გარდაცვალების შემდეგ სამხედრო სკოლაში გადავიდა და ოფიცრის მომზადების ყველა საფეხური გაიარა. სწორედ სწავლაში წარმატებების გამო შეარქვეს მეორე სახელი ქემალი (ღირებული, უნაკლო).**





მომხრეების გარემოცვაში

XX საუკუნის დასაწყისში ოსმალეთის იმპერიაში ეკონომიკური, პოლიტიკური და სამხედრო კრიზისი დაიწყო. სულთანი აბდულ-ჰამიდ II აჯანყებებს საოცარი სისასტიკით ახშობდა. სწორედ ამ პირობებში შეიქმნა ახალგაზრდა თურქების მოძრაობა „ერთობა და პროგრესი“. **ამ დროს მუსტაფა სტამბოლის გენერალური შტაბის აკადემიაში სწავლობდა და საიდუმლო ორგანიზაცია „ვატანის“ (სამშობლო) აღმასრულებელი კომიტეტის წევრი გახდა. მალე ორგანიზაციას მიაგნეს და 1904 წელს მუსტაფა დააპატიმრეს, მაგრამ აკადემიის ხელმძღვანელობა გამოესარჩლა და 1905 წელს დამასკოში გაგზავნეს, სადაც პირველად ეზიარა ჯარისკაცურ ცხოვრებასა და ადგილობრივი არაბული მოსახლეობის წინააღმდეგ მიმდინარე სადამსჯელო ღონისძიებების სიმძიმეს.**

**1906 წელს მუსტაფამ თავად ჩამოაყალიბა საიდუმლო ორგანიზაცია „სამშობლო და თავისუფლება“.** 1908 წელს ოფიცრები ახმად ნიაზ-ბეი და ენვერი (მომავალი ენვერ-ფაშა) ამბოხებულებს სტამბოლისკენ გაუძღვნენ და სულთანმა კაპიტულაციის, ასევე მის მიერ გაუქმებული კონსტიტუციის აღდგენის თაობაზე გამოაცხადა. **პირველი მსოფლიო ომის დასაწყისში თურქეთში ტრიუმვირატის — ენვერის, რაალატისა და ჯამალის დიქტატურა სუფევდა, სულთანსა და პარლამენტს, ფაქტიურად, არაფერი ეკითხებოდათ.**

1914 წელს ტრიუმვირატი მიხვდა, რომ სრული კრახის წინაშე იდგა და ერთადერთ გამოსავალს გერმანიასთან კავშირში ხედავდა. **ამ დროს გერმანია ისედაც მთლიანად აკონტროლებდა თურქეთის არმიას, ფლოტს, ეკონომიკასა და პოლიტიკასაც. მუსტაფა კი ინგლისელებისა და ფრანგების შემოტევებს იგერიებდა და იმდენად წარმატებულად, რომ 1916 წელს გენერლობა და ფაშას ტიტული მიანიჭეს. მაგრამ 1918 წელს მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა — გერმანელები ქვეყნიდან გავიდნენ, ტრიუმვირატი გაიქცა, თურქეთი ანგლო-ფრანკო-იტალიური ძალების მხრიდან დაპყრობის რეალური საფრთხის წინაშე იდგა. მუსტაფა დედაქალაქში დაიბარეს და ქემალისტური რევოლუციაც დაიწყო.**

1919 წელს ქემალმა სულთანს თანამდებობიდან გადადგომის თხოვნა გაუგზავნა და ამბოხებას სათავეში სამოქალაქო პირის სახით ჩაუდგა. 1920 წლის 12 იანვარს მუშაობა დაიწყო მეოთხე მოწვევის მეჯლისმა, რომლის 173 წევრიდან 116 განმათავისუფლებელი მოძრაობის მომხრე იყო. მეჯლისის მოქმედებებით შეშფოთებულმა ინგლისურმა სარდლობამ 16 მარტის ღამეს სტამბოლის ოკუპაცია განახორციელა. დეპუტატთა პალატა დაშალეს, უამრავი ადამიანი დააპატიმრეს, გამოცხადდა საომარი მდგომარეობაც. **23 აპრილს კი ანკარაში მუშაობა დაიწყო ახალმა მეჯლისმა, რომელსაც ქემალი ედგა სათავეში. დეპუტატებმა განაცხადეს, რომ თურქეთი რესპუბლიკა უნდა გამხდარიყო და მისი პრეზიდენტი მეჯლისს, ანუ ახალი სახელწოდებით თურქეთის დიდ ნაციონალურ კრებას უნდა აერჩია. ეს კი ქემალის დიდი ხნის ოცნება იყო.**

ამ პერიოდში სამოქალაქო ომი უსასტიკესი ფორმებით მიმდინარეობდა, მაგრამ **ქემალმა პარტიზანული რაზმების უმეტესობა რეგულარული ჯარის ნაწილებად აქცია, შეცვალა ან მოკლა ბევრი ძველი მეთაური და თავისი ოფიცრებით ჩაანაცვლა; დაუმორჩილებელი პარტიზანები გაანადგურა, შექმნა სასამართლოები, რომლებიც დეზერტირობისთვის უმკაცრესად სჯიდნენ. მფრინავი ჟანდარმერია კი პირდაპირ ცეცხლითა და მახვილით**



ათათურქის მავზოლეუმი

**ამკვიდრებდა ნაციონალების მბრძანებლობას. პარალელურად ქემელმა ყველა ოპოზიციონერი დეპუტატი გაანადგურა და მთლიანად მოუღო ბოლო ოპოზიციურ პრესას.**

ოკუპანტები კი თურქეთის დანაწილებას განაგრძობდნენ. 1921 წელს მუსტაფამ ქალაქ სმირნასთან ბერძნებთან ბრძოლა მოიგო და გამოაცხადა, რომ ნებისმიერი თურქი ჯარისკაცი, რომელიც რაიმე ზიანს მიაყენებდა ბერძნებისა და სომხებისგან შემდგარ სამოქალაქო მოსახლეობას, დაიხვრიტებოდა. **მაგრამ ბერძნული კვარტლები თურქმა ჯარისკაცებმა მიზანმიმართულად ააოხრეს — ძარცვას, ხოცვას, გაუპატიურებებს ბოლო არ უჩანდა. საღამოს ქუჩები გვამებით იყო მოფენილი.**

**13 სექტემბრის დილას ევროპელებმა შენიშნეს თურქული ჯარის ნაწილები, რომლებიც სომხურ კვარტლებში სახლებს ბენზინს ასხამდნენ და წვავდნენ, ქარმა ალი ჩრდილოეთისკენ წაიღო და მალე ათასობით სახლი ცეცხლში გაეხვია. მხოლოდ ტაძარში ხუთასამდე ადამიანი გამოიწვა, ქალაქი გაჯერებული იყო დამწვარი სხეულების გულისამრევი სუნით. მუსტაფა აალებულ ქალაქს უყურებდა და ამბობდა, თურქეთი გამყიდველებისა და მოღალატეებისაგან განიწმინდა, ამიერიდან ის მხოლოდ თურქებს ეკუთვნისო.**

სამი დღის შემდეგ ათათურქმა განაცხადა, რომ 15-დან 50-წლამდე ყველა მამაკაცი ქვეყნის ცენტრალურ ნაწილში იძულებით სამუშაოებზე გაიგზავნებოდა. ქალები და ბავშვები სმირნიდან 30 სექტემბრამდე უნდა წასულიყვნენ დანარჩენ დეპორტირებულებთან ერთად. **1921 წლის 5 აგვისტოს მეჯლისმა ქემალი შეუზღუდავი უფლებამოსილების უმაღლეს მთავარსარდლად დანიშნა და მარშლის წოდება მიანიჭა.**

**ფრონტებზე გამარჯვებები ქემალის მხარეს იყო, მაგრამ ხელისუფლების სასულიერო ფრთამ იგი დიქტატორობაში დაადანაშაულა, მუსტაფამაც უმალ მიიღო სულთნის ლიკვიდირების გადაწყვეტილება და მეჰმედ VI მხოლოდ საზღვარგარეთ გაქცევით გადარჩა.**

**თურქეთმა თავისას მაინც მიაღწია — ლოზანის მსოფლიო კონფერენციაზე დაიცვა თავისი სახელმწიფოებრივი**



**დამოუკიდებლობა, 1923 წლის 29 ოქტომბერს კი რესპუბლიკად გამოცხადდა და პირველი პრეზიდენტი მუსტაფა ქემალი გახდა, რომელსაც ყოველ 4 წელიწადში ერთხელ ხელახლა და უცვლელად ირჩევდნენ იმავა თანამდებობაზე.**

1924 წლის 3 მარტს მეჯლისმა ხალიფატი გააუქმა და სულთანთა დინასტიის ყველა წევრი ქვეყნიდან გადაასახლა, 1924 წლის 20 აპრილს კი მიიღეს ახალი კონსტიტუცია, რომლის მიხედვით 4 წლის ვადით არჩეულ პრეზიდენტს ხელახალი არჩევის უფლება ენიჭებოდა. ის იყო ქვეყნის მთავარსარდალი, ნიშნავდა პრემიერს, აყალიბებდა მთავრობას. **კონსტიტუცია მხარს უჭერდა ისლამს, როგორც „თურქული სახელმწიფოს რელიგიას“. დანარჩენი რელიგიების წარმომადგენლები შეზღუდული უფლებებით სარგებლობდნენ. შეზღუდული უფლებებით სარგებლობდნენ ეროვნული უმცირესობებიც. გლეხები, რომელთაც მიწები სრულად ჩამოერთვათ, სახელმწიფო გადასახადებისა და ნახევრადფეოდალების წნეხქვეშ სულს ღაფავდნენ.** მალე ანკარაში გაჩნდა ოპოზიციური მოძრაობა, რომელსაც პროგრესულ-რესპუბლიკური პარტია ჩაუდგა სათავეში და 10 000-მდე წევრი უმალ შემოიკრიბა. **რამდენიმე თვეში სამხრეთ-აღმოსავლეთით კვლავ გაძლიერდა ქურთების მოძრაობა, მაგრამ ქემალმა საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა, მეჯლისს სამართალდამცავთა უფლებების შეუზღუდაობის კანონი მიაღებინა, სასამართლოებს სასიკვდილო განაჩენის დაუყოვნებლივ აღსრულების უფლება მისცა. შედეგად ქურთების 47 მეთაური ჩამოახრჩეს,**

**აიკრძალა ყველანაირი ოპოზიციური მოღვაწეობა, ყველა აქტიური ოპოზიციონერი სასამართლოს გადაეცა, „არასასურველი“ ჟურნალისტები რეპრესიებს დაექვემდებარნენ.**

პარალელურად მიმდინარე ურთულესი ეკონომიკური კრიზისის მიუხედავად, ათათურქი განათლების სფეროში ბევრი ფულის ჩადებას მოითხოვდა, 1926 წლის სამოქალაქო კოდექსი კი მის უდიდეს მიღწევას — ქალებისა და კაცების უფლებების ფორმალურ გათანაბრებას — მოიცავდა. **არაბული ანბანი ლათინურით შეიცვალა, მუსლიმანური კალენდარი — ევროპულით. ყურანი არაბულიდან თურქულად თარგმნეს. 1929-1933 წლის ეკონომიკური კრიზისის პერიოდში ქემალმა მიიღო კანონი, რომელიც ექსპორტის გაზრდასა და იმპორტის შემცირებას ითვალისწინებდა. ქემალმა სახალხოდ უარყო განვითარების სოციალისტური გზა და კურსი საბაზრო ეკონომიკის სახელმწიფო კაპიტალიზმისკენ აიღო. სწორედ ქემალი გახდა ეტატიზმის (საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში სახელმწიფოს მთავარი როლის) თეორიის ავტორი, თურქეთი კი — ამ მიმართულების პიონერი.**

1931-1940 წლებში თურქეთის ეროვნული შემოსავლები განუხრელად იზრდებოდა, მაგრამ პერიოდულად ათათურქს ქურთების აჯანყებების ჩახშობა ისევ უწევდა. მტკივნეულად განიცდიდა და სასტიკად რეაგირებდა საკუთარი დიქტატურის ნებისმიერი მოწინააღმდეგის მიმართ და **სიცოცხლის ბოლომდე ქემალი თავის პარტიასთან ერთად ერთმნიშვნელოვან მმართველებად რჩებოდა.** 1938 წლის 10 ნოემბერს ქემალი ღვიძლის დაავადებისგან გარდაიცვალა. მთავრობის განკარგულებით იგი მის მიერვე ქვეყნის დედაქალაქად ქცეულ ანკარაში დაკრძალეს და საფლავზე მავზოლეუმიც აუგეს. ამ მავზოლეუმს მუდმივად იცავენ სამხედრო მოსამსახურეები.



პარლამენტის შენობასთან



ავღანეთის ემირ ამანულა-ხანთან ერთად

საქართველო

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ადამ გადანი: ჩვენ გვინდა მშვიდობა ჩვენი პირობებით

**რამდენიმე დღის წინათ რადიკალური ისლამის მომხრეთა საიტებზე გავრცელებულ 48-წუთიან ვიდეომიმართვაში ახალგაზრდა ტერორისტი ამერიკასა და ევროპაში მცხოვრებ მუსლიმებს საკუთარ ქვეყნებში ტერორისტული აქტების ჩატარებისკენ მოუწოდებდა. მოწოდებაში ნათქვამი იყო, რომ ტერაქტების მოწყობა მუსლიმანთა რელიგიური მოვალეობაა და რომ 11 სექტემბრის მასშტაბის ტერაქტები კიდევ უნდა მოეწყოს. ამის შესახებ გამოძიების ფედერალურ ბიუროშიც შეიტყვეს და ვიდეო ნამდვილობის დადგენას შეუდგნენ. ვიდეოს „მთავარ გმირს“ კი დადგენა არ სჭირდება — ეს ალ ქაიდას პრეს-მდივნად წოდებული 32 წლის ამერიკელი ტერორისტი ადამ გადანია, რომელსაც გამოძიების ფედერალური ბიურო 2004 წლიდან უშედეგოდ ეძებს.**




2006 წლის 12 ოქტომბერს, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ პირველად, აშშ-მა „სამშობლოს ღალატის“ მუხლი გამოიყენა. ამგვარი ბრალდება ამერიკის მოქალაქეს, ტერორისტული ორგანიზაცია ალ ქაიდას მთავარ პროპაგანდისტ ადამ გადანს ტერორიზმისაკენ მოწოდების ვიდეომიმართვებისთვის წაუყენეს. მაშინ გადანი 28 წლისა იყო. გადაწყვეტილება კალიფორნიის ქალაქ სანტა-ანას სასამართლოს მსაჯულთა ჟიურიმ ერთსულოვნად მიიღო, აშშ-ის იუსტიციის მინისტრის მოადგილე პოლ მაკნალტი კი აღნიშნავდა, რომ გადაწყვეტილებას გამართლებულად მიიჩნევდა. სასჯელიც დაუწესეს, მაგრამ მთავარი პრობლემა იმ პერიოდშიც მოუგვარებელი იყო და ამ დრომდეც ასე რჩება — ამერიკის სპეცსამსახურები უშედეგოდ ცდილობენ მის დაკავებას.

**მუსლიმანი ადამ გადანი 1995 წელს გაჩნდა, მანამდე იგი მხოლოდ ერთი ღარიბი მუსიკოსის, ებრაული ოჯახის ჩვეულებრივი მოზარდი ადამ პერლმანი გახლდათ. ოჯახმა ქრისტიანობა მიიღო, ადამმა გვარი შეიცვალა, გადანი გახდა და ქრისტიანობისადმი გადაჭარბებული ინტერესიც გამოიჩინა — არა მხოლოდ იცავდა ქრისტიანულ წესებს, არამედ გულდასმით ადევნებდა თვალ-ყურს მართლმორწმუნე ქრისტიანების გამოსვლებსაც.**

მოგვიანებით ადამის მამამ ყასაბად დაიწყო მუშაობა — თხებს კლავდა და ხორცს მუსლიმანებზე ყიდდა. სწორედ ეს გახდა მიზეზი მუსლიმანებსა და ისლამთან ადამის პირველი კონტაქტისა. არ გასულა დიდი დრო, რომ უკვე **17 წლის ბიჭის ცნობიერებაში საბედისწერო გარდატეხა მოხდა — მძიმე როკით მრავალწლიანი გატაცების შემდეგ მოულოდნელად ისლამი მიიღო და კიდევ ერთხელ შეიცვალა გვარი, ამჯერად იხია გახდა. მუსლიმანობაში ისევე ღრმად გადაეშვა, როგორც თავის დროზე ქრისტიანობაში. ერთ-ერთ კალიფორნიულ მეჩეთში, მისი შეხედულებით, მუჰამედის იდეების არასწორი ქადაგებისთვის იმამი სასტიკად სცემა.**







**მიუხედავად იმისა, რომ სპეცსამსახურებმა იგი ყველაზე საშიშ ტერორისტთა სიაში მოათავსეს და მის შესახებ ინფორმაციისთვის 1 მილიონი დოლარიც დააწესეს, ამერიკელებმა გადანს მაინც ვერსად მიაგნეს**

**„ვკითხულობდი რა ყურანს ინგლისურად, სულ უფრო მეტად ვრწმუნდებოდი ამ სწავლების ჭეშმარიტებაში. ჩემ ირგვლივ ცხოვრობდნენ მუსლიმანები და ვიცოდი, რომ ისინი სულაც არ არიან ისეთი სისხლისმსმელი ტერორისტები, როგორებადაც მასმედია წარმოაჩენდა“. ეს ყველაფერი თავად ადამმა დაწერა ერთ-ერთ სტატიაში სახელწოდებით „გახდე მუსლიმანი“.**

რწმენის შეცვლაზე სამწუხარო ის აღმოჩნდა, რომ ადამმა არ უღალატა ჩვევას, რელიგიაში ყველაზე რადიკალური მიმდინარეობები ეძებნა.

1998 წელს მომავალი მქადაგებელი პაკისტანში გაემგზავრა და ავღანეთიდან დევნილი ქალი შეირთო ცოლად. მალე კი ალ ქაიდას ტერორისტულ ბანაკებსაც ეწვია.

**ამის შემდეგ ადამის კვალი არსად გამოჩენილა, ვიდრე 2004 წელს პირველად არ გაავრცელა ვიდეოჩანაწერი, რომელშიც სახეს იფარავდა და ამბობდა, რომ მალე უზენაესი ამერიკის ქუჩებს სისხლით მორწყავდა. 2005 წლის სექტემბერში ისევ სახედაფარული მქადაგებელი, ისევ ვიდეოგზავნილის საშუალებით იუწყებოდა: „ნიუ იორკსა და ვაშინგტონში დალოცვილი რეიდებიდან ოთხი წლის შემდეგ დასავლეთის მკვიდრნი ამ ისტორიული მოვლენებით სპეკულირებენ. მათ არ იციან, რა გააკეთონ უსაფრთხოების გრძნობის კვლავ აღსადგენად“.**

მრავალ ადამიანს დაამახსოვრდა მისი ფრაზა: „ჩვენ გვინდა მშვიდობა, ოღონდ ჩვენი პირობებით“. როგორც ყველაფრიდან ჩანს, ეს რამდენიმე ფართოდ გავრცელებული ვიდეორგოლი სრულად არ მოიცავდა მის გამოსვლებს. **თავად გადანის თქმით, 2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ ალ ქაიდა ვიდეომიმართვებს „ამერიკისა და ჯვაროსნების წინააღმდეგ ჯიჰადის მიზნების განმარტებისთვის“ იყენებდა.**

2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტებამდე სამი წლით ადრე ადამ გადანი ავღანეთში გაემგზავრა და ბოევიკების სავარჯიშო ბანაკებში გაიარა მომზადება, მოგვიანებით კი ალ ქაიდას რიგებში გაწევრდა. **როგორც გამოძიების ფედერალური ბიურო მიიჩნევს, თავიდან ის ტერორისტებთან თარჯიმნად მუშაობდა, შემდეგ კი ფუნქციები გაუფართოვდა და ამერიკელებს შორის დაჯგუფების პიარით დაკავდა. საამისოდ არა მხოლოდ თავად ჰქონდა საჯარო გამოსვლები ვიდეომიმართვების სახით, არამედ ორგანიზაციის სხვა წევრების მიმართვებსაც თარგმნიდა ინგლისურად.**

ამერიკის სპეცსამსახურებს აზამ-ამერიკელად წოდებული ადამ გადანის ამოცნობაში კალიფორნიის მეჩეთის ის იმამი დაეხმარა, რომელსაც ოდესღაც, ჯერ კიდევ კალიფორნიაში ცხოვრებისას, ადამმა სცემა. 2004 წელს გავრცელებულ ვიდეომიმართვაში, მიუხედავად იმისა, რომ ტერორისტი სახეს იფარავდა, იმამმა ადამი ამოიცნო.

**11 სექტემბრის ტერაქტების ხუთი წლისთავის წინ გავრცელდა გადანის კიდევ ერთი ვიდეომიმართვა, ფირზე ის ალ ქაიდას მაღალჩინოსან აიმან აზ-ზავაჰირთან ერთად იყო აღბეჭდილი. ამ მიმართვაში აზამ-ამერიკელი სხვა ამერიკელებს მოუწოდებდა, თუ მთავარი ჯვაროსნის — ჯორჯ ბუშის მსგავსად სიძულვილისა და ისლამოფობიის ქადაგებასა და ათეიზმს მოიშლით, მოინანიებთ, გულს გაუხსნით ისლამის სინათლეს და თქვენს ხმლებს ალაჰის მტრების წინააღმდეგ მიმართავთ, მიგიღებთ ჩვენ შორის და რწმენისმიერ ძმებად გამოგაცხადებთო.**

სწორედ ამ მიმართვებისთვის გამოაცხადეს ამერიკელებმა ადამ გადანი სამშობლოს მოღალატედ, ამ მუხლით გასამართლებულებს კი სასიკვდილო განაჩენი ელით, მაგრამ, **მიუხედავად იმისა, რომ სპეცსამსახურებმა იგი ყველაზე საშიშ ტერორისტთა სიაში მოათავსეს და მის შესახებ ინფორმაციისთვის 1 მილიონი დოლარიც დააწესეს, ამერიკელებმა გატერორისტებულ საკუთარ მოქალაქეს ვერსად მიაგნეს.**

2009 წლის სექტემბერში ალ ქაიდას პრეს-მდივანმა აღიარა, რომ ებრაელი სიონისტი პაპა ჰყავდა და მისი რჩევით ყმაწვილკაცობაში ჩადიოდა ხოლმე ისრაელში ნათესავების მოსანახულებლად. **„პაპა რამდენიმე სიონისტური ორგანიზაციის წევრი და უზურპატორული იდეების გულმხურვალე მომხრე იყო. იგი მუდმივად ცდილობდა, დავერწმუნებინე, რომ ეს სწორი იდეები იყო“, — გულახდილად უამბო გადანმა თავის მსმენელებს არაბულ ენაზე ჩაწერილ ერთ-ერთ ვიდეორგოლში.**

ამერიკელებისადმი სიძულვილი გადანის ვიწრო სპეციალიზაცია სულაც არაა. პერიოდულად ის სხვა მნიშვნელოვანი საკითხებითაც ინტერესდება და არც ბენიამინ ნეთანიაჰუს წიგნი „ადგილი მზისქვეშეთში“ დარჩენია უყურადღებოდ. „ის ცრუ არგუმენტებს იყენებს იმისათვის, რომ პალესტინელებზე ებრაელთა ძალადობა გაამართლოს“, — ასეთი იყო კომენტარი.

მომდევნო ვიდეორგოლი ასახავდა, თუ როგორ დემონსტრაციულად დახია გადანმა ამერიკის პასპორტი და როგორ შესწირა მადლობა ალაჰს ჯერ კიდევ იმ დროს მფარველობისთვის, როდესაც ქრისტიანი იყო. **ამერიკის სპეცსამსახურები, ისევე, როგორც მთელი დანარჩენი ამერიკა, და არა მარტო ამერიკა, გადანს მხოლოდ საკუთარი ვიდეომიმართვებიდან იცნობენ. ყველაზე მეტი, რისი შემოთავაზებაც ამ საკითხის მოსაგვარებლად მათ ამ დრომდე შეძლეს, მპოვნელისთვის ჯილდოს გაზრდა იყო.**

**2010 წლის 7 მარტს პაკისტანის მთავრობამ მსოფლიოს ზარ-ზეიმით ახარა, რომ ქალაქ კარაჩში ჩატარებული ოპერაციის შედეგად ადამ გადანი დააპატიმრეს, მაგრამ სპეცსამსახურების სიხარული სულ რამდენიმესაათიანი აღმოჩნდა — მეორე დღეს უკვე ოფიციალურად დადასტურდა, რომ პაკისტანში დაკავებული ბოევიკი ალ ქაიდას ამერიკელი პროპაგანდისტი არ იყო.** ადამი ყველა შესაძლო მეთოდით ამერიკელთა ხოცვის პროპაგანდას განაგრძობს, ამერიკის სპეცსამსახურები კი, უკვე მრავალი წელია, ყველაზე ხშირად თავიანთ ჩვეულ ფრაზას იმეორებენ: „კონკრეტული ინფორმაცია და ტერორისტული გეგმების შესახებ დეტალური მონაცემები ცნობილი არ არის“. სამაგიეროდ, ქვეყნის მოქალაქეებს მოუწოდეს, გამოიჩინონ გულისხმიერება, გაფრთხილდნენ და ასე შემდეგ. გამოძიების ფედერალურ ბიუროს მის ადგილსამყოფელზე ბუნდოვანი წარმოდგენაც კი არ აქვს — დანამდვილებით არც ის იციან, აშშ-ის ტერიტორიაზე იმყოფება ამჟამად „სამშობლოს მოღალატე“ თუ სადმე სხვაგან.

რამდენიმე დღის წინათ გავრცელებულ ვიდეოზე გადანს გრძელი წვერი აქვს, სათვალე უკეთია, თავზე ტრადიციული ჩალმა ახურავს და ქათქათა თეთრი პერანგი აცვია. მიმართვის ადრესატები იყვნენ არა მხოლოდ ამერიკის, არამედ ევროპის უმსხვილეს ქალაქებში მცხოვრები ემიგრანტი მუსლიმანებიც, ევროპისა და ამერიკის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებიც. **„ჩემო ძმებო, იცოდეთ, რომ ჯიჰადი თქვენი მოვალეობაა. თქვენ გაქვთ საშუალება, ურწმუნოების ლიდერებს მათსავე მიწაზე მიაყენოთ დარტყმა“, — ამბობს გადანი. ექსპერტებმა დაასკვნეს, რომ გამოსვლა არა ჯგუფური, არამედ ინდივიდუალური თავდასხმების მოწოდება იყო და თავი დაიმშვიდეს — ეს იმას ნიშნავს, რომ ალ ქაიდა სულს ღაფავს და ორგანიზებული ღონისძიებებისთვის ძალა აღარ შესწევს. გადანი კი ამბობს: „ჩვენ გდევნით ამერიკაშიც და მის საზღვრებს გარეთაც, ისევე, როგორც თქვენ გვდევნით ჩვენ და ასე გაგრძელდება მანამ, ვიდრე თავს არ შეიწუხებთ ჩვენი მოთხოვნების შესრულებით — შეწყვიტოთ ჯვაროსნული ლაშქრობები და თავი დაანებოთ მუსლიმანებს. ჩვენ ისევე უგულებელვყოფთ თქვენს საერთაშორისო კანონებს, როგორც თქვენ — შარიათს, ჩვენ არ დავიცავთ თქვენს ნორმებს ზუსტად ისევე, როგორც თქვენ არ იცავთ ჩვენსას“.**




**რწმენის შეცვლაზე სამწუხარო ის აღმოჩნდა, რომ ადამმა არ უღალატა ჩვევას, რელიგიაში ყველაზე რადიკალური მიმდინარეობები ეძებნა**

გვერდები მოამზადა **მაია სვიანაძემ**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net



# ანდრაპ-ოლთისი

## თრიალეთი

სამსარის ქედის აღმოსავლეთ კალთებზე, საიდანაც ავლადისხევი მოედინება, არის „ადგილნი მყინვარნი გინა ცივი", სადაც ნადირობისას გარდაცვლილა მეფე გიორგი I. თავის მხრივ, ავლადისხევს აქეთ-იქით ჩამოუდის და ქციას ერთვის კიდევ ორი მცირე ხევი: ბურნაშეთისა და ანდრაპ-ოლთისისა. მათ სანახებში რამდენიმე მნიშვნელოვანი ტაძარი დგას.


აიაზმის საყდარი და წყარო





ედიქილისის ციხე-დარბაზი და მისი ეკლესია



ანდრაპ-ოლთისი გარკვეულწილად იმ დიდი წყაროთი იკვებება, რომელიც სოფელ აიაზმაშია. აიაზმაც, თავისთავად, იმიტომ დაარქვეს სომხებმა სოფელს, რომ ეს გემრიელი და დიდი წყარო ეკლესიის ქვემოდან გამოჩქეფს. ვახუშტის დროს, სომხების აქ ჩამოსახლებამდე ერთი საუკუნით ადრე, ამ სოფელს თრიალეთის ოლთისი უნდა რქმეოდა. ასე რომ, აიაზმის რამდენადმე სახეცვლილი და აღდგენილი ეკლესია სინამდვილეში ოლთისის ქართული ეკლესიაა, რომელსაც სამხრეთიდან ლამის ზედ ეკვრის ციკლოპური წყობის გალავნით მოკავებული მოედანი — ალბათ, უძველესი, წარმართული საზორავის ტერიტორია. იოლი დასაშვებია, რომ ამ საზორავს დიდხანს იცავდნენ წარმართები, რადგან ქრისტიანებს ეკლესიისთვის მისასვლელი და კარი სამხრეთიდან კი არ გაუკეთებიათ, არამედ ჩრდილოეთიდან. ამას სხვა გამართლებაც ჰქონდა: სამხრეთ მხარეს, სადაც ციკლოპური კედელია, იმავე დროს აღმართია და მისადგომად მოუხერხებელია.

ოლთის-აიაზმის პირვანდელი დარბაზული ეკლესია რომ VI-VII საუკუნეებისა უნდა იყოს, ამას, ხუროთმოძღვრულ-გეგმარებით სტილთან ერთად, ლავგარდანის თაღურ-კბილანური ფორმაც ამოწმებს. XI საუკუნეში ტაძრისთვის ჩრდილოეთიდან და დასავლეთიდან სტოვა-დერეფნები მიუშენებიათ. ამას ადასტურებს მინაშენის კარის ბალვარზე შესრულებული წარწერა, რომელიც აიაზმელებს განგებ დაუზიანებიათ, თუმცა ტექსტის წაკითხვა მაინც ხერხდება:

**„სახელითა ღმრთისაითა, მეოხებითა წმიდისა ღმრთისმშობლისათა, მე, ზაქარია ავაშენე შტოი ესე ქათალიკოზობასა ოქროპირისა. ქორონიკონს სჲე".** წარწერის ბოლოს 1045 წელია მინიშნებული.

ძველი ოლთისი სახასო სოფელი ყოფილა.

1654 წლის მონაცემებით, ზემო ოლთისის მოურავი ზურაბ თარხნიშვილი იყო, მებატონე კი — სულეიმანაშვილი; ქვემო ოლთისის მოურავი — პაატა ჯავახიშვილი, მებატონე — ავალიშვილი. ორსავე ოლთისში 9 გამომღები და 2 ბოგანო ყმა-კომლი ცხოვრობდა და ყეენის საფეშქაშო 10 მარჩილი იკრიბებოდა.

კიდევ უფრო მდიდარი ყოფილა მეზობლად მდებარე ანდრაპი, სადაც 25 გამომღები და 3 ბოგანო ყმა-კომლი ირიცხებოდა, ხოლო ყეენის საფეშქაშოს სახით 18 მარჩილი გროვდებოდა. ამ მონაცემებით, ანდრაპი, ტრადიციულად, ყველაზე ღონიერი დასახლება ჩანს მთელ თრიალეთში. ადგილმდებარეობით, სიდიდითა და ეკლესიათა სიუხვით ვახუშტის დროინდელი ანდრაპი თითქოს ამჟამინდელ ედიქილისა უნდა იყოს, რომელსაც ურუმებმა ეს სახელი აქ არსებული 7 ეკლესიის გამო შეარქვეს.

მაგრამ ჩნდება სხვა ვერსიაც: თავის მხრივ, არც ვახუშტისეული ანდრაპი უნდა იყოს მაინცდამაინც ამ დასახლების უძველესი სახელწოდება. ხომ არ არის ეს თრიალეთის ძველისძველი დაბა კარუშეთი, რომლის სახელი მატიანემ შემოგვინახა?

989 წელს დიდ დავით კურაპალატსა და მის შვილობილს, გაერთიანებული საქართველოს მეფე ბაგრატ მესამეს შორის, თითქოსდა, კლდეკარის ერისთავ რატი პირველის გამოისობით, დიდი დაპირისპირება მოხდა. კურაპალატი დიდი ლაშქრით ტაო-კლარჯეთიდან ჯავახეთში ამოვიდა და დაბა დლივში დაბანაკდა. ამის საპირისპიროდ ბაგრატი სწორედ თრიალეთის დაბა კარუშეთში დადგა ჯარით. მას შემდეგ, რაც კურაპალატმა ბაგრატის მამა, გურგენი დაამარცხა ერუშეთის საზღვართან, შეშინებული ბაგრატი თრიალეთიდან ჯავახეთში ავიდა მამობილის სანახავად და იმის სათქმელად, რომ იგი რატი ერისთავს ებრძოდა და არა მას. აქ მთავარი ის არის, რომ კარუშეთი ჯავახეთისკენ მიმავალ გზაზე ჩანს და, თავის მხრივ, დღევანდელი ედიქილისაც ასეა. ფარავნის ტბიდან რომ ეშვები თრიალეთის ზეგანზე, პირველი დასახლებული პუნქტები სწორედ აიაზმა და ედიქილისაა.

ედიქილისაში, ეკლესიებთან ერთად, შემონახულია გვიანი შუასაუკუნეების ციხე-დარბაზის ნანგრევებიც, რომელსაც აღმოსავლეთიდან მცირე ეკლესია ესაზღვრება.

ეს საყდარი, რომელიც წითელი ტუფის უხეშად დამუშავებული ქვებითა და ზუსტი თარაზული წყობის პრინციპითაა ნაგები, ახალი აღდგენილია, მაგრამ სიძველის პეწი არ დაუკარგავს. იგი X საუკუნის აქეთ არ უნდა იყოს აგებული. მის შიგნით და გარეთ მიწაზე გაფანტული სამკაულიანი ქვები სხვა, რამდენადმე გვიანდელი, ტაძრისა უნდა იყოს.

თავად ეს ეკლესია სამების სახელზე ყოფილა აშენებული. ამას გვეუბნება აღმოსავლეთ ფასადის კუთხეში ჩასმული თლილი ქვა ერთი დიდი და ორი მცირე ბოლნური ჯვრით, რაც ჩვენს ხუროთმოძღვრებაში „სამების" სიმბოლოს წარმოადგენს. აქედან ჩრდილოეთით მდებარეობს ედიქილისას ყველაზე დიდი, ურუმთაგან XIX საუკუნეში გადაკეთებული წითელპერანგა ტაძარი, რომლის ქართულ სიძველეს VI-VII საუკუნეების თაღკბილანა ლავგარდანი ამხელს.

ყველაზე საინტერესოა სოფლის სასაფლაოზე მდგარი ეკლესია. საბედნიეროდ, ისიც აღდგენილია. ტონალობით ერთმანეთთან დაახლოებული ფერადი, თლილი ქვებით ნაშენი ტაძრის მთავარი სილამაზე სწორედ ეს ფერთა გამა და დასავლეთ სარკმლის ჩუქურთმიანი საპირეა.

ტაძრის ერთადერთი, სამხრეთის, კარის ბალავრის ქვაზე ჯერ კიდევ ჩანს გვერდიგვერდ განთავსებული 3-სტრიქონიანი ორი წარწერა. პირველი: **„ქრისტე ღმერთო, მფლობელო ყოველთა სუფევათაო, ადიდე მიქელ კათალიკოზი".**

მეორე: **„სახელითა ღმრთისაითა მე, მლითლის ძე დავით ბერი ღირს ვიქმენ აღშენებად საყდრისა ამის სალოცველად სულისა ჩემისა, მშობელთა და ძმათა ჩემთა, იოანე, კვირილისა და თეოდორეს".**

რაკი საქართველოს ეკლესიას ორი მიქეილ კათალიკოსი ჰყავდა XII და XV საუკუნეებში, ექვთიმე თაყაიშვილი ძეგლს XV საუკუნეს მიაკუთვნებდა, მღვდელ-მონაზონი კალისტრატე კი 1891 წელს გაზეთ „ივერიაში" (№248) გამოქვეყნებულ წერილში მას XII საუკუნის ტაძრად მიიჩნევდა.

აქვე, ეკლესიიდან სამხრეთ-დასავლეთით ათიოდ ნაბიჯზე, შემთხვევით გადავაწყდით სულ სხვა ეკლესიის ბალავარს ძალიან დახვეწილი ბოლნური ჯვრით. ბალავარზე უთუოდ წარწერაც იქნებოდა, მაგრამ ახლა იგი სრულიად დამდნარი და გადარეცხილია. ქვას სათანადო ადგილი უნდა მიეჩინოს. ვფიქრობთ, ეს ბალავარი და პირველი ეკლესიის ტერიტორიაზე ნანახი სამკაულიანი ქვები ერთი რომელიღაც დანგრეული ეკლესიის კუთვნილება უნდა ყოფილიყო.


ედიქილისის წარწერებიანი ეკლესია


ედიქილისის გადაკეთებული ეკლესია

**გელა ქოქიაშვილი**
**ავტორის ფოტოები**

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# შეტევა ახალციხეზე

დასასრული. დასაწყისი იხ. №39

**მართალია, საფაშოს ხუთი სიმაგრიდან ორი — ახალქალაქი და ხერთვისი — უკვე რუსების ხელში იყო, მაგრამ აუღებელი დარჩა სამი: აწყური (ბორჯომის ხეობის შესასვლელის ჩამკეტავი), არდაღანი (არზრუმის გზაზე) და ბოლოს — ახალციხე, რომელიც ამაყად ინახავდა იმ ამბავს, თუ ცხრამეტი წლის წინათ როგორ მედგრად აღუდგა წინ რუსულ ძალას.**

ამ მოვლენამ კიდევ უფრო განამტკიცა აზრი, რომ ახალციხე თავისი თავის გარდა არავის დაემორჩილებოდა. ამ ბოლო დროს თურქეთის არმიის მიერ განცდილი არაერთი მარცხის მიუხედავად, იგი არ შეშინებულა. პირიქით, **ყარსის, ახალქალაქისა და ხერთვისის დაცემამ ახალციხელებს უფრო მეტად გაუღვივა სიამაყე და გაუღვივა ზიზღი გამარჯვებული მოწინააღმდეგის მიმართ.** ქალაქის მცხოვრებთ თავიანთი მმართველი გამოუშვეს ქალაქიდან, რადგან ეჭვი ეპარებოდათ მის სამხედრო შესაძლებლობებში, გაგზავნეს ის კიოს მუჰამედ-ფაშასთან (რომელიც მათ დასახმარებლად მოიჩქაროდა) იმის სათქმელად, რომ ისინი არ საჭიროებდნენ მის დახმარებას და რომ თვითონ გაუმკლავდებოდნენ რუსებს 10 ათასზე მეტი მამაცი მეომრით.

**ახალქალაქიდან ახალციხეში ორი გზა მიდიოდა: ერთი შემოვლითი (ას სამოცი ვერსის), მოხერხებული ქვემეხების გადასაგორებლად, გადიოდა არდაღანზე; მეორე, უმოკლესი (60 ვერსის), მაგრამ გადიოდა ციხეჯვრის მაღალ ტყიან ქედებზე, ისეთ ადგილებზე, სადაც აქამდე არა თუ არ გაუვლია არც ერთ ურემს, არამედ იქ მგზავრობაც მოუხერხებელი იყო.**

**მიუხედავად ამ გზის მოუხერხებლობის გამო, პასკევიჩმა სწორედ ეს მეორე გზა აირჩია, რადგანაც უმოკლესი მანძილი აძლევდა მას საშუალებას, დაესწრო კიოს მუჰამედის არმიისთვის ახალციხესთან მისვლა და ციხესიმარე თურქული დამხმარე ძალის გამოჩენამდე აეღო.**

მრავალ მოსაზრებათა მიხედვით ციხისჯვარზე ლაშქრობა საბოლოოდ გადაწყდა და რუსული კორპუსი ახალქალაქიდან 2 აგვისტოს გამოვიდა.

მაგრამ ჯარებმა ძლივს განახორციელეს ერთი გადასვლა, ციხისჯვრის მთებმა ისინი თავის მრისხანე ქვის მკლავებში მოაქცია. გამართლდა პასკევიჩის წინასწარმეტყველება: მიიღეს ინფორმაცია, რომ კიოს მუჰამედ-ფაშა, დატოვა რა სოღანლუღის მთები, აჩქარებით მიემართება არდაღანისკენ, რათა გაუსწროს პასკევიჩსო. ეს ინფორმაციები მოდიოდა ყარაფაფახიანებისგან. პასკევიჩმა მაშინვე გაუგზავნა მათ პროკლამაცია, რომლითაც მთელ მათ ხალხს რუსეთის ქვეშევრდომობას სთავაზობდა. ყარაფაფახიანებმა შეატყობინეს, რომ სიამოვნებით დათანხმდებოდნენ, მაგრამ ეშინოდათ იმ ოცდაათიათასიანი თურქული არმიისა, რომელიც მათკენ მოემართებოდა. ამ ინფორმაციამ გაართულა რუსთა კორპუსის მდგომარეობა და ისევ წამოსწია წინა პლანზე გზის არჩევის საკითხი.

**საჭირო იყო დაფიქრება, ხომ არ წასულიყვნენ არდაღანზე, გაშლილ ველზე ბრძოლაში რომ დაემარცხებინათ თურქები და გადაესროლათ ისინი ყარსისკენ.** მეორე მხრივ, გაჩნდა ეჭვი თვით ამ ინფორმაციების სისწორეზე: ყარაფაფახიანებმა რუსების ქვეშევრდომობის თავიდან აცილების მიზნით ხომ არ გამოიგონეს ეს ყველაფერი?

ამ შემთხვევაში, წავიდოდა რა არდაღანზე, პასკევიჩი დაკარგავდა ძვირფას დროს და ნამდვილად მისცემდა თურქებს საშუალებას, მიესწროთ მისთვის ახალციხეში.

მერყეობა დიდხანს არ გაგრძელებულა. პასკევიჩმა გადაწყვიტა, ინფორმაციის შემოწმების მიზნით ღამით გაეგზავნა გადაცმული თარჯიმანი, კაპიტანი შემირ-ბეგლიაროვი, თავად კი კორპუსს უმოკლესი გზით მთებით გადასასვლელისკენ გასძღოლოდა.

**ციხეჯვრის ქედი მცირე კავკასიის ერთი ყველაზე მიუვალი ადგილია. ასეთი მთები არც სომხეთშია, არც — საქართველოში.**

რუსულმა არმიამ უვალი გზებით გადაიარა მაღალი მთები, მთელი გრენადერთა ბრიგადა, ხერთვისიდან წინასწარ გამოშვებული, ორი დღე კაფავდა ტყეში სავალ გზას, რათა შესაძლებელი გამხდარიყო უღრან ტყეში ქვემეხების გადაადგილება. ამ საშინელ გზაზე ჯარებმა სამ დღეში შეუსვენებლად გაიარეს სამოცი ვერსი და 3 აგვისტოს, მზის ამოსვლისას, მათ წინ გამოჩნდა არწივის ბუდესავით კლდეზე მიკრული ახალციხე.



გენერალ-ფელდმარშალი ივან პასკევიჩი

მთელი ღამის განმავლობაში მიმდინარეობდა სამხედრო ტექნიკის გადმოტანა, რაც დილისთვის დასრულდა. იპოვეს რუსთა კორპუსი, რომელიც ახალციხიდან ექვსი ვერსის მოშორებით მტკვრის ნაპირს დაბანაკებულიყო და მათ შეუერთდნენ. აქ მოვიდა დაზვერვიდან დაბრუნებული კაპიტანი ბეგლიაროვიც. მან კატეგორიულად განუცხადა პასკევიჩს, რომ ყარაფაფახიანებზე დანდობა არ შეიძლებოდა, რომ კიოს ფაშამ უკვე გაიარა არდაღანი და დღეს — 4 აგვისტოს ახალციხეში იქნებაო. რუსების მდგომარეობა გართულდა, მათ დამხმარე ძალა ჯერ არ ჰყავდათ და ახალციხესთან მხოლოდ პრუსიიდან დაბრუნებული სადღაც რვა ათასამდე ჯარისკაცი იდგა.

მართალია, საქართველოდან ბორჯომის ხეობით პასკევიჩთან შესაერთებლად ხერსონის გრენადერთა პოლკის ექვსი ათეული და დონელი კაზაკების პოლკი (ოთხი ქვემეხით) მოემართებოდნენ, მაგრამ ეს ძალები (სულ ათას რვაასი კაცი) 7 აგვისტოზე ადრე ახალციხემდე ვერ ჩავიდოდნენ.

**5 აგვისტოს, დილით პასკევიჩი ჭოგრიტით აკვირდებოდა ტერიტორიას — ახალციხის შემოგარენს. მეთაურის აზრით, პოზიციებზე დარჩენა მათთვის უფრო სახიფათო იქნებოდა, ვიდრე წინსვლა. ამიტომ ქალაქისკენ დაძვრა ბრძანა.**

ადგილზე დარჩენა ზურგის დაცვის მიზნით 42-ე ეგერთა პოლკს (თორმეტი საბრძოლო ქვემეხით) უბრძანა, დანარჩენები კი მტკვრის მარცხენა ნაპირზე გადავიდნენ.

გადასვლა დაიწყო დილით 10 საათზე. მოწინააღმდეგე შეეცადა მათ შეჩერებას, მაგრამ ტყვიების წვიმაში მოჰყვა, რის გამოც ქალაქისკენ დაიხია და მდინარე ახალციხე-ჩაის მაღალ ნაპირებზე განლაგდა. ასევე შეჩერდა რუსთა ჯარი. შუადღე იყო. მზე საშინლად აცხუნებდა და ჯარისკაცებმაც შესვენება გადაწყვიტეს.

ამასობაში პასკევიჩმა ყურადღება ტაუშან-ტაფას ბორცვს მიაქცია, საიდანაც იმართებოდა ციხესიმაგრე. მთავარი შეტევა სწორედ მასზე უნდა განხორციელებულიყო. ოთხი საათისთვის ცოტა აგრილდა და შეიარაღებული ჯარისკაცები დოლების ბრაგუნით წინ დაიძრნენ. თექვსმეტი ბატარეის ქვემეხი ჩორთით აიტანეს სიმაღლეზე და ველზე მდგარ თურქულ ბატალიონს ცეცხლი გაუხსნეს. თურქებმა უკან დაიხიეს. რუსთა ქვეითებმა წინააღმდეგობის გარეშე დაიკავეს ტაუშან-ტაფა. რუსული ბანაკი მხოლოდ მარცხენა ფლანგიდან არ იყო დაცული. ახალციხე-ჩაის მარჯვენა ნაპირიდან თურქებს ჩასაფრების საშუალებაც ჰქონდათ და რუსთა კარვებთან მიახლოებაც შეეძლოთ. მსგავსი რამ რომ არ მომხდარიყო, პასკევიჩმა მარჯვენა ნაპირზე ეგერთა ბატალიონი წამოსწია პოდპოლკოვნიკ მიკლაშევსკის მეთაურობით. მათთან გაგზავნა დრაგუნთა და ულანთა დივიზიებისგან შემდგარი კავალერისტთა პოლკი პოლკოვნიკ რაევსკის მეთაურობით.

საღამოს 6 საათი იყო. მოწინააღმდეგის ცხენოსანთა რაზმი ხრამებში იმალებოდა. ახალ ადგილას რუსთა ბანაკის გადაბარგება მტრისთვის ნათელი იყო, ამიტომ მდინარე ახალციხე-ჩაის ორივე მხრიდან ცხენოსანთა მთელი ეს მასა წინ დაიძრა. **რუსული პოზიციის მარჯვენა ფლანგს, სადაც ერევნის პოლკის ბატარეა იყო განლაგებული, ოთხი ათასმა თურქმა შეუტია. მათ რუსები საფანტითა და ცეცხლით გაუმასპინძლდნენ. მაშინ თურქებმა ჯირითით დააპირეს, გასცლოდნენ იქაურობას და მკვეთრად შებრუნდნენ მარცხნივ, მაგრამ მარჯვენა ფლანგის ბოლოში ქართული პოლკის ბატალიონის ბატარეას გადააწყდნენ. კაზაკთა ორი პოლკი და თათართა ცხენოსნები კვალში ჩაუდგნენ გაქცეულებს და დროშები წაართვეს.**

რაევსკიმ ჯერ კიდევ ბრძოლაში ჩაბმამდე გეზი მოწინააღმდეგის ფლანგზე აიღო. ოღონდ უსწორმასწორო რელიეფის მკვეთრი აღმართებისა და დაღმართების გამო ცხენოსანთა სწრაფი მოძრაობა ჭირდა. ის იყო მარცხენა ნაპირის აღმართზე გამოჩნდა მათი თავები, რომ თურქები მათკენ გაემართნენ. თავის მხრივ, რაევსკიმ ნიშანი მისცა ჯარს და პირველი ხაზი შეტევაზე გადავიდა. ულანთა შეერთებული პოლკის მეთაური, პოლკოვნიკი ანრეპი თავად მიუძღოდა სერპუხოვის ესკადრონს და მოწინააღმდეგის ბრბოში შეიჭრა. თურქთა მთელი მარცხენა ფლანგი დაიშალა, ახალციხისკენ იხევდა. გააფთრებულ ულანებს არ შეეძლოთ, დაენახათ, რა ხდებოდა მათ უკან. იქ კი სისხლიანი კატასტროფა ახლოვდებოდა.

**ნიჟეგოროდის პოლკის მეოთხე ესკადრონი მაიორ კაზასის მეთაურობით შეტევაზე გადავიდა რა ულანებთან ერთად, ისე გაიტაცა გაქცეულთა დევნამ, რომ ათასობით თურქის ალყაში აღმოჩნდა. მიკლაშევსკიმ ბატალიონმა სირბილით მოუსწრო მათ, მეორე ხაზიდან ნიჟეგოროდის პოლკის მესამე ესკადრონი პოდპოლკოვნიკ ანდრონიკოვთან ერთად მოვიდა და ბრძოლის სურათი თვალისდახამხამებაში შეიცვალა.**

გათავისუფლდა რა თურქთა ზეწოლისგან კაზასის ესკადრონი, ისევ ამხედრდა ცხენებზე და ორივემ ერთდროულად შეუტია თურქთა ცხენოსნებს.

თურქები ვერ გაუმკლავდნენ ამ ზღაპრულ, არარეალურ მეომრებს და ათასობით მათგანი შეშინებული გარბოდა.

როცა კავალერიის დიდი ნაწილი ბრძოლაში იყო ჩაბმული, რეზერვში მხოლოდ ბორისოგლებსკის ულანთა პოლკის ერთი ესკადრონი რჩებოდა როტმისტრ ლაუს ხელმძღვანელობით.

**ახალი ორიათასკაციანი თურქთა ბრბო შეუმჩნევლად უვალი გზებით აღმოჩნდა რეზერვისტების ზურგში. ყველაფერი ამ წუთზე იყო დამოკიდებული. საბედნიეროდ, როტმისტრი ლაუ ძალიან გაწონასწორებული პიროვნება იყო. მას მშვიდად შეეძლო სიტუაციაში გარკვევა. ლაუმ პანიკის გარეშე შეაბრუნა ჯარი და თურქები ზურგის ნაცვლად პირისპირ აღმოჩნდნენ მწკრივებად დაწყობილ ჯარისკაცებთან. თურქები გაოცებულნი დარჩნენ, ადამიანთა პატარა ჯგუფი მომენტალურად მწკრივებად გაშლილ შეიარაღებულ ჯარისკაცთა ესკადრონად რომ გადაიქცა** და, საიდანაც მოვიდნენ, ისევ იქით წავიდნენ. ულანები თითქმის ხრამამდე მიჰყვნენ მათ კვალს. შემდეგ ლაუს ბრძანებით ისევ საწყის პოზიციაზე დაბრუნდნენ, რადგან მათი ყოფნა აქ უფრო მნიშვნელოვანი იყო.

ღამდებოდა და მოწინააღმდეგეებიც მიწყნარდნენ. ნიჟეგოროდელები და სერპუხოველი ულანები არაქათგამოცლილი ცხენებით დაბრუნდნენ ბანაკში. აღმოჩნდა, რომ მთელი კორპუსის დანაკარგი 44 კაცს არ აღემატებოდა.

**მარცხენა ფლანგის კავალერისტებმა ამ ბრძოლაში ბრწყინვალე სახელი მოიპოვეს. ამის შესახებ პასკევიჩმა ხელმწიფეს აცნობა.**

გენერალ-მაიორ ლეონოვს, პოლკოვნიკ ანრეპს, მაიორ კაზასის, როტმისტრ ლაუს ჯილდოდ წმ. გიორგის მეოთხე ხარისხის ორდენი გადასცეს. პასკევიჩმა ხელმწიფის წინაშე გმირობისა და მამაცობისათვის წმ. გიორგის მესამე ხარისხის ორდენით დასაჯილდოვებლად რაევსკი წარადგინა, მაგრამ ხელმწიფემ მას ეს ჯილდო გენერალ-მაიორის ჩინით შეუცვალა.

5 აგვისტო ახალციხის მაღალ კედლებთან მისასვლელად გამართული ბრძოლის ბოლო ეტაპი იყო. ამასთან, იგი იყო პირველი რგოლი მომავალი სისხლიანი მოვლენებისა. **ახალციხის ალყაშემორტყმულ ციხესიმაგრეზე და რუსულ ბანაკზე სიკვდილის ანგელოზმა უკვე გაიცვითა მისი პირქუში ფრთები.**

**ვასილი პოტო**
**ხუთტომეული ნაშრომიდან „კავკასიის ომი“**




გამოვიდა
სამეცნიერო-პოპულარული
ჟურნალის
«ისტორიული მემკვიდრეობა»
მეთერთმეტე ნომერი

ჟურნალი დღევანდელობის აქტუალურ საკითხებსაც ეხმიანება და ქვეყნის ახლო თუ შორეულ წარსულსაც ვრცლად მიმოიხილავს. პრობლემები, რომლებზეც „ისტორიული მემკვიდრეობის“ ფურცლებზე მსჯელობენ, უთუოდ მიიქცევს მკითხველთა ყურადღებას, რადგან „ისტორიული მემკვიდრეობა“ საქართველოს წარსულსა და აწმყოს ობიექტურად ასახავს.
ჟურნალის რედაქტორია თემურ ქორიძე.



არასამთავრობო ორგანიზაციამ — „ისტორიული მემკვიდრეობა“ — გამოსცა ისტორიული დოკუმენტების კრებულთა სერია, რომელიც XVII-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს ეხება. კრებულები გამიზნულია მკითხველთა ფართო წრისათვის, რამეთუ პოლიტიკური კონიუნქტურის გარეშე, მხოლოდ ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით ასახავს წარსულ სინამდვილეს. თუკი გავითვალისწინებთ ისტორიული ფაქტებით მანიპულირების მზარდ და საშიშ ტენდენციას, გამოცემა ფრიად დროული და აქტუალურია. მსურველებს კრებულების შეძენა შეუძლიათ წიგნის მაღაზიებში. დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ: 34-32-95.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

# ყველაზე უცნაური ადამიანები დედამიწაზე

ადამიანები ერთნაირებიც ვართ და განსხვავებულებიც; ამბობენ, ბუნებაში ორს, ზუსტად ერთნაირს, ვერაფერს ნახავთო, მაგრამ არიან ადამიანები, რომელთა განსხვავებულობაც ყველანაირ სტანდარტს სცილდება და რომელთა უცნაურობებსაც ხშირად მეცნიერებიც ვერ უძებნიან ახსნას.




## იგი 22 წელია, აეროპორტში ცხოვრობს

**მეჰრან კარიმი ნასსერი ირანიდან ლტოლვილია და უკვე 22 წელია, პარიზის შარლ დე გოლის სახელობის აეროპორტის პირველი ტერმინალის მოსაცდელ დარბაზში ცხოვრობს.**

თავის დროზე ირანში ის დააპატიმრეს, ციხეში გაამწესეს, აწამეს და შემდეგ ქვეყნიდან გააგდეს. მას შემდეგ უშედეგოდ ცდილობს, პოლიტიკური თავშესაფარი მიიღოს საფრანგეთში, ბრიტანეთში ან კიდევ სხვა ქვეყანაში, მაგრამ ყველასგან ცივ უარს იღებს. საქმე ისაა, რომ მეჰრანს არანაირი დოკუმენტი არ გააჩნია — ყველა საბუთი ბრიტანეთისკენ მიმავალს გზაში მოჰპარეს. ჰიტროუში ჩასვლისას ბრიტანულმა მთავრობამ უდოკუმენტო ადამიანის ქვეყანაში შეშვებაზე სასტიკი უარი განაცხადა. ამიტომ ნასსერი ისევ უკან, საფრანგეთის აეროპორტში, დააბრუნეს. მას შემდეგ მეჰრანს აღარც უცდია სადმე წასვლა — საფრანგეთს არ შეუძლია უსაბუთო ადამიანი ქვეყნის ტერიტორიაზე შეუშვას და ლტოლვილის სტატუსი მიანიჭოს. დოკუმენტების გარეშე პიროვნების დასადგენად ირანელს სამშობლოში დაბრუნება დასჭირდება, იქ კი სიხარულით არავინ ელის. ჩაკეტილი წრე, უკვე 22 წელია, გრძელდება. მეჰრანი მუდმივად მოსაცდელ დარბაზშია, თან აქვს მთელი თავისი ქონება და ერთი შეხედვით ჩვეულებრივი მგზავრივით გამოიყურება. ამბობენ, რომ სწორედ ამ უბედური ირანელის ისტორია გახდა ფილმ „ტერმინალის“ სცენარის საფუძველი. ფილმში მთავარ როლს ტომ ჰენქსი ასრულებს.



## კაცი, რომელიც მუცლით ატარებს ძმას

**სანჯუ ბხაგატი ყოველთვის ისე გამოიყურებოდა, თითქოს ორსულობის ბოლო სტადიაზეა. უზარმაზარი მუცელი არა მხოლოდ სიარულს, სუნთქვასაც კი უშლიდა.** 1999 წელს ექიმებმა სიმსივნის დიაგნოზი დაუსვეს და სასწრაფო ოპერაცია დაუნიშნეს, მაგრამ ოპერაციის დროს უჩვეულო „გასუქების“ მიზეზი გაირკვა: სანჯუს მუცელში მისი ტყუპისცალი ძმა ცხოვრობდა. ქირურგი თვალებს არ უჯერებდა. გაქრეს თუ არა პაციენტი, მისი მუცლიდან რაღაც სანაყოფე სითხის მაგვარი გადმოიღვარა, შემდეგ კი რაღაც არსების კიდურები, თმიანი თავი და ბოლოს მთელი სხეულიც გამოჩნდა. ოპერაცია ძალიან ჰგავდა საკეისრო კვეთას, სანჯუმ თითქოს ბავშვი გააჩინა. როგორც შემდეგ გაირკვა, ის უიშვიათესი დაავადებით „ნაყოფი ნაყოფში“ იყო დაავადებული — მუცლადყოფნის პერიოდში ერთი განაყოფიერებული კვერცხუჯრედი მეორის შიგნით მოხვდა და პარაზიტული წესით განაგრძო განვითარება. შედეგად, დედა მხოლოდ ერთ შვილს ბადებს, მეორე ნაყოფი კი თავისი ტყუპისცალის ორგანიზმში განაგრძობს სიცოცხლეს მისი დაბადების შემდეგაც. ცანჯუმ მუტირებული ტყუპისცალი მუცლით 36 წლის მანძილზე ატარა.

## ადამიანი, რომელსაც სჯერა, რომ ღმერთია



**მათეიოსი მიცუო ექსცენტრიული იაპონელი პოლიტიკოსია, რომელსაც გულწრფელად სჯერა, რომ ქრისტეა. მისი პოლიტიკური პროგრამის თანახმად, ის ქრისტეს მსგავსად მოაწყობს სასტიკ სამსჯავროს, ოღონდ პოლიტიკური სისტემისა და ქვეყნის კანონმდებლობის გამოყენებით.** „მხსნელის“ პირველი ნაბიჯი მისი პრემიერ-მინისტრად დანიშვნა უნდა გახდეს. ამის შემდეგ მუციო გაეროს ხელმძღვანელობას გეგმავს, შემდეგ კი ნელ-ნელა მსოფლიოს მბრძანებელი გახდება თავისი პოლიტიკური და რელიგიური შეხედულებებით. ღვთის წყალობით, ამ დრომდე მათეიოსმა ვერც ერთი არჩევნები ვერ მოიგო, სამაგიეროდ საყოველთაოდ ცნობილი გახდა თავისი ექსცენტრული სარეკლამო კამპანიებით და მუდმივი თხოვნებით კონკურენტებისადმი, ნუ მოებლანდებიან ფეხებში და ნებაყოფლობით ჩაიტარონ ხარაკირი.



## ადამიანი, რომელიც საკუთარი თავის რომის პაპია

**კანზასელი დევიდ ალენ ბოდენი არც მეტი, არც ნაკლები, თვითაღიარებული რომის პაპი მაიკლ I-ია.** პაპად ის 1990 წელს კათოლიკების, მისი ჩათვლით, ექვსკაციანმა ჯგუფმა აირჩია და როგორც ეს ექვსეული მიიჩნევს, პიი XII ისტორიაში უკანასკნელი პაპი იყო, მას შემდეგ მხოლოდ უზურპატორები იყვნენ. მაიკლ I-მა თავისი სახლის ერთი ოთახი ერთდროულად ეკლესიად და სამუშაო კაბინეტად გადააკეთა და იმდენი მოახერხა, რომ მრევლი 50 ადამიანამდე გაზარდა და ორმოცდაათივეს უმტკიცებს, რომ სამყაროს აღსასრული ახლოსაა.

## ის ჰუმანოიდებს ებრძვის

**ყოფილი პროფესიონალი ფეხბურთელი, ტელეკომენტატორი, ბრიტანეთის „მწვანეთა“ პარტიის ლიდერი დევიდ აიკი, უკვე ათი წელია, საყოველთაო შეთქმულების თეორიის ამოხსნითაა დაკავებული და მთელ მსოფლიოს უმტკიცებს, რომ ჩვენ ხვთაებრივი ჰუმანოიდი-რეპტილიები გვმართავენ.** მისი თეორიის მიხედვით, სწორედ ამ არსებებმა შექმნეს ოდესღაც სამყაროცა და ადამიანებიც. აიკის თეორიის შესაბამისად, მსოფლიო ცხოვრობს საიდუმლო ორგანიზაცია „ელიტას“ მედმივი კონტროლის ქვეშ. ეს ორგანიზაცია თურმე უხსოვარ დროში დაფუძნდა, ოღონდ მაშინ „ბაბილონის საძმო“ ერქვა. ამ ჰუმანოიდი-რეპტილიების რასამ მსოფლიოს შესძინა ისეთი პოლიტიკური მოღვაწეები, როგორებიცა არიან ჯორჯ



ბუშ უმცროსი, დედოფალი ელისაბედ II და ა. შ. დევიდს გულწრფელად სჯერა, რომ სწორედ ჰუმანოიდები არიან დამნაშავენი ბავშვთა სისასტიკესა და მოზრდილთა სატანიზმში. დევიდი 15 წიგნის ავტორია, ასე რომ, თეორიის დეტალების შესწავლა საყოველთაოდ ხელმისაწვდომია.

## ოფიციალურად მკვდრად აღიარებული

**საბრალო ლალ ბიხარი 1976-დან 1994 წლამდე ოფიციალურად ითვლებოდა გარდაცვლილად. მთელი 18 წლის განმავლობაში ჩრდილოეთ ინდოეთის შტატ უტარ-პრადეშის მკვიდრი უშედეგოდ ებრძოდა ბიუროკრატიულ სისტემას და ცდილობდა, დაემტკიცებინა, რომ ცოცხალი და ჯანმრთელია.** შორეულ 1976 წელს ლალმა ბანკიდან კრედიტის აღება მოინდომა და მოულოდნელად აღმოაჩინა, რომ ცოცხლებში აღარ ეწერა. აღმოჩნდა, რომ მკვიდრმა ბიძამ ლალი გარდაცვლილად იმის გამო გამოაცხადა, რომ მემკვიდრეობით მისი კუთვნილი მიწა მიეღო. ბიუროკრატიულ მანქანასთან 18-წლიანი ბრძოლის მანძილზე ბიხარმა აღმოაჩინა, რომ ის მარტო არ იყო და მიცვალებულად კიდევ არაერთი ცოცხალი ინდოელი ითვლებოდა. ასამდე



ადამიანი აბსოლუტურად წარუმატებლად ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ არასდროს მომკვდარან. სწორედ მაშინ შექმნა ბიხარმა თავისი „მიცვალებულთა ასოციაცია“, რომელშიც უკვე 20 000-ზე მეტი ადამიანია გაერთიანებული. ახლა ისინი ერთად იბრძვიან ცოცხლების უფლებებისთვის.

## მან 28 წელი იცხოვრა მიწისქვეშეთში

**1941 წელს სიოიტი იოკოი იაპონიის საიმპერატორო ჯარში მსახურობდა და თავის სამხედრო ნაწილთან ერთად კუნძულ გუამზე გაგზავნეს.** 1944 წელს, მას შემდეგ, რაც კუნძული ამერიკულმა ჯარმა აიღო, იოკოიმ გაქცევით უშველა თავს. იგი მხოლოდ 1972 წელს იპოვეს კუნძულის ერთ-ერთ ყველაზე მიუდგომელ ადგილას, სადაც ორ ადგილობრივ მცხოვრებთან ერთად იმალებოდა. 28 წლის განმავლობაში სიოიტი მიწის ქვეშ გათხრილ გამოქვაბულში იმალებოდა, გარეთ გამოსვლისა ეშინოდა და წარმოდგენაც არ ჰქონდა, თუ რა ხდებოდა მსოფლიოში. „მიჭირს გაცნობიერება,



რომ ცოცხალი დავბრუნდი“, — ამოილუღლუღა ძველი, დაჟანგებული თოფით ხელში იაპონიაში დაბრუნებულმა იოკოიმ.

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net



# ადამიანი, რომელსაც არასდროს სძინავს

**არადა, ერთ დროს ისიც ჩვეულებრივ იძინებდა ყოველ ღამით, მაგრამ, უკანასკნელი 37 წელია, 80 წელს მიტანებულ ტაი ნგოკს წუთითაც არ მოუხუჭავს თვალი.** ყველაფერი 1973 წლის იმ საბედისწერო დღეს დაიწყო, როდესაც ჩვეულებრივი გრიპის ვირუსი შეხვდა. გრიპისგან ისე განიკურნა, როგორც დანარჩენი ადამიანები ვიკურნებით ხოლმე, მაგრამ უკვე 13 500 ღამეა, უშედეგოდ ითვლის ცხვრებს ჩაძინების იმედით. საოცარია, რომ ესოდენ ხანგრძლივმა უძილობამ მის ჯანმრთელობას არაფერი ავნო. ექიმებმა ხანგრძლივი გამოკვლევების შედეგად მხოლოდ ღვიძლის უმნიშვნელო პრობლემები აღმოაჩინეს. არადა, უკვე დიდი ხანია, აღარავინ დაობს იმაზე, რომ ძილი ადამიანისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მოვლენაა და უიმისოდ გაძლება ორგანიზმის შესაძლებლობებს აღემატება.

# ადამიანი, რომელიც ყველაფერს ჭამს



**მიშელ ლოტიტომ სახელი იმით გაითქვა, რომ ჭამს აბსოლუტურად ყველაფერს, რისი ჭამაც საყოველთაოდ მიღებული არაა.** ეს ადამიანი გამოსვლებისას ნთქავს მეტალს, მინას, რეზინს და სხვა მასალებს, რომლებიც ველოსიპედების, მოტოციკლეტების, ტელევიზორებისა და სხვა ტექნიკის აწყობისათვის გამოიყენება. ერთხელ მან საკუთარ თავსაც გადააჭარბა და მთელი თვითმფრინავი „Cessna-150" გადაყლაპა! როგორც წესი, მიშელის „საკვებ" ნივთებს შლიან და პატარა ნაჭრებად ანაწევრებენ, ლოტიტო კი ამ ნაჭრებს ყლაპავს და წყალს აყოლებს. არასაკვები ნივთების ჭამა მან ჯერ კიდევ ბავშვობიდან დაიწყო, 16 წლის ასაკიდან კი სახალხო „ტრაპეზებს" მართავს.

# ფეხსაცმელი 2 500 000 დოლარად



**ეს მართლაც მაღალქუსლიანი ძვირფასი ფეხსაცმელია, რომელზეც 960 ცალი ლალის თვალია დამაგრებული.** მბრწყინავი შედევრი ცნობილმა იუველირმა სტიუარტ ვაიცმანმა სპეციალურად ერთი ქალბატონის — ჰოლივუდის მსახიობისათვის შექმნა. მისი სახელი საიდუმლოდ რჩება. ცნობილია მხოლოდ ის, რომ ქალს ფეხსაცმელი ოსკარით დაჯილდოების ცერემონიაზე უნდა ჩაეცვა, მაგრამ ერაყში ომის დაწყების შემდეგ მან გადაწყვიტა, ამერიკელი ჯარისკაცებისათვის სოლიდარობის გამოსახატავად გაცილებით მოკრძალებულ სამოსს დასჯერებოდა. ძვირადღირებული ფეხსაცმლის წინა რეკორდიც ამავე იუველირის ნახელავი იყო, მაშინ ვაიცმანმა პლატინის ძაფებისაგან მოწნულ ფეხსაცმელს 464 ბრილიანტი დაამაგრა და ისიც ჰოლივუდის ვარსკვლავმა ფილმ „მალჰოლანდ დრაივის" მსახიობმა ლორა ჰარინგმა სწორედ ოსკარით დაჯილდოების ცერემონიაზე ჩაიცვა.

# ეგვიპტის უკანასკნელი მეფე ფარუკის საძინებელი

**1965 წელს რომში ეგვიპტის უკანასკნელი მეფე ფარუკი დევნილობაში გარდაიცვალა. სიკვდილი მაშინ ეწვია, როდესაც, ტრადიციულად, აუარება ნუგბარს ნთქავდა სადილად. მეფე უკანასკნელი წლების მანძილზე ძალიან ბევრს ჭამდა და ზედმეტ წონასაც უჩიოდა.** რომში კი 1950-იანი წლების გადატრიალების შემდეგ გაიქცა, რადგან მასა და მის უკიდურესად კორუმპირებულ მთავრობას სამშობლოში აღარ დაედგომებოდათ. მაგრამ თავისი მმართველობის წლებში ფარუკი ეგვიპტელ ელიტაში მოდის ნამდვილი კანონმდებელი იყო და მისი გემოვნების შესახებ მთელმა მსოფლიომ იცოდა. უამრავი მდიდრული აგარაკისა და სასახლის, ასამდე უნიკალური ავტომანქანის კოლექციის მფლობელს ევროპის ელიტურ კლუბებში უყვარდა დროის გატარება. ყველა ასეთი ვიზიტი კი აუცილებლად გულისხმობდა ძვირფასი ნივთების შეძენასაც. სწორედ მეფე ფარუკის საძინებლის ავეჯი შეიძინა ახალი ორლეანის ანტიკვარიატის სალონმა 985 000 დოლარად. უნიკალური ავეჯი მე-19 საუკუნეშია დამზადებული და, ვინაიდან შეკვეთით დაამზადებინეს წითელი ხისაგან, მსოფლიოში ერთადერთია. მასზე მითოლოგიური და გამოგონილი ფანტასტიკური არსებები მოოქროვილი ბრინჯაოს სკულპტურების სახითაა მიმაგრებული.













# ოქროზე ძვირფასი

**არაბეთის გაერთიანებული ემირატების მკვიდრმა 14 მილიონი ამერიკული დოლარი იმისთვის გადაიხადა, რომ მის ავტომანქანას მხოლოდ ერთი ციფრისაგან შემდგარი ნომერი „1" ჰქონოდა. აბუ-დაბის აუქციონზე არაბი ბიზნესმენის მიერ შემოთავაზებული ეს თანხა ავტომობილის ნომრისათვის ოდესმე გადახდილ თანხებს შორის აბსოლუტურ რეკორდმსმენად იქცა.**



გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

## ულამაზოების პირველი ქორწილი




**ულამაზო ადამიანების გაცნობის საიტმა თავისი პირველი სერიოზული წარმატება აღნიშნა — ონლაინ-სერვისით გაცნობილმა წყვილმა გამოაცხადა, რომ დაქორწინებას აპირებს.** საიტი „TheUglyBugBall.com", რომელიც აცხადებს, რომ „საეჭვო გარეგნობის" ადამიანების ურთიერთობისთვის შეიქმნა, უკვე ერთი წელია, ფუნქციონირებს. 2010 წლის აგვისტოში სწორედ ამ საიტზე გაიცნეს ერთმანეთი 36 წლის ტომ კლიფორდმა და 31 წლის ჯანი უოკერმა, რომლებიც დასავლეთ ინგლისის გლოსტერშირის საგრაფოში ერთსა და იმავე ქალაქში ცხოვრობენ.

ისინი ერთმანეთს პირველად სექტემბრის ბოლოს შეხვდნენ და მაშინვე მოეწონათ ერთმანეთი. ძალიან მალე, სულ 4 პაემნის შემდეგ, გადაწყვიტეს, ნიშნობის შესახებ განეცხადებინათ. როგორც კი საიტის ადმინისტრაციამ ამის შესახებ შეიტყო, წყვილს საჩუქრად მაშინვე საქორწინო მოგზაურობას შეჰპირდა.

ქორწილი რამდენიმე თვეში გაიმართება.

## საშინელი ღვეზელების საკონდიტრო



**ორიოდე დღის წინათ ლონდონში გაიხსნა საკონდიტრო, რომელშიც საშინელი ღვეზელები და სხვა სახის ტკბილეული გაიყიდება. წამოწყების იდეა ჰელოუინის დღესასწაულს უკავშირდებოდა. ათასგვარი საშინელების ფორმისა და შეხედულების, მაგრამ უგემრიელესი ღვეზელების შეძენის უფლება მხოლოდ 18 წელს გადაცილებულებს მიეცათ.**

საკონდიტრო კომპიუტერულ თამაშ „Silent Hill"-ის სტილშია გაფორმებული. მის მომსახურე პერსონალს კი ზომბებისა და ყველანაირი უწმინდურის ფორმები აცვიათ. მენიუში არის 666 დასახელების საშინელი ნამცხვარი, რომელთაგან ზოგს სისხლიანი გულის შესახედაობა აქვს, ზოგს — კბილებდაკრეჭილი ჩონჩხის.

31 ოქტომბერს, ჰელოუინის დღესასწაულის დასრულების შემდეგ, საშინელი საკონდიტრო დაიკეტა.

## ფისოების ყუთის „გამნაღმველები"



**ფლორიდის შტატში გამნაღმველების ჯგუფი მოსახლეობის სოციალური დაცვის კომიტეტის შენობასთან გამოიძახეს. სწორედ აქ აღმოაჩინეს საეჭვო ყუთი. ადგილზე ათი სპეციალისტი გავიდა, ათივეს სპეციალური დამცავი კოსტიუმი ეცვა და ყუთის ირგვლივ მთელი კვარტალი გადაკეტეს. როდესაც „განაღმვის" სამუშაოები დაიწყო, გაირკვა, რომ ყუთში რამდენიმე კნუტი იჯდა.**

კნუტები ყუთის რენდგენის აპარატით დათვალიერებისას გამოჩნდნენ. როდესაც ყუთი ერთ-ერთმა გამნაღმველმა გახსნა, ერთი კნუტი ისე ამოხტა, რომ საბრალო გამნაღმველი უკან დაგავარდა. როგორც შემდეგ გამნაღმველები ამბობდნენ, მცდარი გამოძახებები ხშირია, მაგრამ საეჭვო ყუთში ცოცხალ არსებებს პირველად გადააწყდნენ.

# სოროსი ამერიკას ნარკოტიკების ლეგალიზებისკენ მოუწოდებს



**ამერიკელმა ფინანსისტმა ჯორჯ სოროსმა ქვეყანაში მარიხუანის ლეგალიზების არა მარტო იდეა წამოაყენა, არამედ ამ ნარკოტიკის გამოყენების ლეგალიზებისთვის აუცილებელი კანონპროექტის მხარდასაჭერად მილიონი დოლარიც გაიღო. მილიარდელის აზრით, კანონებს, რომელთა მიხედვითაც კალიფორნიაში მარიხუანის მოხმარება კრიმინალურ დანაშაულად ითვლება, გაცილებით მეტი ზიანი მოაქვს, ვიდრე სარგებელი. პარალელურად კი მარიხუანა იყო და ამ დრომდეც რჩება ყველაზე პოპულარულ არალეგალურ ნარკოტიკულ საშუალებად მსოფლიოს უამრავ ქვეყანაში.**



ამჟამად კალიფორნიის შტატში მარიხუანის ლეგალიზებასთან დაკავშირებით გაცხარებული კამათია. მილიარდების მფლობელი სოროსი კი, როგორც „Wall Street Journal"-ი იუწყება, მათ რიგებს შეუერთდა, ვინც აქტიურად უჭერს მხარს ამ ნარკოტიკის გამოყენების ლეგალიზებას. უფრო მეტიც, მის მიერ ლეგალიზების კამპანიისათვის შეწირული მილიონი კერძო პირისაგან გაღებულ უდიდეს თანხად იქცა. როგორც გამოცემა აღნიშნავს, **ცნობილი ინვესტორის მილიონი სწორედ მაშინ ჩაერთო საქმეში, როდესაც კალიფორნიელმა ამომრჩეველმა გაგანია წინასაარჩევნო კამპანიისას შტატის მე-19 კანონის წინააღმდეგ გამოსვლები დაიწყო.**

რამდენიმე დღეში შტატში მარიხუანის ლეგალიზებაზე, კერძოდ, პირადი მოხმარებისთვის მისი მცირე რაოდენობით წარმოების ლეგალიზების თაობაზე რეფერენდუმი გაიმართება და მაშინ, როდესაც ამ მნიშვნელოვან მომენტამდე სულ ცოტა დრო რჩება, ამერიკელი მილიარდელი, რომელიც მთელი წლის მანძილზე აქტიურად უჭერდა მხარს აშშ-ის დემოკრატიულ პარტიას, ადგა და აღნიშნული კანონპროექტის მხარდამჭერ კომიტეტს მილიონიანი ჩეკი გამოუწერა.

**იმ შემთხვევაში, თუ კანონპროექტს მიიღებენ, შტატის ნებისმიერ, 21 წლის ასაკს მიღწეულ, მცხოვრებს უფლება ექნება, დათესოს და მოიყვანოს მცირე რაოდენობით ნარკოტიკული საშუალება, პირადი მოხმარებისათვის.**

საკუთარი პოზიციის ასახსნელად სოროსმა იმავე გაზეთ „Wall Street Journal"-ში გამოაქვეყნა სტატია სათაურით „რატომ ვუჭერ მხარს მარიხუანას". სათაურიდან გამომდინარე, ცხადია, მასში ნარკოტიკის ლეგალიზების არგუმენტებია ჩამოთვლილი. კერძოდ, მილიარდელი წერს, რომ **მოქმედი კანონები, რომელთა წყალობითაც ნარკოტიკის მოცემული სახეობის გამოყენება კრიმინალად ითვლება, საზოგადოებისთვის სიკეთის ნაცვლად ზიანის მომტანია.** სოროსის მტკიცებით, სისხლისსამართლებრივი დევნა ვერ აფერხებს მარიხუანის გამოყენებასა და რეალიზაციას, რის შედეგადაც ის აშშ-ში ყველაზე გავრცელებულ ნარკოტიკად რჩება. **ამიტომ აკრძალვა მხოლოდ ფასების მომატებასა და ამ კანონებისადმი მოსახლეობის ნეგატიური დამოკიდებულების ზრდას იწვევს.**

**გარდა ამისა, სოროსი მიუთითებს, რომ აშშ-ის გადასახადების გადამხდელები უზარმაზარ თანხებს ხარჯავენ ნარკოტიკების მომხმარებლებისა და რეალიზატორების წინააღმდეგ მებრძოლი სპეციალური სამსახურების შენახვაზე. არადა, სახელმწიფო კონტროლს თავისუფლად შეეძლო, ხაზინაში ყოველწლიურად მილიარდობით დოლარი შეეტანა. უფრო მეტიც, მარიხუანის ლეგალიზება ამერიკის მთავრობას საშუალებას მისცემდა, მისი გამოყენება კონტროლისათვის დაექვემდებარებინა და მისი რეალიზება შესაბამისი გადასახადებით დაებეგრა, ანუ დამატებითი შემოსავლის წყარო გაეჩინა. ახლა ეს მილიარდები აკრძალვის უზრუნველყოფის წარუმატებელ მცდელობაზე იხარჯება.**

კალიფორნიას „დამატებითი შემოსავლის წყარო" ნამდვილად არ აწყენდა. ფინანსური წლის დაწყებიდან სამი თვის შემდეგ შტატის ბიუჯეტი, როგორც იქნა, დამტკიცდა, მაგრამ დეფიციტი 20 მილიარდ დოლარს უახლოვდება. ხანგრძლივი და ცხარე დებატების შედეგად მიღებული ბიუჯეტი დანახარჯების 7,5 მილიარდით შეკვეცას ითვალისწინებს.

სოროსის წერილში აღნიშნულია, რომ ყოველწლიურად მარიხუანის მცირე დოზის შენახვისთვის დაახლოებით 750 000 ადამიანს აპატიმრებენ, რაც ყველა სახეობის ნარკოტიკების შენახვისთვის დაკავებულთა 40%-ს აჭარბებს. **ლეგალიზება შეამცირებს დანაშაულთა რაოდენობასაც და ნარკობიზნესისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის სისტემების კორუფციულობასაც. პოლიციას დანაშაულის გაცილებით სერიოზული სახეობების წინააღმდეგ ბრძოლისთვის ძალები და სახსრები გამოუთავისუფლდება.**

**სოროსი ირწმუნება, რომ მარიხუანის ლეგალიზება მექსიკისა და სხვა ქვეყნების დამნაშავეობრივი ორგანიზაციებისთვის ძლიერი დარტყმა იქნება, ვინაიდან ისინი მრავალმილიარდიანი შემოსავლის წყაროს დაკარგავენ და დასუსტდებიან.** შესუსტდება რასობრივი დისკრიმინაციაც: ზანგები ისევე იყენებენ მარიხუანას, როგორც თეთრები, მაგრამ მათ თეთრკანიანებზე 5-10-ჯერ უფრო ხშირად აპატიმრებენ. როგორც სოროსმა შეახსენა მთელ ამერიკას, მარიხუანა XX საუკუნის დასაწყისში რასობრივი დისკრიმინაციის საფუძველზე აიკრძალა — გამოცხადდა, რომ მას მხოლოდ ლათინოამერიკული წარმომავლობის პირები იყენებდნენ.

სოროსს არც ის გამორჩენია მხედველობიდან, რომ ქვეყნის განათლების სისტემაში აუცილებელია ნარკოტიკებისადმი მიუკერძოებელი მიდგომის დამკვიდრება. თავად ფინანსისტი, ისევე, როგორც მშობლების, ბებიებისა და პაპების აბსოლუტური უმრავლესობა, ღელავს ახალგაზრდებზე, რომელთაც ნარკოტიკებთან დაკავშირებული პრობლემები აქვთ, მაგრამ მიიჩნევს, რომ ამ პრობლემების თავიდან აცილების საუკეთესო საშუალებაა, გულწრფელად და ეფექტურად მიაწოდონ ინფორმაცია მომავალ თაობებს იმის შესახებ, თუ რა ზიანს აყენებს და რა საფრთხეებს უქმნის ნარკოტიკი მათ ჯანმრთელობას.

**უნდა აღინიშნოს, რომ სოროსი მსუბუქი ნარკოტიკული საშუალებების ლეგალიზების მომხრეთა რიგებში პირველად არ აღმოჩნდა, მანამდე ის მარიხუანის სამედიცინო საშუალებად გამოყენებას უჭერდა მხარს. ამის თაობაზე კანონი ამერიკის ერთ-ერთ ყველაზე ლიბერალურ შტატად აღიარებულ კალიფორნიაში 1996 წელს უკვე მიიღეს.**

**რაც შეეხება თავად ამერიკელებსა და მარიხუანისადმი მათ დამოკიდებულებას, კალიფორნიის საზოგადოებრივი პოლიტიკის ინსტიტუტის კვლევის შედეგების თანახმად, მოსახლეობის 49% მისი ლეგალიზების წინააღმდეგია.**

ამერიკის სამართალდამცავი სისტემის წარმომადგენლები მსოფლიოს ერთ-ერთი უმდიდრესი ადამიანის ზემოჩამოთვლილ არგუმენტებს არ იზიარებენ. მათ უკვე დადეს პირობა, რომ უმკაცრესად დევნიან ყველას, ვინც ჯერ კიდევ მოქმედი კანონმდებლობით აკრძალული კულტურის მოშენებით დაკავდება.




*rambler.ru*

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ცსს — პარაგვაიში, ანუ როგორ მოვიშოროთ პრეზიდენტი

**პარაგვაის ამჟამინდელ პრეზიდენტ ფერნანდო ლუგოს წარსულში „ღარიბების მღვდელს“ უწოდებდნენ. ის ძალიან სწრაფად დაწინაურდა კათოლიკურ იერარქიაში და ეპისკოპოსობასაც მიაღწია, რის შემდგომ, მასიური სახალხო მხარდაჭერის წყალობით, 2008 წლის 15 აგვისტოს, ქვეყნის უმაღლეს თანამდებობაზე შეუდგა მოვალეობის შესრულებას.**



მას იმედი ჰქონდა, რომ ქვეყნისთვის ბევრ სიკეთეს გააკეთებდა — აპირებდა, უარი ეთქვა ეროვნული ეკონომიკის დამანგრეველ ნეოლიბერალურ კურსზე და იმ პრეზიდენტებს შეუერთებოდა, რომლებიც „XXI საუკუნის სოციალიზმს“ აშენებენ ლათინურ ამერიკაში. მაგრამ პრეზიდენტ ლუგოს ჩანაფიქრის განხორციელება არ აცადეს — პარლამენტი, რომელშიც მისი მომხრეები უმცირესობას წარმოადგენენ, ღარიბების მხარეს არ დადგნენ და დაპირებული აგრარული რეფორმა ჩაშალეს. პოლიტიკური ცხოვრების მუდმივ ფაქტორად ქვეყანაში სამხედრო გადატრიალების საფრთხე იქცა.

**2009 წლის სექტემბერში პრეზიდენტმა განაცხადა, რომ აშშ-თან სამხედრო თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების გაგრძელებას არ აპირებს და სიტუაციაც დაიძაბა. პარაგვაისგან ასეთ კატეგორიულ განცხადებას არავინ ელოდა, განსაკუთრებით აშშ-ის საელჩო ასუნსიონში. ეს მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდა.** პენტაგონის პროგრამისათვის „ახალი ჰორიზონტები“ რამდენიმეთვიანი მოსამზადებელი სამუშაოები წყალში ჩაიყარა. ამ პროგრამის მიხედვით, 2010 წელს პარაგვაიში 500-კაციანი ამერიკული კონტინგენტი უნდა გაგზავნილიყო. ოფიციალური მიზანი საზღვაო ქვეითების ადგილობრივ პირობებთან შეგუება და პარაგვაელ სამხედროებთან მათი თანამშრომლობის აწყობა იყო. **სინამდვილეში კი ობამას ადმინისტრაცია აპირებდა, პენტაგონისთვის „პოპულისტური“ ბოლივიისგან 200 კილომეტრით დაშორებული ბაზის „მარშალ ესტიგარიბიას“ გამოყენება მომდევნო ათი წლით უზრუნველეყო.**

**ამგვარი „დესანტი“ ამერიკამ ადრეც არაერთხელ გაგზავნა „ჰუმანიტარული ოპერაციებისა“ და „მოსახლეობის სამედიცინო დახმარების“ მიზნით, სინამდვილეში კი ის „სამი საზღვრის ზონაში“ (პარაგვაის, ბრაზილიასა და არგენტინას შორის) მდგომარეობის დაძაბვის შემთხვევისთვის ამერიკული ჯარის სრულმასშტაბიანი განლაგებისთვის ინფრასტრუქტურას ამზადებდა და სადაზვერვო სამუშაოებს ასრულებდა.**

გამაფრთხილებელი საბრძოლო მანევრების მიზეზად ვაშინგტონი, ცხადია, პარაგვაის ტერიტორიაზე არსებული ტერორისტული ორგანიზაციების — ალ ქაიდასა და ჰეზბოლას ბუდეები სახელდებოდა. **მომრავლებული ამერიკელი სამხედროების ნამდვილი სამიზნე კი ვენესუელის, ნიკარაგუის, ეკვადორისა და ბოლივიის „აშშ-ის არამეგობარი პოპულისტური რეჟიმები“ არიან. პენტაგონს ის რეგიონალური თავდაცვის სისტემაც რიგიანად აშფოთებს, რომელსაც სამხრეთამერიკელი ერების კავშირი (Unasur) აშშ-ის გარეშე აშენებს.**

მაგრამ პრეზიდენტმა ფერნანდო ლუგომ „ახალი ჰორიზონტების“ რეალიზაციაზე სასტიკი უარი განაცხადა და, სანამ ამ გადაწყვეტილებას მიიღებდა, Unasur-ის ქვეყნების კოლეგებისგან მიღებულ მასალებს გულდასმით გაეცნო. სწორედ ამ მასალებიდან ჩანდა თვალნათლივ, რომ **კოლუმბიაში ამერიკის ბაზები ეკვადორის სასაზღვრო ზონაში „FARC“-ის ბანაკებზე შეტევისათვის იქნა გამოყენებული. ვაშინგტონის მორიგი შესაძლო ავანტიურებისათვის საკუთარი ქვეყნის ტერიტორიის აშშ-სთვის დათმობა პრეზიდენტმა ლუგომ არ ისურვა.**

პარაგვაიში აშშ-ის ელჩმა ლილიანა აიალდემ განაცხადა, რომ პრეზიდენტის ეს გადაწყვეტილება „სამწუხაროა“ და იმედი გამოთქვა, რომ აშშ-სა და პარაგვაის შორის თანამშრომლობის სხვა ყველა პროგრამა, მათ შორის არა მხოლოდ სამოქალაქო, არამედ სამხედრო სფეროშიც, ხელუხლებელი დარჩებოდა. ქალბატონ ელჩს, უპირველეს ყოვლისა, ის პროგრამა ჰქონდა მხედველობაში, რომლის თანახმადაც ოფიცერთა კადრების მომზადება და იარაღის შეძენაა გათვალისწინებული. **ცხადია, ამერიკა ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ პარაგვაელი ოფიცრების „პოპულისტურ“ ქვეყნებში მომზადება, სამხედრო-ტექნიკური თანამშრომლობისათვის კი ბრაზილიასთან ან არგენტინასთან პარტნიორობა არ დაუშვას. აშშ-ის საელჩოსათვის მოვლენების ამგვარად შემობრუნება აბსოლუტური ფიასკო იქნებოდა.**

ლუგოს მიდრეკილება „პოპულისტური“ ქვეყნების ლიდერებისაკენ იმთავითვე ადარდებდათ აშშ-ის საელჩოსა და სპეციალური სამსახურების წარმომადგენლებს, რომლებიც ამავე საელჩოს ფრთებქვეშ მოღვაწეობენ პარაგვაიში. **თუკი ლუგო ბოლივარიანულ ალიანსთან სტრატეგიული დაახლოების გზით წავა, ლათინური ამერიკის ხალხები კიდევ ერთ მტკიცებულებას მიიღებენ, რომ აშშ-ის პოზიციები რეგიონში დღითიდღე მცირდება. ამის დაშვება კი არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება. ჯერ კიდევ 70-იან წლებში ჰენრი კისინჯერი ამბობდა: „თუ ჩვენ არ შეგვიძლია ლათინური ამერიკის კონტროლი, როგორ შევძლებთ მსოფლიოში დომინირებას?“**

ლუგოს წინააღმდეგ ნამდვილი ომი დაიწყო. დისკრედიტირების მიმართულებით პროპაგანდისტული კამპანია არა მხოლოდ ქვეყნის, არამედ მთელი კონტინენტის მასშტაბით ამოქმედდა. პრესა წერდა მის მრავალრიცხოვან უკანონო შვილზე, აურაცხელ სიმდიდრეზე, კორუფციისადმი შემწყნარებლურ დამოკიდებულებაზე და ასე შემდეგ. ცსს-ს აგენტების წყალობით, მასმედია ავრცელებდა „სარწმუნო ინფორმაციას“ აშშ-ის სპეცსამსახურებთან ლუგოს თანამშრომლობის შესახებ. ამასთანავე, დაჟინებით მიანიშნებდნენ, რომ მისი ბიძა — ეპიფანიო მენდეს ფლიტასი — ცსს-ს „დეზერტირმა“ ფილიპ ეიჯიმ გამოავლინა, როგორც ამ ორგანიზაციის აგენტი პარაგვაიში. „ფერნანდო ლუგოს თითქმის ყველა ნათესავს ჰქონდა კავშირი ამერიკის დაწესებულებებთან, სახელმწიფო დეპარტამენტთან და USAID-თან“, — ამგვარ მტკიცებულებებსაც წააწყდებოდით. ეს საკმაოდ მოხერხებული ნაბიჯი იყო ლუგოს მტრების მხრიდან, პრეზიდენტს მხარდაჭერაზე უარი გამოუცხადეს მისმა მომხრეებმაც.

## ორიოდე თვის წინათ პრესაში პირველად გამოჩნდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ჯანმრთელ, ენერგიულ, მყარი ფსიქიკის მქონე პრეზიდენტს სიმსივნე აღმოაჩნდა




**მომდევნო ეტაპზე აბსოლუტურად მოულოდნელად და ხილული მიზეზების გარეშე ქვეყანაში გამოჩნდნენ რაღაც პარტიზანული დაჯგუფებები, რომელთა უკიდურესად „კონსპირირებული“ ლიდერები პრეზიდენტს ემუქრებოდნენ და მისი მკვლელისთვის ჯილდოც კი დააწესეს. ცსს-ს აგენტებმა ლუგო დაარწმუნეს, რომ ამ „შემოტევას“ აშშ-ის დაუხმარებლად ქვეყანა თავს ვერ გაართმევდა და პრეზიდენტი ჩრდილოეთ რაიონებში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებას დასთანხმდა.**

**ორიოდე თვის წინათ პრესაში პირველად გამოჩნდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ჯანმრთელ, ენერგიულ, მყარი ფსიქიკის მქონე პრეზიდენტს სიმსივნე აღმოაჩნდა.** ლუგო სამკურნალოდ ბრაზილიაში გაემგზავრა, გარემოცვამ კი იმედისმომცემი პროგნოზები გაახმაურა — პრეზიდენტი ქვეყნის მართვას განაგრძობს და 2013 წლის არჩევნების შემდეგ პირადად გადასცემს ხელისუფლებას ახლადარჩეულ პრეზიდენტს, კონსტიტუციურ ნორმათა სრული დაცვით. ერთადერთი, ვინც საკმაოდ უცნაური განცხადება გააკეთა, აშშ-ის ელჩი ლილიანა აიალდე იყო.

**უნდა აღინიშნოს, რომ დღეს პრეზიდენტი ლუგო ოპტიმიზმის საფუძველს არ იძლევა. ქიმიოთერაპიის შემდეგ თმა გასცვივდა, გარეგნულად დაბერდა, შინაგან განცდებს, მიუხედავად მცდელობისა, ვერ უმკლავდება. გამორიცხული არაა, უკვე ხვდებოდეს, საიდან და რატომ დაატყდა თავს ეს ავადმყოფობა. სამაგიეროდ მისი მუდმივი ოპონენტი, ვიცე-პრეზიდენტი ფედერიკო ფრანკო აშკარად მშვენივრად გრძნობს თავს. აშშ-ის საელჩოში მას ბევრი მეგობარი ჰყავს და „ახალ ჰორიზონტებსაც“ ძალზე პერსპექტიულ პროექტად მიიჩნევს. მხოლოდ ცოტა ხანს მოცდაა საჭირო.**

*fondsk.ru*

## უჩვეულო საჰაერო ტრანსპორტი



**ამ საჰაერო ტრანსპორტს 150 ტონა ტვირთის გადაზიდვა შეუძლია. ამ საოცარი ტექნიკის წყალობით, საცხოვრებელი ადგილის გამოცვლა ძალზე გაიოლდება — აეროსტატი ახალ საცხოვრებელ ადგილზე არა მარტო ნივთებს, არამედ სახლსაც გადაიტანს.**

სატრანსპორტო საშუალების სიგანე 150 მ-ია, ხოლო ტვირთის წონა, რომლის ზიდვასაც ის შეძლებს, 150 ტონას უდრის. შედარებისთვის: მძლავრ სატვირთო შვეულმფრენს ჰაერში 20 ტონის აწევა შეუძლია. აეროსტატის ფრენის სიშორე თითქმის 200 კმ-ს შეადგენს, ხოლო მისი უჩვეულო ფორმა მიწაზე დაშვებას გააიოლებს.

## პოეტური კრივის ჩემპიონატი



**იაპონიაში პოეტური კრივის ჩემპიონატი გაიმართა. შეჯიბრი ტოკიოში ჩატარდა. ტურნირში მონაწილეობდნენ მოყვარული პოეტები, რომლებიც კრივის რინგზე მდგარნი თხზავდნენ ლექსებს. ნაწარმოები ნებისმიერ თემაზე შეიძლებოდა ყოფილიყო — პოლიტიკითა და ფილოსოფიით დაწყებული, ყოველდღიური ყოფა-ცხოვრებით დამთავრებული.**

პოეტური კრივის ორგანიზატორის — კაცუნორი კუსუნოკის თქმით, ტურნირის გამართვის იდეა იმაში მდგომარეობს, რომ ახალგაზრდა იაპონელებს შიშის დაძლევაში დახმარებოდნენ და მათში შეჯიბრში მონაწილეობის სურვილი აღეძრათ. ჩვეულებრივ კრივთან ამ კონკურსს საერთო არაფერი აქვს. შეჯიბრების თითოეულ მონაწილეს რინგზე სამი წუთი ეთმობოდა, ოღონდ ამ დროის მანძილზე მათ ერთმანეთისთვის ცხვირ-პირი კი არ უნდა გაელამაზებინათ, ხელოვნების შედევრები უნდა შეექმნათ.

## პირველი „მწვანესახურავიანი“ ავტობუსი



**ნიუ იორკის ქუჩებში mta-ს კომპანიის 45000 ავტობუსი ფუნქციონირებს. მხატვარმა და დიზაინერმა მარკო ანტონიო კოსიომ თითოეულის სახურავზე მცენარეების „მწვანე ხალიჩის“ განთავსების წინადადება წამოაყენა. მის პროექტს, ესთეტიკური ფუნქციის გარდა, მეგაპოლისის ეკოლოგიის გაუმჯობესება აკისრია.** მსოფლიოში პირველი ასეთი ბიოავტობუსი, რომლის სახურავზეც 15 კვ/მ „მწვანე საფარი“ განთავსდა, მთელი თვის განმავლობაში დადიოდა ლონგ-აილენდში, ბრონქსში, პენსილვანიასა და ოჰაიოში. პროექტის ავტორის მტკიცებით, მისი გამოგონება გააუმჯობესებს სითბურ ბალანსსა და აკუსტიკურ პირობებს, შეამცირებს $CO_2$-ის გამოტყორცნას ატმოსფეროში. პირველი ეგზემპლარის სახურავზე 15 კვადრატული მეტრი მწვანე საფარი განთავსდა. თუ ყველა ავტობუსი მის ბედს გაიზიარებს, ნიუ იორკს დაახლოებით 35 აკრი მიწის ფართობი შეემატება.

საინფორმაციო ანალიტიკური სააგენტო
საქინფორმი
www.saqinform.ge

# თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი

## გალა-კონცერტს ვიაჩესლავ ბორტნოვსკი უდირიჟორებს

თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი 3 ნოემბერს, 19 საათზე, გიწვევთ ეროვნულ მუსიკალურ ცენტრში (დავით აღმაშენებლის გამზ. №127) გალა-კონცერტზე. კონცერტში მონაწილეობენ ოპერის თეატრის გუნდი, ორკესტრი და მომღერლები: **ირმა ბერძენიშვილი, სულხან გველესიანი, ირაკლი კახიძე, ნიკოლოზ ლაგვილავა, მარიკა მაჩიტიძე, ელენა პუტილოვა, ირინე რატიანი, ინგა ჯახუტაშვილი.**

კონცერტის პროგრამაშია **ვოლფგანგ ამადეუს მოცარტის, ჯოაკინო როსინის, ჯუზეპე ვერდის, კამილ სენ-სანსის, ჯაკომო პუჩინის, პიეტრო მასკანის** ნაწარმოებები.

გალა-კონცერტს წარუძღვება ცნობილი ბელარუსი დირიჟორი **ვიაჩესლავ ბორტნოვსკი.**

**ვიაჩესლავ ბორტნოვსკი** ბელარუსის რესპუბლიკის ერთ-ერთი წამყვანი დირიჟორია. იგი სანკტ-პეტერბურგის რიმსკი-კორსაკოვის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის კურსდამთავრებულია (მისი აღმზრდელები იყვნენ **გ. ერჟემსკი, ბ. ტილესი, ა. იანსონი**).

ვიაჩესლავ ბორტნოვსკიმ 1986 წელს დააარსა მინსკის კამერული ორკესტრი „კოლეგიუმ მუსიკუმ", რომელიც 1992 წლიდან სიმფონიურ ორკესტრად გარდაიქმნა.

ამ ორკესტრს ვიაჩესლავ ბორტნოვსკის დირიჟორობით ჩაწერილი აქვს მუსიკა მრავალი კინოფილმისთვის, კომპაქტ-დისკი „კლასიკური მუსიკის მარგალიტები". **2005 წელს პირველად მსოფლიოში კომპაქტ-დისკზე მისი დირიჟორობით ჩაიწერა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჰიმნი.**



დირიჟორი თანამშრომლობს ისეთ შემსრულებლებთან, როგორებიც არიან: **იგორ ოლოვნიკოვი, ლიუდმილა მაგომედოვა, ჟერომ გიშარი, სტეფან კარდონი, მარკ ბლიოზი, ბილ სკიტი, გალინა ჩერნი-სტეფანსკა.**

დირიჟორის რეპერტუარი ფართო და მრავლისმომცველია ეპოქალური და სტილისტური თვალსაზრისით. და მაინც, ვიაჩესლავ ბორტნოვსკი უპირატესობას ანიჭებს გვიანი რომანტიკოსი კომპოზიტორების ნაწარმოებებს, ასევე, რუსულ და საბჭოთა კლასიკას.

25 წელიწადია, პროფესორი ვიაჩესლავ ბორტნოვსკი აქტიურ პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა ბელარუსის კულტურისა და ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტშიც ეწევა.



# უნივერსალური წყალი „ისიდა"



## მათთვის, ვისთვისაც ძვირფასია ჯანმრთელობა

სუფრის წყალი „ისიდა" აკმაყოფილებს ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის („ჯანმო") მოთხოვნებს. სერტიფიცირებულია და დღიური ნორმის ოდენობით შეიცავს ადამიანისთვის აუცილებელ და შეუცვლელ მიკროელემენტებს (J, F, Mn, Ca, K, Mg, Na, Zn).

J იოდი — ხელს უწყობს დედის ორგანიზმში ნაყოფის განვითარებას (დეფიციტი იწვევს კრეტინიზმს); მოქმედებს მოზარდის ნორმალურ განვითარებაზე; იცავს ადამიანს ჩიყვისგან; მოქმედებს გულსისხლძარღვთა და ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე.

F ფტორი — მინერალიზაციის პროცესების ბიოკატალიზატორია. მისი დეფიციტი იწვევს მინერალიზაციის დარღვევას, კბილის კარიესს.

Mn მანგანუმი — მოქმედებს ჰორმონებსა და ფერმენტებზე. მისი დეფიციტი იწვევს ინსულიარული აპარატის მოშლას, პოტენციის დაქვეითებასა და პათოლოგიურ სიმსუქნეს.

Ca კალციუმი — მონაწილეობს ძვლის უჯრედების წარმოქმნაში. მოქმედებს სისხლის შედედებაზე, ნერვული იმპულსების გადაცემაზე, ფერმენტული პროცესების აქტივობაზე.

K კალიუმი — უზრუნველყოფს გულის კუნთის მუშაობასა და მის ბუნებრივ აქტივობას, ხელს უწყობს მეხსიერების გაუმჯობესებას.

Mg მაგნიუმი — ამაგრებს ჩონჩხის ძვლებს, კბილის მინანქარს. ხელს უწყობს თირკმელების, ღვიძლის, გულისა და ტვინის ნორმალურ ფუნქციონირებას.

Na ნატრიუმი — ფიზიოლოგიური (უჯრედგარეთ) სითხის ძირითადი შემადგენელი ნაწილია. არეგულირებს სისხლის წნევას და იცავს სისხლის ბუფერობას.

Zn თუთია — შედის თითქმის ყველა უჯრედის შემადგენლობაში, არეგულირებს მოზარდი ორგანიზმის ნორმალურ განვითარებასა და სქესობრივ მომწიფებას.

საერთო მინერალიზაცია შეადგენს 350 მგ/ლიტრზე, რაც უზრუნველყოფს გულის კუნთის ნორმალურ მუშაობას, ტვინის ქერქისა და ქერქქვეშა ცენტრების აქტივობას, თირკმლის ნორმალურ ფუნქციონირებას, ზრდის ღვიძლის დეტოქსიკაციურ ფუნქციას და ინარჩუნებს ძვლოვანი ქსოვილების ნორმალურ შემადგენლობას.

სასმელად გამოსადეგი არც ერთი სხვა წყალი (არც მდინარის, არც ტბის, არც ჭის და არც წყაროსი) არ შეიცავს ჩამოთვლილ მიკროელემენტებს ერთდროულად და საკმარისი რაოდენობით, ამიტომ მათი ყოველდღიური და ხანგრძლივი გამოყენება ორგანიზმში რომელიმე ელემენტის დეფიციტს იწვევს, შესაბამისად, — ფუნქციონალურ დარღვევებს, რასაც ეწოდება მიკროელემენტოზი. მას მიეკუთვნება ენდემური ჩიყვი, კარიესი, ფსორიაზი, პათოლოგიური სიმსუქნე და სხვ.

„ისიდა" გამიზნულია ოჯახური მოხმარებისთვის, ისხმება ხელის ტუმბოთი აღჭურვილ 20-ლიტრიან ბალონებში.

**მსურველებმა დარეკეთ თბილისში: 899-16-30-21.**
**890-26-15-15 (ოფისი); რუსთავში: 890-11-50-99; 895-91-24-14.**


pirweli.com.ge
პირველი
საინფორმაციო სააგენტო

FACT
www.fact.ge
ACM Group

# წმიდა ანდრია პირველწოდებულის სამონასტრო კომპლექსის სამრეკლო

| | |
|---|---|
| ს.ს „გაერთიანებული ტელეკომი" | 602602 |
| შპს „ახტელი" | 700818 |
| შპს „მაგთიკომი" | 200320 |
| შპს „ჯეოსელი" | 700305 |
| შპს „ბილაინი" | 200333 |

ფოთისა და ხობის ეპარქიის განვითარების ფონდის საბანკო რეკვიზიტია:
ს.ს „თი ბი სი ბანკის" ფოთის ფილიალი
ბანკის კოდი 220101937; ა/ა 63636080100001; ს/კ 215141246

თანხის ჩარიცხვა შეგიძლიათ სწრაფი გადახდის აპარატებით
იხ. მენიუში: სხვადასხვა — ქველმოქმედება —
წმ. ანდრია პირველწოდებულის
სამონასტრო კომპლექსი.

ინფორმაციისთვის მიმართეთ
ფონდის დირექტორს,
დეკანოზ თევდორე ბასილაიას:
ქ. ფოთი, ნ. ნიკოლაძის მოედანი №3,
ტელ.: 8(293) 70736, მობ.: (899)936563,
e-mail: eparqia-f@mail.ru



ჯაბა ჟვანია მწუხარებით იუწყება ბიძაშვილის

გოჩა ჟვანიას

ტრაგიკულად დაღუპვას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.
პანაშვიდი 4, 5 ნოემბერს,
დაკრძალვა 6 ნოემბერს.
მისამართი: ზუგდიდის რაიონი, სოფელი ნარაზენი.

გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს" რედაქცია მწუხარებას გამოთქვამს

გოჩა ჟვანიას

ტრაგიკულად დაღუპვის გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

საქართველო და მსოფლიო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
http://www.geworld.net

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
მთავარი რედაქტორის მოადგილეები:
არმაზ სანებლიძე, ბონდო მძინარაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ლევან ზანგურაშვილი
ვებრედაქტორი გოჩა ხავთასი
რეალიზაციის მენეჯერი დავით ბუაძე, ოფისმენეჯერი თათია ვაშაკიძე,
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 34-32-95; e-mail:info@geworld.net